

ზ. ჩიტიძე, ზ. ბალამზარაშვილი  
გ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი

მერქნისა და მერქნული მასალების  
დამმუშავებელი ჩარხები, საჩარხო  
სისტემები და მჭრელი ინსტრუმენტები

სამ ფომად

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზ. ჩიტიძე, ზ. ბალამზარაშვილი  
გ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი

მერქნისა და მერქნული მასალების  
დამმუშავებელი ჩარხები, საჩარხო  
სისტემები და მურელი ინსტრუმენტები

სამ ჭომად



რეკომენდებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამოცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი 2017

## შაპ 621.921.4 620.179.5

მერქნისა და მერქნული მასალების დამტუშავებელი ჩარხები, საჩარხო სისტემები და ინსტრუმენტები. I ნაწილი. ზ. ჩიტიქი, ზ. ბალამწარაშვილი, კ. აბაიშვილი, ი. გვლაშვილი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016 წ. გვ. 250

წარმოდგენილია მერქნის და მერქნული მასალების დამტუშავებელი ჩარხების, საჩარხო სისტემების და ინსტრუმენტების საერთო ტექნიკური ცოდნები, ჩარხების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ტექნილოგიური და კონსტრუქციული სქემები, მოწყობილობები. მოყვანილია კონსტრუქციების გარანტიები, ტექნილოგიური და კონსტრუქციული პარამეტრები. აღწერილია ჩარხების მუშაობისათვის აუცილებელი მირთადი და დამტბარე მექანიზმები და მოწყობილობები. მოცემული ტექნილოგიური ანაგრძოლებები უნივერსიტეტის პირობებთან დაკავშირებით, აგრეთვე ტექნილოგიისა და მოწყობილობების თანამედროვე მდგრადირება და განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომში განხილულია მერქნული მასალების ჭრით დამტუშავების საკითხები, კერძოდ მოცემულია ინგენიერული და დიამიკური თანაფარდობანი ჭრისას, ჭრის პროცესის ორიენტირებით და გესპერიმენტული კვლევა, დამტუშავების ხარისხი, დამტუშავების სიზუსტე და სისუფთავე.

განხილულია მერქნული მასალების ჭრით დამტუშავების მირთადი სახეები: მერგალი ხერხებით, ლენტური ხერხებით, ჩარჩოხერხით ხერხი, რანდვა, ფრეზვა, ახდა, ბურლვა, ხარატება და ხეხვა. მოცემულია აგრეთვე მერქნული მასალების ჭრა ზესალი არალენის გადაჭრაში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მერქნული მასალების დამტუშავების სკუპიალობის მიმართულების ბაკალავრების, მაგისტრანტების და ლოქტორიანტებისათვის, ასევე დახმარებას გაუწევს მერქნისა და მერქნული მასალების დამტუშავებელ საწარმოებში მომეტავე ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში.

ცხრილები 53, იდუუსტრაციები 78, ლიტერატურა 20

რედაქტორი: **თ. მჭედლიშვილი**

რეცენზენტები: **ლ. გიგინეიშვილი, თ. მეგრელიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქ. ზარიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016  
ISBN

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



Verba voland  
scripta manent

ევალა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანინირ ფორმით და საშეალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## შპსაგალი

ბოლო პერიოდში მერქნის და მერქნული მასალების დასამუშავებელმა ჩარხებმა და ინსტრუმენტებმა, რომლებიც შეტანილია ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში, განიცადეს შესამჩნევი პროგრესი ტექნოლოგიაში და მერქნის მექანიკური დამუშავების ტექნიკაში.

ტექნიკური მოთხოვნების კომპლექსის გათვალისწინებით რაციონალური სტრუქტურის საპოვნელად და გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ცვლილებები განიცადეს მრუდწირული რთულაპოვნილიანი დეტალების დასამუშავებლად, მექანიკური, ჰიდრომექანიკური და ელექტროჰიდრომექანიკური მოთვალოვალე სისტემებით აღჭურვილმა მაკოპირებელმა ჩარხებმა და საჩარხო სისტემებმა, ჩარჩოხერხებმა, ლენტახერხებიანი, მერქნის ტექნოლოგიურ ნაფორტად დასაქუცმაცებელმა ფართოლენტებიანმა სახერხმა ჩარხებმა და სხვა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი მწარმოებლობის პარამეტრები, აგრეთვე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე.

აღნიშნული ცვლილებებისა და გაუმჯობესებების გათვალისწინებით და, არსებული მეთოდური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩარხების და საჩარხო სისტემების შესწავლის პრინციპი ჩამოყალიბებულია არა კონსტრუქციული ნახატებიდან, არამედ, განზოგადოებული და გამარტივებული სქემების მიხედვით, რომლებიც იძლევიან წარმოდგენას მანქანის ტექნოლოგიური და საერთო კონსტრუქციული არსის შესახებ, რაც სტუდენტს დამატებით აძლევს მექანიზმების და მოწყობილობების მუშაობის პრინციპებისა და კონსტრუქციის გაანალიზების საშუალებას. აღნიშნული გამარტლებული და შეპირობებულია იმითაც, რომ ხანგრძლივდება სასწავლო მასალის დამკველებისაგან დაცვა, იმის მიუხედავად, მოხდება ოუ არა ჩარხების მოდელების დაძველება და ახლით შეცვლა. ამ მოსაზრებებით სახელმძღვანელოში, ჩარხების ტიპების თითოეული ჯგუფისათვის ჩამოყალიბებულია ტექნოლოგიურ-კონსტრუქციული საკითხების კომპლექსი. განხილული თითოეული ჯგუფის ჩარხებისა და საჩარხო სისტემების მოცემული კლასიფიკაცია უზრუნველყოფს ზომების ფართო ტიპ-ზომების ფართო მოცვას ტიპიური მოდელის განზოგადოებული განხილვის ბაზაზე.

კონსტრუქციული აღწერის გარდა, მოცემულია რაციონალური ჭრის და მიწოდების სიჩქარეების განსაზღვრის მეთოდები, აუცილებელი საჭირო სიმძლავრის, ტექნოლოგიური დაწესვის და იმ პირობების, რომლებიც უზრუნველყოფენ დამუშავების მაღალ

ხარისხსა და სიზუსტეს, ოპტიმალურ მწარმოებლობას, დარეგულირების მეთოდებსა და სამუშაოს მართვას. სტატიკისა და დინამიკის ზოგიერთი ძალური მახასიათებლების გარკვევა დაკავშირებული ჩარხების სპეციფიური მუშაობის პირობებთან, მიზნად ისახავს აიხსნას დინამიკისა და სტატიკის ზეგავლენა მაქანაში წარმოქმნილ პროცესებზე.

ღოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის სახელმძღვანელოში შეტანილია ჩარხებისა და საჩარხო სისტემების ახალი სქემების ანალიზი და მათი მარეალიზებელი მიმყოლი მექანიზმებისა და მოწყობილობების კვლევის საკითხები: მეთოდებისა და მეთოდიკების დამუშავება, მათემატიკური და დინამიკური გამოკვლევა, რომელთა მიზანს წარმოადგენს რაციონალური სტრუქტურის პრონა და მისი ცალკეული რგოლების პარამეტრების დადგენა.

სახელმძღვანელო შედგენილია სპეციალობის – „მერქნული მასალების დამუშავება“ პროგრამის მიხედვით და ქვეყნება პირველად. გათვალისწინებულია და მხედველობაშია მიღებული ის საკითხები, რომლებიც გამოყენებულია მერქნული მასალების ჭრით დამუშავების სახელმძღვანელოებში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავტორების მიერ შექმნილი და დამუშავებული ჩარხების და საჩარხო სისტემების სქემების ანალიზს და მათი მარეალიზებელი მიმყოლი მექანიზმებისა და მოწყობილობების კვლევის საკითხებს, სადაც გამოყენებულია მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები. აღნიშნული შრომების სიმრავლის გამო გადაწყდა სახელმძღვანელო მომზადეს სამ ტომად. აქედან პირველ ტომში მოცემულია ხისდამმუშავებელი ჩარხების საერთო მონაცემები, კერძოდ განხილულია ზოლურა და ლენტახერხიანი, აგრეთვე მრგვალხერხიანი ჩარხების კონსტრუქციები, მუშაობის – ექსპლუატაციის პრინციპები და მათი ტექნოლოგიური გაანგარიშებები. სახელმძღვანელო განკუთვნილია მერქნული მასალების დამუშავების მიმართულების უმაღლესი პროცესიული განათლების, ბაკალავრების, მაგისტრანტების და ღოქტორანტებისათვის.

წინასწარ ვუხდით მადლობას ყველა იმ პირს, ვინც გამოგვეხმაურება ჩვენს გამოცემასთან დაკავშირებით.

გამოძახილები და შენიშვნები გამოაგზავნეთ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 70, სტუ, I კორპუსი, სატრანსპორტო და მაქანათმშენებლობის ფაკულტეტი, სატექნიკური დეპარტამენტი.

ავტორები

01230 I

ჩარჩობის პოსტრუქცია და მორჩის  
მექანიკური დამუშავების მთლიანი

1.1. მერქნის და მერქნული მასალების ჩარხებზე  
მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური  
პრინციპები

მექანიკური დამუშავების დროს მერქნის პირველადი ნედლეულისაგან ან მერქული მასალებისაგან (ფანჯრა, ფილები და მერქული პლასტიკატები) დებულობენ განსაზღვრული ზომების, ფორმების და ხარისხების დეტალებსა და ნაკეთობებს, აგრეთვე აწყობილ კვანძებსა და ნაკეთობებს აძლევენ საბოლოო ფორმას და ზომებს.

დამუშავების პროცესების მრავალსახეობაზე, დასამუშავებელი ნამთავარების და მიღებული პროდუქციის სახეებისა და ზომების, აგრეთვე ხისდამუშავებელი მოწყობილობების საერთო ხასიათზე დაყრდნობით განხილება მერქნის ჭრით დამუშავების საერთო ტექნოლოგიური სქემა მორიდან საბოლოო პროდუქციამდე.

მორს აქეს წაკვეთილი კონუსის არამრგვალი კვეთის ფორმა წოწებით (საშუალოდ 1-3 მ), ჩვეულებრივ დამახინჯებული გრძივი მრუდწირულობით, კორძებითა და გამსხვილებებით წოწების მოკვეთის არეში. ზომები (დიამეტრი 14-50 სმ და მეტი, სიგრძე 2,5-7 მ, მასა 50-700 კგ), როგორც ფორმა და დეფექტები როკების, დამკლობის და სხვა სახით განსაზღვრავნ მორის პირველადი დამუშავების ტექნილოგიას და დამამუშავებელი ჩარხების ძირითად მახასიათებლებს, აგრეთვე სატრანსპორტო და დამტკიცირთაგანმდებრთავ საშუალებებს.

მორები რიგ შემთხვევებში ექვემდებარება გაქრექვას. ქერქს აცილებებ ხუცყის გადამამუშავებელ ქარხნებში. ქერქის წინასწარი მოხსნის მიზანდასახულობა დაკავშირებულია საჭრისების დაბლაგვების შემცირებასთან, მისი შემდგომი დამუშავების დროს მორის მინერალებით დაბინძურებული გარე ზონის მოცილების საშუალებით; გარდა ამისა გაქრექილი მერქანი იძლევა ქერქით ნარჩენებს ბურტუშელის, ნახერხის და ჩამონაჭრების სახით, რომლებიც შემდგომ გამოიყენება ორგორც მეორადი ნედლეული ცელულოზის, მერქის ფქვილის და დაწერებილი ფილების წარმოებისათვის.

გარეკველი დამუშავების შემდეგ მორი შეიძლება გამოყენე-

ბული იქნას ბოძების მისაღებად, რომლებიც გამოიყენება საინჟინრო კონსტრუქციებში.

ნახ. 1.1-ზე წარმოდგენილია მერქნის მექანიკური დამუშავების საერთო ტექნოლოგიური სქემა.

ისარი I გვიჩვენებს მორების დამუშავებას ნაწილებად დაყოფის გარეშე, ისარი II დამუშავების ტაქტოლოგიურ სქემას მოკლე ნაჭრებად დაყოფის დროს და ისარი III დამუშავების სქემას ფიცრებად და ძელებად გამოჭრის დროს.

გაუქერქავი 1 ან გაქერქილი 2 დერო შეიძლება გამოიჩარჩოს 3. სამშენებლო მზნისათვის მასში იღებენ ნახევრადწრიულ კილოებს 4, აწარმოებენ ოთხკანტიან დამუშავებას ან ჩამოჭრას 5, ხოლო ბოლოებში ასრულებენ კოდურ ამოჭრებს 6 კუთხით შესაკვრედად.

მორების დიდი ზომების გამო მოცემული ტექნოლოგიით დამუშავებისათვის საჭიროა მძიმე საჩარხო მოწყობილობა, რომელიც ძირულად განსხვავდება ანალოგიური მოწყობილობისაგან, რომლის დახმარებითაც მუშავდება მოკლე წვრილი ძელები.

იმავე სქემაზე II ისრით ნაჩვენებია მექანიკური დამუშავების პროცესების ჯგუფი მორის სიგრძეში მოკლე ნაწილებად (კოტრჟბად) წინასწარი დახერხვით, რომელთა სიგრძე ჩვეულებრივად შეადგენს 0,5-3 მ.

კოტრჟებს ხერხავენ შპალებად 8 ან ფირფიტებად, აგრეთვე აწარმოებენ მის პობას სხეადასხვა დანიშნულების ნამზადებად 9.


განივი რანდვის გზით კოტრისაგან დებულობენ მოსაპირებულებელ შპონს, ან ტარის ფიცარს 10 და 11, ხოლო გრძივი რანდვით – მერქნის შესაფუთ ბურბულებას 14.

ახდით 12, რომლის დროსაც მბრუნავი კოტრი იჭრება დანით, იშლება ფურცლად, როგორც ქაღალდის რულონი, შედეგად მიიღება 1-5 მმ სისქის ახდილი შპონი.

ახდილ შპონს ჭრიან მაკრატლით ფორმატისეულ ფურცლებად რომლებიდანაც აწებებენ შეწებილ ფანერას 13 ან სხვა სახის ფენოვან მერქანს. მოსაპირეთებულ გარანდულ შპონს ჭრიან და აშალაშინებენ გრძივ წიბოებზე, შემდგომ საჭირო სიგანის ფურცლების სახით დასაწებებლად.

ფურცლოვან მასალებს – გარანდულ შპონს, დაწებებულ ფანერას, მერქანბოჭკოვან ფილებს ამუშავებენ ჭრით, მათ შორის ტვიფრით ამოკვეთით ფიგურული ნაკეთობების მისაღებად.

ისარი III გვიჩვენებს მექანიკური დამუშავების პროცესების ჯგუფს, მორის წინასწარი გრძივი დახერხვის გზით დახერხილი მისალის მისაღებად. ამასთან დებულობენ ჩამოუგანავ ფიცრებს 15,



ნახ. 1.1. ჩარხებზე მერქნული მასალების მექანიკური  
დამუშავების საერთო ტექნოლოგიური სქემა

ორკანტიან ძელებს 16 და ნაგვერდულებს 17. ორკანტიან ძელებს ზოგჯერ ამუშავებენ სამჯუთხა კილოს და ქიმის 18 წარმოქმნით. უფრო ხშირად ძელებს ჭრიან ან ორ ნაშურ კანტზე 21, ან ხერხავენ ჩამოგანილ ფიცრებად 22.

ჩამოუგანავი ფიცრები მორის გახერხვის შედეგად წარმოადგენს ნედლეულს სხვადასხვა წარმოებისათვის ან დაიხერხება ჩამოგანილ ფიცრებად 19. ამის შემდეგ დარჩენილი ლარტყები 20 დაიხერხება წვრილ თამასებად.

ნაგვერდულებს (ყუაფიცრები) უფრო მეტი გამოყენებისათვის ჭრიან (ანაწილებენ) თხელ ფიცრებად 17. ნაგვერდულებს და წვრილ ლარტყებს ხშირად აქუცმაცებენ სანაფოტებელ მანქანებზე. ტექნოლოგიურ ნაფორად ცელულოზის, მერქანბურბუშელოვანი ფილების და მერქანბოჭკოვანი ფილების საწარმოებლად.

დახერხილ მასალებს ჩამოგანილ ან ჩამოუგანავი ფიცრების სახით გამოჭრიან სიგანეზე 24 ან სიგრძეზე 25 მოკლე ძელურ ნამზადებად, რომლებიც ისევე, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოგანილი ფიცრები 23 მიეწოდებიან ჩარხებზე საჭირო განივი კვეთის ფორმირებისათვის 27, ზუსტი ზომებით და სუფთა ზედაპირით.

ძელური დეტალებისათვის (სიგრძით 300-2000 მმ, სიგრძით 10-120 მმ და სისქით 10-80 მმ) გათვალისწინებულია ბოლოების დამუშავება კოტების ან ყუნწების სახით 28, ზუსტი დატორსვა სწორი ან ირიბი კუთხით ან მომრგვალებული ტორსის 29 წარმოქმნით, ყუთისხებური სწორებით, მერცხლისქვედა ფორმის და დაკბილული შესაპირისპირებელი კოტების 30 ფორმით. ბუდეები (კილოები), აგრეთვე მრგვალი ნახვრეტები 31 დამასასიათებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის დეტალებისათვის.

ძელური ნამზადები გამოიყენება აგრეთვე სახარატო ჩარხებზე ბრუნვითი სხეულების 32 დეტალების მისაღებად ცილინდრული ან ფასონური მსახველებით.

დეტალები და ნაკეთობები, რომლებიც შემოფარგლულია სიგრცითი მრუდწირული ზედაპირებით, იქმნება მოცულობითი კოპირების 33 გზით (ასევე დებულობები მხატვრულ ორნამენტების).

ცალქე ჯგუფს შეადგენს ბრტყელი დეტალები და ნაკეთობები, შემოფარგლული მრუდწირული კონტურებით (სკამის უკანა ფეხები, ოვალური სახურავები და ა.შ.). მრუდწირულ დეტალებს დებულობენ ორი გზით – მოდუნვით 34 და ფიცრებისაგან მრუდწირულ კონტურზე გამოჭრით 35 შემდგომი მრუდწირული ზედაპირების 36 გაფრეზვით.

ჭრით მექანიკური ბოლო ოპერაციას წარმოადგენს დეტალის

ზედაპირებისათვის სიგლუვის მინიჭება, რაც უპირატესად ხორციელდება აბრაზიული ელემენტებით ხეხვით, ან 0,03-0,1 მმ სისქის ბურბუშელის მოხსნით ციკლოგრაფის მეთოდით (რანდვით).

ნატურალური მერქნის გარდა, მექანიკურ დამუშავებას გადის მერქნული მასალები – ფანერა, საღურგლო, ბურბუშელოვანი, მერქანბოჭკოვანი, მერქანფენოვანი ფილები, აგრეთვე დაწნებილი მერქანი და მერქნის ნაწილაკებისაგან დაწნებილი დეტალები. ამ მასალებს ფრეზავენ, ბურდავენ, ჩარხავენ და ხეხავენ.

სპეციალურ მოწყობილობებზე მექანიკურ დამუშავებას გადიან აწყობილი კვანძები და ნაკიონები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვანაირი ფორმები და ზომები.

დიდი მნიშვნელობა შეიძინა არასაქმიანი მერქნის ან საწარმოო ნარჩენების ნაწილებად დაჭუცმაცებამ, რომლებიც შემდეგ გამოიყენება როგორც ნედლეული პლასტმასისა და ფილების და, აგრეთვე როგორც ნედლეულმა ქიმიური წარმოებისათვის.

დასამუშავებელი მერქნული მასალების ზომებისა და ფორმების, აგრეთვე ტექნილოგიური პროცესების და მიღებული პროდუქციის ფორმების მრავალსახეობა ასაბუთებს სხვადასხვა სახეობის საჩარხო მოწყობილობების საჭირო აუცილებლობას მერქნის მექანიკური დამუშავებისათვის.

## 1.2. მერქნის და მერქნული მასალების მექანიკური დამუშავების მეთოდები

მერქნის მექანიკური დამუშავება ხორციელდება ჭრით, პობით, წნევით, მსხვრევით, ხეხვით.

მერქნის ჭრით დამუშავების დროს კავშირი მასალის ნაწილებს შორის ირგვევა მეცარად მოცემული მიმართულებით, როცა დასამუშავებელი ობიექტი იყოფა ნაწილებად ბურბუშელის წარმოქმნით ან მის გარეშე. ბურბუშელად ჩვეულებრივ გულისხმობებს მერქნის ნაწილს, რომელიც საჭრისით მოცილების პროცესში განიცდის დამახასიათებელ დეფორმაციებს (შეკუმშვას, შეკლებას, დუნგას, დახლეჩვას).

ამ თვალსაზრისით ბურბუშელის წარმოადგენენ ნაწილაკები, რომლებიც ჩამოეჭრებიან ხერხვის, რანდვის, ფრეზვის, ბურდვის, მსხვრევის, დაშლის, ხეხვის, აგრეთვე ფიცარსაჭრელ ჩარხებზე განივი რანდვის დროს ჩამოჭრილი თხელი ფიცრები, ყავრის ფიცრები და ა.შ.

მერქნის ნაწილები, რომლებიც მოცილებულია მაკრატლებით ან ამოსაკვეთი შტამპით, არიან მონაჭრები.

მათი მოცილების პროცესში ძირითადად ადგილი აქვს დრეკად ზედაპირულ დეფორმაციებს. ბურბუშელისა და მონაჭრების მოცილების დროს დეფორმაციების სხვადასხვა ხასიათი განაპირობებს ჭრის ბურბუშელის წარმოქმნით და მის გარეშე პროცესებს შორის განსხვავებას.

გაპობა – მერქნის გაყოფა ფუნქცის მიხედვით.

### ცხრილი 1.1 მერქნის მექანიკური დამუშავების მეთოდები

დამუშავების მეთოდი	პროცესები	შენიშვნა
ჭრა: ბურბუშელის წარმოქმნით	ხერხვა, რანდვა, დაშლა, ფრეზვა, ბურღვა, ტეხვა, ხარატება, ხეხვა	პროცესი გამოიყენება მერქნის მექანიკური დამუშავების დროს
უბურბუშელო	ტვიფრვა-ამოკვეთა, მაკრატლით ან დანით გაჭრა. თხელი საჭრისით – – ფირფიტით გაჭრა (ვიბროჭრა)	ფანერის და სხვა ფურცლოვანი მასალების დამუშავება.
დაპობა	სოლით ფუნქციად დაყოფა	მეთოდი გამოიყენება ხეტყის დამამზადებელ წარმოებაში და იშვიათად ხეტყის დამუშავებაში
დაწევა	დუნევა, დაწევხვა	პროცესები სრულდება წნეხებზე და ეკუთვნის სპეციალური წარმოების ვიწრო წრეს
დამსხვრევა	დარტყმითი დამსხვრევა, აბრაზიული ცვეთა (დაფქა)	პროცესები გამოიყენება პლასტმასის, კარტონის და მერქანბოჭკვოვანი ფილების წარმოების დროს

წნევით დამუშავება, დუნევის ან დაწევის გზით, ცვლის მერქნის ფორმას. მერქნის მცირე პლასტიკურობასთან დაბავშორებით უკანასკნელმა ხერხმა ვერ მიიღო საგრძნობი გაგრცელება.

განსაკუთრებით დგას საკითხი მერქნის მსხვრევის პროცესთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ნაწილებად დაყოფა წარმოებს არა ორგანიზებულად, ნაწილების მოცემული გეომეტრიის დაცვის გარეშე, ჩვეულებრივად მასალის უფრო მეტად სუსტი მიმართულებით. ასეთ პროცესს ადგილი აქვს დარტყმითი მსხვრევისა და აბრაზიული დაფქვის დროს.

ცხრილში 1.1 მოცემულია მერქნული მასალების მექანიკური დამუშავების კლასიფიკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ჭრის დროს მერქნის ნაწილი გადაიქცევა ბურბუშებულად, ამ მეთოდის შეცვლა უფრო პროგრესულ-დაწნებულით ან ლითონის დამუშავებაში მიღებული ჩამოსხმისა და ტვიფრვის მეთოდების გამოყენებით გართულებულია, მერქნის სპეციფიური თვისებებისა და მისი ორგანული წარმოშობის გამო.

ნატურალური მერქნის პლასტიკურობის თვისება ძალიან დაბალია, ხოლო მაღალი ტემპერატურის დროს ირდვევა, ამიტომ მერქნის ბუნებრივი თვისებების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე შენარჩუნება შესაძლებელია მერქნის ჭრით დამუშავების დროს.

## თავი II

### ჩარხების სტრუქტურა

#### 2.1. ჩარხი, როგორც მუშა მანქანა

ხის დამამუშავებელი მჭრელი ჩარხი, როგორც მუშა მანქანა წარმოადგენს მექანიზმების შეუღლებას, რომლებიც ასრულებენ აუცილებელ მოძრაობებს გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად.

მუშა მანქანის დახმარებით იცვლება ფორმა, ზომები, თვისებები და სამუშაო ობიექტების მდგომარეობა. ხე-ტყის მჭრელი მუშა მანქანები, რომლებიც ცვლიან მერქნის ზომებსა და ფორმას, უწოდებენ ჩარხებს, იმ დროს როცა დაწესევის მეთოდით მომუშავე მანქანებს უწოდებენ წნეხებს.

დამსარისებელი ან დასრამწყობი მანქანები იწოდებიან უბრალოდ მანქანებად, ხოლო მანქანები, რომლებიც დასამუშავებელ ობიექტზე ახორციელებენ ფიზიკო-მექანიკურ ზემოქმედებას აპარატები. პრაქტიკაში ამ დასახელებებს არა აქვთ ნამდვილი საზღვრები. ასე, ჩარხო-ხერხს უწოდებენ ჩარხს, ხოლო ზოგჯერ ხე-ტყის სახერხ მანქანას; იგივე შეიძლება ითქვას შპონის მწარმოებელი დამშლელი მანქანები.


ჩარხზე (მანქანაზე) დამუშავების დროს ხდება დასამუშავებელ ობიექტსა და მუშა ორგანოებს შორის ურთიერთმოქმედება.

მუშა ორგანოები იყოფა მთავარ და დამსმარედ.

მთავარი (დამამუშავებელი) ორგანოები ასრულებენ მოძრაობებს, რომლებიც საზღვრავენ დამუშავების პროცესს, მაგალითად ჭრას, მიწოდებას, ხოლო დამხმარევები ასრულებენ ბაზირების, მიმართულების, დაჭერის, ფიქსაციის, დატვირთვა-გადმოტვირთვის, მარეგულირებლის, საკონტროლო და სხვა ფუნქციებს, რომლებიც თანხვდებიან დამუშავებას.

მუშა ორგანოები, ისევე როგორც დასამუშავებელი ობიექტი, შეიძლება ორივე იყოს მოძრავი, ან ერთ-ერთი მათგანი უძრავი. მათი ურთიერთმოქმედება ხორციელდება ფარდობითი მოძრაობის დროს.

მექანიკური დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მუშა ორგანოს მხრიდან მოქმედებენ განსაზღვრული ძალები, რომლებიც გადალახავენ დასამუშავებელი ობიექტის ტექნოლოგიურ წინააღმდეგობებს. ამიტომ ურთიერთმოქმედება მუშა ორგანოსა და დასამუშავებელ ობიექტს შორის ყოველთვის ხასიათდება ორი ძირითადი პარამეტრით – კინემატიკური და



ნახ. 2.1. ხის დამამუშავებელი ჩარხების სტრუქტურული სქემები:  
 ა – საერთო; ბ – ნახევრადმექანიზირებული ჩარხის შემსრულებელი მუნიციპალიტეტი; გ – იგივე, მექანიზირებული ჩარხის; დ – მთავარი და დამსმარე მომრაობების შემსრულებელი მუნიციპალიტეტი მუნიციპალიტეტითა და ავტომატიზაციით

ბალური, რაც ვარაუდობს მუშა მანქანაში განსაზღვრული კინემატიკისა და სიმტკიცის მექანიზმების არსებობას.

ხის ჭრელი (დამტუშავებელი) ჩარხი, როგორც ყველა მუშა მანქანა, შედგება სამი მექანიზმისაგან: ამძრავი, გადამცემი და შემსრულებელი.

ელექტრო, პიდრო, პნევმო და სხვა სახის ამძრავი მექანიზმები დანიშნულია მუშა მანქანებისათვის მამოძრავებელი ენერგიის მისაცემად.

გადამცემი მექანიზმი გადასცემს მოძრაობას ძრავადან შემსრულებელ მექანიზმამდე და წარმოადგენს მექანიკურ ან სხვადასხვა ტიპის გადაცემებს.

შემსრულებელი მექანიზმი ხშირად ასრულებს მხოლოდ დამუშავებისათვის აუცილებელ (ჭრა ან მიწოდება) მუშა მოძრაობებს. ხოლო დამხმარე სამუშაოები სრულდება მუშის მიერ ხელით.

შემსრულებელი მექანიზმის მთლიანი განვითარება, როცა ჩარხი მექანიკურად აწარმოებს ყველა მუშა ოპერაციას, რომლებიც ადრე იწარმოებოდა მუშის მიერ, ანუ ოპერაციებს, რომლებიც აუცილებელია მასალის უშუალო დამუშავებისათვის და მასთან დაკავშირებულ დამხმარე სამუშაოებთან დამუშავებას მივყევართ ავტომატურ მუშა მანქანასთან.

ნახ. 2.1-ზე ნაჩვენებია ხის დასამუშავებელები ჩარხების სტრუქტურული სქემები.

საერთო სქემა ნახ. 2.1,ა გვიჩვენებს სამი მთავარი მექანიზმის აუცილებელ არსებობას, რომელიც დამახასიათებელია ყველანაირ მუშა მანქანისათვის. ნახ. 2.1,ბ სქემა ახასიათებს ჩარხების შემსრულებელ მექანიზმს მექანიზებული მიწოდებით, მხოლოდ ზოგიერთი დამხმარე ოპერაციების ხელით შესრულებით. ნახ. 2.1,დ სქემა გვიჩვენებს სრულად მექანიზირებული ჩარხის შემსრულებელი მექანიზმის სტრუქტურას.

შემსრულებელი მექანიზმების მოძრაობები ავტომატური ხდება მხოლოდ ავტომატური მართვის მექანიზმის არსებობის დროს, რაც განაპირობებს მოცემულ თანმიმდევრობას და ამ მექანიზმების მოძრაობების ურთიერთკავშირს.

## 2.2. ფუნქციონალური მექანიზმების სახეები ჩარხებში

ჩარხის სტრუქტურაში, როგორც მუშა მანქანაში, ძირითადს წარმოადგენენ შემდეგი მექანიზმები და ელემენტები: ჭრისა და

მიწოდების, ბაზირების, დამხმარე მოძრაობების, ამძრავი, გადამცემი, მარგეულირებელი ან მმართველი მოწყობილობები, საყრდენი ელემენტები და უსაფრთხოების მოწყობილობები.

განასხვავებენ ჭრის მექანიზმების სამ ძირითად სახეს: ბრუნვითი მოძრაობების შპინდელის სახით (ლილვების), რომლებიც მჭრელ იარაღთან ან დასამუშავებელ ნამზადთან ერთად ატარებენ; წინსვლით-უკუსვლითი არათანაბარი მოძრაობით (ჩარჩოხერხი); წინსვლით-უკუსვლითი თანაბარი მოძრაობით და რევერსირებით მოძრაობის ბოლოებში (ფანერაასათლელი ჩარხის სუპორტი).

**მიწოდების მექანიზმები.** განასხვავებენ ფრიქციული მოქმედების მექანიზმებს მიწოდებელი ვალცების სახით და კონკიურებს, აგრეთვე მერქანზე ხისტი უშუალო მოქმედების კონკიურებს (მაგალითად, ჯაჭვური კონკეირების საბიძგელები) ან სუპორტები, ურიკები და კარუსელური მაგიდები – მათზე დამაგრებული ნამზადებით.

მოძრაობის ხასიათის მიხედვით მიწოდება შეიძლება იყოს თანაბარი ან არათანაბარი მოძრაობით, სწორხაზოვანი და მრუდხაზოვანი, ჩაკეტილი ან ღია ტრაექტორიით.

ბაზირების ელემენტები არიან გადაადგილების პროცესში მაორინგირებელი (ფილები, სახაზავები, საყრდენები, წკირები, მაცენტრებელი მოწყობილობები და სხვა), მომჰერი (დამაფიქსირებელი) და მიმჰერი (ზამბარული, ჰიდრავლიკური, პნევმატიკური და სატენირო-გრავიტაციული მოქმედების), რომლებიც დეტალის მუშა გადაადგილების პროცესში ახორციელებენ ორიენტაციის უცვლელობას.

დამტერებულირებელი ელემენტები უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური ელემენტების ზომიერ გადაადგილებებს (მჭრელი იარაღების ან ბაზირების ელემენტების) დამუშავებების ან გადაადგილების მოცემულ ზომაზე, რომელიც შეპირობებულია აუცილებელი ტექნოლოგიური დაწოლით. ორივე შემთხვევაში დარებულირების ზომა განისაზღვრება გაზომვით.

მოწყობილობები დარებულირებისათვის შეიძლება იყოს ხელით მოქმედების, მექანიზირებული და პროგრამულ-დისტანციური.

დამხმარე ფუნქციონალური მექანიზმები ასრულებენ მრავალ-სახეობრივ ფუნქციებს. უფრო გავრცელებულია ჩასატვირთი და გადმოსატვირთი მექანიზმები და საკონტროლო მოწყობილობები. ჩასატვირთი მექანიზმები იგება ბუნკერების, სავაზნეების, კონკეირების, ასაწევი მაგიდების და პაკეტებში ჩამწყობების სახით. საკონტროლო მოწყობილობები, აკონტროლებენ ზომებს, ხარისხს,

ტექნოლოგიურ დაწოლებს, სიჩქარეს, ზღვრულ დატვირთვას, ჩარხის მექანიზმების მუშაობის პირობებს (საკისრების ტემპერატურას, ვიბრაციის ხარისხს და სხვა).

ამძრავი მექანიზმები ახორციელებენ მიწოდების, აგრეთვე ბაზირების და დამხმარე ფუნქციონალური მექანიზმების და ჭრის მუშა მთავარ მოძრაობებს.

გამოყენებული ენერგიის სახით განასხვავებენ ელექტრულს, ჰიდრაულიკურს და პეტოტიკურ ამძრავებს. ელექტრული ამძრავი შეიძლება იყოს ერთსიჩქარიანი, მრავალსიჩქარიანი, საფეხურებიანი და სიჩქარის უწყვეტი უსაფეხურო რეგულირებით. ჰიდრო და პეტოტომძრავებს აქვთ უსაფეხურო რეგულირება.

გადამცემი მექანიზმები ემსახურებიან ამძრავი მექანიზმიდან მუშა ელექტრიტებზე მოძრაობების და ძალის გადაცემას. მათ ეკუთვნით ხრახნული, კბილანა, ღვედური, ჯაჭვური, ფრიქციული, დიფერენციალური გადაცემები, რედუქტორები, ვარიატორები, რევერსორები. გადაცემის კოლოფები მექანიკურ გადაცემებში, აგრეთვე მუშა ცილინდრები, მეცნიერა გამანაწილებლები, წნევისა და სიჩქარის სარეგულირებლები და ა.შ. ჰიდრავლიკურ და პეტოტომძრავებში.

საყრდენ ელემენტებს ეკუთვნიან ლილვების საყრდენები და სპეციალური მაგიდები.

დგარები ჩარხებში ზიდავენ თავის თავზე ჩარხის ყველა ფუნქციონალურ და სხვა მექანიზმებს მათი ურთიერთოქმედების შესაბამისობით; ისინი აგრეთვე ასრულებენ ვიბრაციების მიმღების და ჩარხის ფუნდამენტთან კავშირის როლს.

ხის დამამუშავებელი ჩარხების დგარები იგება უპირატესად ჩამოსმული თუჯისაგან ან ფოლადისაგან, აგრეთვე შედევებით. ამ უკანასკნელებს ძირითადად იყენებენ ერთეული მანქანების ან მცირე სერიის დამზადების დროს. ჩამოსხმული და შედევებული დგარების ვიბრაციების მიღების-ჩახშობის საშუალება ერთნაირია, თუ უზრუნველყოფილია კონსტრუქციის სათანადო სიხისტი.

დგარებს ფორმის მიხედვით ანსხვავებენ მონოლითურს და ბლოკურს (ასაწყობი); უკანასკნელი დამახასიათებელია დიდი და განსაკუთრებით აგრეგატულ ჩარხებისათვის, აწყობილი დამოუკიდებელი აგრეგატებისაგან.

ლილვების საყრდენები ხის დამამუშავებელ ჩარხებში ზიდავენ, როგორც წესი, სწრაფმავალ მუშა შპინდელებს, რომლებისთვისაც იყენებენ ბურთულოვან რადიალურ-საბრჯენ ერთრიგიან შპინდელის საკისრებს, ე.ი. მაღალი სიზუსტის კარგად დაბალსირებული სეპარატორებით.

მუშა ლილვების საშუალო სიჩქარეების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ორიგიანი სფერული ბურთულოვანი, ხოლო მძიმეებისათვის – გორგოლაჭოვანი საკისრები.

იშვიათად გვხვდება ნემსისებური გორვის საკისრები მცირე დიამეტრის ლილვების საყრდენებისათვის და მცირე ცენტროა-შორის მანძილებიან სისტემებში.

გადამცემი და სხვა მექანიზმების ნელსვლიან ლილვებს რიგ შემთხვევებში აქვთ სრიალის საკისრები.

რეგულირების ან მართვის მექანიზმების ძირითადი დანიშნულებაა, ხელის ან ავტომატური, ძირითადი დასარეგულირებელი ან რეჟიმული პარამეტრების რეგულირება: მიწოდების ან ჭრის სიჩქარეები, ჭრის კუთხეები, დამუშავების კოორდინატები ამძრავის დატვირთვისაგან, დამუშავების ხარისხის, მრგვალი ნამზადების ცვლადი დიამეტრის ან დახერხილი მასალის სიგანისაგან დამოკიდებულებით.

გასამართი რეგულირებები შეიძლება განხორციელდეს შპალების და სიჩქარეთა კოლოფების მაჩვენებლების მიხედვით და აგრეთვე ვარიატორების სახელურების ან სამართავი დილაკების დახმარებით. ჩვეულებრივ სიჩქარეების რეგულირება (საფეხურებიანი) სრულდება საფეხურებიანი ბორბლების, შესაცვლელი კბილანების, წყვილი პოლუსების ან დენის სისშირის ელექტრული გადართვის საშუალებით. რეჟიმული პარამეტრების უსაფეხურო რეგულირებისათვის გამოიყენება მექანიკური ვარიატორები, მუდმივი დანის ტირისტორული მართვის სარეგულირებელი ელექტრო ამძრავები, სრიალის ქუროები და სხვა.

რეგულირება შეიძლება იყოს ციკლური, როცა ის სრულდება დამუშავების ერთი ციკლის ცვლადი პარამეტრების შესაბამისად, და ხანგრძლივ დროში, როცა გამოიკვეთება სამუშაო პირობების არაკანონზომიერი ცვლილებები, მაგალითად ნედლეულის ზომები სახერხ ჩარჩებზე ან გარე ფაქტორებზე დაქვემდებარებული ოპერაციული მოცემულობები.

ციკლური რეგულირების მაგალითს წარმოადგენს ხის სახერხ ჩარჩებზე მიწოდების სიჩქარის რეგულირება წოწების გათვალისწინებით ან შპონსახდელი ჩარხის შპინდელის ბრუნთა რიცხვისა და ჭრის კუთხეების რეგულირება ნედლეულის დიამეტრის მიმდინარე ცვლილებით.

ციკლური რეგულირება შეიძლება განხორციელდეს ხელით ან ავტომატურად ზუსტი პროგრამების საშუალებით (მუშავებით, თარგებით, პერფორუქებით, მაგნიტური ლენტებით და სხვა) ან მიმყოლი სისტემებით.

უფრო თანამედროვე ავტომატებს აქვთ ხანგრძლივი მართვა იმპულსური სისტემების საშუალებით და, ოპტიმალური პარამეტრების ამოხსნით სპეციალურ ელექტრონულ მმართველ მოწყობილობებზე, ელექტრო-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით.

### 2.3. ჩარხების კინემატიკური სტრუქტურა და სქემატურობა

ჩარხების შემსრულებელი რგოლები ახორციელებენ იარაღის ან დასამუშავებელი ნამზადის განსაზღვრული მოძრაობის უშუალო გადაცემას.

შემსრულებელ რგოლებს შორის კინემატიკურ კავშირს ეწოდებათ შიგა კინემატიკური კავშირები, ხოლო ამ რგოლების კავშირს მოძრაობის წყაროსთან – გარე კინემატიკური კავშირი.

კინემატიკური კავშირები შედგებიან ერთი ან რამდენიმე მექანიკური, ჰიდრავლიკური, ელექტრული და სხვა კინემატიკური ჯაჭვებისაგან.

ნახ. 2.2,ა ნაჩვენებია რეიისმუსის ჩარხის კინემატიკური სტრუქტურის სქემა, სადაც ჭრის შემსრულებელი მოძრავი რგოლი – დანითი ლილვი 1 დაკავშირებულია უძრავ რგოლთან შიგა კინემატიკური კავშირით, რომელსაც წარმოადგენს ლილვის საკისრები. გარე კინემატიკური კავშირია ლილვიდან 1 ძრავამდე 3 გადაცემა. ამ ჩარხის მიწოდების შემსრულებელ მექანიზმს აქვს აგრეთვე უბრალო შიგა კინემატიკური კავშირი მოძრავი რგოლის მიმწოდებელი ლილვა-კის 4 უძრავ რგოლთან – წარმოდგენილი საკისრებით 5.


გარე კინემატიკური კავშირი წარმოდგენილია ძრავიდან 6 მიმწოდებელ ლილვაკამდე 4 გადაცემებით. ამ ჯაჭვში არის მექანიკური მართვის 7 სარეგულირებელი რგოლი სიჩქარეთა ფუთის სახით და, სარეგულირებელი რგოლი ელექტრული მართვის 8 ორსიჩქარიანი ელექტრო ძრავის სახით.

კინემატიკური სტრუქტურის სქემა გვიჩვენებს ჩარხის მექანიზმებს შორის საერთო კავშირების სქემას, მაგრამ არ იძლევა მის დაწვრილებით დახსიათებას.

კინემატიკური კავშირების დაწვრილებით დახსიათებას მექანიკური, ჰიდრავლიკური, პნევმატიკური და ელექტრული კავშირების დროს იძლევიან შესაბამისად მათი კინემატიკური სქემები.

ნახ. 2.2,ბ მოცემულია რეიისმუსის ჩარხის კინემატიკური სქემა, რომელიც გვიჩვენებს ამძრავისა და ჭრის მიწოდების მექანიზ-

მების ელემენტების კონსტრუქციულ ხასიათს და რაოდენობრივ პარამეტრებს.



ნახ. 2.2. რეისმუსის ჩარხის კინემატიკური სტრუქტურა და  
სქემატურობა: δ – კინემატიკური სტრუქტურის სქემა; δ – კინე-  
მატიკური სქემა; δ – ტექნიკური სქემა; δ – ელექტრული  
სქემა; I – ჭრის ძრავას სისტემა; II – მიწოდების ძრავის სქემა;  
III – გაშვების და ბლოკირების სისტემა; B1, B2 – აგტომატური  
გამომრთველები; K1 – K4 – მაგნიტური გამშვები; P1, P2 – დენის  
თბური რელეები; M<sub>1</sub> – ჭრის მექანიზმის ძრავა; M<sub>2</sub> – მიწოდების  
მექანიზმის ძრავა (ორსიჩქარიანი) სამკუთხედიდან ორმაგ  
გარსკევლავაზე გადართვით; T<sub>p</sub> – ტრანსფორმატორი; П<sub>1</sub>–П<sub>13</sub> –  
დამცველები; K<sub>H1</sub>–K<sub>H8</sub> – მართვის ღილაკები

ტექნილოგიური სქემა გადაცემის ჯაჭვების სქემებისაგან  
განსხვავებით გვიჩვენებს მუშა, მიმწოდებელი, ბაზირების,  
მიმჰქერი და სხვა ელემენტების დასამუშავებელ ობიექტობან

ურთიერთქმედებას, რაც უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის ხორმალურ მიმდინარეობას და ჩარხების მაღალხარისხოვან საწარმოო და უსაფრთხო მუშაობას. რეისმუსის ჩარხის ტექნოლოგიურ სქემაზე (ნახ. 2.2,გ) ნაჩვენებია დასამუშავებელი დეტალი 1, რომელიც მაგიდაზე 2 ბაზირებულია სიმაღლეში ხრახებით 4 რეგულირებადი გორგოლაჭებით 3. მიწოდება ხორციელდება წინა 5 და უკანა 6 ვალეცებით, რომელთა დაწოლა უზრუნველყოფილია ზამბარებით 7.

კარგი დამუშავება უზრუნველყოფილია ნამზადის საიმედო ბაზირებით და ვიბრაციის გამორიცხვით, რაც ხორციელდება წინა 8 და უკანა 9 მიმჯერების დაწოლის ძალის რეგულირებით და გასაწყობი სიმაღლით, აგრეთვე წინა მიმჯერის ღრუბელით ბურბუშელის ალაგებით. ბურბუშელის დამუშავების ზედაპირზე ჩათვლისაგან დამუშავების ზონის გადაღობვა წარმოქმნა უკანა მიმჯერის ამრეკლავი პედლითა და საჩეხით 10, რომელიც ფარავს ხერელს უკანა მიმწოდებელი ლილვაკის წინ.

მუშაობის უსაფრთხოება მიიღწევა დანის ლილვის 11 სახურავით გადაღობვით, სამუხრუჭე ლარტყების 12 მოწყობილობით, რომლებიც აბრკოლებენ დეტალების ჩარხიდან გამოსრულის, მიმწოდებელი ვალცების გადაღობით სპეციალური ზემოფარგვლით, რომლებიც აგრეთვე იცავენ ხელების და ტანსაცმლის მიმწოდებელ ვალეცებში მოხვედრას.

რეისმუსის ჩარხის ელექტრული სქემა (ნახ. 2.2, დ) იძლევა ელექტროდენის კომუნიკაციებზე დაცვისა და აგტობლოკირების ჩართვის საშუალებებზე წარმოდგენას.

## თავი III

### ჩარხების პლასიზიგაცია

#### 3.1. ძირითადი საკვალიფიკაციო კატეგორიები

დამუშავების მრავალფეროვნება, დასამუშავებელი მასალების ფორმა და ზომები, სიზუსტე და დამუშავების სისუფთავე, კინემატიკური ნიშან-თვისებები, ერთდღოულად დასამუშავებელი ელექტრიკული რაოდენობა, უნივერსალობის ხარისხი, საეციალიზაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენერ ჩარხების საკვალიფიკაციო ნიშან-თვისებებს (ნახ. 3.1).

გავრცელების ხარისხის ან ზოგადი დანიშნულების მიხედვით, განასხვავებენ ფართო გავრცელების ან საერთო დანიშნულებისა და საეციალური წარმოების ჩარხებს.

პირველებს აქვთ გამოყენება სხვადასხვა წარმოებებში, მაგალითად მრგვალსახერხი ან საბურდი ჩარხები.

მაგალითად საკასრო ან საკოჭე, დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული წარმოებისათვის.


უნივერსალურობის ან სპეციალიზაციის ხარისხის მიხედვით, ანსხვავებენ უნივერსალურ, სპეციალიზირებულ და საეციალურ ჩარხებს.


უნივერსალურ ჩარხებს ხასიათისა და ზომების მიხედვით შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა სამუშაოები. უნივერსალური ჩარხის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხელით მიწოდების საფრეზი ჩარხი, რომელზედაც შეიძლება შესრულდეს ბრტყელი, პროფილური, მრუდწირული, კოტასაჭრელი, საკოპირო საფრეზი და სხვა მთელი რიგი სამუშაოები.

არსებობენ ფართოუნივერსალური ჩარხები, რომლებიც აღჭურვილია სხვადასხვა უნივერსალური მიმართულებით საბრუნი შპინდლებით და აგრეთვე მოწყობილობებით, რაც იძლევა საშუალებას მასზე შესრულდეს სახერხი, საფრეზი, საბურდი და სხვა სამუშაოები.

სპეციალიზირებული ჩარხები (მაგალითად კოტასაჭრელი) ასრულებენ მხოლოდ განსაზღვრულ დამუშავებას, რომელთა ზომები შეიძლება შეიცვლოს ასაწყობის საშუალებით.


დასამუშავებელი დეტალის და მჭრელი იარაღის მიწოდების ფარდობითი გადაადგილების ხასიათის მიხედვით ჩარხები იყოფა ორ ჯგუფად: ციკლური-დეტალის ან საჭრისის წევეტილი გადაადგილებით და გამჭოლი-დეტალის უწევეტი გადაადგილებით. თითოეულ ჯგუფს აქვთ სახეები და სხვადასხვა სახეობები.





ნახ. 3.1. სისდამამუშავებელი ჩარხების საკლასიფიკაციო სისტემა

ციკლური ჩარხების დახმარებით (ნახ. 3.2, ა-გ) დამუშავება შეიძლება წარმოებდეს დეტალის პოზიციაზე გაჩერების დროს – პოზიციური ჩარხები (ნახ. 3.2, ა) ან მისი მოძრაობის დროს, ე. ი. როცა დეტალი გადის მჭრელი იარაღის გვერდის ავლით – ჩარხები ციკლურგამავალია (ნახ. 3.2, ბ). ოუ დამუშავება ხდება პოზიციაზეც, და გადაადგილების დროსაც, ჩარხებს ეწოდებათ ციკლურ-კომბინირებული ან პოზიციურ-ციკლურგამავალი (ნახ. 3.2, გ, გ).



ნახ. 3.2. ციკლური და გამავალი ჩარხების სქემები:

- ა – ერთპოზიციური ციკლური საბურდი; ბ – ციკლურგამავალი ერთპოზიციური სატორს მრავალადგილიანი; გ – იგივე ორპერაციული სატორს-საბურდი; დ – ორპოზიციური საბურდი; ე – მრავალპოზიციური ოთხშაბინდელიანი საბურდი; ფ – ოთხშაბინდელიანი კომბინირებული ციკლურგამავალი, ჩაეკეტილი წრიული მოძრაობით; ზ – გამავალი ერთშაბინდელიანი (რეისმუსი); თ – გამავალი სამშპინდელიანი წრიული, ჩაეკეტილი მოძრაობით; ი – საკორპე გამავალი ერთშაბინდელიანი ჩაეკეტილი წრიული მოძრაობით

ციკლურ ჩარხებზე შეიძლება ოპერაციების თანმიმდევრობითი ან პარალელური შესრულება. პირველ შემთხვევაში ეს ჩარხები ერთპოზიციურია, რადგანაც დეტალს პოზიციაზე შეუძლია მიეწოდოს მხოლოდ წინა დეტალის გავლის შემდეგ (ნახ. 3.2, ა, ბ, გ).

ოპერაციების პარალელური (ერთდროული) შესრულების ჩარებისათვის შეიძლება მათი დროში დამთხვევა. დეტალი ამ შემთხვევაში იკავებს რამოდენიმე პოზიციის, ხოლო ჩარხებს ეწოდებათ მრავალპოზიციური (ნახ. 3.2, დ, ე, ვ).

გამავალი ჩარხები არის ჩვეულებრივი და საკოპირე. გამავალ ჩარხებში დეტალები ერთმანეთის მიყოლებით, უწყვეტ ნაკადად, დამუშავების მიმართულებით მიეწოდებიან მჟრელ იარაღზე (ნახ. 3.2, ზ, ო).

საკოპირე ჩარხებში უწყვეტად მოძრავი დეტალები მუშავდებიან მჟრელი იარაღებით, რომლებსაც კოპირისაგან აქვთ დამატებითი მიწოდება დეტალის მოძრაობის პერპენდიკულარული მიმართულებით (ნახ. 3.2, ი). გამავალი ჩარხები ციკლურთან შედარებით უფრო მაღალმწარმებლია.

ერთდროულად დასამუშავებელი დეტალების (საგნების) ან ნაკადების რაოდენობისაგან დამოკიდებულებით ციკლური ჩარხები იყოფა ერთადგილიან და მრავალადგილიან ჩარხებად, ხოლო გამავალი – ერთ და მრავალნაკადურად.

დამუშავების დროს გამოყენებული შპინდელების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ერთ და მრავალშპინდელიან ჩარხებს.


დეტალის მოძრაობის ფორმის მიხედვით ჩარხები არიან ჩაგეტილი (ნახ. 3.2, ვ, ო, ი) ან დია (ნახ. 3.2, ე, ზ), სწორხაზოვანი ან წრიული ფორმის მოძრაობით.

ჩარხებზე შესრულებული ოპერაციების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ერთ და მრავალოპერაციულ ჩარხებს. შეიძლება იყოს აგრეთვე ერთი- ორი და მრავალმხრიანი ჩარხები დეტალზე დასამუშავებელი გვერდების რიცხვიდან გამომდინარე.

მექანიზმის სახისა და ხარისხის მიხედვით განასხვავებენ, მექანიზმირებულს, პიდორფიცირებულს, პნევმატურს, ნახევრადმექანიზმირებულს და მთლიანად მექანიზმირებულ (ავტომატები) ჩარხებს.

ნახევრადმექანიზმებულ ჩარხებს მექანიზმირებული აქვთ მხოლოდ მთავარი მუშა მოძრაობა (მაგალითად, ჩარხები ხელის მიწოდებით). ჩარხებს, რომლებსაც მექანიზმირებული აქვთ მთავარი და დაშმარე მოძრაობები, მაგრამ არა აქვთ ავტომატური მართვა, ეწოდებათ მთლიანად მექანიზმირებული ჩარხები ან ნაწილობრივ მექანიზმირებული, თუ მექანიზმირებულია ამ მოძრაობების ნაწილი.

ავტომატიზაციის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ნახევრადაგეტომატებსა და ავტომატებს – ერთოპერაციულებს და მრავალოპერაციულებს.



### **ნახ. 3.3. ჩარხების ტექნოლოგიური კლასიფიკაცია**

ნახევრადაგტომატებს ნაწილი, ხოლო ავტომატებს უკელა  
მთავარი და დამხმარე ციკლური ოპერაციები ავტომატიზირებულია ე.ი. სრულდება მექანიკურად, გარკვეული თანმიმდევრობითა და ფორმით, ავტომატური მართვის საშუალებებისაგან დამოკიდებულებით.

ნახევრადაგტომატებს უწოდებენ აგრეთვე ციკლურ ჩარხებს,  
რომლებიც ოპერაციების კომპლექსს ასრულებენ მხოლოდ ერთი  
ციკლის ფარგლებში.

ჩარხების ხაზში გაერთიანების დროს, საერთო ავტომატური  
მართვის, ყალიბდება ავტომატური ხაზი ან მანქანათა სისტემა.

კომპოზიციის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ინდივი-  
დუალურ და აგრეგატულ ჩარხებს. აგრეგატულები აწყობილია  
ცალკეული თავისოთავადი, ხშირად ნორმალიზებული კვანძებისა  
და აგრეგატებისაგან (ძალური თვითმოქმედი ან უბრალო მუშა  
შპინდელებისაგან-თავებისაგან, მიწოდების მექანიზმებისაგან,  
ფიქსაციის მექანიზმებისაგან, ამძრავისაგან და ა.შ.).

ჩარხების აგრეგატირება ნორმალიზებული აგრეგატებისაგან  
(კვანძებისაგან) წარმოადგენს პროგრესულ მეთოდს სხვადასხვა  
დანიშნულების ჩარხების გამოსაშვებად.

დამუშავების სიზუსტის მიხედვით ჩარხები შეიძლება იყოს  
დაბალი სიზუსტის (H-კლასი), საშუალო სიზუსტის (C-კლასი),  
მაღალი სიზუსტის (П-კლასი), განსაკუთრებით ზუსტი (О-კლასი).

გამოყენების მიხედვით ჩარხები არიან სტაციონალური,  
რომლებიც დაყენებულია მუდმივ საძირკველზე და გადასაადგი-  
ლებელი-მოძრავი თვლიანი ან მუხლუხა სვლით.

შესასრულებელი სამუშაოს ტექნოლოგიური შინაარსის  
მიხედვით ჩარხების კლასიფიკაცია მოცემულია ნახ. 3.3, სადაც  
ხის დამამუშავებელი ჩარხები გაყოფილია შესასრულებელი ჭრის  
პროცესის ნიშნის მიხედვით.

### 3.2. ჩარხების ინდექსაცია

ჩარხებს მიეცუთვნები ნომრები ან ინდექსაციები, რომლებიც  
ახასიათებენ ტიპს და მოდელს.

ხის დამამუშავებელ ჩარხმუშენებლობაში მიღებულია ასოსებრი  
ინდექსაცია, შემდგარი ჩარხის დასახელების ტიპის ან ხახის  
საწყისი ასოებისაგან (პირველი ასო აღნიშნავს ტიპს, ხოლო  
მეორე და მესამე – ძირითად ნიშანს). ასოების შემდეგ მოყოლე-  
ბული ციფრები ახასიათებენ ჩარხის ძირითად პარამეტრებს ან  
მოდელის მომდევნო ნომერს, მაგალითად: РД 75-3-ორსართულიანი

ჩარჩო 75 სმ-ის დოოით, მესამე არის მოდელი; ЛС 80 – ლენტური სარანდავი ჩარხი 80 სმ შეკვით; ЦКД-4 – წრიული ნაწილური (გრძივი) ჩარხი კონვეირული მიწოდებით, მეოთხე მოდელი; ЦТ-4 წრიული ტორსული (განივი) ჩარხი, მეოთხე მოდელი; Φ-4 – საფრეზი ჩარხი, მეოთხე მოდელი.

ციფრული ინდექსაცია გამოყენებულია ლითონსაჭრელ ჩარხებზე. მის საფუძველში ჩადებულია ენიმს-ის ნუმერაციის ცხრილი, მხოლოდ ფართო გავრცელების ჩარხებისათვის დანიშნულებით. ცხრილი დაყოფილია ვერტიკალურად და პორიზონტალურად 10 ნაწილად. ვერტიკალური ციფრები ვერტიკალურად – არის ძირითადი ტიპების ნომრები, ხოლო პორიზონტალურად – ჩარხების ძირითადი ნიშნების ნომრები. მესამე და მეოთხე ნიშნები ადასტურებენ ჩარხის ხასიათსა და პარამეტრებს და მიენიჭება ჩვეულებრივად დამამზადებელი ქარხნის მიერ. ეს ინდექსაცია უფრო მეტად სრულყოფილია, რადგანაც უფრო მკაცრად ასახავს კლასიფიკაციის საერთო ტექნოლოგიურ პრინციპებს.

ხის დამამუშავებელი ჩარხებისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ანალოგიურად შედგენილი ნუმერაციის ცხრილი.

## თავი IV

### მერძნული მასალების ჰრით დამუშავება

ტექნოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოძღვრებას ხელოვნებაზე. ტექნოლოგია არის გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობა, რომელთაგანაც შედგება მასალის, ნაკეთობის დამუშავების პროცესი.

არსებობს ტექნოლოგია ორი სახე: ქიმიური და მექანიკური. მექანიკური ტექნოლოგია შეისწავლის მერქნის მასალის გარეგნული ფორმის ცვლილებას და ფიზიკურ პროცესებს. ტექნოლოგია ამ სახეს ეკუთვნის მერქნის ღუნვის, ტეხის, ტეიფროვის ოპერაციები, რომელთა დროსაც არ ირდვევა ბოჭკოებს შორის კავშირი.

ისეთი ოპერაციები, როგორიცაა მერქნის დანამცეცება, პობა და ჭრა ეკუთვნის მექანიკურ ტექნოლოგიას და მიმდინარეობს ბოჭკოებს შორის კავშირის რდვევით.

მერქნის ქიმიური ტექნოლოგია არის ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც იცვლება თვით მერქნის ნივთიერების თვისება (მაგალითად, სპირტის, სკიპიდარის მიღება და სხვ.).


მერქნის მექანიკური ტექნოლოგიის ძირითადი ოპერაციაა ჭრა.

#### 4.1. ჭრის პროცესის განმარტება

ჭრის პროცესის მიზანია დასამუშავებელი ობიექტიდან განსაზღვრული ფორმისა და ზომების ნაკეთობის ან დეტალის მიღება. ნაკეთობა შემოსაზღვრული უნდა იყოს მოცემული ზედაპირებით, რისთვისაც საჭიროა დასამუშავებელი ობიექტიდან მოიხსნას მისი არაწახაზული ნაწილი, რომელიც ჭრის პროცესში გადადის ბურბუშელაში (ნახ. 4.1). ამრიგად, ჭრა არის ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც დასამუშავებელი ობიექტიდან უნდა მოიხსნას მისი ნაწილი სოლისებრი საჭრისის ზემოქმედებით, რათა მივიღოთ საჭირო ფორმის და ზომის ნაკეთობა.

დასამუშავებელი ობიექტის ასეთი გაყოფა შესაძლებელია სოლისებრი ფორმის მასალის გამოყენებით.

უმრავლეს შემთხვევაში ჭრის პროცესის დროს მიღებული ბურბუშელა ითვლება ნარჩენად, მაგრამ არის მერქნის ჭრის პროცესის ისეთი შემთხვევა, როცა ბურბუშელის მიღება არის დამუშავების მიზანი, ამ შემთხვევაში ნარჩენი იქნება მერქნის ის ნაწილი, რომელიც დარჩა ბურბუშელის მოხსნის შემდეგ.




ნახ. 4.1. ჭრის პროცესის სქემა

#### 4.2. ჭრისა და მიწოდების მოძრაობა

ჭრის პროცესის განსახორციელებლად საჭრისის და დასამუშავებელი ობიექტის ურთიერთფარდობითი მოძრაობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭრისი ერთ სიბრტყეში მოძრაობს უძრავად დამაგრებული მერქნის მიმართ, მისი მჭრელი წიბო ქმნის დამუშავების ზედაპირს. ხშირად საჭრიროა მერქნიდან მოიხსნას საქმაოდ დიდი ნაწილი (ნახ. 4.2, ა, ბ, გ, დ). ვინაიდან საჭრისის ჭრის უნარი ვერ უზრუნველყოფს ერთი გავლით მერქნიდან ჩამოჭრას მთელი მოსახსნელი ნაწილი, ამიტომ საჭრო ხდება მისი ჩამოჭრა რამდენიმე გავლით. საჭრისის ყოველ გავლაზე მის მიერ მერქნიდან ჩამოიჭრება ნაწილი ან ბურბუშელა. ბურბუშელა ეწოდება მერქნის იმ ნაწილს, რომელიც ჩამოიჭრება დასამუშავებელი ობიექტიდან საჭრისის ერთი გავლით. მერქნის ეს ნაწილი ძალზე მცირება და მისი ზომები დამოკიდებულია



ნახ. 4.2. ბურბუშელის მოხსნის თანმიმდევრობა

ჭრის პროცესის (ნახ. 4.2) შემთხვევაში საჭრიროა შესრულებული იქნას ორი მოძრაობა – პირველი საჭრისის ან დასამუშავებული მერქნის დამოიჭრება.

ჟავებელი ობიექტის რამდენიმეჯერ პერიოდული მოძრაობა და მეორე, მათი დამატებითი გადაადგილება, რომელიც არ ემთხვევა პირველს. საჭრისის ან დასამუშავებელი ობიექტის აბსოლუტურ მოძრაობას, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ბურბუშელის ჩამოჭრას, ჭრის მოძრაობა ეწოდება.

საჭრისის ან დასამუშავებელი ობიექტის აბსოლუტურ მოძრაობას, რომელიც უზრუნველყოფს თანამიმდევრობით ახალ-ახალი ბურბუშელის ჩამოჭრას, მიწოდების მოძრაობა ეწოდება.

#### 4.3. ტრაექტორია

ჭრისა და მიწოდების მოძრაობა ხორციელდება ერთდღოულად ან სხვადასხვა დროს. თუ ეს მოძრაობები ხორციელდება სხვადასხვა დროს, მაშინ ყოველ მოცემულ მომენტში ადგილი აქვს ერთ-ერთ მათგანს.

ტრაექტორიას, რომელსაც აღწერს საჭრისის მჟრელი პირი ან დასამუშავებელი ობიექტის შესაბამისი წერტილის ჭრის მოძრაობისას ჭრის ტრაექტორია ეწოდება.

ტრაექტორიას, რომელსაც აღწერს საჭრისის მჟრელი პირი ან დასამუშავებელი ობიექტის შესაბამისი წერტილი მიწოდების მოძრაობისას, მიწოდების ტრაექტორია ეწოდება.

როცა ჭრისა და მიწოდების მოძრაობა ხორციელდება ერთდღოულად, მაშინ საჭრისის მჟრელი პირის და დასამუშავებელი ობიექტის ურთიერთმიმართ გადაადგილება ხდება ფარდობით, ანუ ნამდვილი ჭრის ტრაექტორიაზე. მოძრაობას, რომელსაც ახორციელებს საჭრისის მჟრელი პირი ამ ტრაექტორიაზე, არის ფარდობითი, ანუ ნამდვილი ჭრის მოძრაობა.


#### 4.4. სიჩქარე

ჭრის სიჩქარე ეწოდება დროის ერთეულში საჭრისის მჟრელი პირის ან დასამუშავებელი ობიექტის შესაბამისი წერტილის გადაადგილებას ჭრის ტრაექტორიაზე.

ჭრის სიჩქარე აღინიშნება V ასოთი, მისი განზომილებაა მ/წმ.

მიწოდების სიჩქარეს უწოდებენ დროის ერთეულში საჭრისის მჟრელი პირის ან დასამუშავებელი ობიექტის შესაბამისი წერტი-

ლის გადაადგილებას მიწოდების ტრაექტორიაზე. იგი აღინიშნება  $U$  ასოთი, ხოლო განზომილებაა  $V/U$ .




ანუ ჭრის ნამდვილი სიჩქარის ვექტორი. საჭრისის მფრელი პირის მოძრაობის სიჩქარე ჭრის ნამდვილ ა-ბ ტრაექტორიაზე თანამედროვე ხის დამამუშავებელ ჩარხებში მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდების სიჩქარეს, ამიტომ  $V_u$ -სა და  $V$ -ს შორის ძალიან მცირება, რის გამოც ჭრის ნამდვილი სიჩქარე უმნიშვნელოდ განსხვავდება ჭრის სიჩქარისაგან, რაც საშუალებას გვაძლევს ჭრის ტრაექტორია ჩავთვალოთ ჭრის ნამდვილ ტრაექტორიად, ხოლო  $V_u$ -ს ნაცვლად ავიდოთ  $V$  სიდიდე. იმ შემთხვევაში, თუ ფარდობა  $\frac{U}{V}$  არ არის მცირე სიდიდე, მაშინ ასეთი დაშვება შეუძლებელია.

#### 4.5. ბურბუშელისა და საჭრისის გეომეტრია

ბურბუშელისა და საჭრისის გეომეტრია ეწოდება მათი ფორმის, ხაზობრივ და კუთხურ სიდიდეთა ერთობლიობას.

ნახ. 4.4-ზე მოცემულია სწორკუთხია პარალელების ფორმის დასამუშავებელი ობიექტი, რომლის დაზუშავება ხდება სოლისებრი საჭრისის საშუალებით. ჭრის პროცესში ბურბუშელის მოხსნის შემდეგ ვდებულობთ ასალ ზედაპირს, რომელსაც ჭრის ზედაპირი ეწოდება და რომელზეც ძევს საჭრისის მფრელი პირის ნებისმიერი წერტილის ნამდვილი ტრაექტორია. ჩვენს შემთხვევაში ჭრის ზედაპირია 4.3 ნახაზზე აბგდ, რომელიც იზრდება საჭრისის

გადაადგილებასთან ერთად და საბოლოოდ მიიღება მთლიანი ჭრის ზედაპირი.



ნახ. 4.4. ელემენტარული ჭრის სქემა

მოსახსნელი ბურბუშელის ფენა (თუ არ ჩავთვლით ადუნულ ნაწილს) შემოსაზღვრულია გარედან ეგზო და შიგნიდან ბიკე სიბრტყეებით. საერთოდ კი ეს ზღვრული სიბრტყეები ჭრის ზედაპირებია, რომლებიც წამოიქმნა ბურბუშელის წინა ფენის მოხსნით. ამიტომ გეომეტრიული თვალსაზრისით ბურბუშელა არის მასალის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია წინა და მომდევნო ჭრის ზედაპირებს შორის.

ბურბუშელის ნომინალური  $l$  სიგრძე ეწოდება ჭრის ნამდვილი ტრაექტორიის სიგრძეს, რომელიც მოთავსებულია ბურბუშელის კონტურის საზღვრებში. მოხსნილი ბურბუშელის კონტურის საზღვრებში. მოხსნილი ბურბუშელის ფაქტიური სიგრძე ჩვეულებრივ მცირეა ნომინალურთან შედარების გამო.

ბურბუშელის ნომინალური  $b$  სიგანე ეწოდება ჭრის ზედაპირსა და ბურბუშელის გვერდითი ზედაპირების გადამკვეთ ხაზებს

შორის მანძილს. მოხსნილი ბურბუშელის სიგანე შეიძლება იყოს მეტი ნომინალურ ზომასთან შედარებით ბურბუშელის განივი გაფართოების გამო.

ბურბუშელის ნომინალური *h* სისქე მოცემულ წერტილში ეწოდება წინა და მომდევნო ჭრის ზედაპირებს შორის მოთავსებულ მანძილს, რომელიც გაზომილია ამ წერტილში მიღებული ზედაპირის ნორმაზე. მოხსნილი ბურბუშელის ფაქტიური სისქე ჩვეულებრივ მეტია ნომინალურთან შედარებით განივი გაფართოების გამო. ნახაზზე სილისებრი საჭრისის წიბო **მ6** გადაადგილდება აიკდ სიბრტყეზე, რომელიც **ა1** და **კდ** ხაზების პერპენდიკულარულია, ხოლო ნამდვილი ჭრის *V* ვექტორი, ჭრის *V* სიჩქარის ტოლია და მჭრელი პირის მართობულია.

საჭრისის ზედაპირს, რომელზეც ჭრის დროს ბურბუშელა გადაადგილდება, საჭრისის წინა წახნაგი ეწოდება – **მნოპ**.

საჭრისის ზედაპირს, რომელიც მიმართულია ჭრის ზედაპირის მხარეს, საჭრისის უკანა წახნაგი ეწოდება – **მნურ**.

მპრ და ნოჟ ზედაპირები საჭრისის გვერდითი წახნაგებია. საჭრისის წახნაგები ურთიერთგადაკვეთისას წარმოქმნიან წიბოებს: მთავარ მჭრელ წიბოს, ან მჭრელ პირს – **მ6**, წინა გვერდით წიბოებს – **მ3** და **ნ1** და უკანა გვერდით წიბოებს – **მრ** და **ნჟ**.

საჭრისის გეომეტრიული ელემენტებია: **ჭრის უკანა, ალესვის და წინა კუთხეები**.

**ჭრის კუთხე** ეწოდება საჭრისის წინა წახნაგსა და ჭრის ზედაპირს შორის მოთავსებულ კუთხეს, რომელიც აღინიშნება ბასოთი.

**უკანა კუთხე** ეწოდება საჭრისის უკანა წახნაგსა და ჭრის ზედაპირს შორის მოთავსებულ კუთხეს, რომელიც აღინიშნება ასოთი.

**ალესვის კუთხე** ეწოდება საჭრისის წინა და უკანა წახნაგებს შორის მოთავსებულ კუთხეს, რომელიც აღინიშნება **β** ასოთი.

**წინა კუთხე** ეწოდება საჭრისის წინა წახნაგსა და საჭრისის მჭრელ პირზე ჭრის ზედაპირის მართობულად აღმართულ სიბრტყეს შორის მოთავსებულ კუთხეს, რომელიც აღინიშნება **γ** ასოთი.

აღნიშნული კუთხეები იზომება საჭრისის მჭრელი პირის – **მნს** პერპენდიკულარულად გავლებულ სტუ სიბრტყეში.

ნახაზიდან ჩანს, რომ

$$\alpha + \beta = \delta ;$$
$$\delta + \gamma = 90^\circ .$$

#### 4.6. ელემენტარული ჭრა. ელემენტარული ჭრის ნიშნები

მერქანი რთული ანატომიური აღნაგობისაა, რომელსაც განსხვავებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გააჩნია, ამიტომ მერქნის ჭრა საკმაოდ რთული პროცესია. მისი შესწავლისათვის უმჯობესია დავიყანოთ იგი ჭრის მარტივ პროცესამდე. ჭრას, რომელიც აღარ ექვემდებარება გამარტივებას, ელემენტარული ჭრა ეწოდება. იგი სასიათდება ოთხი ნიშნით:

**პირველი ნიშანი.** ჭრა ხორციელდება საჭრისის მხოლოდ ერთი წიბოთი და ამასთან ჰქონდება წიბოს, ანუ ჰქონდება პირის სიგრძე დასამუშავებელი ობიექტის სიგანე მეტია (ნახ. 4.4).

საჭრისის წინა და უკანა წახნაგი ბრტყელია, ჭრის და უკანა კუთხე კი მუდმივი მქრელი პირის მთელ მუშა სიგრძეზე. საჭრისის, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, ხოლისებრი ფორმა აქვს და ელემენტარული საჭრისი ეწოდება.

ჭრას, რომელიც ხორციელდება ელემენტარული ჭრის პირველი ნიშნით, დია ჭრა ეწოდება. წარმოებაში დია ჭრა ხორციელდება საარმატურებელი და სარანდი ჩარხებით. უფრო ხშირია დახურული ჭრის შემთხვევები, როდესაც ბურბუშელის მოხსნაში მონაწილეობს 2 ან 3 ჰქონდება პირი. ამ შემთხვევაში საჭრისის მთავარი მქრელი პირის სიგრძე დასამუშავებელი მასალის სიგანე ნაკლებია. ასეთ ჭრას რთული ეწოდება.


**მეორე ნიშანი.** საჭრისის ნებისმიერი წერტილის ტრაექტორია სწორხაზოვანია, საჭრისის სიჩქარე მუდმივია და მქრელი პირი საჭრისის მოძრაობის მიმართულების პერპენდიკულარულია (ნახ. 4.5).

**მესამე ნიშანი.** ბურბუშელის სისქე მუდმივია როგორც სიგანის, ასევე ჭრის მიმართულებით (ნახ. 4.4).

**მეოთხე ნიშანი.** ჭრის მიმართულება გარკვეული კუთხით ორიგნტირებულია ბოჭკოების მიმართულებასთან.

## 4.7. ბოჭკოების გადაკვეთის კუთხე

ბოჭკოების გადაკვეთის ყ კუთხე არის კუთხე ბოჭკოების მიმართულებასა (ბურბუშელისაკენ) და ჭრის V სიჩქარის მიმართულებას შორის. როდესაც  $\psi < 90^\circ$ , მიმდინარეობს ჭრა (ნახ.



ნახ. 4.6. ა – ჭრა ჭრის გასწორივ,  $\psi < 90^\circ$ ; ბ – ჭრა ჭრის საწინააღმდეგოდ,  $\psi > 90^\circ$ ;

ასაცილებლად გამოიყენება მიმჭერი ხუნდი

4.6, ა) ჭრის გასწორივ. ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბურბუშელის ატაქტის, რომელიც ჭრის ზედაპირის ხარისხზე გავლენას არ ახდენს. როდესაც  $\psi \geq 90^\circ$ , მიმდინარეობს ჭრა ჭრის საწინააღმდეგოდ, რომელიც იწვევს ჩანატკებებს ჭრის სიბრტყის ქვემით და აუარესებს ჭრის ზედაპირის ხარისხს (ნახ. 4.6, ბ). ანატკების და ჩანატკების თავიდან

## 4.8. რთული ჭრა


ჭრას, რომელიც თუნდაც ერთი ნიშნით მაინც განსხვავდება ელემენტარული ჭრისაგან, რთული ჭრა ეწოდება. რთულ ჭრას ეკუთვნის თითქმის ჭრის ყველა პროცესი, მაგ., ელემენტარული ჭრისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც წარმოიქმნება ერთი ჭრის ზედაპირი (ლია ჭრა) (ნახ. 4.7, ა), რთული ჭრის დროს არის შემთხვევები, როცა წარმოიქმნება ერთი (ნახ. 4.7, ბ) – ნახვრად და ჭრა ან თრი გვერდითი ჭრის ზედაპირები (ნახ. 4.7, გ) – დახურული ჭრა.

ნახ. 4.8, ა-ზე მოცემული გვაქვს რანდვის პროცესი, რომელიც შეესაბამება ელემენტარული ჭრის პირველ ნიშანს – ჭია ჭრას. ნახ. 4.8, ბ-ზე მოცემული გვაქვს რთული ჭრის პროცესი (ფრეზვა), როდესაც მბრუნავი ლილვი დანებით ხსნის ბურბუშელას ნამდინარებრი პროცესით (ციკლოიდური ბურბუშელა).

ნახ. 4.8, ა-ზე ნაჩვენები რანდვის პროცესის დროს წარმოიქმნება ერთი და იმავე  $h$  სისქის ბურბუშელა, რადგან  $\theta$  კუთხე



ნახ. 4.7. ჭრის სქემები: δ – ლია ჭრა; δ – ნახევრად ლია ჭრა;  
δ – დახურული ჭრა



ნახ. 4.8. რანდგისა და ფრეზების სქემები: δ – რანდგა ბოჭკოების  
გასწვრივ; δ – ფრეზება;

ჭრის სიჩქარის მიმართულებასა და მიწოდების სიჩქარის მიმართულებას შორის არის მუდმივი და ტოლი  $90^\circ$ .  $\theta$  კუთხეს კინებაზიგური შეხვედრის კუთხეს უწოდებენ.

თუ კინებაზიგური შეხვედრის  $\theta$  კუთხე იცვლება 0-დან  $\theta_{\text{მდ}} - \theta_{\text{და}}$  მდე (ნახ. 4.8, ბ), მიიღება ცვალებადი სისქის ბურბულება.

## თავი V

### ჰოსის გასათვალისწინებელი მერქნის პირითადი თვისმახატი

ნებისმიერი მასალის ჭრის დროს მიმდინარეობს რთული მექანიკური, ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესები, რომლებიც რთულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, როს გამოც გაძნელებულია ჭრის პროცესის საერთო ანალიზური თეორიის შექმნა.

ჭრის პროცესის ანალიზური თეორია მერქნის მასალისათვის გართულებულია აგრეთვე იმ გარემოების გამოც, რომ იგი წარმოადგენს ანიზოტროპულ მასალას, გარფა ამისა, ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ერთი და იმავე მერქნისათვის, ზრდის ხანგრძლივობის სხვადასხვა პერიოდისათვის მორის სიგრძის სხვადასხვა ადგილებში საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება.

#### 5.1. მერქნის არაერთგვაროვანი აგებულება. ანიზოტროპია

მერქანი არის მასალა, რომელსაც აქვს არაერთგვაროვანი აგებულება 3 ურთიერთმართობ სიბრტყეში (იხ. ნახ. 5.1). ტორსული (ტრ) – ხის ტანის პერპენდიკულარული, რადიალური (რდ) – ხის ტანის ღერძები და რადიუსები გამავალი და ტანგენციალური (ტგ) – რადიალური და ტორსული სიბრტყეების პერპენდიკულარული.


მერქანი არის რთული უჯრედოვანი ცოცხალი ორგანიზმი, რად განაპირობებს მის ზრდას. მასში ყოველწლიურად წარმოიქმნება უჯრედის ახალი შრეები (ადრეული და გვიანი მერქანი). მერქნის სამ ურთიერთმართობ სიბრტყეს შექსაბამება სამი მთავარი მიმართულება: I – ღერძული, ტორსული სიბრტყის მართობული;

II – რადიალური, ტანგენციური სიბრტყის მართობული;

III – ტანგენციური, რადიალური სიბრტყის მართობული.

მერქანი წარმოადგენს ანიზორტოპულ მასალას, რაც ნიშნავს, რომ მას გააჩნია სხვადასხვა მიმართულების სხვადასხვა თვისებები, მაგალითად, წიფლის მერქნის ხლეჩაზე დროებითი წინაღობა რადიალურ სიბრტყეში შეადგენს 35-38 კგ/სმ<sup>2</sup>, ხოლო ტანგენციურ სიბრტყეში – 62-120 კგ/სმ<sup>2</sup>.

მერქანი არის აგრეთვე ორთოტროპული მასალა, ე.ი. სამი ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულების I, II, III, მისი თვი-



ნახ. 5.1. მერქნის აგებულების სქემა:  
 ა – ხის ტანის ჭრილი, ბ – ძალთა  
 მოქმედების სამი მირთადი  
 მიმართულება

სებები მკვეთრად განსხვავებულია. მაშასადამე, მერქანი არის ანიზოტროპულ-ორთოტროპული მასალა, ბოჭკოვანი – შრიანი სხვადასხვა უჯრედოვანი აგებულებით. მერქნის ეს თავისებურებანი აიღვ უფრო ართულებს ერთიანი ჭრის თეორიის საკითხების გადაწყვეტას. მერქნის ჭრის თეორიის საკითხების გადაწყვეტას ართულებს ის გარემოებაც, რომ მერქნის სხვადასხვა ჯიშებს გააჩნიათ სხვადასხვა მექანიკური თვისებები, რომლებიც დამოკიდებულია მერქნის ზრდის პირობებზე და სტრუქტურულ მრავალფეროვნებაზე, აგრეთვე იმაზე, თუ მერქნის რომელი ნაწილიდანაა აღებული ნიმუში, კინტიდან თუ წვეროდან, ცილის ნაწილია თუ გულისა და სხვ.

ასე. მაგალითად, დროებითი წინაღობა კუმშვაზე ბოჭკოვების გასწვრივ ფიჭვისათვის არის  $250-650 \text{ kg/cm}^2$ , მუხისათვის –  $450-625 \text{ kg/cm}^2$ , რაც ზემოთქმული დებულების ნათელი დადასტურებაა.

მერქნის ჭრის თეორიაში მიღებულია შემდეგი პირობითი აღნიშვნები: I – ტორსული ჭრა, II – გრძივი ჭრა, # – განივი ჭრა.

## თავი VI


### პირითადი კინემატიკური და დინამიკური თანაზარდობანი ჰოსტს

#### მერქნის ჭრა სამი ძირითადი მიმართულებით

მერქნის ჭრით დამუშავებისას განიხილება ჭრის სამი ძირითადი შემთხვევა.

#### 6.1. ტორსული ჭრა ⊥

ტორსული ჭრა ⊥ ეწოდება ჭრის ისეთ სახეს, როდესაც ბურბუშელის მოხსნა მიმდინარეობს ბოჭკოების მართობულად. ამ შემთხვევაში საჭრისი  $A$  გადაადგილება ბოჭკოების მართობულ სიბრტყეში (ნახ. 6.1, ა, ბ). ამ შემთხვევაში განხილულია ჭრის პროცესი აბსოლუტურად ბასრი საჭრისით ( $\delta = 45^\circ$ ,  $\alpha = 0^\circ$ ,  $l = 1 \text{ მ}$ ), სადაც უგულებელყოფილია ყველა ის მოვლენა, რომელიც



ნახ. 6.1. ტორსული ჭრა: ა – ბურბუშელის წარმოქმნა,  
ბ – ძალების ცვალებადობის დიაგრამა

მიმდინარეობს გაყოფის ზედაპირის ქვემოთ (დეფორმაცია და ხახუნი), მხოლოდ გათვალისწინებულია  $P$  ძალის ზრდა სწორი ხაზის კანონით.  $P$  არის ნორმალური ძალა, რომლითაც წინა წახნაგი ზემოქმედებს მერქანზე, ხოლო  $P_1$  და  $P_2$  შესაბამისად მისი შემდგენებია.  $P_1$  ჭრის ძალაა, რომელიც ჭრის სიჩქარის ( $V$ ) პარალელურია.  $P_2$  ძალა მოქმედებს ბურბუშელაზე და იწვევს მისი ელემენტის ხლებას ბოჭკოების გასწრივ. როდესაც ეს

უკანასკნელი მიაღწევს მრდველ სიღიდეს, ბურბუშელის ელემენტი იხლიჩება და ყველა ძალა ნულამდე ეცემა. შემდეგ იწყება მეორე ელემენტის წარმოქმნა, შესაბამისად იზრდება  $P$ ,  $P_1$  და  $P_2$  ძალები საჭრისის მერქანში შექრის სიღიდის მიხედვით.


ნახ. 6.1. ბ-ზე ნაჩვენებია ჭრის ძალების სიღიდის ცვლილება. დიაგრამაზე დაშტრიხული სამკუთხედის ფართობები გამოსახავს მუშაობას, რომელიც ბურბუშელის თითოეული ელემენტის მოხსნაზე იხარჯება.

## 6.2. ჭრა ბოჭკოების განივად – განივი ჭრა #

განივი ჭრა ეწოდება ბურბუშელის მოხსნას საჭრისით, რომლის მჭრელი პირი ბოჭკოების პარალელურია. საჭრისი გადაადგილება ბოჭკოების სიბრტყეში მათი მიმართულების მართობულად. ამ შემთხვევაში ჭრის ზედაპირზე მიიღება ამონაგლეჯები (ნახ. 6.2, ა, ბ, გ).

ბურბუშელის სისქე  $e$  და ჭრის კუთხე  $\delta$  მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დეფორმაციის ხასიათსა და მის სიღიდეზე.

ჭრის სიბრტყის ქვედა ამონაგლეჯი მიიღება იმის გამო, რომ ბოჭკოების მიკროელემენტებს აქვთ გარკვეული სიმტკიცე და ჭრის ძალის გაზრდის შემთხვევაში მათი გადაჭრისათვის საჭირო ძალა მეტია, ვიდრე ქვემოთ მდებარე ნაკლებად სუსტი ელემენტების მოწვეტაზე, ამოგლეჯაზე საჭირო ძალა. ამიტომ განივად ჭრის დროს ხდება ბურბუშელის გამოყოფა მოწყვეტით და ამოგლეჯით. ამ შემთხვევაში დამუშავებული ზედა-



ნახ. 6.2. ჭრა ბოჭკოების განივად:  
ა – ბურბუშელის წარმოქმნა;  
ბ – ბოჭკოების ცვალებადობის დიაგრამა; გ – ბურბუშელის წარმოქმნის სქემა


პირი მიიღება არადამაქმაყოფილებელი სისუფთავის და იგი დამოკიდებულია  $\delta$  ჭრის კუთხეზე,  $\psi$  ბოჭკოების გადაკვეთის კუთხეზე,  $V$  ჭრის სიჩქარეზე,  $e$  ბურბუშელის სისქეზე და სხვა მრავალ ფაქტორზე.

ნახ. 6.2, ბ-ზე ნაჩვენებია ჭრის ძალის ცვალებადობის გრაფიკი, საიდანაც ჩანს, რომ საჭრისის  $\Delta$  მანძილზე გადაადგილებისას ჭრის ძალა იზრდება, ხოლო  $l - \Delta$  მანძილზე გადაადგილებისას – ნულის ტოლია. ეს უბანი იქნება ბურბუშელის ამოხლების უბანი. ტორსული ჭრის შემთხვევაში  $l - \Delta = 0$ , ე.ი. საჭრისის გადაადგილებას ჭრის ძალის გარეშე ადგილი არა აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ როგორც ჭრის ძალა, ასევე ჭრაზე დახარჯული მუშაობა განივი ჭრის შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე ტორსული ჭრისას.

### 6.3. ჭრა ბოჭკოების გასწერივ – გრძივი ჭრა II


გრძივი ჭრა ეწოდება ბურბუშელის მოხსნას საჭრისით, რომლის მჟღელი პირი ბოჭკოების პერპენდიკულარულია და გადაადგილება ბოჭკოების სიბრტყეში მათი მიმართულების პარალელურად.

გრძივი ჭრისას (ნახ. 6.3, ა)  $P$  ძალის  $\Delta$  სიდიდით ზრდის შესაბამისად წარმოიქმნება წინაშრები ბზარი და საჭრისის ძალიან მცირე  $\Delta_i$  გადაადგილების დროს ბურბუშელის ელემენტის ანატაქი (10...12) $l$  სიგრძის, რის შემდეგ ჭრის ძალა ეცემა ნულამდე (ნახ. 6.1, ბ) და საჭრისი გაივლის (10...12) ( $l - \Delta - \Delta_i$ ) მანძილს მუშაობის დაუხარჯავად, რის შემდეგაც პოლესი თავიდან მეორდება. ჭრის ძალის წინაღობები ტორსული, გრძივი და განივი ჭრის შემთხვევებში შეეფარდება, როგორც 6.3:1, ხოლო მუშაობათა ფარდობა სათანადო იქნება 15:1,5:1. შეიძლება ეს მონაცემები მთლიანად ზუსტი არ იყოს, მაგრამ აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მერქნის დამუშავებისას ბოჭკოების მიმართულებას. მერქნის გრძივი ჭრის დროს შეიძლება მიღებულ იქნას 3 ფორმის ბურბუშელა: სპირალური, მრავალკუთხა-ტეხნილი და წყვეტილი.



ნახ. 6.3. გრძივი ჭრა: ა – ბურბუშელის წარმოქმნა; ბ – ძალების ცვლილებადობის დიაგრამა

სპირალური ბურბუშელა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სისქე  $0,1\text{--}0,2$  მმ-ზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში ჭრის კუთხის სიდიდეს მნიშვნელობა არა აქვს (ნახ. 6.4, ა, ბ).




ნახ. 6.4. გრძივი ჭრისას წარმოქმნილი სპირალური ბურბუშელა: ა – მცირე გადიდებისას; ბ – დიდი გადიდებისას

**მრავალკუთხა ბურბუშელა** შედარებით მეტი სისქისაა ( $e > 0,1 - 0,2$  მმ) (ნახ. 6.5). იგი შედგება დაახლოებით ერთნაირი 1 სიგრძის მონაკვეთებისაგან (ელემენტებისაგან), რომლებიც შემოსაზღვრულია ორივე მხრიდან ტეხილი ხაზებით.


მრავალკუთხა ბურბუშელა მიიღება მშრალი მერქნის ჭრის დროს ( $\delta = 20^\circ \dots 70^\circ$ ).

**წყვეტილი ბურბუშელა** წარმოიქმნება დიდი ჭრის კუთხის დროს, როცა  $\delta > 70^\circ$  და ბურბუშელის სისქე  $e > 1$  მმ.

თუ მხედველობაში მივიღებთ მერქნის შრეულობას, ფაქტიურად მიიღება არა სამი, არამედ ჭრის ექვსი მიმართულება (ნახ. 6.6). ტორსულ-რადიალური (პოზიცია 1), ტორსულ-ტანგენციური (პოზიცია 2), გრძივ-ტანგენციური (პოზიცია 3), გრძივ-რადიალური (პოზიცია 4), განივ-ტანგენციური (პოზიცია 5), განივ-რადიალური (პოზიცია 6).



ნახ. 6.5. მრავალკუთხა ბურბუშელა  
მცირე გადიღებისას



ნახ. 6.6. შრეული მერქნის  
ნიმუში ჭრის სქემები

რადგანაც წარმოებაში ყველა ამ შემთხვევის პრაქტიკულად გამიჯვნა შეუძლებელია, ამიტომ გამოთვლებში იყენებენ დეფორმაციაზე საჭირო წინაღობების გასაშუალებულ მნიშვნელობებს, ე.ო. ტორსულ-რადიალურს, ტორსულ-ტანგენციურს, გრძივ-რადიალურს, გრძივ-ტანგენციურს, განივ-რადიალურს და განივ-ტანგენციურს.

#### 6.4. ჭრის კუთხის წინაღობა

ჭრის კუთრი წინაღობა  $K$  ეწოდება ჭრის წინაღობის ძალას, რომელიც მოდის ბურბუშელის განივი კვეთის ფართობის ერთგულზე

$$K = \frac{P}{F}, \quad (6.1)$$

სადაც  $P$  ჭრის წინაღობის ძალაა, კგ;  $F$  – ბურბუშელის განივაჭების ფართობი, მმ<sup>2</sup>;  $K$  – ჭრის კუთრი წინაღობა, კგ/მმ<sup>2</sup>.

ბურბუშელის განივაჭების ფართობი

$$F = e \cdot b, \quad (6.2)$$

სადაც  $e$  ბურბუშელის სისქეა, მმ;  $b$  – ბურბუშელის სიგანე, რომელიც დასამუშავებელი ობიექტის სიგანის ტოლია, მმ.

მაშინ

$$K = \frac{P}{e \cdot b}. \quad (6.3)$$

თუ ჩავთვლით, რომ  $b = 1$  მმ. მივიღებთ

$$K = \frac{P}{e}. \quad (6.4)$$

განვსაზღვროთ ჭრის კუთრი მუშაობა.

მუშაობა  $A$  არის  $P$  ძალისა და ჭრის პროცესში საჭრისის გადაადგილების მანძილის  $L$  ნამრავლი:

$$A = P \cdot L, \quad \text{კგ.} \quad (6.5)$$

ბურბუშელის ნომინალური მოცულობა  $\Omega$ , რომელიც მოიხსნება საჭრისის მიერ  $L$  მანძილზე ტოლია

$$\Omega = F \cdot L, \quad \text{სმ}^3. \quad (6.6)$$

ჭრის კუთრი მუშაობა ეწოდება ჭრის მუშაობას, რომელიც მოდის ბურბუშელის ნომინალური მოცულობის ერთგულზე.

ადგინენოთ ჭრის კუთრი მუშაობა  $K'$ . განსაზღვრიდან გამომდინარეობს რომ

$$K' = \frac{A}{\Omega}, \quad \frac{\text{კგ} \cdot \text{მმ}}{\text{სმ}^3}. \quad (6.7)$$

(6.5)...(6.7)-დან ვღებულობთ

$$K' = \frac{P}{F}, \quad (6.8)$$

$$\text{მაგრამ } \frac{P}{F} = K, \text{ აქედან გამოდის, რომ } K = K'.$$

ამრიგად ჭრის კუთრი წინაღობისა და ჭრის კუთრი მუშაობის სიდიდეები რიცხობრივად ტოლია.

ჭრის მუშაობა მიღებულია გამოსახული იქნაა კგმ-ში, ბურბულის მოცულობა – სმ<sup>3</sup>-ში.

თუ ჭრის კუთრ მუშაობას გამოვსახავთ ამ ერთეულებში, მაშინ რიცხოვრივად იგი ჭრის კუთრი წინაღობის ტოლი იქნება, რადგან

$$\frac{\frac{\partial \cdot \partial}{\partial}}{\text{სმ}^3} = \frac{\frac{\partial \cdot 1000}{\partial}}{(100)^3} = \frac{\frac{\partial \cdot \partial}{\partial}}{\text{მმ}^3} = \frac{\frac{\partial}{\partial}}{\text{მმ}^2}.$$

მაგრამ მათი ფიზიკური არსი სხვადასხვაა:  $K$  კგ/მმ<sup>2</sup> წნევაა სტატიკურ მდგომარეობაში, ხოლო  $K'$  კგ/სმ<sup>3</sup> – დინამიკური.

მერქნის ჭრის თეორიაში მიღებულია ჭრის ძალების შემდეგ-ნაირი აღნიშვნები:  $P_{\perp}$  - ტორსული ჭრის დროს,  $P_{||}$  - გრძივი ჭრის დროს,  $P_{\#}$  - განივი ჭრის დროს, ხოლო საშუალო კუთრი წინაღობებია:

$$K_{\perp} = \frac{P_{\perp}}{eb}; \quad K_{||} = \frac{P_{||}}{eb}; \quad K_{\#} = \frac{P_{\#}}{eb}. \quad (6.9)$$

ჭრის ყველა გარდამავალი შემთხვევისათვის ცდებით დადგენილია შემდეგი დამოკიდებულებანი:

გრძივ-ტორსული ჭრისათვის

$$K_{||-\perp} = K_{||} + (K_{\perp} - K_{||}) \frac{\Psi}{90^\circ}, \quad \frac{\partial \partial}{\partial \partial^2}; \quad (6.10)$$

განივ-ტორსული ჭრისათვის

$$K_{\#-\perp} = K_{\#} + (K_{\perp} - K_{\#}) \frac{\Psi}{90^\circ}, \quad \frac{\partial \partial}{\partial \partial^2}; \quad (6.11)$$

განივ-გრძივი ჭრისათვის

$$K_{\#-||} = K_{\#} + (K_{||} - K_{\#}) \left( 1 - \frac{\Psi}{90^\circ} \right), \quad \frac{\partial \partial}{\partial \partial^2}. \quad (6.12)$$


## 6.5. ჭრის ძალა და სიმძლავრე

ჭრის ძალა და სიმძლავრე ჭრის ყველა შემთხვევისათვის განისაზღვრება ერთი და იმავე წესით. მაგალითისათვის განვიხი-

ლოთ ამ პარამეტრების განსაზღვრა მერქნის ხერხით დამუშავებისას.

ერთ წამში მოხსნილი მერქნის მოცულობა  $O$ , როდესაც მიწოდების სიჩქარეა  $U$  მ/წ, განახერხის სიგანე –  $b$  მმ, განახერხის სიმაღლე  $h$  მმ, ტოლია (ნახ. 6.7).

$$O = b \cdot h \cdot U, \quad \frac{b\partial^3}{V\partial}. \quad (6.13)$$



ნახ. 6.7. განახერხის ზომები

თუ ცნობილია ჭრის კუთრი მუშაობა  $K'$  კგმ/სმ<sup>3</sup>, მაშინ სიმძლავრე, რომელიც იხარჯება 1 წმ-ში ჭრაზე, ტოლია

$$N = K' \cdot O = K' \cdot b \cdot h \cdot U, \quad \frac{b\partial \cdot \partial}{V\partial}. \quad (6.14)$$

$N$  სიმძლავრე იქნება

$$N = \frac{K' \cdot b \cdot h \cdot U}{102}, \quad \text{კვტ.} \quad (6.15)$$

თუ ვიცით ჭრის ძალა და ჭრის სიჩქარე, მაშინ ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{P \cdot V}{102}, \quad \text{კვტ.} \quad (6.16)$$

(6.15) და (6.16) ფორმულებიდან ვპოულობთ ჭრის ძალის საშუალო მნიშვნელობას

$$P = \frac{102 \cdot N}{V} = \frac{K' \cdot b \cdot h \cdot U}{V}, \quad \text{კბ.} \quad (6.17)$$

ე.ი. აუცილებელია ჭრის კუთრი მუშაობის ( $K'$ ) ცოდნა, რომელიც დამოკიდებულია მერქნის ჯიშზე, ტენიანობაზე, ბოჭკებთან გადაცვეთის კუთხეზე ( $\Psi$ ), ბურბუშელის სისქეზე ( $e$ ), ჭრის კუთხეებზე, ჭრის სიჩქარეზე და ა.შ.

ვიცით რა  $K'$ , დამუშავების მოცემული პირობებისათვის შეიძლება განვსაზღვროთ  $N$  და  $P$ . თუ ცნობილია  $N$ , მაშინ მიწოდების სიჩქარეა

$$U = \frac{102 \cdot N}{K' \cdot b \cdot h}, \quad \frac{\text{გ}}{\text{მ}}; \quad (6.18)$$

მიწოდების სიმძლავრეა

$$N_a = \frac{QU}{102}, \quad \text{კვტ}, \quad (6.19)$$

სადაც  $U$  მიწოდების ძალაა; კბ;  $U$  – მიწოდების სიჩქარე, გ/წ.

## 6.6. ჭრის სიჩქარე

თუ მერქნის დამუშავება ხდება ბრუნვითი მოძრაობის მქრელი იარაღით (ფრეზე, ხერხება და სხვ), მაშინ ჭრის სიჩქარე შეიძლება მივიღოთ მიახლოებით საჭრისის აბსოლუტური სიჩქარის ტოლი, ასეთი დაშვება მისაღებია, ვინაიდან საჭრისის აბსოლუტურ სიჩქარესთან შედარებით მიწოდების სიჩქარე მცირება. ჭრის სიჩქარე გამოითვლება ფორმულით

$$V = \frac{\pi Dn}{60 \cdot 1000} = -\frac{ztn}{60000}, \quad (6.20)$$

სადაც  $D$  ჭრის წრეხაზის დიამეტრია, მმ;  $t$  – ბიჯი, მმ;  $z$  – კბილთა რიცხვი;  $n$  – დილვის ბრუნვათა რიცხვი წთ-ში.

სხვა სახის ჩარხებისათვის, სადაც საჭრისის მოძრაობა ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულია, ჭრის სიჩქარეები გამოითვლება სათანადოდ მათი კინემატიკის გათვალისწინებით.

## 6.7. მიწოდების სიჩქარე

მიწოდების სიჩქარე  $U$  დამოკიდებულია საჭრისის ერთ ჭრაზე (c) ან ერთ ბრუნვაზე ( $\Delta$ ) მიწოდების სიდიდეზე, აგრეთვე მერქანში მუშა სვლისას შეჭრილი იარაღის კბილთა რიცხვზე

(z), ე.ი. ციკლის იმ მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც ხდება ჭრა, ასევე იარაღის ბრუნვათა რიცხვზე წუთში და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$U = \frac{czn}{1000} = \frac{\Delta n}{1000}, \quad \frac{\partial}{\partial n}, \quad (6.21)$$

სადაც  $\Delta = c \cdot z \partial n$ .

## თავი VII


### ჰერკნის საჭრისის თეორიული და მშესმრიმინტული გვლევა

#### 7.1. მერქნის საჭრისის საერთო კანონზომიერებები

მერქნის საჭრისის შესვლისას მიმდინარეობს მერქნის არათავისუფალი კუმშვა ნახევრად დახურულ სივრცეში. კუმშვის ეს შემთხვევა მკვეთრად განსხვავდება წნებში ნიმუშის თავისუფალი კუმშვისას (ნახ. 7.1).

$$\lambda = \frac{L-l}{L}, \quad (7.1)$$

სადაც  $L$  ძელაკის პირვანდელი სიგრძეა;  $l$  – შეკუმშველი ძელაკის სიგრძე;  $\lambda$  – მერქნის შეკლება.



ნახ. 7.1. მერქნის თავისუფალი (ა) და არათავისუფალი (ბ) კუმშვა

წნევა ( $\sigma$ ) გადაზომილია ორდინატთა დერძხე, ხოლო  $\lambda$  – აბსცისათა დერძხე. ნახ. 7.1, ა-დან ჩანს, რომ  $\lambda$ -ის გაზრდით  $\lambda=0,03$ -მდე  $\sigma$  იზრდება სწორხაზოვნად, რომლის დროსაც მიმდინარეობს ძელაკის რღვევა ნიმუშის გვერდითი გამონაზნექის გამო.

სხვა სურათი მიიღება დახურულ სივრცეში ძელაკის დაწნებვისას ფოლადის გარსაკრში.

ნახ. 7.1-დან ჩანს, რომ წნევა  $\sigma$  რჩება მუდმივი შეკლების  $\lambda=0,6$  მნიშვნელობამდე, ან მოცულობის 2,5-ჯერ შემცირებამდე.

ამის შემდეგ მოცულობის მცირე ცვლილება იწვევს წნევის (σ) მნიშვნელოვან ზრდას 40-50 კგ/მ²-ზე და ზემოთ.

წნევის (σ) მუდმივობა აისხება მერქნის უჯრედოვანი და შრეული აგებულებით. თავიდანვე მიმდინარეობს აღრეული მერქნის ბოჭკოების კუმშვა, სანამ მათი კედლები არ დაკარგავს მდგრადობას. ამის შემდეგ იწყება ბოჭკოების კედლების დარღვევა და მათი შემკვრივება, რის შედეგადაც იწყება გვიანი მერქნის ბოჭკოების დეფორმაცია და აღრეული მერქნის დაწნება, წნევა σ იწყებს ზრდას. არაერთგვაროვანი მერქნის დაწნებითი ნიმუში უახლოვდება უფრო ერთგვაროვან ნივთიერებას.

ჭრის დროს მიღებული ბურბუშელა არასოდეს არც ერთ პროცესში არ აღწევს ასეთ შეწნებას. ბურბუშელის შეკლება ( $\lambda$ ) ნაკლებია 0,45-ზე.

მაშასადამე ბურბუშელის წარმოქმნა მიმდინარეობს  $\sigma$  წნევის მუდმივობის დროს.

ამ ურთიერთდამოკიდებულებას სადურგლო-მექანიკური წარმოების კველა პროცესისათვის, როდესაც ბურბუშელის სისქე  $e$  მერყეობს 0,1-დან 2 მმ-მდე და  $\lambda \leq 0,45$ , პროფ. ა. ბერშადსკიმ უწოდა ჭრის საერთო კანონზომიერება.

მერქნის, როგორც ბოჭკოვან-შრეული აგებულების მასალის ეს მნიშვნელობანი თვისება საშუალებას გვაძლევს აგხსნათ ურთიერთქმედება მერქანსა და საჭრისს შორის.

## 7.2. იდეალური და რეალური საჭრისი

საჭრისის წინა და უკანა წახნაგების მნობ და მნერ სიბრტყეების გადაკვეთისას მიიღება მნ ხაზი, რომელსაც მჭრელი პირს უწოდებენ, ანუ მჭრელ წიბოს (ნახ. 4.4). საჭრისის მჭრელი პირი არის მისი ძირითადი ნაწილი. იგი პირველი ეხება მერქანს, არღვევს ბოჭკოებს შორის კაგშირს – ახდენს ჭრას.

წინა წახნაგის დანიშნულებაა მერქნის მოსაშორებელ ნაწილს (ბურბუშელას) მიანიჭოს განსაზღვრული მიმართულება და მოახდინოს ბურბუშელის გადაადგილება საჭრისის წინა წახნაგზე.

წინა და უკანა წახნაგების გადაკვეთის ხაზი, თეორიულად არის წერტილთა გეომეტრიული ადგილი, ე.ი. მას არა აქვს სისქე და სიგანე. ე.ი. მჭრელი პირი არის არა ხაზი, არამედ ზედაპირი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ საჭრისის მჭრელ პირზე მოქმედებს მერქნის წინაღობა, რაც იწვევს საჭრისის წვერის მოტეხას.

მჭრელი პირის, რომელც ზედაპირის წარმოქმნა ხდება უპირველესად ალესვით. ალესვა ხორციელდება აბრაზიული იარაღებით. განვიხილოთ საჭრისის


ალესვის პროცესი (ნახ. 7.2).

ალესვის შემთხვევაში გამოვყოთ აბრაზიული იარაღის მარცვალი 1, რომელიც ზემოქმედებს საჭრისის აბ წანაგზე. აბრაზიული მარცვლის იარაღზე ზემოქმედება განიხილება ორი ძალით: ერთი  $P_1$ , რომელიც აბ-ს გასწვრივად მიმართული, მეორე კი  $P_2$  – აბ-ს პერპენდიკულარულად.  $N$  არის  $P_1$  და  $P_2$  ძალების ჯამი. ამ შემთხვევაში  $\sigma$  ძაბვა ტოლია


$$\sigma = \frac{P_2}{S_{EF}},$$

სადაც  $S_{EF}$  არის  $EF$  პლატის ფართობი.

სალესი იარაღის გადაადგილებისას ა წვეროსკენ,  $S_{EF} \rightarrow 0$ , ძალა კი რჩება იგივე, შესაბა-



ნახ. 7.3. რეალური საჭრისი:  
ა – საჭრისის წვეროს მოტეხა  
ალესვისას; ბ – ხწვი ალესვისას;  
გ – მჭრელი პირის შომრგვალების  
მუშაობისას



ნახ. 7.2. საჭრისის ალესვის პროცესი

განვიხილება ორი ძალით: ერთი  $P_1$ , რომელიც აბ-ს გასწვრივად მიმართული, მეორე კი  $P_2$  – აბ-ს პერპენდიკულარულად.  $N$  არის  $P_1$  და  $P_2$  ძალების ჯამი. ამ შემთხვევაში  $\sigma$  ძაბვა ტოლია

$$\sigma = \frac{P_2}{S_{EF}},$$

სადაც  $S_{EF}$  არის  $EF$  პლატის ფართობი.

სალესი იარაღის გადაადგილებისას ა წვეროსკენ,  $S_{EF} \rightarrow 0$ , ძალა კი რჩება იგივე, შესაბა-

მისად  $\frac{P_2}{S_{EF}} \rightarrow \infty$ , ე.ი.  $\sigma \rightarrow \infty$ ,


რაც იწვევს წვეროს მოტეხას.

მჭრელი პირის ზედაპირს, რომელსაც მივიღებთ ალესვით, არა აქვს სწორი გეომეტრიული ფორმა (ნახ. 7.3, ა, ბ, გ), მაგრამ ჭრისას მერქანთან ურთიერთქმედების გამო მიიღებს მომრგვალულ ფორმას, რომელიც ხასიათდება მომრგვალების  $\rho$  რადიუსით, ეს უკანასკნელი კი რეალური საჭრისის დამატებითი პარამეტრია.

### 7.3. საჭრისისა და მერქნის ურთიერთმოქმედება

საჭრისის ზედაპირზე ნორმალური წნევების განაწილების ხასიათი გავლენას ახდენს საჭრისის დაბლაგვაზე. ასეთი განაწილების ზუსტი სურათი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რაც გამოწვეული მერქნის რთული აღნაგობით, მისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მრავალფეროვნებით და სხვა ფაქტორებით. ამიტომ ჭრის თეორიას მრავალფეროვნებით და სხვა ფაქტორებით. ამიტომ ჭრის თეორიას საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა წნევის განაწილების თანახმად საჭრისის ზემოქმედება მერქანზე განისაზღვრება განისაზღვრება საჭრისის წინა წახნაგსა და მერქანს შორის კონტაქტის სიდიდე შეიძლება უგულებელვყოთ, ხოლო გვერდითი წახნაგების ზემოქმედება შეიძლება გავითვალისწინოთ, როგორც წინა წახნაგის განაპირა მცირე უბინის ზემოქმედება.

ნახ. 7.4-ზე ნაჩვენებია ნორმალური წნევების განაწილების გრაფიკები, კერძოდ აბგ გრაფიკებით შემოსაზღვრული  $S$  ფართობი.



ნახ. 7.4. ნორმალური წნევების განაწილების გრაფიკი:  
ა – თანაბარი; ბ – სამკუთხედისებრი; გ – პარაბოლური

თითოეული მათგანი განსაზღვრავს წახნაგისადმი ნორმალური მიმართულების ყველა ძალის ტოლქმედი  $N$  ძალის სიდიდეს.

9. ტიმებს და ს. ვოსკრესენსკი მიხედვით ეს ძალა ჭრის სიჩქარის მიმართულებით საჭრისის მერქანში შესვლის x სიღიძის პირდაპირპორციულია. პ. აფანასიევის და გ. დეშევოის მიხედვით კი ეს ძალა მერქანში საჭრისის შესვლის სიღიძის პედრატის პროპორციულია.


ყველა ზემოთ აღნიშნულ პიპოთეზაში წინა წახნაგზე ნორ-  
მალური ძაბვების განაწილება განიხილება მერქნის დეფორმა-  
ციის პროცესზე საჭრისის მოძრაობის სიჩქარის გავლენის  
გარეშე.

მ. მაკენზის მიერ ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ ჭრის სიჩქარის გაფლენა მის ენერგოტევადობაზე უმნიშვნელოა, რის გამოც მაკენზიმ დაასკვნა, რომ მერქნის დეფორმაციის სიჩქარე არაა დამოკიდებული მერქნის მექანიკურ თვისებებზე. იგივე აზრისაა პ. კოხი (აშშ), რომელიც აღნიშნავს, რომ ჭრის სიჩქარის გაფლენა ჭრის პროცესის ენერგეტიკაზე გამოიხატება იმ დამატებითი მუშაობის დახარჯვით, რომელიც საჭიროა მოხსნილი მერქნის კინეტიკური ენერგიისათვის.

ნორმალური ძაბვების განაწილების კანონზომიერების განსაზღვრა ჭრის თეორიის ერთ-ერთი რთული ამოცანაა, რომლის გადაჭრაც აუცილებელია

საჭრისის ცვეთის შესაბამისობაზე გარდა ამისა, საჭრისის წინა წახნაგის მერქანზე ზემოქმედების ძალის განსაზღვრა აუცილებელია იმიტომაც, რომ ამ ძალის მნიშვნელობა შედის საჭრისის სიმტკიცის საანგარიშო და ჭრის პროცესის დროს დახარჯული სიმძლავრის გამოსათვალეში ფორმულებში.

მერქანში საჭრისის შეღ-  
წევისას საჭრისის მერქანთან  
შეხების წერტილში წარმო-  
იქმნება ძაბვები, რომლებიც  
წარმოქმნისათვის.



ნახ. 7.5. დაბლაგული საჭრისის ურთიერთმოქმედება მერქანტან

დაბლაგული საჭრისის მერქანთან ურთიერთქმედების შემთხვევაში (ნახ. 7.5) მერქნის ნაწილაკები, რომლებიც წონასწორულ მდგრმარეობაშია, იქცევა ბურბუშელად, ეს უკანასკნელი მიბჯენილია საჭრისის წინა წახნაგზე. ამ გადასვლისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ძაბვები.

ცდები გვიჩვენებს, რომ რეალური საჭრისის მჭრელი პირით ჭრისას, ძაბვები აღემატება  $50-60$  კგ/მ<sup>2</sup>, რაც უზრუნველყოფს მერქნის ნაწილაკების გადასვლას ბურბუშელადში.

პროფ. ა. ვერშადსი განიხილავს გადასვლით ქიურას აბსოლუტური ბასრი საჭრისიდან რეალურ საჭრისამდე, რომლის დროსაც გაყოფის ზედაპირის წარმოქმნა მიმდინარეობს 00 ხაზის გასწვრივ (ნახ. 7.5) საჭრისის სწორხაზოვანი მოძრაობისას. თუ შევაჯამებთ  $\sigma$  მუდმივ წნევებს, მივიღებთ საერთო  $N$  ძალას, რომელიც საჭრისის წინა წახნაგის პერპენდიკულარულია. ბურბუშელის გადაადგილებისას წინა წახნაგზე საჭრისის მჭრელი პირიდან ა წერტილის ზემოთ წარმოიქმნება ხახუნის ძალა  $T = \mu N$ , სადაც  $\mu$  ხახუნის კოეფიციენტია.

ხახუნის ძალა ბურბუშელაზე ყოველთვის მოქმედებს მისი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, ე.ი.  $T$  იქნება მიმართული საჭრისის მჭრელი პირის ა წერტილისაგენ.  $N$  და  $T$  ძალების კექტორული ჯამი იქნება

$$\bar{N}_1 = \bar{N} + \bar{T} \quad \text{ან} \quad \bar{N}_1 = \bar{N} + \mu \bar{N}. \quad (7.1)$$

$N_1$  ძალის გადახრის კუთხეს ნორმალური  $N$  ძალიდან ხახუნის ფაზურები ეწოდება, რომელიც იცვლება  $20^\circ - 25^\circ$ -მდე. მექანიკიდან ცნობილია, რომ

$$\mu = t g \varphi.$$

ამრიგად, ხახუნის კოეფიციენტი  $\mu$  ხახუნის კუთხის ტანგენის ტოლია. დავშალოთ  $N_1$  ძალა ჭრის სიჩქარის პარალელურ და პერპენდიკულარულ მიმართულებებზე, მივიღებთ ჭრის ძალას  $P_\varphi$ , რომელის მოქმედებს საჭრისის წინა წახნაგზე და მის მართობ  $P_\delta$  ძალას, რომელიც ბურბუშელაზე მოქმედებს.  $P_\varphi$  ძალა არ არის მუდმივი მხები და წნევათა ჯამი, რომელიც დამოკიდებულია ბურბუშელის  $e$  სისქეზე

$$P_\varphi = k e, \quad (7.2)$$

სადაც  $k$  მხები დაწნევაა ბურბუშელის სისქის ერთეულზე.

ბურბუშელაზე მოქმედი ძალა

$$P_{\delta} = P_{\psi} \operatorname{tg}(90^\circ - \delta - \varphi). \quad (7.3)$$

ამრიგად, მივიღეთ გაყოფის 00 ხაზის ზემოთ მოქმედი ძალები.

#### 7.4. დაბლაგული საჭრისის და მერქნის ურთიერთქმედება

როგორც აღვნიშნეთ, საჭრისის მჭრელი პირი არ შეიძლება იყოს მიღებული ორი წახნაგის გადაკვეთით სწორ ხაზზე. იგი არის მდოვრე მრუდი, რომელიც აერთიანებს წინა და უკანა წახნაგებს (იხ. ნახ. 7.5). ამ მრუდს მიახლოებით ოვლიან წნეხაზად დაბლაგვის  $\rho$  რადიუსით. რეალური საჭრისის მნიშვნელოვან ცვლის წარმოდგენას ძალებზე ბურბუშელის წარმოქმნისას. როდესაც დაბლაგვების რადიუსია  $\rho$  ა წერტილიდან, საჭრისის მერქანობა შეხებისას ადგილი აქვს ძაბვების კონცენტრაციას და თანდათან მიმდინარეობს მერქნის გაყოფა 00 ხაზზე.

ამ შემთხვევაში მრუდხაზოვანი წინა წახნაგი ა141 მოქმედებს ბურბუშელაზე 00 გაყოფის ხაზის ზემოთ, ხოლო უკანა წახნაგი ა156 – დამუშავების ზედაპირზე საჭრისის სიჩქარის მიმართულებით გადადგილების დროს.  $P_{\delta}$  მოწნების (განწოლის) ძალა წნეხს მის ქვემოთ მერქანს და ამავე დროს თელავს ზედა შრეს 00 გამყოფი ხაზის ქვემოთ წახნაგზე მოქმედი  $P_{\psi}$  ძალით. მაშასადამე, რეალური საჭრისის დროს წარმოიშობა ძალების ორი სისტემა: 00 ხაზის ზემოთ ბურბუშელაზე მოქმედი და უკანა წახნაგზე მოქმედი ძალები:

$$P_{\psi} \parallel V_{\varepsilon}, \quad P_{\delta} \perp V, \quad P_{\psi} = P_{\delta} f. \quad (7.4)$$

$f$  კოეფიციენტი ითვალისწინებს როგორც ხახუნს, ასევე პლასტიკურ დეფორმაციას, მას დაყვანილი ხახუნის კოეფიციენტი ეწოდება:


$$f = \frac{P_{\psi}}{P_{\delta}}. \quad (7.5)$$

წინა წახნაგზე წნევის ეპიურა დაბლაგული საჭრისის დროს იქნება ა,ა,423ა. ეს ფართობი დაწნევის 14234 ფართობის ტოლია, რადგან 1 4 და 1, 4, ა, ე ფართობები ტოლია.

მაშასადამე,  $P_{\varphi} = ke = \text{const}$ , რადგან დაწნევის ფართობები თანაბარი სიდიდისაა, კ.ი.  $P_{\varphi} = ke$  დამოკიდებულია  $e$ -ზე, მაგრამ არ არის დამოკიდებული დაბლაგებაზე. ასევეა  $P_{\varphi} = P_{\varphi} \operatorname{tg}(90^\circ - \delta - \varphi) = \text{const}$ .  $P_{\varphi}$  და  $P_{\varphi} = fP_{\varphi}$  ძალები არ არის დამოკიდებული ბურბუშელის სისქეზე, ისინი დამოკიდებულია  $\rho$ -ზე. ჭრის საერთო ძალა

$$P = P_{\varphi} + P_{\vartheta} = fP_{\varphi} + ke. \quad (7.6)$$

ნახ. 7.6-ზე ნაჩვენებია ჭრის ძალის ცვლილების გრაფიკები ბურბუშელის სისქეზე დამოკიდებულებით.



ნახ. 7.6. ჭრის ძალის ცვალებადობის გრაფიკები ბურბუშელის სისქეზე დამოკიდებულებით

ორდინატა დერძზე გადაზომილია კუთრი ძალა –  $P = ke$   $dP/d\theta$ , აბსცისათვის დერძზე კი ბურბუშელის სისქე  $e$  (მმ).

ნახაზიდან ჩანს, რომ  $P = P_{\varphi} + ke$  არის აბ წრფის განტოლება, ამ შემთხვევაში  $k = \operatorname{tg} \varphi_1$ , სადაც  $\varphi_1$  აბ წრფის აბსცისათვის დერძისადმი დახრის კუთხეა.

ცდებით დადგენილია, რომ მიკრობურბუშელისათვის, როდესაც  $e_\mu < 0,1$  მმ, ჭრის ძალის ცვალებადობის გრაფიკი გამოისახება ასა წრფის მონაკვეთით, რომელიც დახრილია აბსცისათა ღერძისადმი  $\varphi_2$  კუთხით, რომელიც  $= k_\mu$ :

$$\varphi_2 > \varphi_1 \text{ ა. } k_\mu > k,$$

$k_\mu$  ჭრის კუთრი წინაღობაა წინა წახნაგზე მიკრობურბუშელის ზონაში ( $e_\mu < 0,1$  მმ);  $k$  – ჭრის კუთრი წინაღობა წინა წახნაგზე მაკრობურბუშელის ზონაში ( $e > 0,1$  მმ).

ცდებით დადგენილია აგრეთვე, რომ  $O$  ას მონაკვეთი გამოსახავს უპარა წახნაგზე მოქმედ ფაქტიურ ძალას:

$$O_{\Delta_2} = P_{\mathcal{V}\mathcal{B}} = 0,2P_{\mathcal{V}}. \quad (7.7)$$

ზონისათვის  $e_\mu < 0,1$  მმ.

$$P_\mu = P_{\mathcal{V}\mathcal{B}} + k_\mu e_\mu = 0,2P_{\mathcal{V}} + tg\varphi_2 e_\mu, \quad (7.8)$$

სადაც

$$K_\mu = tg\varphi_2 = \frac{\delta\vartheta}{\delta_2\vartheta} = \frac{0,8P_{\mathcal{V}} + 0,1k}{0,1} = 8P_{\mathcal{V}} + k.$$

ა წერტილისათვის, როდესაც  $e = 0,1$  მმ.

$$P = P_{\mathcal{V}\mathcal{B}} + ke = 0,2P_{\mathcal{V}} + tg\varphi_2 \cdot 0,1. \quad (7.9)$$

$e > 0,1$  მმ ზონისათვის წინა წახნაგზე მოქმედი ძალა

$$P_{\mathcal{V}} = 0,8P_{\mathcal{V}} + ke = 0,8P_{\mathcal{V}} + tg\varphi_1 e, \quad (7.10)$$

ხოლო საერთო ჭრის ძალა

$$P = 0,2P_{\mathcal{V}\mathcal{B}} + 0,8P_{\mathcal{V}} + \bar{K}e. \quad (7.11)$$

თუ ჭრის ძალა  $P$  გავყოფთ ბურბუშელის  $e$  სისქეზე, მივიღებთ საშუალო ჭრის წნევების შემდეგ მნიშვნელობებს:

როდესაც  $e = 0,1$  მმ,

$$k_{\mathcal{V}\mu} = \frac{P_{\mathcal{V}\mu}}{e_\mu} = 8P_{\mathcal{V}\mathcal{B}} + k; \quad (7.12)$$

$$k_{\mathcal{V}\mu} = \frac{0,2P_{\mathcal{V}\mathcal{B}}}{e_\mu}; \quad (7.13)$$

$$K_\mu = k_{\bar{v}\mu} + k_{\bar{q}\mu} = 8P_{\bar{q}} + k + \frac{0,2P_{\bar{q}}}{e_\mu}. \quad (7.14)$$

$e > 0,1$  მმ ზონისათვის ვდებულობთ:

$$k_{\bar{v}} = \frac{P_{\bar{v}}}{e} = \frac{0,8P_{\bar{q}}}{e} + k; \quad (7.15)$$

$$k_{\bar{v}} = \frac{0,2P_{\bar{q}}}{e}; \quad (7.16)$$

$$K = k_{\bar{v}} + k_{\bar{q}} = k + \frac{P_{\bar{q}}}{e}. \quad (7.17)$$

(7.14) და (7.17) ფორმულები მართებულია ბასრი საჭრისისათვის.

დაბლაგული საჭრისის შემთხვევაში ჭრის ძალა, როდესაც  $e_\mu < 0,1$  მმ,

$$P_{p\mu} = (a_p - 0,8)P_{\bar{q}} + k_\mu e_\mu, \quad (7.18)$$

ხოლო  $e > 0,1$  მმ ზონისათვის

$$P_p = a_p P_{\bar{q}} + k e, \quad (7.19)$$

სადაც  $a_p$  არის დაბლაგვის პოვნიციენტი.

ბასრი საჭრისისათვის  $a_p = 1$ . დაბლაგული საჭრისისათვის  $a_p > 1$ .

(7.18) და (8.19) ფორმულებიდან ვდებულობთ საშუალო ჭრის წნევების მნიშვნელობებს დაბლაგული საჭრისისათვის.

როდესაც  $e > 0,1$  მმ, მაშინ

$$K_p = \frac{P_p}{e} = k + \frac{q_p P_{\bar{q}}}{e}. \quad (7.20)$$

როდესაც  $e < 0,1$  მმ, მაშინ

$$K_{p\mu} = \frac{P_p \mu}{e} = k_\mu + \frac{(a_p - 0,8)P_{\bar{q}}}{e_\mu}. \quad (7.21)$$

ეს ფორმულები მართებულია გრძივ-ტორსული დია ჭრისათვის.

## 7.5. დამოკიდებულება $\rho$ , $P$ , $k_{\psi\mu}$ და $a_\rho$ შორის

(7.8) ფორმულიდან ჩანს, რომ  $P_\mu = 0$ , როცა


$$0,2P_\vartheta + \operatorname{tg} \varphi_2 e_\mu = 0,$$

ანუ

$$e_\mu = \frac{0,2P_\vartheta}{\operatorname{tg} \varphi_2} = -\frac{0,2P_\vartheta}{k_{\psi\mu}}. \quad (7.22)$$

გავაგრძელოთ რა აავ ხაზს აბსცისთა დერძის გადაკვეთამდე (ნახ. 7.6), მივიღებთ დერძზე საერთო უარყოფით მნიშვნელობას  $-e_\mu = -\rho_\delta$ . ნახ. 7.7-დან ჩანს, რომ, თუ  $e_\mu$ -ს ავთვლით 00 ხაზის ზემოთ (+) ნიშნით, ხოლი 00 ხაზის ქვემოთ (-) ნიშნით, მივიღებთ

$$P_\mu = 0, \quad \text{თუ } -e_\mu = -\rho_\delta.$$



ნახ. 7.7.  $e_\mu$ -ს უარყოფითი და დადებითი მნიშვნელობები

ამგვარად

$$\rho_{\delta} = \frac{0,2P_{\text{v}}}{tg\varphi_2} = \frac{0,2P_{\text{v}}}{k_{\text{v}\mu}} = \frac{(1-0,8)P_{\text{v}}}{k_{\text{v}\mu}}. \quad (7.23)$$

გავზრდით რა საწყის  $\rho_{\delta}$ -ს, რომლის დროსაც მიღებული იყო  $a_{\rho} = 1 \dots \rho$ -მდე, როცა  $a_{\rho} > 1$  (7.23) ფორმულით ვღებულობთ

$$\rho = \frac{(a_{\rho} - 0,8)P_{\text{v}}}{k_{\text{v}\mu}}. \quad (7.24)$$

(7.23) და (7.24)-დან ვღებულობთ

$$\frac{\rho}{\rho_{\delta}} = \frac{a_{\rho} - 0,8}{0,2}, \quad (7.25)$$

საიდანაც

$$a_{\rho} = \frac{0,2\rho}{\rho_{\delta}} + 0,8. \quad (7.26)$$

ადგიშნოთ საწყისი დაბლაგვების რადიუსის ნაზრდი  $\Delta\rho$ , მივიღებთ

$$\rho = \rho_{\delta} + \Delta\rho \quad (7.27)$$

და (7.26) ფორმულით

$$a_{\rho} = \frac{0,2(\rho_{\delta} + \Delta\rho)}{\rho_{\delta}} + 0,8 = 1 + \frac{0,2\Delta\rho}{\rho_{\delta}}. \quad (7.28)$$

ვიცით რა საწყისი დაბლაგვების რადიუსი  $\rho_{\delta} = (5-10)\mu$  და ნაზრდი  $\Delta\rho$  საჭრისის მერქანთან კონტაქტის მანძილზე, (7.28) ფორმულით განვსაზღვრავთ  $a_{\rho}$ ,  $a_{\rho}$ -ს საშუალებით განვსაზღვრავთ  $f$ -ს, რომელიც საჭიროა მიწოდების, ნორმალური და რადიალური ძალების გამოსათვლელად.

დაყვანილი ხახუნის კოეფიციენტისათვის მიახლოებით ღებულობები ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულ შემდეგ მნიშვნელობებს:

ცხრილი

$a_{\rho} =$	1	1,1	1,2	1,3	1,4	1,5	1,6	1,7	და მეტი
$f =$	2	1,5	1,25	1,1	1,0	0,9	0,8	0,75	0,7

## 7.6. ხახუნის გათვალისწინება დახურული ჭრის დროს

დახურული ჭრის დროს (მაგალითად ხერხის პროცესი) უნდა გავითვალისწინოთ ხახუნის განახერხის კედლებზე. ც მიწოდებისა და განახერხის  $h$  სიმაღლისას ბურბუშელის გვერდითი ზედაპირის ფართობი იქნება  $hc$  და ხახუნის ძალა

$$F = \alpha hc, \quad (7.29)$$

სადაც  $\alpha$  ხახუნის ინტენსიურობაა, ანუ ხახუნის ძალა, რომელიც მოღის ბურბუშელის გვერდითი 1 მმ<sup>2</sup>-ზე. ეს ძალა მოქმედებს ბურბუშელის  $bc$  კვეთზე.

მაშასადამე, ჭრის დამატებითი წნევა წახნაგზე იქნება

$$K_{ba} = \frac{F}{bc} = \frac{\alpha hc}{bc} = \frac{\alpha h}{b} \frac{\partial}{\partial^2}, \quad (7.30)$$

სადაც  $b$  განახერხის სიგანგა.


ცხადია, რომ  $k_{ba}$  არ არის დამოკიდებული საჭრისის  $\rho$  დაბლაგვებაზე, მაშასადამე ხერხისათვის (7.20) და (7.21) ფორმულებში ემატება  $k_{ba}$ .

$e > 0,1$  მმ დროს

$$K_P = k + \frac{\alpha h}{b} + \frac{q_\rho P_3}{b}, \quad (7.31)$$

$e_\mu < 0,1$  მმ დროს

$$K_{\rho\mu} = k_\mu + \frac{\alpha h}{b} + \frac{(a_\rho - 0,8)P_3}{e}. \quad (7.32)$$



ნახ. 7.8. ბურბუშელის სისქის გაგლენა ჭრის პუთხებზე (მიკრობურბუშელის ზონა)

ასეთია ფორმულების საერთო სახე ჭრის საშუალო წნევისათვის (წინადობის)  $K_\rho$  კგ/მმ<sup>2</sup> ან ჭრის კუთრი მუშაობისათვის  $K'_\rho$  კგ/სმ<sup>3</sup>.

მოკლედ ავხსნათ, თუ რატომ იცვლება აბ წრფის კანონი (ნახ. 7.6) აა2 წრფის კანონით, სადაც  $tg \varphi_2 > tg \varphi_1$  ე.ო.  $k_\mu > k$ , ნახ. 7.8-დან, რომ  $e$  მოსახსნელი შრის

სისქის შემცირებით ჭრის კუთხე  $\delta$  ბლაგვი საჭრისის დროს იზრდება და მაშასადამე ჭრა ზონაში  $e_\mu = 0 \dots 0,1$  მიმდინარეობს ჭრის კუთხეების ცვლილებით  $\delta_\mu \geq \delta$ . ამის გამო მიიღება აბ წრფის გარდატეხა ა წერტილთან (ნახ. 7.6), რომელიც შეესაბამება მმ, რადგან ჭრის კუთხე  $\delta$  იზრდება ბურტუშელის სისქის შემცირებასთან ერთად 0,1 მმ-ის ქვემოთ, ამიტომ  $k_\mu > k$ .

## 7.7. საანგარიშო ფორმულები და საცნობარო მონაცემები გრძივ-ტორსული ჭრისას

დაბლაგვების კოეფიციენტი  $a_\rho = 1$  ბასრი საჭრისისათვის,  $\rho_\delta = 4 - 5$  მიკრ. დანისათვის და  $\rho_\delta = 6 - 10$  მიკრ. ხერხისათვის. ცდების განზოგადებით მიღებულია, რომ  $a_\rho = 1 + \frac{0,2\Delta\rho}{\rho_\delta}$ , სადაც

$\Delta\rho$  დაბლაგვების  $\rho$  რადიუსის ნაზრდია  $\rho_\delta$ -თან შედარებით საჭრისის მერქანთან კონტაქტის  $L$  სიგრძეზე,

$$\Delta\rho = \rho - \rho_\delta \quad \text{ან} \quad \rho = \rho_\delta + \Delta\rho \quad (7.33)$$

$\Delta\rho$  ნაზრდი კონტაქტის სიგრძის პროპორციულია:

$$\Delta\rho = \varepsilon L, \quad (7.34)$$

სადაც  $\varepsilon$  პროპორციულობის კოეფიციენტია, რომელიც გვიჩვენებს ნაზრდს მიკრონებში კონტაქტის 1 მ სიგრძეზე.

ერთი შემობრუნებისას კონტაქტის რკალის სიგრძეა  $l$ .

კონტაქტის სიგრძე საჭრისის 1 წუთის განმავლობაში ბრუნვისას მეტრებში ტოლი იქნება

$$L = \frac{l n}{1000},$$

ხოლო  $T$  წუთში კონტაქტის სიგრძე ტოლი იქნება


$$L = \frac{T l n}{1000}. \quad (7.35)$$

$\varepsilon$ -ის მნიშვნელობა დადგენილია ცდებით და მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში


ჯიში	ე-ის მნიშვნელობა		
	ფრეზე	ლენტური და მრგვალი ხერხებით ხერხვა	ჩარჩო ხერხით ხერხვა
წიწვოვანი	0,0008	0,0010	0,002
ფოთლოვანი	0,0010	0,0013	0,0026

### 7.8. $k$ , $k_\mu$ და $P$ -ს საანგარიშო გრაფიკები დია ჭრის და ხერხვის დროს

დია ჭრისა II-ს და ხერხვის დროს ჩატარებული ცდების (სხვადასხვა ჯიშისა და სხვადასხვა  $e$ ,  $\psi$ ,  $\delta$  და  $V$  მნიშვნელობებისათვის) და ჭრის საერთო კანონზომიერებების განხოგადების შედეგად დადგენილია  $P_\psi$ ,  $k$  და  $k_\mu$  მნიშვნელობები (ნახ. 7.9, 7.10). ნახ. 7.9-ზე აბსცისათვის დერძები გადაზომილია  $\psi$  კუთხეები, რომლებიც ჩვეულებრივ შემთხვევაში, როდესაც მიწოდება ბოჭკოვების პარალელურია, ტოლია Θ კუთხის, ხოლო ორდინატია დერძები გადაზომილია კუთრი ძალა  $P$  კგ/მმ ( $B = 1$  მმ).



ნახ. 7.9. საჭრის უგანა წახნაგზე კუთრი ძალის ( $P$ ) განსაზღვრის ნომოგრამა  $\psi$  კუთხეზე დამოკიდებულებით



ნახ. 7.10. А და Б კოეფიციენტების განსაზღვრის ნომოგრამა  
ψ პუთხეზე დამოკიდებულებით

ნახ. 7.10 და 7.11-ზე მოცემულია А, Б, В და  $B_\mu$  კოეფიციენტები, რომლებიც შედიან საერთო ფორმულებში:

$e > 0,1$  მმ დროს

$$k = A\delta + BV - B, \quad (7.36)$$

$e_m < 0,1$  მმ დროს


$$k_\mu = A\delta + BV - B_\mu. \quad (7.37)$$

თუ  $V < 50$  მ/წმ,  $V$ -ს ნაცვლად აიღება  $(90-V)$ , რადგანაც  $V=20$  მ/წმ, ჭრის სიჩქარის შემთხვევასთან შედარებით ადგილი აქვს ჭრის კუთრი წინაღობის –  $K$  კგ/მგ<sup>2</sup> (ჭრის კუთრი მუშაობის  $K$  კგ/მ/მ<sup>3</sup>) შემცირებას  $V < 50$  მ/წმ-მდე და პირიქით ზრდას, როცა  $V > 50$  მ/წმ. (იხ. ნახ. 9.1 და ცხრ. 9.4).

ჭრის საერთო დაწნევა განახერხის კედლებზე ბურბულების ხახუნის გათვალისწინებით ტოლი იქნება:

$e > 0,1$  მმ დროს

$$K = k + \frac{\alpha h}{b} + \frac{a_\rho P_0}{e}, \quad (7.38)$$



ნახ. 7.11.  $B$  და  $B_\mu$  კოეფიციენტების განსაზღვრის ნომოგრამა  
ψ პულსური დამოკიდებულებით

$e_\mu < 0,1$  მმ დროს

$$K = k_\mu + \frac{\alpha h}{b} + \frac{(a_\rho - 0,8)P_\vartheta}{e_\mu}. \quad (7.39)$$

მრგვალი ხერხით ხერხის დროს  $\alpha$ -ს აქვს შემდეგი მნიშვნელობანი:

გადაყრილი კბილებისათვის (პირობითი აღნიშვნა  $\lambda$ ) ხახუნის ინტენსიურობის კოეფიციენტი

$$\alpha_\lambda = 0,72 \dots 0,075 \text{ } \delta\theta/\partial\theta^2;$$

გატყლებილი კბილებისათვის (პირობითი აღნიშვნა  $\Delta$ )

$$\alpha_\Delta = 0,058 - 0,6 \text{ } \delta\theta/\partial\theta^2;$$

ლენტური და ჩარჩო ხერხებისათვის

$$\alpha_\lambda = 0,02 \text{ } \delta\theta/\partial\theta^2, \quad \alpha_\Delta = 0,025 \text{ } \delta\theta/\partial\theta^2.$$

გადაერილი კბილებისათვის ბურბუშელის სისქე

$$e_\lambda = \frac{b}{s} c \sin \Theta, \quad (7.40)$$

ხოლო გატყლებილი კბილებისათვის

$$e_\Delta = c \sin \Theta. \quad (7.41)$$


მოყვანილი ფორმულები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კუთრი წინადობა ( $K$ ) სხვადასხვა ჭრის რეჟიმების დროს.

**7.9. რადიალური  $R$ , მიწოდების  $Q$ , დაწოლის  $S$  და  
მაგიდიდან ნამზადის ამოგდების  $S_2 \perp U$  ძალების  
განსაზღვრა წრიული ჭრისას**

წრიული ჭრის დროს წარმოიქმნება რადიალური ძალები, რომლებიც მიმართულია რადიუსის გასწვრივ და ტოლია (ნახ. 7.12)

$$R = P_s - P_\delta.$$

გიცით, რომ



ნახ. 7.12. ძალების მოქმედების სქემა წრიული ჭრის დროს

$$P_{\circ} = \frac{P_{\text{в}}}{f}; \quad P_{\text{в}} = 0,2P_{\text{д}}; \quad (7.42)$$

$$P_{\circ} = P_{\text{в}} \operatorname{tg}(90^\circ - \delta - \varphi),$$

მაშინ

$$R = \frac{0,2P_{\text{д}}}{f} - P_{\text{в}} \operatorname{tg}(90^\circ - \delta - \varphi). \quad (7.41)$$

$P = P_{\text{д}} + P_2$  ძალები მიმართულია მხებად, ამიტომ მათ მხები ძალები ეწოდებათ.

$P_{\circ}$  და  $P_{\text{в}}$  მიმართულია რადიუსის გასწვრივ  $V$ -ს პერპენდიკულარულად,  $R = P_{\circ} - P_{\text{д}}$  ძალა მიმართულია რადიუსის გასწვრივ.

თუ დაგმლით  $P$  და  $R$  ძალებს  $U$ -ს გასწვრივ და მის პერპენდიკულარულად, მივიღებთ მიწოდების  $Q$  და ნორმალურ  $S$  ძალებს:

$$Q = P \cos \Theta + R \sin \Theta; \quad (7.44)$$

$$S = P \sin \Theta - R \cos \Theta. \quad (7.45)$$

თუ  $S$  ძალა დადებითია, მიმართულია მაგიდისკენ, იგი ნამზადს აბჯენს მაგიდაზე, ხოლო თუ უარყოფითია ნამზადისაკენ, მაშინ აგდებს მას მაგიდიდან და ამ შემთხვევაში საჭიროა დაწოლა  $A > S$ , სადაც

$$A = (1,3 \dots 1,5)S. \quad (7.46)$$

მოცემული ფორმულები და საცნობარო მონაცემები საშუალებას გვაძლევს ამოგხსნათ ამოცანები მოცემული ჭრის რეჟიმების დროს.

## თავი VIII

### დამუშავების ხარისხი. დამუშავების სიზუსტე და სისუფლა

#### 8.1. განსაზღვრებანი და ნორმატიული მონაცემები

მექანიკური დამუშავების ხარისხი განისაზღვრება დეტალების ფორმისა და ზომების სიზუსტით, აგრეთვე ზედაპირის დამუშავების სისუფლავით. დეტალების ნამდვილი ზომები გადახრის ზღვრები დაგვინდია სტანდარტებით, ზედაპირის სისუფლავე კი ნორმირებულია.

მოთხოვნები დამუშავების სიზუსტესა და დეტალების ზედაპირის სისუფლავეზე სხვადასხვა ნაკეთობისათვის სხვადასხვაა, მაგალითად, მორების ფიცრებად დახერხვისას დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული დახერხილი მასალების სხვადასხვა სისქეს, რაც მეორეული დამუშავებისათვის იწვევს სხვადასხვა ნამეტებს. გარდა სხვადასხვა სისქისა, დიდი მნიშვნელობა აქვს განახერხის სისუფლავეს, რომელიც განისაზღვრება კაწრულებით, ამონაგლუქებით, მერქნის დრეკადი ადგგენით და ხაოიანობით. მეორეული დამუშავების დროს ისინი იწვევენ მერქნის დამატებით დანაკარგებს.

არჩევენ ზედაპირის უსწორობის 3 სახეს (ნახ. 8.1): **მაკროუსწობანი**, კ.ი. ზედაპირის გადახრა მოცემული სწორი გეომეტრიული ფორმიდან ზედაპირის შედარებით დიდ უბნებზე (ამოზნექილობა, ჩანცექილობა – სიბრტყებისათვის, ელიფსურობა, ცილინდრული ფორმებისაგან გადახრა და ა.შ.).

**ტალღოვნება** – განმეორებადი და ზომებით ახლი ამაღლებები და ჩაღრმავებები დეტალის ზედაპირზე (მაგ., ფრეზვის შემდეგ, შავად ახარატების შემდეგ და ა.შ.).

**მიკროუსწორობანი**, აუ სიმქისე, კ.ი. უსწორობანი, რომლებიც გაცილებით მცირეა ტალღების ზომებთან შედარებით.

მაკროუსწორობების წარმოშობის მიზეზია, ერთის მხრივ, მერქნის შიგა ძაბვები, რომელთა მოხსნისას (მაგ. დახერხვის დროს) აღგილი ექნება მერქნის დაბრეცვას, მეორეს მხრივ – ნამზადის არაზუსტ ბაზირებას, ჩარხების, იარაღების, დანაღგარების სიზუსტის და ჩარხის მართვის გეომეტრიული სიზუსტის დარღვევას. ამიტომ მაკროუსწორობანი მიეკუთვნება არა დამუშავების სისუფლავეს, არამედ დეტალების ფორმების სიზუსტეს.

მაკროუსტორობანი	
ტალღოგნება	
სიმქისე	
ტალღოგნება და სიმქისე	
მაკროუსტორობანი ტალღოგნება და სიმქისე	

### ნახ. 8.1. ზედაპირის უსტორობის სახეები

დამუშავების სისუფთავეს მიეკუთვნება მცირე ტალღოვანი, სიმქისე, კაწრულები, ამონაგლებები და ხავსისებურობა.

მერჩნის ფორიანობა, უჯრედების ღრუები, გულგულას სხივები, როგორც დამუშავებისაგან დამოკიდებელნი, ზედაპირის სისუფთავის შეფასების ღროს მხედველობაში არ მიიღება.

### 8.2. დამუშავებული ზედაპირის სიმქისე

დამუშავებული ზედაპირი არის ნამზადზე ფორმირებული რეალური ზედაპირი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტაციით მოცემული ნომინალური გეომეტრიული ზედაპირისაგან განსხვავებით ხასიათდება მოცემული ფორმისაგან გადახრით, უსტორობებით პროფილის შევრილებისა და დრმულების სახით. ზედაპირის მოცემული ფორმისაგან გადახრა განსაზღვრავს მექანიკური დამუშავების სიზუსტეს.

იდეალური გლუვი ზედაპირიდან გადახრა ახასიათებს მის სიმქისეს. მერჩნის ზედაპირის დამუშავების სიმქისის კლასები მოცემულია ცხრ. 8.1.  $R_{m\text{და}}$  პარამეტრის მნიშვნელობები ჭრის სხვადასხვა პროცესებისათვის მოცემულია ცხრილებში 8.2...8.7.

### ცხრილი 8.1

მერქნის ზედაპირის დამუშავების სიმქისის კლასები

$R_{m\text{მაქ}} \text{ მ}^3\text{მ}$ (არაუმტებელი)	1250- 1600	800- 1250	500- 800	315- 500	200- 315	100- 200	6- 100	30- 60	16- 30	8- 16	4- 8	4
▽ $\partial$ , კლასები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

### ცხრილი 8.2

დამუშავებულ ზედაპირზე ტალღების ზღვრულად დასაშებები  
სიგრძე გრძივი ფრეზვისას

უსწორობათა სიმაღლე $R_{m\text{მაქ}} \text{ მ}^3\text{მ}$ არა უმტებელი	ტალღების ზღვრული სიგრძე $l$ , მმ ჭრის დიამეტრის შემთხვევაში							
	60	80	100	120	140	160	180	220
16	2,0	2,4	2,7	2,9	3,2	3,4	3,6	3,8
32	2,8	3,3	3,7	4,0	4,3	4,7	4,9	5,2
60	4,0	4,7	5,2	5,6	6,2	6,6	7,0	7,4
100	5,2	6,0	6,7	7,3	7,9	8,5	9,0	9,5
200	7,2	8,5	9,5	10,3	11,0	12,0	12,6	13,6

### ცხრილი 8.3

კბილზე მიწოდების მაქსიმალური მნიშვნელობები გრძივი  
ხერხვისას განახერხის სხვადასხვა სიმქისის შემთხვევაში

უსწორობის სიმაღლე $R_{m\text{მაქ}} \text{ არაუმტებელი}$	კბილზე მაქსიმალური მიწოდებისას $c$ კბილებისათვის					
	გადაყრილი		გატყლებილი		რადიალური შიგნიარხვით (სარანდი)	
	გამოსვლის თანამდებობის შემთხვევაში, გრად.					
	20-50	60-70	20-50	60-70	20-50	60-70
1200	1,2	1,2	1,8	1,5	—	—
800	1,0	0,8	1,5	1,2	—	—
500	0,8	0,5	1,2	0,75	—	—
320	0,3	0,1	0,45	0,15	—	—
200	0,1	0,1	0,15	0,15	—	0,3
100	0,1	—	0,5	—	0,3	0,15
60	—	—	—	—	0,15	0,07
32	—	—	—	—	0,07	—

### ცხრილი 8.4

მაქსიმალური მიწოდება კბილზე განივი ხერხისას  
განახერხის ზედაპირის სხვადასხვა სიმქისის შემთხვევაში  
(ჭრის საშუალო საწარმოო პირობები, კბილები – ბასრი)

უსწორობების სიმაღლე $R_{m\alpha\beta}$ მკმ, არა უმეტესი	$\beta_{\alpha\beta} = 40^\circ$		$\beta_{\alpha\beta} = 60^\circ$	
	$-35^\circ$	$-5^\circ$	$-35^\circ$	$-5^\circ$
800	0,2	0,2	0,2	0,2
500	0,2	0,05	0,15	0,05
320	0,05	–	0,05	–

მერქნის და მერქნული მასალების ზედაპირის სიმქისის პარამეტრები რეგლამენტირებულია სტანდარტით.

### ცხრილი 8.5

განახერხის ზედაპირის სიმქისე დამყოფ ჩარხზე დენტური  
ხერხით ხერხისას კბილზე სხვადასხვა მიწოდების  
შემთხვევაში

უსწორობების სიმაღლე $R_{m\alpha\beta}$ მკმ. არა უმეტესი	კბილზე მაქსიმალური დასაშვები მიწოდება $c$ , მმ			
	გატელეჟილი კბილებისათვის		გადაყრილი კბილებისათვის	
	ფიჭვი	მუხა	ფიჭვი	მუხა
1600	2,0	2,5	1,4	1,8
800	1,5	2,0	1,4	1,2
500	1,0	1,2	0,65	0,8
320	0,6	0,6	0,40	0,55
200	0,3	0,4	0,20	0,25
100	0,15	0,2	0,10	0,15

### ცხრილი 8.6

ჩარჩო ხერხით ხერხისას განახერხის ზედაპირის ხარისხის  
მაჩვენებელი კბილზე მიწოდებაზე დამოკიდებულებით  
ფიჭვის ჭრის შემთხვევაში

ხარისხის მაჩვენებელი	კბილზე მიწოდება $c$ , მმ				
	0,5	1,0	1,5	2,0	2,5
მაქსიმალური უსწორობის სიმაღლე განახერხის გვერდით ზედაპირზე $R_{m\alpha\beta}$ მკმ	480	560	710	750	990
რდვევით შესუტებული ზედაპირული ფენის სისქე, მმ	0,59	0,93	1,32	1,45	1,64

ჭრით დამუშავების სიზუსტის შესაფასებლად დადგენილია შემდეგი პარამეტრები:

$R_{m\text{ა}j}$  – ზედაპირზე ცალკეული უდიდეს უსწორობათა სიმაღლეების საშუალო არითმეტიკული

$$R_{m\text{ა}j} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n H_{\text{ა}j}, \quad (8.1)$$

სადაც  $H_{\text{ა}j}$   $i$ -ური უდიდესი უსწორობის უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის მანძილია;  $n$  – უდიდეს უსწორობათა რიცხვი (არა უმცირესი 5);  $R_m$  – პროფილის უსწორობათა უდიდესი სიმაღლე, რომელიც გამოითვლება, როგორც საბაზო სიგრძის ზღვრებში საშუალო ხაზიდან პროფილის უმაღლეს წერტილამდე ყავა, და საბაზო სიგრძის ზღვრებში საშუალო ხაზიდან პროფილის უდაბლეს  $R_{2\text{ა}j}$  წერტილამდე მანძილების ჯამი.

$P_z$  – პროფილის სიმაღლე ათ წერტილში

$$P_z = \frac{1}{5} \left( \sum_{i=1}^5 h_{\text{ა}j} - \sum_{i=1}^5 h_{\text{მონ}} \right), \quad (8.2)$$

აქ  $h_{\text{ა}j}$  –  $i$ -ური წერტილისათვის საშუალო ხაზიდან პროფილის უმაღლეს წერტილამდე მანძილია;  $h_{\text{მონ}}$  –  $i$ -ური წერტილისათვის საშუალო ხაზიდან პროფილის უდაბლეს წერტილამდე მანძილი.

$R_a$  – პროფილის აბსოლუტური გადახრის საშუალო არითმეტიკული

$$R_a = \frac{1}{l} \int_0^l |y(s)| dx, \quad (8.3)$$

სადაც  $l$  საბაზო სიგრძეა.

$S_z$  – პროფილის ბიჯის საშუალო ბიჯი ღრმულებში

$$S_z = \frac{1}{n'} \sum_{i=1}^{n'} S_{zi}, \quad (8.4)$$

სადაც  $n'$  უსწორობების ბიჯის რიცხვია ღრმულებში.

დამუშავებული ზედაპირის სისუფთავის შესაფასებლად პრაქტიკულად გამოიყენება მხოლოდ  $R_{m\text{ა}j}$  პარამეტრი.

ზედაპირის უსწორობების ისეთ სახეებს, როგორიცაა ხავსიანობა და ხაოიანობა არა აქვთ რიცხვითი მახასიათებლები, დოკუმენტაციაში აღინიშნება მხოლოდ მათი არსებობა ან არარსებობა.

## ცხრილი 8.7

**ზედაპირის სისუფთავის დამოკიდებულება  
დაბლაგვების რადიუსზე**

დაბლაგვების რადიუსის მნიშვნელობა, მეტ	გრძივი ფრეზვა		განივი ფრეზვა	
	ზედაპირის სისუფთავი რადიუსი (მეტ)	ფოთლოვანი ჯიში	ზედაპირის სისუფთავი რადიუსი (მეტ)	ფოთლოვანი ჯიში
<10	16-30	8-16	315-500	200-315
<20	30-60	16-30	315-500	200-315
<30	60-100	30-60	500-800	315-500
<35	100-200	60-100	500-800	315-500
<49	200-315	100-200	—	—

ზედაპირის ხაოიანობა და ხაგსიანობა განისაზღვრება საჭრისის დაბლაგვების რადიუსით (ცხრილი 8.9)

### 8.3. დამუშავებული ზედაპირი ფრეზვისას

ფრეზვისას ზედაპირის უსწორობანი განისაზღვრება ტალღოვნებით – ამონაგლეჯებით. რამდენადაც მცირეა მიწოდება დანებზე, იმდენად ნაკლებია ტალღები და ამონაგლეჯები. ტალღის სიგრძე დანების რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული.

$$\text{მიწოდება } \text{დანაზე } c = \frac{1000u}{zn}, \quad \text{თუ } \text{დანები } n \text{ იქნებოდა}$$


დამაგრებული, რომ ეველა დანის მჭრელი პირი მუდმივად ყოფილიყო ჭრის წრეხაზე  $R$  რადიუსით, მაშინ ტალღის სიგრძე სიგრძე ტოლი იქნებოდა (ნახ. 8.2, ა) სინამდვილეში დანების ასე ზუსტად დამაგრება შეუძლებელია. ერთი მათგანი შემოწერს წრეხაზე  $R$  რადიუსით, მეორე –  $r$  რადიუსით მათი არასწორი ჩამაგრების გამო (ნახ. 8.2,ბ).

დანის ტრაექტორია, როცა  $r < R$ , გადის ქიმის თავზე, რომელსაც ტოვებს პირველი დანა. როცა  $R > r$  (ნახ. 8.2. სწორი ხაზები), ტალღის სიგრძე ტოლი იქნება  $2c$  ორი დანის შემთხვევაში, ხოლო  $z$  დანის შემთხვევაში

$$c_{\phi} = zc = z \frac{1000u}{zn} = \frac{1000u}{n}, \quad (8.2)$$

ნახ. 8.2-ზე სწორი ხაზები არის საჭრისის  $R$  რადიუსი, წყვეტილი ხაზები – საჭრისის  $r$  რადიუსი.

ამგვარად, ბურბუშელის მოხსნაში მონაწილეობს ყველა დანა, ტალღის წარმოქმნაში კი მხოლოდ ერთი დანა. ტალღის სიღრმე მიიღება მილიმეტრის მეათასედ ნაწილებში, ამიტომ დანები უნდა დავამაგროთ მილიმეტრის მეათასედი ნაწილების სიზუსტით, რისი განხორციელებაც ტექნიკურად შეუძლებელია.



ნახ. 8.2. ტალღოვანების წარმოქმნის სქემა ფრეზისას

დანების დამაგრების შესაძლებელი სიზუსტე მოცემულია 8.8 ცხრილში პროფ. ფ. მანევისის მონაცემებით.

#### ცხრილი 8.8

##### დანების დამაგრების სიზუსტე

დანის დამაგრებისა და გალესვის ხერხები	დამაგრების სიზუსტის მნიშვნელობები, მმ
აგზომატზე გალესილი დანის დამაგრება ქელაბეჭის მიმართ	0,1-0,15
დანების ჩამაგრება შესამოწმებელი სახაზავის მიხედვით გამართული სახეზე ძელაკით	0,07-0,1
აგზომატზე გალესილი დანის დამაგრება ინდიკატორის მიხედვით	0,08-0,15
დანის გალესვა ლილვზე სპეციალური სალესი აპარატით	0,06-0,1
საჭრისის მჭრელი პირის ჯიფთვა	0,02-0,03

ზედაპირის სისუფთავის კლასები ტალღების წარმოქმნაზე დამოკიდებულებით პროფ. ბ. ბუგლაის მონაცემებით მოცემულია

8.9 Յերօլֆի, այլևս մուշտյալո նյաժակորություն եառօանոծա դա եացեօանոծա, րոմլյածու զանօսանցը բանական սպառություն դածլացը իս բ բաժօյնութ.

### Յերօլո 8.9

դանօս լուղջու տ դօամյօթրու,  $c_{\delta}$  դա  $R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$  դամոյությունյած

$D$ , մմ	$R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$ 16-30	$R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$ 30-60	$R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$ 60-100	$R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$ 100-200	$R_{m\delta\alpha\beta}^{\alpha\beta}$ 200-315	Շյնօնցնա
100	3,5	5,0	6,5	9,0	11	$c = \frac{c_{\delta}}{z}$ դօսանցյածո մօվուցյած եացաց $z$ դանյածութ րաուցյնոծա
120	4,9	5,5	7,0	10,0	12	
140	4,2	6,0	7,5	10,5	13	
160	4,5	6,5	8,0	11,0	14	
180	4,8	7,0	8,5	12,0	15	

## თავი IX

### სხვადასხვა ფაზტორების გავლენა ჰარის გუთო მუშაობაზე

(ჭრის კუთრ წინაღობაზე)

ჭრის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს კუთრი მუშაობის დამოკიდებულების იმ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებიც მონაწილეობენ ჭრის პროცესში.

ბურბუშელის სისქე პრაქტიკულად იცვლება დიდ ზღვრებში, მილიმეტრის მეტასედი ნაწილიდან რამდენიმე მილიმეტრამდე და უშეალოდ ახდენს გავლენას ბურბუშელის ფორმაზე, დამუშავების ხარისხზე, მწარმოებლურობასა და კუთრ მუშაობაზე.


კუთრ მუშაობასა და ბურბუშელის სისქეს შორის დამოკიდებულების ზოგადი სახე გამოსახება ფორმულით  $K'_e = f(e)$ .

ცდებით დადგენილია, რომ ბურბუშელის სისქეს გაზრდით ჭრის კუთრი წინაღობა (კუთრი მუშაობა) მცირდება.

ფიზიკურად, ჭრის მუშაობის შემცირება  $e$ -ს გაზრდით შეიძლება აისხნას მოხსნილი ფენის დანამცეცებით, რაც მოითხოვს ნაკლებ მუშაობას.

9.1. ა ნახაზის მიხედვით მნელი არ არის დაგადგინოთ, რომ  $K'$ -ს ინტენსიური გარდნა შეიმჩნევა 0,2 მმ სისქეს ბურბუშელის ზონაში. მაშასადამე, ენერგიის ეკონომიური ხარჯვისათვის უნდა ვიმუშაოთ სქელ ბურბუშელაზე, მაგრამ უკეთესი ხარისხის ზედაპირი მიიღება, როდესაც  $e=0,1-0,5$  მმ. ამიტომ ყველაზე უფრო ხელსაყრელი ბურბუშელის სისქე აღებულ უნდა იქნეს ჭრის პროცესში სხვადასხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**ჭრის კუთხეები.** 9.1. პ ნახაზიდან ჩანს, რომ სიმძლავრე ჭრაზე  $N$  მცირდება  $\alpha=14^\circ$ -მდე, შემდეგ კი ისევ იზრდება.  $\alpha$  კუთხის გაზრდა დაკავშირებულია საჭრისის უკანა წახნაგზე დეფორმირებულია საჭრისის უკანა წახნაგზე დეფორმირებული ფენების შეხების ფართობის შემცირებასთან, რომელზეც დამოკიდებულია მოწნებუს სისქეს  $P_g$  ძალა.  $\alpha$ -ს შემდგომი გაზრდის აღესვის  $\beta$  კუთხე მცირდება, რაც იწვევს საჭრისის წვეროს ვიბრაციას, აგარიულ ცვეთას და ჯამში სიმძლავრე ჭრაზე იზრდება, ამიტომ მის შესამცირებლად არ უნდა ვიმუშაოთ, როცა  $a < 10-12^\circ$ . ჭრის



ნახ. 9.1. სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ჭრის კუთრ მუშაობაზე:  
 $\delta$  – ბურბუშელის სისქის;  $\delta$  – უკანა კუთხის;  $\delta$  – გადაკვეთის  
 კუთხის;  $\delta$  – ჭრის სიჩქარის

კუთხის  $\delta = \alpha + \beta$  გაზრდით იზრდება ბურბუშელის დეფორმაცია  
 და მისი დაწილა წინა წახნაზე, რაც იწვევს ხახუნის ძალის და  
 ჭრის მთლიანი მუშაობის ზრდას. პრაქტიკულად ჭრის კუთხეები  
 მერყეობს შემდეგ ზღვრებში:

$$\delta_{\#} = 15^\circ - 30^\circ; \quad \delta_{\parallel} = 45^\circ - 60^\circ; \quad \delta_{\perp} = 70^\circ - 80^\circ.$$

კუთრი მუშაობის (კუთრი წინაღობის) სიდიდის ცვლილება ჭრის სხვადასხვა კუთხის შემთხვევაში მოცემულია ცხრილში 9.1.

ცდისეული მონაცემების დამუშავების შედეგად ჭრის საერთო  
 კანონზომიერების საფუძველზე მიღებულია:

გრძივი ჭრისათვის

$$K_{\parallel} = [A_{\parallel} \delta + B_{\parallel} v - B_{\parallel}] + \frac{P_{\parallel \parallel}}{e} = k_{\parallel} + \frac{P_{\parallel \parallel}}{e};$$

ტორსული ჭრისათვის

$$K_{\perp} = [A_{\perp}\delta + B_{\perp}v - B_{\perp}] + \frac{P_{\perp\beta}}{e} = k_{\perp} + \frac{P_{\perp\beta}}{e};$$

განივი ჭრისათვის

$$K_{\#} = [A_{\#}\delta + B_{\#}v - B_{\#}] + \frac{P_{\#\beta}}{e} = k_{\#} + \frac{P_{\#\beta}}{e}.$$

ცხრილი 9.1

ჯიში	ჭრის მიმართულება	K ქუთრი მუშაობა (ქუთრი წინაღობა), როდესაც $\angle\delta^{\circ}$ ტოლია				
		45°	50°	70°	80°	90°
ფიჭვი	⊥	1,75	2,10	2,75	3,60	5,25
		0,50	0,65	1,65	1,55	3,0
	#	0,30	0,35	0,40	0,50	0,60
მუხა	⊥	3,15	0,75	5,00	6,40	9,50
		0,70	0,90	1,45	2,15	4,15
	#	0,60	0,65	0,80	0,90	1,20
არყი	⊥	2,85	3,30	4,50	5,80	8,50
		0,56	0,80	1,25	1,80	3,50
	#	0,50	0,55	0,65	0,80	1,00

A, B, B,  $P_{\beta}$  მნიშვნელობები მოცემულია 9.2 და 9.3 ცხრილებში.  
ცხრილი 9.2

A და B კოეფიციენტების მნიშვნელობანი

ჯიში	A <sub>⊥</sub>	A <sub>  </sub>	A <sub>#</sub>	B <sub>⊥</sub>	B <sub>  </sub>	B <sub>#</sub>
ფიჭვი	0,056	0,02	0,003	0,02	0,007	0,006≤0,007
არყი	0,070	0,025	0,0045	0,024	0,008	0,007≤0,001
მუხა	0,082	0,028	0,006	0,027	0,009	0,0085≤0,012

ცხრილი 9.3

B და  $P_{\beta}$  კოეფიციენტების მნიშვნელობანი

ჯიში	B <sub>⊥</sub>	B <sub>  </sub>	B <sub>#</sub>	P <sub>⊥\beta</sub>	P <sub>  \beta</sub>	P <sub>#\beta</sub>
ფიჭვი	2	0,55	0,06	0,49	0,16	0,1
არყი	2,3	0,7	0,085	0,55	0,19	0,14
მუხა	2,56	0,76	0,10	0,64	0,21	0,17

ცდებით დადგენილია, რომ, თუ განივი ჭრისას ჭრის ძალას მივიღებთ 1-ის ტოლად, მაშინ ეს უკანასკნელი გრძივი და ტორსული ჭრის დროს შესაბამისად იქნება 2 და 6-ის ტოლი.

$K_\varphi = f(\psi^\circ)$  დამოკიდებულების გრაფიკი ნამვისათვის მოცემულია ნახ. 9.1, გ-ზე.

**მერქნის ჯიშის გავლენა** ჭრის კუთრ მუშაობაზე მედავნდება მისი მექანიკური სიმტკიცის მაჩვენებლით.

თუ მივიღებთ  $K$  სიდიდეს ფიჭვისათვის 1-ის ტოლად, იგი სხვა ჯიშებისათვის საშუალოდ შემდეგია:

ცაცხვი – 0,8; ვერხვი 0,89; ნაძვი – 0,95; მურყანი – 1,05; არყი – 1,25; წიფელა – 1,4 და იფანი, მუხა – 1,7.

მერქნის ტენიანობის ზრდა იწვევს ჭრის კუთრი მუშაობის შემცირებას, მერქნის მექანიკური სიმტკიცის ხარჯზე (30% ტენიანობამდე), თავისუფალი ტენის გავლენის გამო. ეს მართვბულია მხოლოდ დია ჭრისათვის. დასტურული ჭრის დროს შეიმჩნევა შებრუნებული სურათი, რაც დაკავშირებულია ზედაპირული დეფორმირებული შრეების მნიშვნელოვან დრეკად აღდგენასთან და განახერხში საჭრისის გვერდით წახნაგზე ხახუნის ძალის ზრდასთან.

**საჭრისის დაბლაგება** იწვევს მისი მკრელი პირის მომრგვალების რაღიუსის  $\rho$  ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს უკანა წახნაგზე ჭრის ძალის და მოწენების (განწოლი) ძალის ზრდას საჭრისის მერქანთან კონტაქტის ფართობის გადიდების გამო, რის გამოც კუთრი მუშაობა იზრდება.

**ჭრის სიჩქარე**  $V=20$  მ/წმ-ზე ქვემოთ არსებით გავლენას არ ახდენს ჭრის კუთრ მუშაობაზე. 20 მ/წმ-ზე მაღალი სიჩქარის დროს  $K$ -ს ცვალებადობა მიმდინარეობს ნახ. 9.1, დ-ზე მოცემული კანონზომიერებით.

ჭრის სიჩქარის ( $V$ ) ზრდით იზრდება მერქნის დრეკადი თვისებები, რაც გამოიხატება დრეკადი დეფორმაციის პოტენციური ენერგიის გაზრდაში, რომელიც ნაწილობრივ გადადის მოძრაობის კინეტიკურ ენერგიაში.

ბურბუშელის დაუკავშირებელი ელემენტის მოძრაობის სიჩქარე 1,5-ჯერ მეტია ჭრის სიჩქარეზე, რაც არ შეიმჩნევა დაბალი სიჩქარის დროს.

დაბალი ჭრის სიჩქარის გავლენა ბურბუშელის წარმოქმნაზე გამოიხატება წინმსწრები ბზარის გავრცელების სიჩქარის ზრდაში, რომელიც აღწევს 300-400 მ/წმ, როდესაც  $V=20$  მ/წმ.

რანდვისას, ფრეზვისას და ხერხვისას კუთრ მუშაობაზე ( $K$ ) ჭრის სიჩქარის გავლენა მოცემულია 9.4 ცხრილში  $a_V$  შესწორების კოეფიციენტის საშუალებით.

ცხრილი 9.4

$V,$ მ/წმ	1	5	10	15	20	30	40	50	60	70	80	90	100
$a_V$	1	1,1	1,2	1,4	1,45	1,3	1,2	1,2	1,3	1,4	1,5	1,6	1,7

ცდებით დადგენილია, რომ ჭრის  $V<20$  მ/წმ სიჩქარის ჭრის კუთრი მუშაობა –  $K'$  კგ/სმ<sup>3</sup> (ჭრის კუთრი წინაღობა  $K$  კგ/მმ-ს) და ჭრის ძალა იზრდება, ხოლო  $V=20$  მ/წმ ჭრის სიჩქარის შემთხვევასთან შედარებით გვაქვს ჭრის კუთრი მუშაობის შემცირება  $V<20$  მ/წმ ჭრის სიჩქარის შემთხვევასთან შედარებით გვაქვს ჭრის კუთრი მუშაობის შემცირება  $V<50$  მ/წმ-მდე და პირიქით  $K$ -ს მნიშვნელობის ზრდა, როცა  $V>50$  მ/წმ.

ცდებით ასევე დადგენილია, რომ მხოლოდ განივი ხერხვის დროს ჭრის კუთრი მუშაობა არ არის დამოკიდებული ჭრის სიჩქარეზე ( $a_V = 1$ ), რადგანაც ბურბუშელის წარმოქმნა ხორციელდება სხვაგვარად, კერძოდ, მოხსნის პროცესში მყოფი ბურბუშელის სიგანე ნაკლებია განახერხის სიგანეზე და გვერდითი მჭრელი პირი იმყოფება ნორმალური ჭრის პირობებში (იხ. ნახ. 8.3.1).


## თავი X

### ნერხება

#### 10.1. ბურბუშელის წარმოქმნის თავისებურება გრძივი ხერხის დროს

ხერხია არის ჭრის პროცესი, რომლის დროსაც წარმოქმნას დასამუშავებელი მასალის გაყოფა ხერხის საშუალებით. როდესაც განახერხი მიმართულია ბოჭკოების გასწვრივ, ხერხია გრძივია, ხოლო თუ განახერხი მიმართულია ბოჭკოების პერპენდიკულარულად – განივია ან ტორსული. ზოგჯერ კი განახერხი გარევული კუთხითაა ბოჭკოების მიმართ, მაშინ ხერხია ნახევრად ტორსულია.

თუ განახერხი მრუდხაზოვანია, ხერხია შერეულია. გრძივი ხერხის დროს კბილის მთავარი წიბო ჭრის ტორსულად, ხოლო გვერდითი წიბოები ბოჭკოების განივად არიან განლაგებული.



ნახ. 10.1. ჭრის კუთხეები გვერდითი წიბოსთან დახურული ჭრის დროს

განივი ხერხის დროს მთავარი წიბო ჭრის ბოჭკოების განივადაა, ხოლო გვერდითი წიბო – ტორსულადაა.


გვერდითი წიბოებით ხერხის დროს, როცა  $\varphi_1 = 90^\circ$  (ნახ. 10.1), ადგილი აქვს ბოჭკოების მნიშვნელოვან გადაღუნვას და არა სუფთა განახერხს. მაშასადამე, განივი ხერხისას აუცილებელია კბილების საჭრისების გალესილი იქნა ირიბად, სადაც  $\varphi_1 < 90^\circ$ .

განახერხის კედლების სისუფთავის თვალსაზრისით აუცილებელია ირიბი ალესვის კუთხეები  $\varphi_1 = 45^\circ - 60^\circ$ , რომლის დროსაც ბოჭკოების გადაღუნვა უმცირესია.

ბოჭკოების გადაღუნვა მიმდინარეობს ჭრის ხაზის ქვემოთ. ნახ. 10.2, ა-ზე ნაჩვენებია კბილი, რომელიც შეჭრილია ჭრის 1 მმ მიწოდების დროს, ხოლო ნახ. 10.2, ბ-ზე –  $c = 2$  მმ მიწოდების დროს. ორივე შეთხვევაში გაყოფის ხაზია 1-1.

ბოჭკოების გადაღუნვა გაყოფის 1-1 ხაზიდან ნიშნავს, რომ ბოჭკოები გადაწეულია განახერხის კედლიდან საჭრისის გვერდითი წიბოების გარეშე.

საჭრისის პირდაპირი ალესვა,  $\varphi_1 = 90^\circ$ , სავსებით დასაშვებია გრძივი ხერხვის დროს, რადგან გვერდითი წიბოები კი არ გადაჭრიან ბოჭკოებს, არამედ მოასუფთავებენ განახერხის კედლებს ბოჭკოების განივად. ცხადია, რომ რაც უფრო მეტია  $c$ , მით მეტია გადაღუნვა ჭრის 1-1 ხაზიდან, მით



ნახ. 10.2. ბოჭკოების გადაღუნვა  
გრძივად ხერხვისას:  
 $c = 1$  ან  $c = 2$  აა

ღრმაა ამონაგლეჯები განახერხის კედლებზე, მით უფრო დაბალია განახერხის კედლის სისუფთავე, მაშასადამე განივი ხერხვის დროს აუცილებელია კბილების ირიბი ალესვა,  $\varphi_1 = 45^\circ - 60^\circ$ . გრძივი ხერხვის დროს გამოიყენება კბილები პირდაპირი ალესვით,  $\varphi_1 = 90^\circ$ . კბილზე მიწოდება ( $c$ ) შემცირებით განახერხის ზედაპირის სისუფთავე უმჯობესდება.

მრგვალი და ლენტური ხერხებით გრძივი ხერხვის დროს ბოჭკოების გადაღუნვა მცირება, როდესაც,  $\delta = 45^\circ - 60^\circ$ . ჭრის ეს კუთხები უზრუნველყოფს განახერხის ზედაპირის მაღალ სისუფთავეს.

## 10.2. განახერხის გაფართოება

ხერხვის დროს ხერხის კედლები იჭრება მერქანში და რამდენადმე აფართოებს განახერხს. მერქანი დრეკადი ძალით ცდილობს დაუბრუნდეს პირგანდელ მდგომარეობას. ამის გამო ხერხის ბრტყელი იქნება ჩაჭერილი განახერხის კედლებს შორის, ხოლო ხერხის მოძრაობის დროს მიმდინარეობს ძლიერი ხახუნი ხერხის ტანსა და მერქანის შორის, რის გამოც მუშაობა ძნელდება, მერქანი იწყებს გახურებას, ხერხის ბრტყელი დებულობს სიდამწვრებს და შეიძლება გახდეს უგარგისი. ამ მოვლენას ხერხის ჩაჭერა ეწოდება, რომლის თავიდან ასაცილებლად უნდა გავაფართოოთ განახერხი, ე.ი. უნდა გავადიდოთ მანძილი

განახერხის კედლებს შორის. ეს გაფართოება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ხერხის ხახუნი განახერხის კედლებზე, რაღაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება დანაკარგები ნახერხის სახით. გარდა ამისა, მერქნის ზედმეტ ბურბუშელად გარდაქმნისას საჭიროა ენერგიის დამატებითი დანახარჯი.

განახერხის გაფართოებით ცდილობენ თავიდან აიცილონ აგრეთვე ხახუნი ხერხსა და განახერხის კედლებს შორის, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს ხერხის ჩარჩხე დამაგრების უზუსტობით, აგრეთვე ვიბრაციით და სხვა მიზეზებით. აღვნიშნოთ განახერხის სიგანე  $b$ -თი, ხერხის სისქე  $S$ -ით, მაშინ  $b = S + 2S'$ , სადაც  $S'$  განახერხის გაფართოება ერთ მხარეს ( $S' \leq 0,5$  მმ).

არაქტიკულად დადგენილია განახერხის გაფართოების ნორმები. კბილის ბრტყელას და განახერხის კედლებს შორის მიიღება შემდეგი დრეჩოები. მერქნის 30% ტენიანობამდე:

წიწვოვანი ჯიშების დახერხვისას ჩარჩო ხერხით

$$S' = 0,6 \text{ მმ-დან } 0,8 \text{ მმ-მდე},$$

ფოთლოვანი ჯიშების დახერხვისას ჩარჩო ხერხით

$$S' = 0,45 \text{ მმ-დან } 0,6 \text{ მმ-მდე},$$

ლენტური ხერხით დახერხვისას

$$S' = 0,4 \text{ მმ } - 0,7 \text{ მმ-მდე},$$

მრგვალი ხერხით დახერხვისას

$$S' = 0,4 - 0,7 \text{ მმ, როცა } D < 800 \text{ მმ};$$


$$S' = 0,9 - 1,2 \text{ მმ, როცა } D > 800 \text{ მმ.}$$

განახერხის გაფართოება შეიძლება მივიღოთ კბილების გადაყრით ( $\lambda$ ) ან კბილების გატყდევით ( $\Delta$ ), ე.ი. ან კბილების გადაყრით დრეჩოს სიღიღეზე მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ან კბილის გატყდევით  $b$  სიგანემდე.

ნახ. 10.2, ბ-ზე ნაჩვენებია ხერხების სქემა გადაყრილი კბილებით. ორი მოსაზღვრე საჭრისის პირებს შორის  $t$  მანძილს კბილის ბიჯი ეწოდება.

თუ შევხედავთ ხერხს მიწოდების მიმართულებით, მაშინ ხერხის ბრტყელა გამოჩნდება ვიწრო ზოლის სახით და კბილები გადაწვეული როგორც მარჯვინ, ასევე მარცხინივ  $S'$  მანძილზე, როგორც ნაჩვენებია ნახ. 10.3, ღ-ზე (კბილგადაყრილი ხერხისა-

თვის) და  $S'$  მანძილზე ხერხის ბრტყელადან გვერდზე, როგორც  
ნაჩვენებია ნახ. 10.2, ბ-ზე (გატყლეული კბილებისათვის).



ნახ. 10.3. ხერხის სქემა გადაყრილი და გატყლეული კბილებით:  
ა, ბ – გატყლეული კბილები; გ, დ – გადაყრილი კბილები;  
ე – განახერხის გეგმილი გატყლეული კბილებისას;  
ვ, ზ – იგივე გადაყრილი კბილებისას

გადაყრილი კბილების მოკლე შტრელი ნაწიბურების სიგრძეა  $S$  სისქის ტოლი, გატყლეულების კი განახერხის  $b$  სიგანის ტოლი.

ამგვარად, კბილების სხვადასხვა მომზადებამ მიგვიყვანა განახერხის ერთი და იმავე ზომით გაფართოებამდე –  $b$ -მდე.

### **10.3. ბურბუშელის განივევეთი გადაყრილი და გატყლეულების კბილების შემთხვევაში ერთ კბილზე ერთი და იგივე მიწოდების დროს**

ჩარჩო ხერხის  $V$  მიმართულებით მოძრაობის დროს კბილის ყველა წვერო გადაადგილდება წრფეზე (ნახ. 10.3, ა, გ).

მიწოდება ერთ კბილზე (c) ეწოდება კბილების წვეროების გადაადგილების მოსახლეობის ხაზებს შორის პორიზონტალური მიმართულებით გაზომილ მანძილს, რომელიც ერთნაირია გატყლეული და გადაყრილი კბილებისათვის, რადგანაც კბილის ბიჯი (t) ერთი და იგივეა.

ეგულისხმობთ, რომ ჩარჩო ხერხში ერთმანეთის გვერდით დამაგრებულია ორი ერთნაირი ხერხი, ერთი გატყლეული კბილებით (ნახ. 10.3, ა, ბ), მეორე გადაყრილი კბილებით (ნახ. 10.3, გ, დ). განვიხილოთ გასახერხი ძელის პროექცია  $A$  ისრის მიმართულებით. ნახ. 10.3, გ-ზე ნაჩვენებია განახერხი გატყლეული კბილებით  $\Delta$ , ხოლო ნახ. 10.3, გ, ზ-ზე – განახერხი გადაყრილი კბილებით  $\lambda$ .


მიწოდება და განახერხის სიგანე  $b$  ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. მაგრამ  $A$  ისრის მიმართულებით პროექციები სხვადასხვაა.

კბილის საჭრისის პირის სიგრძე გატყლეულის დროს არის  $b$  მმ. ყოველი კბილის, რომელიც ეშვება ვერტიკალზე (ნახ. 10.3, ა), მოჭრის ბურბუშელას განახერხის მოელ სიგანეზე (ნახ. 10.3, ე). ყოველი ბურბუშელის განივევეთი (იხ. დაშტრიხული კვეთი) იქნება ერთი და იგივე, მისი ფართობია  $bc$ , სადაც  $b$  განახერხის სიგანეა, ხოლო  $c$  – მიწოდება კბილზე:

$$S_{\Delta} = bc \text{ მმ}^2.$$

გადაყრილი კბილების დროს კბილის საჭრისის პირის სიგრძე ხერხის სისქის ტოლია, მარჯვნივ გადაყრილი პირველი

კბილი სხნის ბურბუშელას, რომლის განივევეთის გვერდებია  $c$  (მიწოდებათა კბილზე) და  $S$  (საჭრისის მჭრელი პირის სიგრძე).



#### ნახ. 10.4. ბურბუშელის წარმოქმნა:

- $\Delta$  – გადაყრილი კბილების,
- $\delta$  – გატყლეული კბილების  
შემთხვევაში

და იგივე  $c$  მიწოდების დროს.

ნახ. 10.4,  $\Delta$ ,  $\delta$ -ზე ნაჩვენებია ბურბუშელის წარმოქმნა გადაყრილი და გატყლეული კბილების დროს.

დავადგინეთ რა გადაყრილ – და გატყლეულ კბილებიანი სერხებით სერხებისას ბურბუშელის ფორმებს შორის განსხვავება კბილზე ერთი და იმავე მიწოდების დროს, ვნახოთ, იქნება ოუ არა ბურბუშელის საშუალო სისქე  $e$  ერთი და იგივე. ოუ ბურბუშელის განივევეთის ფართობს ( $f$ ) გავყოფთ საჭრისის პირის მთელ სიგრძეზე, მივიღებთ ბურბუშელის საშუალო სისქეს, რომელიც იქნება

$$e_{\Delta} = \frac{f_{\Delta}}{f} = \frac{b \cdot c}{b} = c \quad \text{მნ.} \quad (10.1)$$

$$e_{\lambda} = \frac{f_{\lambda}}{S} = \frac{b \cdot c}{S} = \frac{b}{S} c \quad \text{მნ.} \quad (10.2)$$

ამრიგად, ბურბუშელის საშუალო სისქე გადაყრილი კბილების დროს მეტია, ვიდრე გატყლეჭილი კბილების დროს, კბილზე ერთი და იგივე  $c$  მიწოდებისას. მაშასადამე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბურბუშელის სისქე  $e_\lambda$  იმდენჯერ მეტია  $e_\Delta$ -ზე, რამდენჯერად განახერხის სიგანე მეტია ხერხის სისქეზე.

აქედან გამომდინარებს, რომ გადაყრილი კბილების დროს საჭიროა ენერგიის ნაკლები ხარჯი, ვიდრე გატყლეჭილი კბილების დროს.

ნახ. 10.4 ა-ზე, რომ კბილზე  $c$  მიწოდების დროს გადაყრილი კბილებისას განახერხის კედელთან მიიღება  $2c$  მიწოდება, განახერხის შეაში კი  $c$ .

ნახ. 10.4, ბ-დან ჩანს, რომ გატყლეჭილი კბილებით ხერხვისას  $c$  მიწოდება ერთი და იგივე.

განახერხის ზუსტი გეგმა მიიღება ხერხის ბრტყელას მდებარეობის გათვალისწინებით განახერხის მიმართ (ნახ. 10.3, გ).

გადაყრილი კბილებით ხერხვისას განახერხის კედლებზე შეიმჩნევა კაწრულები, ხოლო გარტყლეჭილი კბილებით ხერხვისას ასეთი კაწრულები არ მიიღება (ნახ. 10.3, ე). მაშასადამე, გარტყლეჭილი კბილების დროს განახერხის კედლები მიიღება უფრო გლუვი, ვიდრე გადაყრილი კბილები შემთხვევაში.

ხერხის კბილის განახერხში გადაადგილებისას მერქნიდან მის გამოსვლამდე ბურბუშელა ეხახუნება განახერხის კედლებზე. ხახუნის მუშაობის გადასალახავად საჭიროა ენერგიის დამატებითი ხარჯი. ცდებით გვიჩვენებს, რომ ბურბუშელის ხახუნის მუშაობა გადაყრილი კბილების დროს დაახლოებით 25%-ით მეტია, ვიდრე გარტლეჭილი კბილების დროს, ე.ი. ხახუნის კუთრი მუშაობა (ფორმულა (7.30)) იქნება

$$\frac{\lambda_\Delta h}{b} < \frac{\alpha_\lambda h}{b}, \quad (10.3)$$

სადაც  $h$  ჭრის სიმაღლეა.

ცდებით დადგენილია, რომ

$$\alpha_\lambda = 0,72 - 0,075 \frac{\delta\vartheta}{\vartheta\vartheta^2};$$

$$\alpha_\Delta = 0,058 - 0,06 \frac{\delta\vartheta}{\vartheta\vartheta^2}.$$

მაშასადამე ენერგიის ხარჯი გადაყრილი და გატყლეჭილი კბილებით ხერხვის დროს დამოკიდებულია  $h$ -ზე და  $b$ -ზე.

ხერხების დროს მერქანი ეწინააღმდეგება მისგან ბურბუშელის მოცილებას.

წინადობის ძალა აღვნიშნოთ  $P_j$ -თი, ცხადია, რომ  $P_j$  გატულებილი კბილების შემთხვევაში განლაგდება ბრტყელას დერძის გასწვრივ (ნახ. 10.3, ბ) გადაყრილი კბილების შემთხვევაში – ხერხის ბრტყელას ორივე შხარეს, რაც იწვევს ხერხის აცდენას განახერხში.


ხერხის ახდენის თავიდან აცილება ან მისი შემცირება ხორციელდება ხერხის ბრტყელას დაჭიმვით, აგრეთვე მათი ვალცხით და გამოკვერვით.

მაშასადამე ხერხი გადაყრილი კბილებით იქნება უფრო ნაკლებად ხისტი, ვიდრე გატყლეული კბილებით. ვინაიდან ხერხი გატყლებილი კბილებით უფრო ხისტია, ამიტომ ის ნაკლებად დეფორმირდება, ამის გამო გარტყლეული კბილების დროს შეიძლება გამოვიყენოთ უფრო თხელი ხერხი. ეს მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რადგან გარტყლეული კბილების დროს მცირდება მერქნის ნარჩენები ნახერხის სახით, ე.ი. დახერხილი მასალის სასარგებლო გამოსავალი იზრდება და შესაბამისად მეტია მწარმოებლურობაც, მაგრამ გატყლევისათვის საჭირო უფრო მაღალხარისხსხვანი ლეგირებული ფოლადი, სათანადო სპეციალური მოწყობილობა, რათა თავიდან ავიცილოთ ბზარები საჭრისზე და ამონაგლეჯები.

#### 10.4. ხერხის მუშაობის უნარი კბილთა შორის დრმულზე დამოკიდებულებით

ხერხის V მიმართულებით გადაადგილებით (ნახ. 10.5) ბურბუშელა კბილის წინა წანაგზე თანდათან გადაადგილდება დრმულის ძირისაკენ და როცა დაიკავებს მდგომარეობას 2, მოხდება ბურბუშელის მოტება  $\delta$  კვეთზე. ბურბუშელის ნაწილი  $\mathbf{\hat{d}}$  ხახუნით მიეჭირება კბილის წინა წანაგს, ნაწილი  $\mathbf{\hat{c}}$  მოევლება  $\mathbf{\hat{a}}\text{-ს}$ , დააწვება და დრმულის ძირში დაწენებს მას. შემდგომში ეს პროცესი მეორდება მანამ, სანამ დრმულში არ ჩაიწერება საჭირო რაოდენობის ბურბუშელა. საბოლოო მდგომარეობა სქემატურად ნაჩვენებია ნახ. 10.5-ზე, პოზიცია 6. ხერხის კბილის წინა წანაგი მოქმედებს ბურბუშელაზე  $N$  ძალით, ხოლო ხახუნის  $T$  ძალა მიმართულია ხერხის მოძრაობის საწი-

ნააღმდეგოდ. ამ ორი ძალის ტოლქმედი  $H$  ძალა მოქმედებს ბურბუშელაზე ღრმულის სიღრმისაკენ. ხერხის პროცესში დაწევა მუდმივია მანამ, სანამ კბილის ღრმული არ შევსება 101 ხაზამდე. შემდგომი ღრმულის შევსება ძნელდება, რადგანაც იზრდება ჭრის ძალები და უარესდება განახერხის ხარისხი.



ნახ. 10.4. კბილის ღრმულების ბურბუშელათი შევსების სქემა

დადგენილია, რომ ღრმულის შევსება შეიძლება მისი მოცულობის 0,5-მდე, მას შევსების კოეფიციენტს უწოდებენ და აღნიშნავენ  $\beta_{\text{ღ}}\text{-ით}$ , ხოლო ბურბუშელის შემჭიდროების კოეფიციენტს აღნიშნავენ  $\alpha_{\text{ჰ}}$  ხერხის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია შესრულდეს შემდეგი პირობა: დაწევილი ბურბუშელის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესავსებ მოცულობას:

$$\alpha_{\text{ჰ}} b c h = \beta_{\text{ღ}} f b, \quad (10.4)$$

სადაც  $b$  განახერხის სიგანგა;  $c$  – მიწოდება ერთ კბილზე;  $h$  – განახერხის სიმაღლე;  $f$  – კბილის ღრმულის გამრდითი ფართობი. (7.4.1) ფორმულიდან

$$c = \frac{\beta_{\text{ღ}} f}{\alpha_{\text{ჰ}} h}, \quad (10.5)$$

$$\frac{\alpha_{\text{ჰ}}}{\beta_{\text{ღ}}} = \sigma \quad \text{ღრმულის} \quad \text{დაძაბულობის} \quad \text{კოეფიციენტს} \quad \text{უწოდებენ.}$$

განახერხის უკეთესი ხარისხისათვის აუცილებელია სადურგლო საწარმოებში  $\sigma \geq 1$ . ეს პირობა ყოველთვის სრულდება თანამედროვე კონსტრუქციის ლენტური და მრგვალი ხერხების გამოყენებით. მორსახერხი ჩარხის ხერხის მუშაობა უფრო დაძაბულია და  $\sigma \leq 1$ .

ცდებით დადგენილია, რომ ღრმულის შევსება ხდება ბურბუშელის შემჭიდროებით და შევსებაც შეზღუდულია. ამ პირობებში ღრმულის პროფილის ფორმას აქვს დიდი მნიშვნელობა. ბიჯის შეცვლისას და მსგავსი პროფილების შენარჩუნებისას არსებობს

შემდეგი დამოკიდებულება ღრმულის ფართობსა და კბილის ბიჯის გვადრაცხს შორის:

$$\frac{f_1}{t_1^2} = \frac{f_2}{t_2^2} = \dots = \frac{f_n}{t_n^2} = \Theta. \quad (10.6)$$

ამ სიდიდეს ღრმულის პროფილის ზედაპირის კოეფიციენტს უწოდებენ,

$$f = \Theta t^2. \quad (10.7)$$

ჩარჩო ხერხისათვის  $\Theta_{\Delta} = 0,4\dots0,5$ ,  $\Theta_{\lambda} = 0,5$ .

გრძივად სახერხი მრგვალი ხერხისათვის  $\Theta = 0,25\dots0,35$ .

განივად სახერხი მრგვალი ხერხისათვის  $\Theta = 0,35\dots0,6$ .

ლენტური ხერხისათვის  $\Theta = 0,12\dots0,3$ .

(10.5) და (10.7) ფორმულებიდან შეიძლება დავწეროთ

$$t = \sqrt{\frac{\sigma ch}{\Theta}}, \quad (10.8)$$

რომელიც განსაზღვრავს ხერხის კბილის ბიჯს ღრმულის მუშაობის უნარიდან გამომდინარე.


## თავი XI

### დისკური და ლენტური ხერხებით ხერხება

#### 11.1. დისკური ხერხით ხერხება

მერქნის დანაწევრების პროცესს ხერხის საშუალებით ხერხება ეწოდება. ხერხის დროს მერქანი მოცულობით არადეფორმირებულ ნაწილებად იყოფა, ხოლო ამ ნაწილებს შორის მოთავსებული მერქანი ბურბუშელად იქცევა. დისკური ხერხით ხერხება არის ხერხის პროცესი, რომელიც ხორციელდება მრავალსაჭრისანი მბრუნვით დისკური ფორმის იარაღით (მრგვალი ხერხით) მრგვალსახერს ჩარხზე.

ხერხება არსებობს გრძივი, განივი, შერეული. ნახ. 11.1-ზე ნაჩვენებია ბურბუშელის წარმოქმნა დისკური (მრგვალი) ხერხით გრძივი ხერხისას.



ნახ. 11.1. ბურბუშელის წარმოქმნა დისკური ხერხით გრძივი ხერხისას:  
 ა – საერთო სქემა; ბ – ნომოდალური ბურბუშელის სქემა;  
 გ – ჭრის სიჩქარის (V) გეომეტრიულად განსაზღვრის სქემა

ნამზადი, რომლის სიმაღლეა  $h$ , მიეწოდება  $U$  მიმართულებით დისკურ ხერხს, რომელიც ყოფს მას არადეფორმირებულ ნაწილებად.

დისკური ხერხით ხერხისას ნომინალური ბურტუშელა მიიღება ნამგლისებრი ფორმის (შემოსაზღვრულია ციკლური მრუდებით ნახ. 11.1, ბ). ბურტუშელის საშუალო სისქე გადაყრილი პილებისათვის

$$e_\lambda = \frac{b}{s} c \sin \Theta, \quad (11.1)$$

სადაც  $b$  განახერხის სიგანეა;  $s$  – ხერხის სისქე;  $c$  – მიწოდება ერთ პილზე, ხოლო გატყვლებილი პილებისათვის

$$e_\lambda = c \sin \Theta, \quad (11.2)$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ ბურტუშელის სისქე ცვალებადია, იზრდება მინიმალური მნიშვნელობიდან მაქსიმუმამდე და დამოკიდებულია მიწოდების სიდიდეზე და კინემატიკური შეხვედრის თ კუთხეზე.

რადგანაც  $\frac{U}{V} = \frac{c}{t}$ , სადაც  $U$  გაცილებით ნაკლებია  $V$ -ზე, ჭრის ტრაექტორიად მიიჩნევენ მოძრაობის ტრაექტორიას – წრებაზე.

ხერხის ლილვის მუდმივი კუთხური სიჩქარით ბრუნვისას ( $n=\text{const}$ ) და თანაბარი მიწოდებისას ( $U=\text{const}$ ) ხერხის პილთა ტრაექტორიები (წრებაზები) გადაადგილებიან მიწოდების სიჩქარის მიმართულებით. რომლის სიდიდეა

$$c = \frac{1000U}{z \cdot n} \quad \text{მმ.} \quad (11.3)$$

განსახილველად აღებული ხერხის ერთი პილისათვის თ კუთხე, ე.ი. კუთხე მიწოდების სიჩქარესა  $U$  და ჭრის სიჩქარეს  $V$  შორის ცვალებადია და შეიძლება თეორიულად იცვლებოდეს  $0^\circ$ -დან  $90^\circ$ -მდე. როცა  $\Theta=0^\circ$ , პილის წვეროზე გავლებული რადიუსი  $U$ -ს პერპენდიკულარულია, ხოლო როდესაც  $\Theta=90^\circ$ , მაშინ იგი  $U$ -ს პარალელურია. მაშასადამე, ბურტუშელის სისქეც იცვლება 0-დან მაქსიმუმამდე (ნახ. 11.1, ა, ბ). ამავე ნახაზიდან ჩანს, რომ  $el=ch$ , სადაც  $l$ , კონტაქტის რაოდი

$$l = \frac{\pi D}{360^\circ} \varphi = \frac{\pi D}{360^\circ} (\Theta_\delta - \Theta_\beta), \quad (11.4)$$

აქ  $\varphi$  კონტაქტის კუთხეა, გრად;  $\Theta_\beta$  – კინემატიკური შეხვედრის კუთხე კბილის მერქანში შესვლისას, გრად;  $\Theta_\delta$  – კინემატიკური შეხვედრის კუთხე კბილის მერქნიდან გამოსვლისას, გრად.

ბურბუშელის საშუალო სისქე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულითაც:

$$e = \frac{ch}{l} = \frac{57ch}{R\varphi} = \frac{57ch}{R \left( \arcsin \frac{a+h}{R} - \arcsin \frac{a}{R} \right)}. \quad (11.5)$$

კონტაქტის კუთხე

$$\varphi = \Theta_\delta - \Theta_\beta = \arcsin \frac{a+h}{R} - \arcsin \frac{a}{R}, \quad (11.6)$$

სადაც  $a$  მაგიდის სიმაღლეა ხერხის ბრუნვის დერძიდან, მმ;  $h$  – ჭრის სიმაღლე, მმ.

რადგანაც  $e = c \sin \Theta$ , კონტაქტის რკალი

$$l = \frac{ch}{e} = \frac{h}{\sin \Theta}. \quad (11.7)$$

ნახ. 11.1, გ-ზე მოცემულია ჭრის სიჩქარის გეომეტრიულად განსაზღვრის სქემა. თანაბარი ბრუნვითი მოძრაობისას მთავარი მოძრაობის სიჩქარე  $V$  დაახლოებით ჭრის  $V'$  სიჩქარის ტოლია:

$$V = \frac{\pi D n}{60 \cdot 1000} = \frac{z \cdot t \cdot n}{60 \cdot 1000} \text{ მ/წ}, \quad (11.8)$$

სადაც  $D$  ხერხის დიამეტრია, მმ;  $z$  – კბილთა რიცხვი;  $t$  – ბიჯი;  $n$  ლილვის ბრუნვათა რიცხვია, ბრ/წ

$$\pi D = zt. \quad (11.9)$$

მიწოდების სიჩქარე

$$U = \frac{c \cdot z \cdot n}{1000} \text{ მ/წ}. \quad (11.10)$$

დისკური ხერხით ხერხისას

$$\frac{U}{V} = \frac{\frac{czn}{1000}}{\frac{ztn}{1000}} = \frac{c}{t}. \quad (11.11)$$

ჭრის სიმძლავრე ( $N$ ) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N = \frac{KbhU}{102} \text{ ქნ.} \quad (11.12)$$

საშუალო ჭრის ძალა

$$P = \frac{KbhU}{V}, \text{ ქნ.} \quad (11.13)$$

**მოცემულია:**  $F = 500$  მმ, ლილვის ცენტრიდან მაგიდის აწევის სიდიდე  $a = 100$  მმ, განახერხის სიმაღლე  $h = 50$  მმ, მიწოდება ჭრაზე  $c = 0,55$  მმ. საჭიროა განისაზღვროს:  $\Theta_{\text{საშ.}}$ ;  $\sin\Theta$ ;  $\cos\Theta$ ;  $\angle\varphi$ ;  $l$ .

**ამონსნა.** ნახ. 11.1-დან ჩანს, რომ  $\angle\varphi = \angle\Theta_{\text{გამ}} - \angle\Theta_{\text{უქა}}, \angle\Theta_{\text{გამ}}$  შესაბამება ლილვის ცენტრიდან მაგიდის აწევის  $a$  (მმ) სიდიდეს, ხოლო  $\angle\Theta_{\text{უქა}} = a + h$ . ნებისმიერი ხერხის  $D$  დიამეტრი დაიყვანება ნომოგრამაზე (ნახ. 11.2) მასშტაბით

$$M = \frac{100}{D}. \quad (11.14)$$

$$M = \frac{100}{500} = \frac{1}{5}; \quad (11.15)$$

$$Ma = \frac{1}{5} \cdot 100 = 20 \text{ მმ; } \quad (11.16)$$

$$M(a+h) = \frac{1}{5} \cdot 150 = 30 \text{ მმ. } \quad (11.17)$$

გავატაროთ პორიზონტალური ხაზი (ისარი 1,2) 20 მმ და 30 მმ შესაბამისი წერტილებიდან, მივიღებთ  $\angle\Theta_{\text{გამ}} = 66^\circ$ ,  $\angle\Theta_{\text{უქა}} = 53^\circ$ ,  $\angle\varphi = 66^\circ - 53^\circ = 13^\circ$ .


კონტაქტის რკალის სიგრძე

$$l = 0,0175R\varphi = 0,0175 \frac{500}{2} 13^\circ = 57 \text{ მმ.} \quad (11.18)$$

ბურბულის საშუალო სისქე

$$e_{\text{საშ.}} = c \cdot \frac{h}{l} = \frac{0,5 \cdot 50}{57} = 0,44 \text{ მმ; } \quad (11.19)$$

$$\sin\Theta_{\text{საშ.}} = \frac{h}{l} = \frac{50}{57} = 0,88. \quad (11.20)$$



ნახ. 11.2.  $\sin\theta$  და  $\cos\theta$  განსაზღვრის ნომოგრამა დისკურსი  
ხერხებით ხერხვისას

გადაგზომოთ უკანასკნელი მნიშვნელობა  $\sin\theta$  დერძვე და მიღებული წერტილიდან გავატაროთ ვერტიკალური ხაზი (ისარი 3), მივიღებთ  $\Theta_{\text{სა}} = 62^\circ$ , ხოლო თუ ამ უკანასკნელი წერტილიდან გაგატარებთ პორიზონტალურ ხაზს (ისარი 4), მივიღებთ  $\cos \Theta_{\text{სა}} = 0,47$ .

(ამოცანები – იხილეთ დანართი).

## 11.2. ლენტური ხერხით ხერხვა

ლენტური ხერხით ხერხვა ხორციელდება სწორხაზობრივი, უწყვეტი, გადატანითი მოძრაობით მრავალსაჭრისიანი თხელი ლენტის სახის მჟრელი ინსტრუმენტით. ლენტური ხერხვა გამოიყენება მორების, ნაგვერდულების ფიცრებად დასანაწევრებლად და მრუდხაზოვანი დეტალების გამოსახერხად. ფოლადის ლენტი კბილებიანი წილოთი ღვედის მსგავსად გადაჭიმულია ორ

ბორბალზე – წამყვანსა და ამყოლზე. ლენგის წრიული სიჩქარე  $V=const$ . მერქანი უწყვეტად მიეწოდება ხერხზე  $U=const$  მიწოდების სიჩქარით. თუ შევაჯამებოთ გეომეტრიულად  $U$  და  $V$ -ს, მივიღებოთ ფარდობითი მოძრაობის სიჩქარის  $V'$  ვექტორს, რომლის მიმართულება ემთხვევა კბილის მოძრაობის ტრაექტორიას მერქანში.

ვინაიდან

$$tg\varphi = \frac{U}{V} = const, \quad (11.11)$$

ამიტომ ხერხის კბილთა ტრაექტორიები ურთიერთპარალელური სწორი ხაზებია, რომლებიც აგრეთვე  $V'$ -ის პარალელურია, ე.ი. კბილთა ტრაექტორიები გადახრილნი იქნებიან მთავარი მოძრაობის  $V$  მიმართულებიდან  $\varphi=const$  კუთხით.  $\varphi$  კუთხე არის ჭრის ტრაექტორის გადახრის კინემატიკური კუთხე მთავარი მოძრაობის ტრაექტორიიდან.

როცა  $U$  და  $t$  მუდმივია, მაშინ მიწოდება ერთ კბილზე ( $c$ ) მუდმივი იქნება. ამ შემთხვევაში  $c \parallel U$ , ბურბულების ნომინალური სისქე  $e \perp V'$ , მაშასადამე  $e=c\sin\Theta$  (ნახ. 11.3, ბ).

ამ შემთხვევაში ჭრის სიგრძე

$$l = \frac{h}{\cos\varphi}. \quad (11.12)$$

ნახ. 11.3, ბ-დან ჩანს, რომ  $el=ch$ . მერქანში შეჭრილი კბილთა რიცხვი ბორბლის ერთი შემობრუნებისას  $z=\frac{\pi D}{t}$ .

თუ ჩავსგამო ჭრის სიჩქარის ფორმულაში  $\pi D=zt$ , მივიღებთ


$$V = \frac{ztn}{60 \cdot 1000} \text{ მ/წ.} \quad (11.13)$$

მიწოდების სიჩქარე

$$U = \frac{czn}{60 \cdot 1000} \text{ მ/წ.} \quad (11.14)$$

თუ გავყოფთ  $U$ -ს  $V$ -ზე, მივიღებთ

$$\frac{U}{V} = \frac{c}{t}. \quad (11.15)$$



ნახ. 11.3. ლენტური ხერხით ხერხვის სქემა:  $\delta$  – ბურბუშელის წარმოქმნის სქემა;  $\delta$  – ნომინალური ბურბუშელის სქემა;  $\delta$  – საერთო სქემა

ვინაიდან  $U \ll V$  და ამის გამო  $\varphi$ -ის მნიშვნელობა ძალზე მცირდება, ამიტომ შეიძლება დაგუშგათ, რომ კუთხე  $\Theta = 90^\circ$  და  $e = c$ .

ლენტური ხერხვისას ჭრის ძალა

$$P = \frac{KbhU}{60V} \delta \delta; \quad (11.16)$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{KbhU}{102} \delta \delta. \quad (11.17)$$


(ამოცანები – იხილეთ დანართი).

### 11.3. განივი და გრძიგ-განივი ჭრის ძირითადი შემთხვევები. განივი ხერხები

განივი ხერხის დროს მთავარი მქრელი პირი სსნის ბურბულის ბოჭქობის განივად, გვერდითი მქრელი პირები კი ჭრიან მერქანს ტორსში. განივი ხერხის დროს საჭირო კბილების ირიბი აღესვა.

საჭრისი პირდაპირი აღესვით ნაჩვენებია ნახ. 11.4, ა-ზე, ირიბი აღესვით კი ნახ. 11.4, ბ-ზე.

ა



ნახ. 11.4. კბილის აღესვა: ა – პირდაპირი; ბ - ირიბი

თუ პირდაპირი აღესვით საჭრისის გვერდით მქრელ პირს გადავლესავთ  $\angle\delta_1 < 90^\circ$  (ადგბ) კუთხით, მივიღებთ საჭრის ირიბი აღესვით, რომლის დროსაც განახერხის ფსკერი 1-1-2-2 დაიხრება გვერდით კედელთან  $\angle\varepsilon < 90^\circ$  კუთხით, მაგრამ

გამცირებთ რა ირიბი ალესვით  $\angle\delta_1 < 90^\circ$  კუთხეს, ამავე დროს იზრდება  $\angle\delta_2 > 90^\circ$  (ნახ. 11.4, ბ პოზ. II) მეორე გეერდით მჭრელ პირთან. ეს არახელსაყრელია, ვიდრე  $\angle\delta_2 = 90^\circ$ .

თუ მთავარი მჭრელი პირი აბ პირდაპირი ალესვისას ჭრის ბოჭქოებს განივად # (ნახ. 11.4, ა პოზ. III), ირიბი ალესვის დროს (ნახ. 11.4, ბ პოზ. III) მთავარი მჭრელი პირი ჭრის განივტორსული მიმართულებით (#-⊥), ე.ი. წინაღობა იზრდება, მაშასადამე, რამდენადაც ნაკლებია  $\delta_1$  ირიბი ალესვის კუთხე, მით უფრო უმჯობესდება განახერხის სისუფთავე და გეერდით მჭრელ პირს და უადვილებს ჭრას, მაგრამ იზრდება  $\delta_1$ , რაც აუარესებს ხერხის პირობებს.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ჭრის პირობების ასეთი გაუარესება აუცილებელია და მისაღები, ვინაიდან ჩვენ ვუქმნით ხერხის კბილის გვერდით მჭრელიც ტორსულად ჭრის) უკეთეს პირობებს, რადგანაც ტორსული ჭრის წინაღობა გაცილებით მეტია, ვიდრე განივი ჭრისა და ჭრის ზედაპირი იქმნება არა მთავარი მჭრელი პირით, არამედ კბილის გადაყრის მხარეს მდებარე გეერდითი მჭრელი პირით. ამიტომ განივი ხერხის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კბილის ირიბი ალესვა.


განვიხილოთ საკითხი, შეიძლება თუ არა გამოვიყვანოთ გვერდითი მჭრელი პირი  $\angle\delta_2 < 90^\circ$  კუთხით ჭრის პროცესიდან.

ბურბუშელის განიგვეთის წარმოქმნა გადაყრილი კბილებისათვის პირდაპირი ალესვით, როცა  $\delta_1 = \delta_2 = 90^\circ$ , ნაჩვენებია ნახ. 11.5, ა-ზე (განივევთი 1-2-3-4), ხოლო ნახ. 11.5, ბ-ზე ნაჩვენებია განივევთი ირიბი ალესვით, როდესაც  $\delta_1$  და შესაბამისად კუთხე განახერხის კედელთან  $\varepsilon$  ნაკლებია  $90^\circ$ -ზე, ხოლო  $\delta_2$  და შესაბამისად კუთხე განახერხის შუა ნაწილში  $\varepsilon_1$  მეტია  $90^\circ$ -ზე.

როგორც ნახ. 11.5, ა, ასევე ნახ. 11.5, ბ-ზე ერთ კბილზე მიწოდებისას, განახერხის კედლებთან მიიღება ერთ კბილზე მიწოდება  $2c$ -ს ტოლი.

ისმის კითხვა – შეგვიძლია თუ არა გამოვიყვანოთ ჭრის პროცესიდან მთლიანად მთავარი მჭრელი პირი და გადავიტანოთ

მუშაობა გვერდით მჭრელ პირზე, თურმე ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ოთხწახნაგა საჭრისს გადავაკეთებთ სამწახნაგა დანად, რომლის გვერდითი მჭრელი პირი გადაჭრის ბოჭკოებს ტორსში, დახრილი წინა წახნაგი კი ჩახლებს ბურბუშელის ელექტროგებს განახერხში  $P_1$  ძალით. საჭრისზე პირდაპირი აღლესვით (ნახ. 11.4. პოზ. I) წინა წახნაგზე მოქმედი ნორმალური  $N$  ძალა იშლება ორ ძალად –  $P_1$  ჭრის ძალად და  $P_2$  ძალად, რომელიც ჭრის ძალის მართობია. წინა წახნაგის  $\delta_1$  კუთხით დახრისას (ნახ. 11.4, ბ) კი წარმოიქმნება წინა წახნაგზე მოქმედი ნორმალური  $P$  ძალა, რომელიც  $P_1$ ,  $P_2$  და  $P_3$  ძალების ჯამის ტოლია.  $P$  ძალის გავლენით ხდება მერქნის მოხლეება ბოჭკოების გასწვრივ. საანგარიშო ფორმულები განივი ხერხვისას იგივეა, რაც გრძივი ხერხვისას, მაგრამ ადსანიშნავია, რომ ჭრის ამ შემთხვევაში  $U$  და  $V$  ვექტორებს შორის  $\Theta$  კუთხის, ჭრის  $h$  სიმაღლის და ჭრის  $V$  სიჩქარის ცვლილება პრაქტიკაში გამოყენებულ სიდიდეთა ფარგლებში არ იწვევს კუთრი წინაღობის ცვლილებას, რაც ჩატარებული ცდებიდან მტკიცდება. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ განახერხის სიგანე მეტია ბურბუშელის სიგანეზე და გვერდითი მჭრელი წიბო, რომელიც აწარმოებს ტორსულ ჭრას მუშაობს ნორმალური ჭრის პირობებში.



ნახ. 11.5. ბურბუშელის განიგდვეთი:  $\alpha$  – საჭრისის პირდაპირი აღლესვისას;  $\delta$  – საჭრისის ირიბი აღლესვისას

ჭრის კუთრი წინაღობა ადნიშნული ჭრის შემთხვევაში იანგარიშება ფორმულით

$$K = k + \frac{a_\rho P_\vartheta}{c}, \quad (11.18)$$

სადაც

$$c = \frac{1000U}{zn}. \quad (11.19)$$

$P_\vartheta$ -ს მნიშვნელობა ფიჭვისათვის  $P_\vartheta = 0,1$  პგ/მმ;

არყისათვის  $P_\vartheta = 0,12$  პგ/მმ;

მუხისათვის  $P_\vartheta = 0,15$  პგ/მმ.

შესაბამისად ფიჭვის, არყისა და მუხისათვის:

$$k = 6,2 - 1,4b - [0,042 - 0,0006(90 - \delta)]\varphi;$$

$$k = 8 - 1,8b - [0,058 - 0,0008(90 - \delta)]\varphi;$$

$$k = 10 - 2,2b - [0,007 - 0,001(90 - \delta)]\varphi.$$

როცა  $c < 0,05$  მმ, მაშინ  $P_{m\text{მაქ}} = 200 - 315 \text{ პგმ}$ ;

როცა  $0,06 < c < 0,5$  მმ, მაშინ  $P_{m\text{მაქ}} = 315 - 500 \text{ პგმ}$ ;

როცა  $0,2 < c < 0,5$  მმ, მაშინ  $P_{m\text{მაქ}} = 500 - 800 \text{ პგმ}$ .

განვითარებული სხვა პარამეტრების გაანგარიშება წარმოებს გრძივი ხერხების ანალოგიურად.

## თავი XII

ჰრის რეზიმების გაანგარიშება და პინემატიკა  
ჩარჩო ხერხით ხერხისას

12.1. ჩარჩო ხერხის კინემატიკა. ძირითადი  
კინემატიკური თანაფარდობანი

ჩარჩო ხერხით ხერხები არის მორქბის ძელებად და ფიცრებად გრძივად დახერხვის პროცესი გერტიკალური ან პორიზონტალური სახერხი ჩარჩოთი.

სახერხი ჩარჩო ორი სახისაა: გერტიკალური და პორიზონტალური.

გერტიკალურ სახერს ჩარჩოში რაოდენობა აღწევს 12-ს და ზოგჯერ უფრო მეტსაც (ნახ. 12.1).

ჩარჩო ხერხის ჭრის მექანიზმს წარმოადგენს მრუდმხარაცოცია მექანიზმი (ნახ. 12.2). მრუდმხარას  $\alpha$  კუთხეზე მობრუნებისას ბარბაცას ზედა ბოლო გადაადგილდება  $B$  წერტილში. ამ შემთხვევაში ბარბაცას დერძი I-I ხაზთან ადგენს  $\beta$  კუთხეს. A წერტილზე გავატაროთ II-II პარალელური II-II წრფე, ამავე წერტილიდან გადავზომოთ ბარბაცას სიგრძის ტოლი მონაკვეთი Ac. დავაგეგმილოთ  $c$  წერტილი I-I წრფეზე, ხოლო  $B$  წერტილი – II-II წრფეზე, მივიღებთ შესაბამისად  $B_2$  და  $c_1$  წერტილებს. ბარბაცას ზედა ბოლოს (ჩარჩოს) გადაადგილდება  $S_\alpha = x = B_1B = B_1B_2 - BB_2$ , მაგრამ  $B_1B_2 = A_1A_2$  და  $BB_2 = c_1c$ , ამიტომ  $S_\alpha = A_1A_2 - c_1c$ .

ნახ. 12.2-დან ჩანს, რომ


$$A_1A_2 = R - R\cos \alpha = R(1 - \cos \alpha),$$

საიდანაც

$$c_1c = L - L\cos \beta = L(1 - \cos \beta);$$

$$S_\alpha = R(1 - \cos \alpha) - L(1 - \cos \beta). \quad (12.1)$$

გერტიკალურ ჩარჩო ხერხში მრუდმხარას რადიუსის შეფარდება ბარბაცას სიგრძესთან არის  $\frac{R}{L} = \frac{1}{12}$ . ასეთი შეფარდებისას  $\beta_{\text{და}} = 5^\circ$ , ხოლო  $\cos \beta_{\text{და}} = 0,9961 \approx 1$ , ამიტომ (12.1) ფორმულა მიიღებს სახეს



ნახ. 12.1. სახერხის ჩარჩოს კინემატიკური სქემა ცენტრალური  
მრუდმხარაბარბაცა მექანიზმით: 1 – მრუდმხარა; 2 – ბარბაცა;  
3 – სახერხის ჩარჩოს ქვემოთა განივა; 4 – მორი.

$$S_\alpha = R(1 - \cos \alpha). \quad (12.2)$$

ჩარჩოს მოძრაობის სიჩქარე

$$V_\alpha = \frac{dS_\alpha}{dt} = R \sin \alpha \frac{d\alpha}{dt} = R\omega \sin \alpha = V_0 \sin \alpha, \quad (12.3)$$

სადაც  $V_0 = R\omega$  მრუდმხარას  $A$  წერტილის წრიული სიჩქარეა, რომელიც ტოლია

$$V_0 = \frac{\pi n H}{60} = \text{const},$$

სადაც  $H = 2R$  ჩარჩო ხერხის სვლაა.

წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების აჩქარება

$$W_\alpha = \frac{dV_\alpha}{dt} = V_0 \cos \alpha \frac{d\alpha}{dt} = V_0 \cos \alpha = \frac{V_0^2}{R} \cos \alpha. \quad (12.4)$$

წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების ინერციის ძალა

$$K_\alpha = -m W_\alpha = -\frac{G V_0^2}{g R} \cos \alpha = -\frac{G H n^2}{1800} \cos \alpha, \quad (12.5)$$

სადაც  $g$  სიმძიმის ძალის აჩქარებაა და უდრის  $9,81 \text{ N}/\text{kg}^2$ ;  $C$  – წინსვლით-უკუსვლით მოძრავი მასების

(m) წონა.

(12.5) ფორმულიდან ჩანს, რომ  $K_\alpha$  იზრდება  $H$ -ის პროპორციულად და  $n$ -ის კვადრატის პროპორციულად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი პრაქტიკული დასკვნებისათვის.


სშირად სარგებლობები ჩარჩოს მოძრაობის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობით

$$V_{ab} = \frac{2Hn}{60} = \frac{Hn}{30} \text{ m/s}. \quad (12.6)$$

საშუალო სიჩქარესა  $V_\alpha$  და მრუდმხარას თითის ( $A$  წერტილის) სიჩქარეს  $V_0$  შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$V_0 = \frac{\pi H n}{60} = \frac{\pi}{2} \frac{H n}{30} = \frac{\pi}{2} V_\alpha. \quad (12.7)$$

მიწოდების მოძრაობა (ნახ. 12.3) ხორციელდება დაღარული  $A$  ვალცებით, რომლებიც მოძრაობაში მოდიან კონტრილუდმხარა-ბარბაცა მექანიზმით ( $rL_1$ ).  $l$  საწევარის რხევის მოძრაობა იწვევს მასზე დამაგრებული სოლური მუშტას ჩაჭედვას ფრიქციულ ნ თვალში,



ნახ. 12.2. ჩარჩო ხერხის მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის სქემა

რის გამოც ეს თვალი მობრუნდება გარკვეული კუთხით. ამ უკანასკნელთან ხისტადაა დაკავშირებული კბილანა თვალი I, რომელიც მოდებაშია 2-2 კბილებთან. კბილანა I თავისუფლადაა მოთავსებული 0 დერძზე, ხოლო კბილანა 2 დამაგრებულია ქვედა დაღარული A ვარცების დერძზე და მოპყავს ისინი მოძრაობაში. ზედა მოჭერი დაღარული  $A_l - A_l$  ვალცები მოძრაობაში მოდის ჯაჭვური გადაცემით და კბილანებით. ჩარჩო ხერხის მიწოდების სიჩქარე

$$U = iV'_0 \sin \alpha, \quad (12.8)$$

სადაც  $V'_0 = \frac{2\pi n}{60}$  წარმოადგენს კონტრმრუდმხარას თითის წრიულ სიჩქარეს;  $i$  გადაცემათა რიცხვია კონტრმრუდმხარა მექანიზმიდან დაღარულ ვალცებზე  $\left( i = \frac{z_1}{z_2} \cdot \frac{r_3}{l} \right)$ .

მიწოდება ერთ ბრუნვაზე (ჩაწოდება) ტოლია

$$\Delta = i2r. \quad (12.9)$$

კონტრმრუდმხარას  $\alpha$  კუთხეზე შემობრუნების დროს მიწოდება გამოითვლება ფორმულით

$$\Delta_\alpha = \frac{\Delta}{2}(1 - \cos \alpha). \quad (12.10)$$

დამჭერი ურიკის (მორთან ერთად) მასების აჩქარება


$$W'_\alpha = \frac{(iV'_0)^2}{\Delta} \cos \alpha, \quad (12.11)$$

შესაბამისი ინერციის მალა

$$K'_\alpha = -\frac{G'}{g} \cdot \frac{(iV'_0)^2}{\frac{\Delta}{2}} \cos \alpha = -\frac{G' \Delta n^2}{1800} \cos \alpha, \quad (12.12)$$

სადაც  $G'$  მორის დამჭერი ურიკის წონაა მორთან ერთად.

ბრუნვათა რიცხვის ზრდა იწვევს ინერციის ძალების ზრდას ბრუნვათა რიცხვის კავდრატის პროპორციულად, რაც უარყოფითად მოქმედებს მიწოდების მექანიზმზე, ვიდრე ჭრის მექანიზმზე, რადგან ჩარჩოს სისტემა ხისტადაა დამაგრებული საძირკველზე, ხოლო მიწოდების სისტემაში შედის რელსზე მოძრავი ურიკა.



ნახ. 12.3. სახელის ჩატრის კინემატიკური სქემები ბიძგური მიწოდებებით:  
 ა – ერთმაგი ბიძგური მიწოდება; ბ – ორმაგი ბიძგური მიწოდება;  
 რ – კონტრმრულმხარას რადიუსი; ს – საწევარი; К – სოლი;  
 $L_1$  – კონტრმრულმხარას პარაცა; Б – ფრიქიული თვალი;  
 $r_3$  – დაღრული გალცის რადიუსი, რომელზეც დგეს მორი;  
 $A_1, A_1$  – ზედა გალციბი;  $AA$  – ქვედა გალციბი;  $z_1$  – წამყანი  
 ქბილანის ქბილთა რიცხვი;  $z_2$  – ამოლი ქბილანის ქბილთა რიცხვი.

მიწოდება შეიძლება განხორციელდეს სრულ მუშა და უქმდებაზე, აგრეთვი ნაწილობრივ უქმდება.

არსებობს ორმაგი ბიძგური მიწოდებაც, ოომლის დროსაც მიწოდება ხორციელდება ლილვის სრულ ბრუნვაზე ორი კონტრმრუდმხარის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ერთი ბიძგი მუშა სკლაზე, მეორე უქმ სკლაზე (ნახ. 12.3, ბ). მიწოდების სიჩქარე გამოითვლება ფორმულით

$$U = \frac{\Delta n}{1000} \partial/\!\!\!\partial \phi. \quad (12.13)$$

ერთი და ოგივე ა ჩაწოდებისას მიწოდების სიჩქარე  $U$  იზრდება ბრუნვათა რიცხვის გაზრდით, რაც თავის მხრივ იწვევს ჩარხის მწარმოებლურობის ზრდას, მაგრამ, როდესაც  $n > 250$  ბრუნვა, ინერციის ძალის გაფლენა მეტად მნიშვნელოვანია,

რადგან იგი იზრდება ბრუნვათა რიცხვის კვადრატის პროპორციულად. ინერციის ძალის მოქმედება აჩქარების საწინააღმდეგოდ იწვევს მორის თითქმის თანაბარ მოძრაობას.

მიწოდების მექანიზმში ინერციის ძალის თავიდან აცილების მიზნით თანამედროვე სახეობა ჩარჩოში გამოყენებულია მექანიზმი უწყვეტი მიწოდებით (ნახ. 12.4).

ასეთ მექანიზმში დაღარული ვალცების ბრუნვა ხორციელდება ძირითად ლილებზე მოთავსებული ბორბლიდან ფრიქციული წყვილით 1,2, საიდანაც მოძრაობა გადაეცემა კბილანებს 5, 6 კონუსური ან ჭიათურანული წყვილით 3, 4. კბილანებს 5, 6 თავის მხრივ მოძრაობაში  $d_3$  ვალცები.

ამ შემთხვევაში


$$U = \text{const} \quad \text{და} \quad K'_\alpha = 0.$$

მიწოდების სიდიდის შესაცვლელად საჭიროა მორბედის 2 მდებარეობის შეცვლა ფრიქციული დისკოს 1 ბრუნვის 0 ცენტრის მიმართ. თუ მორბედს გადავიტანთ ფრიქციული დისკოს ბრუნვის ცენტრის მეორე მხარეს (მდებარეობა 2<sup>1</sup>), მაშინ მორი გადაადგილდება საწინააღმდეგო მიმართულებით.

ყოველ მოცემულ მოქნებში  $U_\alpha$  და  $V_\alpha$  სიჩქარეების გეომეტრიული შეკრების დროს, როცა ჩარჩოს მუშა ან უქმი სვლის დასაწყისი ემთხვევა მიწოდების დაწყებას, გვექნება

$$\frac{U_\alpha}{V_\alpha} = \frac{iV'_0 \sin \alpha}{V_0 \sin \alpha} = \tan \varphi = \text{const} \quad (12.14)$$

ე.ი. კბილანების წვეროების ტრაექტორია პარალელური წრფეებია, მიწოდება კბილზე  $c = \text{const}$  და მუდმივი ბიჯის შემთხვევაში ბურბულის მუდმივი სიდიდისაა.



ნახ. 12.4. უწყვეტი მიწოდების სახერხისარჩოს მიმწოდი მექანიზმის კინემატიკური სქემა

როდესაც მიწოდების დასაწყისი არ ემთხვევა მუშა ან უქმი სვლის დასაწყისს, მაშინ  $\frac{U_\alpha}{V_\alpha}$  იქნება ცვალებადი სიდიდის  $\alpha$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.

ამ შემთხვევაში მრუდმხარას  $\alpha$  კუთხით მობრუნებას შექსაბამება კონტრმრუდმხარას  $\alpha_1$  კუთხეზე მობრუნება. ამიტომ

ზემოთ აღნიშნული ფარდობა  $\left(\frac{U_\alpha}{V_\alpha}\right)$  არ იქნება მუდმივი.

$\frac{U_\alpha}{V_\alpha}$  ცვალებადი სიდიდეა აგრეთვე უწყვეტი მიწოდებისას,


რადგან  $U_\alpha = \text{const}$ , როდესაც  $V_\alpha = f(\alpha)$ . მაშასადამე კბილების წვეროების ტრაექტორია მრუდწირულია და ბურბუშელის სისქეც ცვალებადი სიდიდისაა.

## 12.2. ხერხის დახრილობისა და ჩაწოდების სიდიდეთა ფარდობა

ბურბუშელის ნომინალური კვეთის აგებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ხერხის კბილების წვეროების ურთიერთგანლაგება წვეროების ხაზის მიმართ. განახერხის ფუძე ყოველთვის ხერხის კბილების ხაზის პარალელური რჩება, რომლებიც ვერტიკალურ სახერხ ჩარჩოზე ხერხვისას ყოველთვის ერთმანეთის პარალელურია. თუ კბილის ტრაექტორია მუშა სვლაზე მდებარეობს განახერხის ფუძიდან მარცხნივ, მაშინ ადგილი აქვს ხერხის კბილის შექრას მერქანში.

თუ მუშა სვლაზე ტრაექტორიის ნაწილი მდებარეობს განახერხის ფუძიდან მარჯვნივ, ხერხვა არ ხდება და მუშა სვლა გამოიყენა არასრულად (ადგილი აქვს მუშა სვლის დანაკარგება).

თუ ტრაექტორია უქმ სვლაზე მდებარეობს განახერხის ფუძიდან მარცხნივ, მაშინ კბილების უკანა წახნაგით ხდება მორის უკან გდება მიწოდების საწინააღმდეგოდ (რადგან კბილებს არ შეუძლიათ ჭრა უკანა წახნაგით), ამის გამო ადგილი აქვს მიწოდების დანაკარგება. გარდა ამისა, მორის კბილებზე დაწოლისას ხდება დანადგარის მოშლა და ზოგჯერ ავარიაც. ხერხის დახრილობა შეირჩევა ამ მოსაზრებების გათვალისწინებით.



ნახ. 12.5. ხერხის დამაგრების მიმართულებანი სხვადასხვა  
მიმმართველებში:

ა – მიმმართველების გამოტანისას; ბ – მიმმართველების  
დახრისას; გ – მიმმართველების ვერტიკალური დერძული  
გახლაგებით

### უწყვეტი მიწოდება დახრილი მიმმართველებით

მიმმართველების ერთ დერძზე განლაგებით (ნახ. 12.5) ხერხის დახრა შეიძლება განვახორციელოთ მისი დაჭიმული ჩამოკიდებით, ბრტყელას დერძის მიმართ დახრით. ხერხის კბილების გასწვრივ თანაბარი დაჭიმულობა (ნახ. 12.5, ბ). რისთვისაც ზედა მიმმართველი გადაადგილებულია ისე, რომ შეიქმნას  $\frac{\Delta}{2}$  ის ტოლი დახრა,

სადაც ხერხი იჭიმება დერძის გასწვრივ (ნახ. 12.5, ა). როცა გამოყენებულია დახრილი მიმმართველებით ჩაკიდება (ნახ. 12.5, ბ), მაშინ ჩარჩო და მასში ვერტიკალურად დამაგრებულია ხერხი უახლოვდება მორს მუშა სვლისას და შორდება მას უქმი სვლისას დახრილ მიმმართველებში გადაადგილების ხარჯზე.

## უწყვეტი მიწოდება მოქანაგე მიმმართველებით

$$\text{ამ } \frac{\text{შემთხვევაში}}{} P_b = \frac{KbhU_z}{l} \quad \text{რხევის ამპლიტუდა. რხევა}$$

ხორციელდება მექანიზმით, რომელიც უქმი სვლისას გამოიყვანს განახერხის ფუძიდან და ხერხის ვერტიკალური განლაგება შესაძლებელია. ამ შემთხვევაში

$$\Delta_{\text{ას.}} = 2Htg\varphi_{\text{ას.}},$$

სადაც  $\varphi_{\text{ას.}}$  მიმმართველების რხევის მაქსიმალური კუთხეა.

### 12.3. ჭრის პროცესის პარამეტრები ჩარჩო ხერხით ხერხისას

ჭრის პროცესის პარამეტრები ჩარჩო ხერხით ხერხისას გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

ჭრის საშუალო სიჩქარე

$$V_b = \frac{2H'n}{60 \cdot 1000} \text{ მ/წთ,} \quad (12.15)$$

სადაც  $H'$  ხერხის სვლაა, მმ;  $n$  – მრუდმხარა ბრუნვათა რიცხვი, წთ.

მიწოდება ხერხის ერთ მუშა სვლაზე (ჩაწოდება)

$$\Delta = \frac{U_b \cdot 1000}{n} \text{ მმ,} \quad (12.16)$$

სადაც  $U_b$  მიწოდების საშუალო სიჩქარეა, მ/წთ.

მიწოდება ხერხის ერთ კბილზე

$$U_z = \Delta \cdot \frac{t}{H'} \cos \varphi \text{ მმ} \quad (12.17)$$

(უქმ სვლაზე, ბიძგური მიწოდების დროს), სადაც  $\varphi$  ხერხის დახრაა, გრად;  $t$  – ხერხის კბილის ბიჯი.

მუშა სვლაზე ბიძგური მიწოდების დროს

$$U_z = \Delta \cdot \frac{t}{H'} \text{ მმ.} \quad (12.18)$$

უწყვეტი მიწოდების დროს

$$U_z = \Delta \cdot \frac{t}{H'} \cos \varphi \text{ მმ.} \quad (12.19)$$

ერთდროულად ჭრაში მონაწილე კბილების რიცხვი

$$z = \frac{h}{t}, \quad (12.20)$$

სადაც  $h$  განახერხის სიმაღლეა, მმ.

ჩარჩოს ხერხით ხერხის დროს ჭრის ძალები გამოისახება შემდეგი დამოკიდებულებებით:

საშუალო ჭრის ძალა მუშა სვლაზე

$$P_b = K \cdot \frac{b \sum h \Delta}{H'} \text{ ძღ,} \quad (12.21)$$

სადაც  $\sum h$  ხერხთა წყობაში მოთავსებული ხერხების ჯამური განახერხის სიმაღლეა მმ.

საშუალო ჭრის ძალა ხერხის ორმაგ სვლაზე

$$P_b = \frac{P}{2} = K \cdot \frac{b \sum h \Delta}{2H'} \text{ ძღ,} \quad (12.22)$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = K \frac{b \sum h U_b}{60 \cdot 120} = K \cdot \frac{b \sum h \Delta n}{1000 \cdot 102 \cdot 60} \text{ ძღ.} \quad (12.23)$$


(ამოცანები – იხილეთ დანართი).

## თავი XIII

### რანდგა

რანდგა არის მერქნის ჭრით დამუშავების პროცესი ბურბუ-შელის გამოყოფით, რომლის დროსაც დასამუშავებელი ზედა-პირი, ჭრის ზედაპირი და ჭრის სიბრტყე ერთმანეთს ემთხვევა.

რანდგის პრინციპით მუშაობს ფანერასასახდელი (ნახ. 13.1, ა), საბურტულელე, საარმატურე (ნახ. 13.1, ბ), სარანდ-მოსაპირკეთე-ბელი ჩარხები.



ნახ. 13.1. რანდგის სქემები: ა – გრძივი რანდგა; ბ – განივი რანდგა; გ – დახურული რამდგა - ამოტება

ბურბუშელის მოხსნის პროცესი აღნიშნულ ჩარხებზე შეესა-ბამება ელემენტარული ჭრის პირობებს, მაგრამ არსებობს რთული ჭრის შესაბამისი რანდგის პროცესით.

რანდგა არის ორი სახის: განივი და გრძივი.

**განივი რანდგა** ხორციელდება ფანერასასახდელ ჩარხზე დანით, რომელიც მოძრაობს სწორხაზოვნად უძრავად დამაგრებული ნამზადის მიმართ (ნახ. 13.1, ბ).

მყარი ბურბუშელის (ფანერის) მისაღებად მერქანი წინასწარ უნდა შეიორთქდოს და დამუშავდეს ცხელ ( $35^{\circ}\text{C}$ -მდე) მდგომა-

რეობაში. ბურბუშელის მოხსნის პროცესს თან ახლავს ბურბუშელის მოხსნის პროცესს თან ახლავს ბურბუშელის მოჭიმვა 10-25%-მდე. რანდვით ჭრის საშუალო სიჩქარე მიახლოებით განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$V = \frac{2Hn}{60} = \frac{Hn}{30} \vartheta / \text{წ}, \quad (13.1)$$

სადაც  $H$  დანიანი სუპორტის სვლის სიდიდეა, მ;  $n$  დანიანი სუპორტის ორმაგი სვლათა რიცხვი, წ.

პრაქტიკულად ჭრის სიჩქარე  $V$  შეიძლება იყოს 0,2-0,5 მ/წ. დანის კუთხეური პარამეტრებია  $\alpha = 2^\circ \dots 5^\circ$ ,  $\beta = 18^\circ \dots 23^\circ$ . რადგანაც მიწოდების მოძრაობა შეადგენს ჭრის სიჩქარის მიმართულებას-თან  $90^\circ$ -იან კუთხეს, ამიტომ

$$e = c \sin \Theta = c, \quad \text{მმ.} \quad (13.2)$$

ბურბუშელის სისქე შეიძლება იყოს 0,3...5 მმ-მდე. ჭრის ძალა  $P = K \cdot le$  კბ,

სადაც  $K$  ჭრის კუთრი წინაღობაა,  $kN/mm^2$ ;  $l$  – კუნძის სიგრძე (ბურბუშელის სიგანე), მმ;  $e$  – ბურბუშელის სისქე, მმ.

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{PV}{102} \text{ კბ.} \quad (13.3)$$

**გრძივი რანდვა** ხორციელდება საარმატურებელ, სარანდმოსაპირკეთებელ და საბურბუშელე ჩარხებში (ნახ. 13.1, ა).

საბურბუშელე ჩარხებე მუშავდება ნედლი მერქანი. ამ შემთხვევაში ჭრის კუთხე  $\delta = 30^\circ \dots 40^\circ$ , ხოლო ბურბუშელის სისქე  $e = 0,05 \dots 1$  მმ. საასტამურებელ და სარანდ-მოსაპირკეთებელ ჩარხებზე მუშავდება მშრალი მერქანი. ბურბუშელის სისქე  $e = 0,05$  მმ-მდე. ჭრის კუთხე  $\delta = 80^\circ$  (საასტამურებელ ჩარხებზე) და  $\delta = 45^\circ \dots 50^\circ$  (სარანდ-მოსაპირკეთებელი ჩარხებზე).

ჭრის ძალა რანდვისას განისაზღვრება ფორმულით

$$P = K \cdot b \cdot e \text{ კბ,} \quad (13.4)$$

სადაც  $b$  ნამზადის სიგანეა, მმ.

ამოტებვისას (ნახ. 10, გ)  $c \parallel U$ ;  $e \perp V$  და

$$L = z \cdot c, \quad (13.5)$$

სადაც  $L$  ბუდის სიგრძეა, მმ;  $z$  – ბუდის სიგრძის მიღებისას ჩანაჭერთა რიცხვი.

(ამოცანები – იხილეთ დანართი).

## თავი XIV

### ზრდაში

ფრეზვა არის ჭრის პროცესი, როდესაც მიიღება სუფთად დამუშავებული განსაზღვრული ფორმის დეტალები. ეს პროცესი ხორციელდება მბრუნავი საჭრისებით (ფრეზებით, დანიანი ლილ-ვებით და სხვ.), მერქნის მექანიკურ დამუშავებაში ფრეზვა ყველაზე გავრცელებული ჭრის პროცესია. საფრეზვი ჩარჩების ჯგუფს მიეკუთვნება საშალაშინებელი, სარაისმუსო, ოთხმრივ სარანდი, კოტასაჭრელი, საკილო და სხვა ჩარჩები.

ფრეზვით ჭრის პროცესის შესასრულებლად საჭიროა შესრულდეს ორი მოძრაობა – ჭრის, ანუ მთავარი მოძრაობა და მიწოდების მოძრაობა. ფრეზვით მერქნის დამუშავებისას, როგორც წესი, მიწოდების მოძრაობა ხორციელდება დასამუშავებელი დეტალით, მთავარი მოძრაობა კი მბრუნავი მჭრელი იარაღით.

ცილინდრული ფრეზვის დროს (იხ. ნახ. 4.8, ბ) იარაღის დერძი დასამუშავებელი ზედაპირის პარალელურია, ხოლო საჭრისების მჭრელი პირები შემოწერს ცილინდრულ ზედაპირს. ფრეზვის ეს სახე სხვა დანარჩენ სახეებთან შედარებით მეტად გავრცელებული იყო.

ტორსული ფრეზვისას ინსტრუმენტის ბრუნვის დერძი დამუშავების ზედაპირის პერპენდიკულარულია. ასეთ ფრეზებს აქვთ მჭრელი პირის გვერდითი და ტორსული ელემენტები. ძირებითად მუშაობას ახორციელებს გვერდითი მჭრელი პირები, რომლებიც მუშაობენ ცილინდრული ფრეზვის პრინციპით. ფრეზვის ეს სახე მერქნის მასალების დამუშავებაში თითქმის არ გამოიყენება. ამ მეთოდით მუშაობს კიდური და ფასონური ფრეზვის ცალკეული ელემენტები.

ფასონური, ანუ პროფილური ფრეზვის დროს მჭრელ პირს აქვს რთული აღწერილობა, იგი შედგება მრუდხაზოვანი და სწორხაზოვანი ელემენტებისაგან.


#### 14.1. ჭრის ტრაექტორია

ფრეზვის პროცესი ხორციელდება იარაღის თანაბარი ბრუნვის და ნამზადის თანაბარი მიწოდების შემთხვევაში.

მთავარი მოძრაობა ხასიათდება წრიული სიჩქარით –  $V$  მ/წ, რომელიც ჭრის რკალზე (საჭრის წვეროზე) რადიუსის პერპენდიკულარულია, მიწოდების მოძრაობა – მიწოდების სიჩქარით –  $U$  მ/წ.

მიწოდების მოძრაობა შეიძლება მიმართული იყოს ინსტრუმენტის ბრუნვის შემხვედრად ან პირიქით, ემთხვეოდეს ბრუნვის მიმართულებას.

პირველ შემთხვევაში მიწოდებას უწოდებენ შემხვედრს (ნახ. 14.1, ა), მეორე შემთხვევაში კი თანხვდენილს (ნახ. 14.1, ბ). ფრეზის ორივე მოძრაობის (ბრუნვითი და გადატანითი) შეჯამებით საჭრისის მჭრელი პირის მოძრაობის ტრაექტორია  $XOY$  უძრავი კოორდინატთა სისტემის მიმართ გამოისახება ციკლოიდური მრუდით. ნახ. 14.1, ბ-ზე ნაჩვენებია ჭრის ტრაექტორია თამხვდენილი მიწოდებისას.



ნახ. 14.1. ჭრის ტრაექტორია ცილინდრული ფრეზისას:  
ა – შემხვედრი მიწოდებისას; ბ – თანხვდენილი მიწოდებისას

$V$  და  $U$  სიჩქარეთა გეომეტრიული ჯამი  $D = 125$  არის ჭეშმარიტი ჭრის სიჩქარე  $V_3$ .

უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკული გაანგარიშებისას, ჭრის ტრაექტორიად თვლიან არა ციკლოიდას, არამედ წრეხაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ ჭრის სიჩქარის ფარდობა მიწოდების სიჩქარესთან ძალიან დიდია  $\left(\frac{V}{U} = 30\dots 100\right)$ . აქედან გამომდინარე, მთავარი მოძრაობის სიჩქარე შეიძლება მივიღოთ, როგორც ჭრის სიჩქარე  $V_{\frac{1}{2}} = V$ . ყველაზე არასასურველ პირობებში ასეთი დაშვების ცდომილება არ აღემატება  $\pm 3\%$ .

## 14.2. გრძივი ფრეზვა

გრძივი ფრეზვის დროს ფრეზის მიმართულება ემთხვევა ბოჭკების მიმართულება (იხ. ნახ. 4.8, ა).

დანებიანი ლილვის ბრუნვისას დეტალიდან მოიხსნება ნამგლისებრი პროფილის (ციკლოიდური) ბურბუშელა. ასეთი ჭრა მიეკუთვნება ლია ჭრას. წრიული სიჩქარე  $V$  მუდმივია,  $V = \frac{\pi Dn}{60 \cdot 100} = const$ , მისი ვექტორი მჭრელი პირის წრის რადიუსის პერპენდიკულარულია და იცვლის მიმართულებას დამუშავებული ზედაპირის მიმართ, ჭრის კონტაქტის  $l$  სიგრძეზე ბურბუშელის სისქე  $e$  ცვალებადია.

რადგანაც გრძივი ფრეზვის დროს ბოჭკოების მიმართულება მიწოდების მიმართულების პარალელურია, როგორც ნახ. 4.8, ბლან ჩანს, იცვლება ბოჭკოების გადაკვეთის კუთხე  $\psi$ . კინგმატიკური შეხვედრის კუთხე  $\psi$   $\Theta_b = \frac{\varphi}{2}$ ,  $\Theta_{max} = \varphi$  სადაც  $\varphi$  კონტაქტის კუთხეა.

ფრეზვის დროს მიღებული ბურბუშელა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც მართკუთხედი (იხ. ნახ. 4.8, ბ). ამ შემთხვევაში

$$U_z h = e_b \cdot l, \quad (14.1)$$

სადაც  $U_z$  მიწოდების სიღიდეა დანიანი ლილვის ერთ ბრუნვაზე, მმ;  $h$  – ფრეზვის სიღრმე, მმ;  $e_b$  – ბურბუშელის საშუალო სისქე, მმ.

ბურბუშელის საშუალო სისქე

$$e_b = \frac{U_z \cdot h}{l} \partial \partial; \quad (14.2)$$

საშუალო ჭრის ძალა

$$P_b = K \cdot b e_b \quad \text{ძბ}, \quad (14.3)$$

სადაც  $b$  ჭრის სიგანეა, მმ;  $K$  – ჭრის კუთრი წინადობა, კგ/მმ<sup>2</sup>.

(14.2) ფორმულის გათვალისწინებით გვექნება

$$P_b = \frac{KbhU_z}{l} \quad \text{ძბ}. \quad (14.4)$$

მუშაობა, რომელიც იხარჯება ერთ ჭრაზე ტოლია

$$A_{\text{ჭ}} = P_b \cdot l \quad \text{ძბ} \cdot \text{მმ}, \quad (14.5)$$

რომელიც (14.4) ფორმულის გათვალისწინებით მიიღებს სახეს

$$A_{\text{ჭ}} = \frac{KvU_z h}{l} l = KbU_z h \quad \text{ძბ} \cdot \text{მმ}, \quad (14.6)$$

ანუ მუშაობა კგ·მმ-ში იქნება

$$A_{\text{ჭ}} = \frac{KbU_z h}{1000} \quad \text{ძბ} \cdot \text{მმ}, \quad (14.7)$$

სიმძლავრე

$$N = \frac{A}{T} \frac{\text{ძბ}^2}{\text{წ}} \quad (14.8)$$

$$\text{სადაც } T = \frac{60}{n} \quad \text{წ}.$$

ჩავსვათ  $A$ -ს და  $T$ -ს მნიშვნელობები (14.8) ფორმულაში, მივიღებთ ერთი საჭრისის მუშაობის სიმძლავრეს

$$N = \frac{KbU_z hn}{60 \cdot 1000} \quad \text{ძბ} \cdot \text{წ} \quad (14.9)$$

$z$  საჭრისის მუშაობისას გვექნება

$$N = \frac{KbU_z hnz}{60 \cdot 1000 \cdot 102} \quad \text{ძბ} \cdot \text{წ}, \quad (14.10)$$

მიწოდების სიჩარე

$$U = \frac{U_z z n}{1000} \quad \text{ძ/წ}. \quad (14.11)$$

(14.11)-ის გათვალისწინებით

$$N = \frac{KbhU}{60 \cdot 102} \quad \text{ძ} \cdot \text{წ}. \quad (14.12)$$

ცნობილია, რომ სიმძლავრე

$$N = \frac{P}{102} \quad \text{ძ} \cdot \text{წ}. \quad (14.13)$$

საიდანაც

$$P = \frac{102N}{V} \partial\delta. \quad (14.14)$$

(14.14) გამოსახულება (14.12)-ის გათვალისწინებით მიიღებს სახეს

$$P = \frac{KbhU}{60V} \partial\delta, \quad (14.15)$$

(14.12) და (15.15) ფორმულები ჭრის სიმძლავრისა და ჭრის ძალის გამოსათვალელი ფორმულებია.

მიწოდება ჭრაზე

$$U_z = \frac{100U}{z \cdot n} \partial\delta. \quad (14.16)$$

ჭრის რკალის სიგრძე

$$l = \frac{\pi D \varphi_0}{360} \partial\delta, \quad (14.17)$$

სადაც  $\varphi$  კონტაქტის კუთხეა.

ბურბუშელის საშუალო სისქე

$$e_b = U_z \sin \Theta_b \quad (14.18)$$

სადაც  $\Theta_b = \frac{\varphi}{2}$ .

### 14.3. კინემატიკური შეხვედრის კუთხის გაანგარიშება ფრეზის დროს

საშუალო კინემატიკური შეხვედრის კუთხე (იხ. ნახ. 4.8)

$$\Theta_b = \frac{\varphi}{2}; \quad (14.19)$$

$$\sin \Theta_b = \sin \frac{\varphi}{2} = \sqrt{\frac{1 - \cos \varphi}{2}}, \quad (14.20)$$

მაგრამ

$$\cos \varphi = \frac{R - h}{R}, \quad (14.21)$$

ამიტომ


$$\sin \Theta_b = \sqrt{\frac{1}{2} \left( 1 - \frac{R - h}{R} \right)}, \quad (14.22)$$

ანუ

$$\sin \Theta_b = \sqrt{\frac{h}{D}}. \quad (14.23)$$

(14.23) არის კინემატიკური შეხვედრის კუთხის განმსაზღვრელი ფორმულა ფრეზის დროს.

გარდა ამისა კონემატიკური შეხვედრის კუთხის ( $\Theta$ ), კონტაქტის კუთხის ( $\varphi$ ), ჭრის რკალის სიგრძის ( $l$ ) და ბურბულების საშუალო სისქის ( $e_{\text{საშ}}$ ) განსაზღვრა შეიძლება ნომოგრამის საშუალებით (ნახ. 14.2)



ნახ. 14.2.

მოცემულია:  $D = 125$  მმ,  $h = 4$  მმ,  $c = 5$  მმ.

უნდა განისაზღვროს:  $\angle \varphi$ ,  $l$ ;  $\angle \Theta_{\text{საშ}}$  და  $e_{\text{საშ}}$ .

ამობსნა. 4.8 ნახ-ზე  $\alpha$  წერტილიდან ზემოთ გადავზომოთ  $h$ -ის მნიშვნელობა და გავავლოთ პორიზონტალური წრფე მარცხნივ, წრეწირთან მივიღებთ  $\angle \varphi$ -ს, საიდანაც განვსაზღვრავთ

$$l = \frac{\pi D}{360} \varphi = 0,0175 R \varphi.$$

ჩავატაროთ ეს მოქმედებები ნომოგრამაზე (ნახ. 14.2) მასშტაბით

$$M = \frac{500}{D} = \frac{500}{125} = 4.$$

მასშტაბის გათვალისწინებით  $0$  წერტილიდან  $h$ -ის ნაცვლად გადავზომოთ ქვემოთ  $Mh = 4,4 = 16$  მმ. გავავლოთ ხაზი მარჯვნივ და ვიპოვოთ  $\angle \varphi = 21^\circ$ .

კონტაქტის რეალის სიგრძე

$$l = 0,175R\varphi = 0,175 \cdot \frac{125}{2} \cdot 21^\circ = 23 \text{ მმ.}$$

ბურბუშელის საშუალო სისქე

$$e_{\text{საშ}} = \frac{c \cdot h}{l} = \frac{54}{23} = 0,88 \text{ მმ.}$$

$$\text{ვიცით } \quad \text{რა } \quad \text{ბურბუშელის } \quad \text{სისქე} \quad e_{\text{საშ}} = c \sin \Theta_{\text{საშ}} = \frac{c \cdot h}{l},$$

გავსახდვროთ  $\sin \Theta_{\text{საშ}} = \frac{h}{l} = \frac{4}{23} = 0,174$ . აბსცისათა დერძნე გადაჭრომოთ  $\sin \Theta_{\text{ც}} = 0,174$ , გავავლოთ ვერტიკალური ხაზი, მივიღებთ  $\angle \Theta_{\text{საშ}} = 10^\circ$  და შემდეგ მიღებული წერტილიდან გავავლოთ პორტონტალური ხაზი დერძის გადაკვეთამდე, მივიღებთ  $\cos \Theta_{\text{საშ}} = 0,98$ .

#### 14.4. პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ფრეზვისას გრძიგ-ტორსული (წლ) ჭრის დროს

პირდაპირი ამოცანით განისახდვრება ჭრის საჭირო სიმძლავრე

$$N = \frac{KbhU}{60 \cdot 102} \text{ კვტ.} \quad (14.24)$$

იმ პირობით, რომ ცნობილია ყველა მონაცემი მასალაზე, დამუშავების ზომებზე ( $b, h$ ), იარაღზე ( $\delta, \alpha, D, z$ ), მუშა მოძრაობაზე ( $U, V$ ), ჭრის დროზე  $T$  და სხვ. ვიცით, აგრეთვე ჭრის კუთრი მუშაობა  $K'$  გგმ/სმ<sup>3</sup> ან ჭრის კუთრი დაწნევა  $K$  გგ/მმ<sup>2</sup>.

როდესაც

$$e = 0,1 \text{ მმ, } K = k_{\text{ვ}} + \frac{\alpha h}{b} + \frac{a_{\rho} P_{\text{ვ}}}{e}. \quad (14.25)$$

როდესაც

$$e < 0,1 \text{ მმ, } K_{\mu} = k_{\text{ვ}\mu} + \frac{\alpha h}{b} + \frac{(a_{\rho} - 0,8)P_{\text{ვ}}}{e_{\mu}}. \quad (14.26)$$

გარდა პირდაპირი ამოცანების საჭიროა გადაწყდეს შებრუნებული ამოცანებიც, ე.ი. როდესაც ცნობილია ყველა სიდიდე, გარდა მიწოდების სიჩქარისა. ვიცით რა

$$U = \frac{U_z z n}{1000} \partial/\partial n, \quad (14.27)$$

$z$  და  $n$ , მაშინ

$$U_z = \frac{1000U}{zn} \partial\partial. \quad (14.28)$$

(14.12) ფორმულა (14.27)-ის გათვალისწინებით მიიღებს სახეს

$$N = \frac{KbhU_z z n}{60 \cdot 1000 \cdot 102} = \frac{KbhI_z z n}{6 \cdot 10^6} \partial\partial. \quad (14.29)$$

ამ ფორმულაში ცნობილია კველა წევრი, გარდა  $K$  და  $U_z$ -ისა

$$KU_z = \frac{6 \cdot 10^6 \cdot N}{bhzn} \frac{\partial\partial}{\partial\partial^2}. \quad (14.30)$$

თუ ჩავსვავთ  $K$ -ს მნიშვნელობას (14.25), (14.26) ფორმულებიდან (14.30)-ში და მოვახდენთ სათანადო გადრაქმნებს, მაშინ როდესაც  $e > 0,1$  მმ, მივიღებთ

$$U_z = \frac{\frac{6 \cdot 10^5 \cdot N}{hzn} - \frac{a_\rho P_\beta b}{\sin \Theta}}{k_{\beta\mu} b + \alpha h} \partial\partial, \quad (14.31)$$

როდესაც  $e < 0,1$  მმ მივიღებთ

$$U_{z\mu} = \frac{\frac{6 \cdot 10^5 \cdot N}{hzn} - \frac{(a_\rho - 0,8)P_\beta b}{\sin \Theta}}{k_{\beta\mu} b + \alpha h} \partial\partial. \quad (14.32)$$

ამ ფორმულებში  $N$ ,  $h$ ,  $z$ ,  $n$ ,  $b$ ,  $\alpha$ ,  $a_\rho$ ,  $P_\beta$ ,  $k_{\beta\mu}$ ,  $\Theta$  განისაზღვრება სათანადო ფორმულებით და ნომრგრამებით.

კბილზე მიწოდების მიღებული მნიშვნელობები განსაზღვრულია სიმძლავრის მიხედვით, მხოლოდ უნდა შევამოწმოთ, დასაშვებია თუ არა მოცემული პარამეტრები საჭირო სისუფთავის ზედაპირის მიღებისათვის.

(ამოცანები – იხილეთ დანართი).

#### 14.5. განივი ფრეზვა

განივი ფრეზვისას კველა გეოგეტრიული თანაფარდობა რჩება იგივე, რაც გრძივი ფრეზვისას, გამონაკლისია ის, რომ თუ გრძივი ფრეზვისას მიწოდების სიჩქარის მიმართ ულება ბოჭკო-

ების მიმართულების პარალელურია, განივი ფრეზვისას მიწოდების სიჩქარის მიმართულება ბოჭკოების მიმართულების პერპენდიკულარულია.

ცდებით მიღებული შედეგი მნიშვნელობანი.

განივი ფრეზვის დროს კუთრი ჭრის ძალა უკან წახნაგზე

$P_{\gamma}$  პ/მ.

ფიჭვისათვის

$$R_{\gamma} = 0,07 \text{ პ/მ/მ};$$

მუხისათვის

$$R_{\eta} = 0,1 \text{ პ/მ/მ};$$

ჭრის კუთრი წინაღობა წინა წახნაგზე, როცა  $e > 0,1$  მმ

ფიჭვისათვის

$$k_{\gamma} = 0,0075(\delta + V) - 0,01h - 0,07; \quad (14.33)$$

მუხისათვის

$$k_{\eta} = 0,0012(\delta + V) - 0,014h - 0,1; \quad (14.34)$$

როცა  $e < 0,1$  მმ, ფიჭვისათვის

$$k_{\gamma\mu} = 0,0075(\delta + V) - 0,01h - 0,5; \quad (14.35)$$

მუხისათვის

$$k_{\eta\mu} = 0,12(\delta + V) - 0,014h - 0,9. \quad (14.36)$$

განივი ფრეზვისას საჭრისის მქრელი პირის  $\gamma'$  კუთხით დახრისას,  $K$ -ს კორექტირება უნდა ვაწარმოოთ შემდეგი კოეფიციენტებით:

$$\gamma' = 0^\circ; 10^\circ; 20^\circ; 30^\circ,$$

$$a_{\rho} = 1; 1,07; 1,25; 1,5.$$

$\Delta\rho$  გამოითვლება

ფიჭვისათვის

$$\Delta\rho = 0,0008 \frac{h}{\sin \Theta} \frac{n}{1000} T; \quad (14.37)$$

მუხისათვის

$$\Delta\rho = 0,001 \frac{h}{\sin \Theta} \frac{n}{1000} T. \quad (14.38)$$

$\Theta$ ,  $\cos\Theta$ ,  $\sin\Theta$  კუთხეები და ყველა სხვა ძალური პარამეტრები გაიანგარიშება ისევე, როგორც გრძივი ფრეზვისას.

## განვითარებულის ამოცანა

**მაგალითი.** ფიჭვისათვის  $\delta = 60^\circ$ ,

$$D = 180 \text{ მმ}, n = 4500 \text{ ბრ/წთ}, V = 42 \text{ მ/წთ}, h = 10 \text{ მმ},$$

$$b = 100 \text{ მ}, U = 9 \text{ მ/წთ}, z = 2, \gamma' = 0.$$

განვსაზღვროთ  $N$  და სხვა ძალური პარამეტრები ბასრი საჭრისით ჭრის დროს:

$$1. \sin \Theta = \sqrt{\frac{h}{D}} = \sqrt{\frac{10}{180}} = 0,24;$$

$$\Theta = 14^\circ; \cos \Theta = 0,97; P_{\text{კ}} = 0,07 \text{ ჯგ/მმ}.$$

2. განვსაზღვროთ

$$U_z = c = \frac{1000U}{z \cdot n} = \frac{9000}{2 \cdot 4500} = 1 \text{ მმ},$$

საიდანაც

$$e = U_z \cdot \sin \Theta = 0,24 \text{ მმ}.$$

3. ქუთრი წინაღობა წინა წახნაგზე

$$k_{\text{კ}} = 0,0075(60 + 42) - 0,01 \cdot 10 - 0,07 = 0,6 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

4. საერთო ქუთრი წინაღობა

$$K = 0,6 + \frac{0,07}{0,24} = 0,9 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

5. ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{KbhU}{60 \cdot 102} = \frac{0,9 \cdot 100 \cdot 10 \cdot 9}{60 \cdot 102} = 1,25 \text{ ჯგ}.$$

6. ჭრის ძალა

$$P = \frac{102 \cdot N}{V} = \frac{102 \cdot 1,25}{42} = 3 \text{ ჯგ}.$$

7. ფაქტიური ძალა უპანა წახნაგზე

$$P_{\text{ფა}} = \frac{(a_{\rho} - 0,8)P_{\text{კ}}bz\varphi}{360} = \frac{(1 - 0,8) \cdot 0,07 \cdot 100 \cdot 2 \cdot 28}{360} = 0,6 \text{ ჯგ}.$$

8. ძალა წინა წახნაგზე

$$P_{\text{კ}} = 2 - 0,6 = 2,4 \text{ ჯგ}.$$

9. რადიალური ძალა

$$R = \frac{P_{\text{კ}}}{f} - P_{\text{კ}}tg(70^\circ - \delta) = \frac{0,6}{2} - 2,4tg10^\circ = -0,1 \text{ ჯგ}.$$

10. მიწოდების და მასთან ნორმალური ძალა

$$\Theta = 3 \cdot 0,97 - 0,1 \cdot 0,24 = 2,9 \text{ კგ;}$$

$$S = 3 \cdot 0,24 + 0,1 \cdot 0,97 = 0,62 \text{ კგ.}$$

### სიჩქარეთა გრაფიკის აგება ფრეზისას

**მაგალითი.** მუშაობა სრულდება СФЧ-4 ჩარხზე.

$$\text{როცა } \eta_{\text{ამო}} = 0,9, \quad N_{\text{ამო}} = 2,8 \text{ კვტ}, \quad D = 125 \text{ მმ}, \quad n = 5000 \text{ ბრ/წორ}, \\ \delta = 55^\circ, \quad z = 2.$$

$$V = \frac{\pi D n}{60000} = 32,7 \text{ მ/წორ.}$$

საჭიროა აიგოს სიჩქარეთა გრაფიკი ფიჭვის დეტალების ჭრისას ბასრი დანებით, როცა

$$h = 1; 1,5; 2; 3 \text{ მმ და } b = 100; 200; 300; 400 \text{ მმ.}$$

$$1. \text{ კსაზღვრავთ } M = \frac{500}{D} = \frac{500}{125} = 4 \text{ და } Mh = h_1, \text{ კ.მ.}$$

$$h_1 = M \cdot 1 = 4 \text{ მმ; } h_2 = M \cdot 1,5 = 6 \text{ მმ;}$$

$$h_3 = M \cdot 2 = 8 \text{ მმ; } h_4 = M \cdot 3 = 12 \text{ მმ.}$$

2. ნახ. 14.2-დან კსაზღვრავთ

$$\varphi_1 = 10^\circ; \quad \sin \Theta_1 = 0,174;$$

$$\varphi_2 = 12^\circ; \quad \sin \Theta_2 = 0,2;$$

$$\varphi_3 = 14^\circ; \quad \varphi_4 = 18^\circ; \quad \sin \Theta_3 = 0,24; \quad \sin \Theta_4 = 0,31.$$

დანართიდან, ცხრ. 1 (ფრეზე) და ცხრ. 2

$$h_1 = 1,0 \text{ მმ, } k = 1,0, \quad P = 0,18;$$

$$h_2 = 1,5 \text{ მმ, } k = 1,0, \quad P = 0,19;$$

$$h_3 = 2,0 \text{ მმ, } k = 1,0, \quad P = 0,19;$$

$$h_4 = 3,0 \text{ მმ, } k = 1,0, \quad P = 0,19.$$

3. ყოველი  $h$ -ით და  $b$ -ით განისაზღვრება  $c = U_z$  მნიშვნელობები (იხ. ფორმულა (14.31)):

$$h_1 = 1,0 \text{ მმ; } h_2 = 1,5 \text{ მმ; } h_3 = 2,0 \text{ მმ; } h_4 = 2,0 \text{ მმ;}$$


$$c_{100} = 15,3; \quad c_{100} = 9,6; \quad c_{100} = 6,86; \quad c_{100} = 4,66;$$

$$c_{200} = 6,8; \quad c_{200} = 4,1; \quad c_{200} = 2,86; \quad c_{200} = 1,83;$$

$$c_{300} = 3,97; \quad c_{300} = 2,27; \quad c_{300} = 1,48; \quad c_{300} = 0,89;$$

$$c_{400} = 2,56; \quad c_{400} = 1,35; \quad c_{400} = 0,81; \quad c_{400} = 0,42,$$

c-თან ინდექსები გვიჩვენებს ფრეზებს  $b$  სიგანეს.



ნახ. 14.3. სიჩქარეთა გრაფიკის ფრეზებისას

ვიცით რა  $e_1$ ;  $z = 2$  და  $n = 5000$  პრ/წთ, ვსაზღვრავთ ყველა შემთხვევისათვის  $U = \frac{czn}{1000}$  პ/წთ, ვაგებთ სიჩქარეთა გრაფიკს,

გადავზომავთ რა ყოველი  $h$ -სთვის აბსცისათა დერტზე  $b$ -ს მნიშვნელობებს, ხოლო ორდინატთა დერტზე –  $U_h$ -ის მნიშვნელობებს (ნახ. 14.3). ვიდებთ რა (ცხრ. 8.9)  $c = \frac{c_0}{z}$ , როცა  $D = 125$  მმ

და  $U_h = \frac{c_h z n}{1000}$ , ვღებულობთ პარალელურ წრფეთა რიგს, რომელიც განსაზღვრავს დასაშვები  $U_h$  ფრეზების ხარისხს:

$$R_{m\theta s,j} = 200 \text{ შეესაბამება } U = 55 \text{ პ/წთ};$$

$$R_{m\theta s,j} = 150 \text{ შეესაბამება } U = 50 \text{ პ/წთ};$$

$$R_{m\theta s,j} = 100 \text{ შეესაბამება } U = 35 \text{ პ/წთ};$$

$$R_{m\theta s,j} = 60 \text{ შეესაბამება } U = 27,5 \text{ პ/წთ};$$

$$R_{m\theta s,j} = 30 \text{ შეესაბამება } U = 24 \text{ პ/წთ}.$$

## 14.6. ფრეზვა-კოპირების პროცესი

ფრეზვა-კოპირების პროცესის დროს ნამზადის ბრუნვის დერძი დანიანი თავის ბრუნვის დერძის პარალელურია. კოპირება არის განივი და გრძივი (ნახ. 14.4, а, ბ).

დანიანი თავი ბრუნვას მთავარი მოძრაობის სიჩქარით  $V_3$  (ნახ. 14.4) და გარდა ამისა მიწოდებას ადგილი აქვს ნამზადის ბრუნვის რადიუსის გასწვრივ.

ნამზადი ბრუნვას მთავარი მოძრაობის სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით. ამ შემთხვევაში ტრაექტორიები ეპიციკლოიდური, ხრახნული და სპირალური მრუდების კომბინაციაა.

ნახ. 14.4, ა-ზე დანიანი თავის ბრუნვის სიბრტყე მთავარი მოძრაობის სიჩქარით  $V_3$ , ნამზადის ბრუნვის დერძის პერპენდიკულარულია, რომელიც ბრუნვას საწინააღმდეგო მიმართულებით  $V_6 < V_3$  სიჩქარით (განივი კოპირება).

ნახ. 14.4, ბ-ზე დანიანი თავის ბრუნვის სიბრტყე მთავარი მოძრაობის სიჩქარით  $V_3$ , ნამზადის ბრუნვის დერძის პარალელურია, რომელიც ბრუნვას საათის ისრის მიმართულებით  $V_6 < V_3$  სიჩქარით.

ამ შემთხვევაში მიწოდება ხორციელდება ნამზადის ბრუნვის დერძის გასწვრივ (გრძივი კოპირება).

განივი კოპირებისას

$$V_3 = \frac{\pi D_3 n_3}{60}; \quad V_6 = \frac{\pi D_6 n_6}{60} \quad (14.639)$$

ჭრის სიჩქარე  $V' = V_3 + V_6$  და იგი შეიძლება ჩავთვალოთ  $\bar{V}_3$ -ს ტოლად, რადგანაც  $V_6$  უმნიშვნელოა  $V_3$ -თან შედარებით.

ასევე შეიძლება უგულებელვყოთ ტრაექტორიის დახრახახნულ ხაზზე კუთხით

$$\varphi = \arctg \frac{V_6}{V'} \approx 0, \quad (14.40)$$


რადგან  $V_6$  გაცილებით ნაკლებია  $V'$ -ზე.

ბურბუშელის ნომინალური კვეთები მიიღება ნამგლისებრი ფორმის. უნდა განვასხვაოთ მიწოდება ჭრაზე  $U_{\text{დ}}$  მიმართულებით, რომელიც ტოლია  $c_{\text{დ}}$ , მიწოდებისაგან  $V_6$ , რომელიც ტოლია  $c_6$

$$c_{\text{g}} = \frac{1000 \cdot U_{\text{g}}}{n_{\text{g}} \cdot z},$$

ხოლო

$$c_6 = \frac{1000 \cdot U_6}{n_6 \cdot z}.$$



ნახ. 14.4. ფრეზგა-კოპირების პროცესი: ა – განივი კოპირება; ბ – გრძივი კოპირება

განივი კოპირებისას გრძივი მიწოდების გარეშე საშუალო სიმძლავრე იანგარიშება ფორმულით

$$N = \frac{K(O_1 - O_2)n}{60 \cdot T \cdot 102} \quad \text{კვტ,} \quad (14.41)$$

სადაც  $K$  კუთრი წინაღობაა,  $\text{კგ}/\text{მ}^2$ ;  $O_1$  – ნამზადის მოცულობა,  $\text{სმ}^3$ ;  $O_2$  – ნაკეთობის მოცულობა,  $\text{სმ}^3$ ;  $n$  – საჭრისის ბრუნვათა რიცხვი,  $\text{ბრ}/\text{წთ}$ ;  $T$  – მუშაობის დრო,  $\text{წთ}$ .

ჭრის საშუალო პირობებისათვის კუთრი წინაღობა  $K$  აიღება რბილი ჯიშებისათვის 1-1,5 კგ/მ², მაგარი ჯიშებისათვის – 1,5-2 კგ/მ².

განივი ფრეზვისას გრძივი მიწოდებით და გრძივი ფრეზვისას, სიმძლავრე

$$N = \frac{K(O_1 - O_2)U}{L \cdot 102} \text{ კგ}, \quad (14.42)$$

სადაც  $L$  ნამზადის დასამუშავებელი ნაწილის სიგრძეა, მმ;  $U$  – გრძივი მიწოდების სიჩქარე, მმ/წ;  $K$ -ს მნიშვნელობებია; რბილი ჯიშებისათვის 1,5 კგ/მ², განივი ფრეზვისას, 2 – გრძივი ფრეზვისას. მაგარი ჯიშებისათვის 2,25 კგ/მ² განივი ფრეზვისას, 3 – გრძივი ფრეზვისას.

#### 14.7. ჯაჭვური ფრეზვა

ჯაჭვური ფრეზვა გამოიყენება გამჭოლი ან არაგამჭოლი სწორკუთხა ნახვრეტების მისაღებად კოტებით შეერთებისათვის.

საფრეზავი ჯაჭვის მთავარი მოძრაობაა ბრუნვითი მოძრაობა სიჩქარით

$$V = \frac{\pi Dn}{60000} = \frac{\pi Ln}{60000} \text{ მ/წ}, \quad (14.43)$$


სადაც  $D$  საფრეზავი თავის დიამეტრია, მმ (ნახ. 14.5);  $L$  – ბუდის სიგრძე (ერთი გავლისას), მმ (იხ. ცხრილი 11).

ბრუნვით მოძრაობასთან ერთად საფრეზავი ჯაჭვი დებულობს თანაბარ ღერძულ გადაადგილებას – მიწოდებას რადიუსის გასწვრივ. ფარდობითი მოძრაობის ტრაექტორია ამ შემთხვევაში არის ციკლიდიდა, ჭრის მიმართულება ბოჭკოების მიმართ ყოველთვის იცვლება, ბურბუშელის სისქე  $e=c \sin \Theta$ . ჭრის ძალა გაიანგარიშება ისე, როგორც დისკური ხერხით ხერხვისას და ფრეზვის შემთხვევაში.

საჭრისხე დერძული მიწოდება

$$c_{\text{ჯ}} = \frac{U_{\text{ჯ}}}{nz_{\text{ჯ}}} \text{ მმ}, \quad (14.44)$$

სადაც  $z_{\text{ჯ}}$  არის წამყვანი ვარსკვლავას კბილთა რიცხვი,  $z_{\text{ჯ}} = 4$ . დერძული მიწოდების შემთხვევაში ბურბუშელის სიგრძე



ნახ. 14.5. ჯაჭვური ფრეზვა

$$l_{\infty} = \frac{\pi D}{2} = \frac{\pi L}{2} \quad \text{მმ}; \quad (14.45)$$

ბურბუშელის სისქე

$$e_{\infty} = c_{\infty} l_{\infty} \quad \text{მმ}, \quad (14.46)$$

ბურბუშელის საშუალო სისქე დერძული მიწოდებისას

$$e_{\infty, b} = \frac{cL}{l_{\infty}} = \frac{2cL}{\pi L} = \frac{2c}{\pi} = 0,64c \quad \text{მმ}. \quad (14.47)$$

რადგან  $e_{\infty, b} = c_{\infty} \sin \Theta$ , ამიტომ  $\sin \Theta = 0,64$  და  $\theta = 40^\circ$ , ხოლო ბოჭბოების გადაკვეთის კუთხე  $\psi = 90^\circ - \Theta = 50^\circ$ .  $(14.48)$

თუ საჭიროა საფრეზავი თავის სიგანეზე მეტი ნახვრების მიღება, ნამზადს ანიჭებენ განივ გადაადგილებას. ნახ. 14.5-ზე ნაჩვენებია ჭრა განივი  $U_{\delta}$  მიწოდებით, რომლის დროსაც ბუდის ფორმირებისას მკვეთრად იზრდება საჭირო სიმძლავრე. ამიტომ მუშაობის მდიმე პირობებში რეკომენდებულია საფრეზავი თავის ჩაღრმავება ბუდის ნაპირებთან და შემდეგ შუალედის ფრეზვა გვერდითი მიწოდებით.

საჭრისზე გვერდითი მიწოდება

$$C_{\delta\delta} = \frac{U_{\delta}}{nz_3} \quad \text{მმ}, \quad (14.49)$$

ბურბუშელის სიგრძე გვერდითი მიწოდებისას

$$l_{\delta} = \frac{\pi R}{2} + (h - R) \quad \text{მმ,} \quad (14.50)$$

სადაც  $R$  საფრეზივი თავის რადიუსია,

$$R = \frac{D}{2} = \frac{L}{2}.$$

ამ შემთხვევაში ბურბუშელის საშუალო სისქე

$$e_{\delta\delta} = \frac{c_{\delta} h}{\frac{\pi R}{2} + h - R} = c_{\delta\delta} \sin \Theta = c_{\delta\delta} \sin \psi \quad \text{მმ,} \quad (14.51)$$

აქედან

$$\sin \Theta = \sin \psi = \frac{h}{0,57R + h}, \quad (14.52)$$

პ. გვერდითი მიწოდების შემთხვევაში  $\theta = \psi$ .

საფრეზივი ჯაჭვი შედგება ერთ სახსარზე დამაგრებული ფირფიტებისაგან – კბილებისაგან. 10 მმ-დე სიგანის ჯაჭვები შედგება 3 ფირფიტისაგან, 12 და 16 მმ სიგანის ჯაჭვები – ხუთი ფირფიტისაგან და 20 და 25 მმ სიგანის ჯაჭვები – 7 ფირფიტისაგან. ჭრაში მონაწილეობს თითოეული ფირფიტის მთავარი და ორი გვერდითი წიბო, ისევე, როგორც დისკური ხერხის დროს გატყდეული კბილებით. ჯაჭვური ფრეზება მიგაუთვალისწინება დახურული ჭრის სახეს, ამიტომ გაანგარიშებისას უნდა გავითვალისწინოთ ბურბუშელის განახერხის კედლებზე ხახუნის კუთრი წინაღობა

$$K_b = \frac{\alpha_\Delta h}{b_1} \cdot \frac{i+1}{2} \cdot \frac{\partial \delta}{\partial \theta^2}, \quad (14.53)$$

სადაც  $\alpha_\Delta$  კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს ხახუნის ინტენსიურობას,  $\alpha_\Delta = 0,06$ ,  $b_1$  – ფირფიტის სიგანე;  $i$  – სიგანე

ფირფიტების რაოდენობა (ცხრილი 14.1);  $\frac{i+1}{2}$  – წყვილი გვერდითი კედლების რიცხვი, რომლებიც წარმოქმნილია ფირფიტებით ბურბუშელის  $b$  სიგანეზე.

ჯაჭვური ფრეზის დროს იჭრება მიკრობურბუშელა, ამიტომ ჭრის საშუალო კუთრი წინაღობა

$$K_b = \frac{(a_\rho - 0,8)P_\delta}{c \sin \Theta} + 8P_\delta + k + k_b \quad \frac{\partial \delta}{\partial \delta^2}. \quad (14.54)$$

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ  $K_b$ , დერძული მიწოდების დროს (14.54) ფორმულაში უნდა ჩავსვათ  $e_{\text{დ.ბ.}}\text{-ის}$  მნიშვნელობები (14.47) ფორმულიდან და ყს მნიშვნელობები (14.48) გამოსახულებიდან, ხოლო გვერდითი მიწოდების დროს  $K_b$ -ს განსაზღვრისათვის საჭიროა (12.54) გამოსახულებაში ჩავსვათ  $e_{\delta\delta}$  და  $\sin \Theta$  (14.51) და (12.52) გამოსახულებიდან. ჭრის საშუალო წრიული დალა დერძული მიწოდებისას

$$P_\varrho = \frac{K_\varrho b D U_\varrho}{60v} \quad \text{ძგ}; \quad (14.55)$$

გვერდითი მიწოდებისას

$$P_\delta = \frac{K_\delta b h U_\delta}{60v} \quad \text{ძგ}. \quad (14.56)$$

ჭრის სიმძლავრე შესაბამისად

$$N_\varrho = \frac{P_\varrho v}{120} \quad \text{ძგ\circ}; \quad (14.57)$$

$$N_\delta = \frac{P_\delta v}{102} \quad \text{ძგ\circ}. \quad (14.58)$$

ჯაჭვური ფრეზვის დროს დამუშავების რეჟიმები შემდეგია:

$$v = 4 \dots 10 \quad \text{მ/წმ}; \quad U_\varrho = 0 \dots 3,6 \quad \text{მ/წმ}; \quad U_\delta = (0,5 \dots 0,7)U_\varrho$$

(მიწოდების სიჩქარის უმცირესი მნიშვნელობა აიღება მაგარ ჯიშებში დრმა ბუდების ამოღების დროს).

საფრეზავი თავის ძირითადი ზომები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

#### ცხრილი 14.1

##### საფრეზავი თავის ზომები

პარამეტრების დასახელება	ზომები
საფრეზავი ჯაჭვის სისქე (ბუდის სიგანე $b$ ), მმ	8 10 12 16 20 25
ბუდის უმცირესი სიგრძე $L$ (საფრეზავი თავის დიამეტრი), მმ	40 40 60 40 60 40 60 70 60 60
ბუდის უდიდესი სიღრმე $h$ , მმ	100 125 125 160 125 160 160 160
ჯაჭვის $b$ სიგანეზე ფირფიტების რიცხვი	3 3 5 5 5 5 7 7

არაგამჭოლი ფრეზების დროს ბუდის ფუძე მომრგვალებულია. ფუძეზე წარმოიქმნება ტალღები ფრეზების დროს, ხოლო გვერდით ზედაპირებზე კაწრულები. მერქნის ატკების თავიდან ასაცილებლად საჭრისის მერქნიდან გამოსვლის ადგილზე კეთდება საყრდენი, რომელიც აწვება  $P_{\text{აჭ}}-\psi$  მეტი ძალით.

**შაგალითი.** მოცემულია  $n = 3000$  ბრ/წთ;  $D = 2R = 60$  მმ; საფრეზავი ჯაჭვების კბილების ბიჯი  $t = 22,6$  მმ; ჭრის კუთხეები -  $\delta = 70^\circ$ ;  $\alpha = 15^\circ$ ;  $\beta = 55^\circ$ ;  $U_{\text{კ}} = 20 \text{ მმ/წთ}$ ;  $a_p = 1$ ;  $z_3 = 4$ ;  $h = 70$  მმ;

$$b = 12 \text{ მმ}; b_1 = \frac{b}{i} = \frac{12}{3} = 4. \text{ ჯიში - ფიჭვი.}$$

განისაზღვროს ჭრის ძალები და სიმძლავრე საფრეზავი თავის დერძული მიწოდებისას.

**ამონენა:**

1. ჭრის სიჩქარე

$$\nu = \frac{\pi D n}{60000} = \frac{2.14 \cdot 60 \cdot 3000}{60000} = 9,42 \text{ მ/წთ.}$$

2. მიწოდება საჭრისზე

$$c_{\text{კ}} = \frac{60 U_{\text{კ}}}{z_3 \cdot n} = \frac{60 \cdot 20}{4 \cdot 3000} = 0,1 \text{ მმ.}$$

ბურბუშელის საშუალო სისქე

$$c_{\text{კ}} = c_{\text{კ}} \cdot \sin \Theta = 0,1 \cdot 0,64 = 0,064 < 0,1 \text{ მმ,}$$

სადაც  $\Theta = 40^\circ$ .

ბურბუშელის სიგრძე

$$l_{\text{კ}} = \frac{\pi D}{2} = \frac{3,14 \cdot 60}{2} = 94,2 \text{ მმ.}$$

3. საჭრისის უკანა ზედაპირზე ფაქტიური კუთრი ჭრის ძალა

$$P_{\text{კ}} = 0,16 + 0,0036\psi = 0,34 \text{ კგ/მმ,}$$

სადაც

$$\psi = 90^\circ - \Theta = 90^\circ - 40^\circ = 50^\circ.$$

4. საჭრისის წინა ზედაპირზე ფიქტიური საშუალო პირობითი წევება

$$\begin{aligned} k &= (0,02 + 0,0004\psi)\delta + (0,007 + 0,00015\psi)(90^\circ - \nu) - \\ &- (0,55 + 0,017\psi) = (0,02 + 0,0004 \cdot 50)70 + (0,007 + 0,00015 \cdot 50) \times \\ &\times (90 - 6) - (0,55 + 0,017 \cdot 50) = 2,62 \text{ კგ/მმ}^2. \end{aligned}$$

5. გვერდით პედლებზე ხახუნის კუთრი წინაღობა

$$k_b = \frac{\alpha_A h}{b_1} \cdot \frac{(i+1)}{2} = \frac{0,06 \cdot 70}{4} \cdot \frac{3+1}{2} = 2,1 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

6. ჭრის საშუალო პირობითი წნევა, როცა  $e_{\varrho} < 0,1$  მმ

$$K_{\sigma} = \frac{(a_p - 0,8)P_{\vartheta}}{e_{\varrho}} + 8P_{\vartheta} + k + k_b = \frac{(1-0,8) \cdot 0,34}{0,064} + \\ + 8 \cdot 0,34 + 2,62 + 2,1 = 8,5 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

7. ჭრის სიმძლავრე

$$N_{\varrho} = \frac{K_{\varrho} b D U_{\varrho}}{102 \cdot 1000} = \frac{8,5 \cdot 12 \cdot 60 \cdot 20}{102 \cdot 1000} = 1,2 \text{ ჯგ}.$$

8. ჭრის საშუალო მხები ძალა

$$P_{\varrho} = \frac{102 N_{\varrho}}{v} = \frac{102 \cdot 1,2}{9,42} = 13 \text{ ჯგ.}$$

9. საჭრისის უკანა ზედაპირზე ჭრის საშუალო ძალა

$$P_{\vartheta\varphi} = P_{\vartheta} (a_p - 0,8) \frac{e_{\varrho}}{t_{\infty}} b = 0,34 \cdot 0,2 \frac{94,2}{22,6} \cdot 12 = 3,4 \text{ ჯგ.}$$

10. საჭრისის წინა ზედაპირზე ჭრის საშუალო ძალა

$$P_{\varphi} = P_{\varrho} - P_{\vartheta\varphi} = 13 - 3,4 = 9,6 \text{ ჯგ.}$$

11. რადიალური ძალა

$$R = 0,5 P_{\vartheta\varphi} a_p - P_{\varphi} \operatorname{tg}(90^\circ - \delta - \psi_b) = 0,5 \cdot 3,4 \cdot 1 - \\ - 9,6 \operatorname{tg}(90^\circ - 70^\circ - 15^\circ) = 0,73 \text{ ჯგ.}$$

12. მიწოდების ძალა

$$Q = P_{\varrho} \cos \Theta + R \sin \Theta = 13 \cdot 0,77 + 0,73 \cdot 0,64 = 10,47 \text{ ჯგ.}$$

13. ნორმალური ძალა


$$S = P_{\varrho} \sin \Theta - R \cos \Theta = 13 \cdot 0,64 - 0,73 \cdot 0,77 = 7,76 \text{ ჯგ.}$$

## თავი XV

### ახდა

ახდა არის ერთი და იგივე სისქის უწყვეტი ბურბუშელის მოჭრის პროცესი, რომელიც მიიღება ნამზადის ბრუნვისას დანის განივი (რადიალური) მიწოდების დროს.

ახდა ხორციელდება ფანერაასახელელ ჩარხზე, რომლის სქემა მოცემულია ნახ. 15.1-ზე.



ნახ. 15.1. ახდის სქემა: 1 – მოჭიმი სახაზავი;  
2 – დანა; 3 – ბურბუშელა.

ამ შემთხვევაში მოიხსნება თანაბარი  $e$  სისქის შპონი. შპონის ახდა ხორციელდება მერქნის ჰიდროთერმული დამუშავებით და ბურბუშელის მოხსნას თან ახდავს მისი მოჭიმვა საეციალური მოჭიმი სახაზავით (ნახ. 15.1).

მანძილი საჭრისის პირსა და მოჭიმ სახაზავს შორის რადიალური მიმართულებით შეადგენს ფაქტიურად მოხსნილი შპონის სისქის 0,75-ს. დანის ალესვის კუთხე შეადგენს 16-20°-ს, ჭრის უკანა კუთხე კი 1-3°.

მერქანში დანის ფარდობითი მოძრაობის ტრაექტორია ამ შემთხვევაში წარმოადგენს არქიმედის სპირალს, რომლის განტოლებაა

$$R = a\varphi, \quad (15.1)$$

სადაც  $R$  მოცემულ წერტილში კოტრის რადიუსია (რადიუს-გექტორი);  $a$  – პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც შპონის  $S_0$  სისქის ტოლია;  $\varphi$  – მიმდინარე პოლარული კუთხე რადიანებში.

$$\varphi = \frac{1}{Z \cdot 2\pi}, \quad (15.2)$$

სადაც  $Z$  არის სპირალის ხვიათა რიცხვი  $\left( \frac{R}{S_0} \right)$ .

როდესაც შპონის ჭრა წარმოებს ასახდელი დანით (ნახ. 15.1) მაშინ  $P''$  და  $R''$  ძალების მოქმედებით ხდება გერქნის შეკუმშვა (თელვა) ბოჭკოების პერპენდიკულარული მიმართულებით, ხოლო  $P'$  და  $R'$  ძალებით – მერქნის ელემენტების მოხლება ბოჭკოების სიბრტყეში მათი სიგრძის პარალელურად და საჭრისის მჭრელი პირის წინ წარმოიქმნება წინმსწრები ბზარი. ბზარის მიმართულება არ ემთხვევა ჭრის მიმართულებას, რის გამოც მიიღება მქისეზედაპირიანი შპონი. ახდის პროცესში შპონის ქვედა მხარე გაჭიმულია უმცირესი ბზარები და შპონი ტყდება. ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება მომჭიმი სახაზავი.

ალესვის კუთხე  $\beta = 16 - 20^\circ$ ; ჭრის კუთხე  $\alpha = 1 - 3^\circ$ ; დანის სიგრძე  $L$ , ახდისას  $L = 850 \dots 2700$  მმ. ანათალი ფანერაასახდელი ჩარხით  $L = 3610 - 3750$  მმ, ფიცარსაჭრელი ჩარხით  $L = 740$  მმ, დანის სისქე შემდეგ ზღვრებში იცვლება;  $S = 15 \dots 22$  მმ. მომჭიმი სახაზავის სიგრძე უნდა იყოს შესაბამისი დანის სიგრძის ტოლი.

სისქე კი იცვლება ზღვრებში  $S = 12 \dots 16$  მმ, მოჭიმვის სიდიდე განისაზღვრება დანის მჭრელი პირის და სახაზავის წიბოს შორის ღრებოთი  $S_0$ .

მოჭიმვის სიდიდე განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta = \frac{e - S_0}{e} \cdot 100\%, \quad (15.3)$$

სადაც  $e$  შპონის სისქეა, მმ.

რეკომენდებულია მოჭიმვის და ტემპერატურის შემდეგი სიდიდეები შპონის სხვადასხვა სისქის დროს (ცხრ. 15.1).

### ცხრილი 15.1

$e, \text{ მმ}$	$\leq 0,8$	$\leq 1,5$	$\leq 2,5$	$> 2,5 \text{ მეტი}$
$\Delta, \%$	10-20	16-20	21-25	26-30
$t^\circ$	20-25	25-35	25-35	35-45

ჭრის საშუალო სიჩქარე ახდისას  $V_b = 0,2 - 1 \text{ მ/წმ}$ ; რანდვისას  $V_b = 0,25 \text{ მ/წმ}$ ; ფიცარსაჭრელი ჩარხის ( $V = 2,2 \text{ მ/წმ}$ ) ჭრის საშუალო სიჩქარე

$$V_b = \frac{\pi n(D_j + D_\varphi)}{2} \text{ მ/წმ}, \quad (15.4)$$

სადაც  $D_j$  პუნქტის დიამეტრია, მ;  $D_\varphi$  – ფანჯრის დიამეტრი, მ.

პუნქტის დაუშლელი ნაწილი არის ფანჯარი და წარმოადგენს ნარჩენს.

მიწოდების სიჩქარე

$$U = \frac{e \cdot n}{60 \cdot 1000} = \text{const} \text{ მ/წმ}. \quad (15.5)$$

ჭრის მყისი სიჩქარე

$$V_\varphi = \frac{\pi D_\varphi n}{1000 \cdot 60} \text{ მ/წმ}, \quad (15.6)$$

სადაც

$$D_\varphi = D_j - \frac{e\varphi}{180^\circ},$$

კ.ი.  $D_\varphi$  განუწვევებლივ მცირდება  $\varphi$  კუთხის გაზრდით.

გახურების ტემპერატურა მერქნისათვის კოტრის ახდისას ტოლია  $20-45^\circ\text{C}$ , რანდვისას  $50-60^\circ\text{C}$ , ფიცრების უნახერხოდ ჭრისას  $90-100^\circ\text{C}$ . მოჭიმვის სილიდის გაფლენა ზედაპირის სიმძისებებ მოცემულია 15.2 ცხრილში.

ტემპერატურის გავლენა ზედაპირის სისუფთავის კლასზე  
 $t = \quad 20^\circ\text{C} \quad 30^\circ\text{C} \quad 40^\circ\text{C} \quad 50^\circ\text{C} \quad 60^\circ\text{C} \quad 70^\circ\text{C}$

$R_{m\text{მძ}} \quad 200-315 \quad 200-315 \quad 200-315 \quad 100-200 \quad 100-200 \quad 100-200$

ექსპერიმენტული კალებებით მიღებულია კუთრი წინაღობის (K) შედეგი მნიშვნელობები:

ცხრილი 15.2

მოჭიმვის სიდიდის გავლენა ზედაპირის სიმქისეზე

$\Delta, \%$	$e = c/\partial \delta$			
	$<1\text{-მდე}$ $R_{m\delta_s,j}$	$\leq 1,2\text{-მდე}$ $R_{m\delta_s,j}$	$\leq 1,5\text{-მდე}$ $R_{m\delta_s,j}$	$\leq 2\text{-მდე}$ $R_{m\delta_s,j}$
5	200-315	200-315	200-315	200-315
10	200-315	200-315	200-315	200-315
15	100-200	200-315	200-315	200-315
20	100-200	100-200	200-315	200-315
25	60-100	100-200	100-200	200-315
30	100-20	100-200	100-200	100-200

არყისათვის:

$$K = (0,15 - 0,0015t) + (0,016 - 0,00012t)\Delta + \frac{a_\rho(0,24 - 0,002t)}{c}; \quad (15.7)$$

მუხისათვის:

$$K = (0,25 - 0,0025t) + (0,027 - 0,00021t)\Delta + \frac{a_\rho(0,4 - 0,005t)}{c}; \quad (15.8)$$

წიგლისათვის

$$K = (0,22 - 0,0021t) + (0,023 - 0,00017t)\Delta + \frac{a_\rho(0,34 - 0,003t)}{c}, \quad (15.9)$$

სადაც  $a_\rho$  დაბლაგვების კოეფიციენტია.

მხები ძალა  $P$  კოტრის  $L$  სიგრძეზე

$$P = KcL. \quad (15.10)$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{PV_{\text{სამ}}}{102} \cdot 330, \quad (15.11)$$

$$N = N_{\text{მაქ}} \cdot \eta_{\text{მაქ}}, \quad (15.12)$$

სადაც  $\eta_{\text{მაქ}} = 0,6 - 0,75$ .


რადიალური ( $R$ ) არყისათვის, როცა  $t = 20^\circ$

$$R = L \left[ \frac{0,125}{c^{0,42}} - 0,2 + 0,185 \cdot (\Delta c)^{0,5} \right] \text{მ}. \quad (15.13)$$

ნახ. 15.2-ზე მოცემულია  $c^{0,42}$ ,  $c^{0,5}$  და  $\Delta^{0,5}$  მნიშვნელობების გამოსათვლელი გრაფიკი. სხვა ტემპერატურების შემთხვევაში  $R$ -სთვის უნდა შემოვიტანოთ შესწორების კოეფიციენტი

$t^\circ = 10; 20; 30; 40; 50; 60$ ,

$a_t = 1,1; 0,9; 0,8; 0,7; 0,6$ .



ნახ. 15.2.  $C^{0,42}$ ,  $C^{0,5}$  და  $\Delta^{0,5}$ -ის გამოსათვლელი გრაფიკი

შესწორების კოეფიციენტი  $a_t$  უნდა გავითვალისწინოთ სხვა ჯიშებისთვისაც.

კედრისათვის  $a_t = 0,8$ ; არყისათვის  $a_t = 1,0$ ; წიფლისათვის  $a_t = 1,3$ ; მუხისათვის  $a_t = 1,7$ .

მიწოდების ძალა  $Q = R$  პგ.

მომჭიმ სახაზაგზე მოქმედებს შემდეგი მხები ძალები:  
არყისათვის

$$P' = (0,016 - 0,00012t)\Delta cL \text{ პგ;} \quad (15.14)$$

წიფლისათვის

$$P' = (0,023 - 0,00017t)\Delta cL \text{ პგ;} \quad (15.15)$$

მუხისათვის

$$P' = (0,027 - 0,0002t)\Delta cL \text{ პგ.} \quad (15.16)$$

არყისათვის რადიაციური ძალა, როცა  $t = 20^\circ\text{C}$  ტოლია

$$R = 0,185(\Delta C)^{0,5} L \text{ პგ.} \quad (15.17)$$

სხვა ჯიშებისათვის და სხვა ტემპერატურის პირობებში უნდა გისარგებლოთ შესწორების  $a_t$  და  $a_3$  კოეფიციენტებით.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ფიცარსაჭრელ ჩარხზე ფიჭვისათვის

$$K = 0,025 + \frac{0,13}{c}; \quad (15.18)$$

ვერხვისათვის

$$K = 0,027 + \frac{0,135}{c}; \quad (15.19)$$

არყისათვის

$$K = 0,041 + \frac{0,14}{c}. \quad (15.20)$$


## თავი XVI ბურდება

ბურდების პროცესის არსი მდგომარეობს ინსტრუმენტის (ბურდის) ცილინდრული ტანის ტორსზე განლაგებული საჭრისებით ჭრაში, რომელიც მუშაობს დროს მერქანში შემოწერს ხრახნულ ზედაპირს.

ბურდების დროს მთავარი მოძრაობაა ბურდის ბრუნვითი მოძრაობა. მიწოდების მექანიზმით კი მბრუნვი ბურდი გადაადგილდება ბრუნვის დერძის გასწვრივ უძრავი ნამზადის მიმართ ან ნამზადი მიეწოდება ბურდს.

ბურდს (ნახ. 16, ა) აქვს ბოლო 4, რომლითაც იგი მაგრდება ჩარხის მუშა შპინდელში. მუშა ნაწილში ტორსზე არის მჭრელი ელემენტი 1, ხოლო გვერდით ზედაპირზე – მიმმართველი ღარაკი 2, ეს უკანასკნელი განკუთვნილია ჭრის ზონიდან ბურბუშელის გამოსასვლელად. ბურდის გვერდითი (ცილინდრული) ზედაპირი დამუშავებულია გარკვეულ სიღრმეზე ვიწრო ლენტის 3 მიმართ, რომლითაც იგი ბაზირდება ნახვების ფორმირებულ ზედაპირზე.

მერქნის ბოჭკოების მიმართ ნახვრების დერძის მდებარეობის მიხედვით განარჩევენ გრძივ (დეტალის ტორსზე) (ნახ. 16, ბ) და განივ (დეტალის ფენობზე) (ნახ. 16, გ) ბურდებას, რის მიხედვითაც ბურდის კონსტრუქციის წაეჭვნება გარკვეული მოთხოვნები. გრძივი ბურდებისას მთავარი მჭრელი პირის მოთავსება ინსტრუმენტის ტორსზე ბრუნვის დერძის პერაპენდიკულარულ სიბრტყეში სასურველი არ არის. მიზანშეწონილია გამოყენებილ იქნას ბურდი მჭრელი ნაწილის კონუსური ალექსით (ნახ. 16, ბ), სადაც მჭრელი პირი 1 დახრილია ბრუნვის დერძის მიმართ  $\varphi$  კუთხით (სტანდარტული ბურდებისათვის  $2\varphi = 85^\circ$ ) და მუშაობის დროს ასრულებს განივ-ტორსულ ჭრას. ბურდის საჭრისის 4 წინა ზედაპირი არის დარგის 3 ხრახნული ზედაპირი, უკანა ზედაპირი 5 კონუსური ზედაპირის ნაწილია. ბურდის მთავარი მჭრელი პირი 1 შეიძლება ჩავთვალოთ სწორსაზობრივად. უკანა ზედაპირების გადაკვეთის შედეგად მიიღება საჭრისის მჭრელი პირი 6, რომელსაც ზღუდარი ეწოდება.



ნახ. 16. ბურდვის სქემა:  $\alpha$  – ბურდვის კონსტრუქცია;  $\delta$  – გრძივი ბურდვისა და მჭრელი ნაწილის სქემა;  $\varphi$  – განივი ბირდვისა და მჭრელი ნაწილის სქემა

საჭრისის მთავარი მჭრელი პირი კონუსური ალესფით ნახვრეტის ძირითად ჭრის ფენას, რომლის ზომები ბურდვის დერძის გასწვრივ ერთ საჭრისზე მიწოდების ტოლია.

მუშაობის დროს 1-2 უბანზე მონაწილეობას დებულობს დამხმარე მჭრელი ნაწობური, რომელიც მიიღება წინა ზედაპირისა და ლენტის 2 გადაკვეთით, მისი დახმარებით ფორმირდება ნახვრეტის ზედაპირი.

განივი ბურდვისას ბურდის ელემენტების მუშაობის პირობები განსხვავებულია. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია მთავარი მჭრელი პირის მოთავსება ბრუნვის დერძის მიმართ პერპენდიკულარულ სიბრტყეში, რომლის დროსაც სრულდება უმეტესად

განივ-გრძივი ჭრა. განივი ბურდვისას გვერდითი მჭრელი პირის მუშაობის პირობები განსაკუთრებით მძიმეა. მერქნის ბურდვისას ფენობსა და გვერდით ნაწილურებში იქმნება მიწოდების მიმართულებიდან ბურდის ღერძის გადახრის საშიშროება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ოპერაციის შესრულების სიზუსტის შემცირებას. ამიტომ ამ შემთხვევაში ბურდი აღჭურვილი უნდა იქნას მაცენტრებელი ელემენტებით. ასეთ პირობებს პასუხობს სტანდარტული სპირალური ბურდი მიმმართველი ცენტრით და შემომჭრელებით. განივი ბურდისათვის გამოყენებულ ინსტრუმენტს (ნახ. 16, გ) აქვს მთავარი მჭრელი პირი 1, რომელიც მოთავსებულია ბრუნვის ღერძის პერპენდიკულარულ სიბრტყეში, მიმართველი ცენტრი 7, რომელიც უზრუნველყოფს ბურდის დამატებით დაცენტრებას და შემომჭრელი 8.

ბურდვისას ჭრის სიჩქარე დამოკიდებულია მჭრელი პირის განსახილველი წერტილის რადიუსზე, კერძოდ,  $V_1$  კვეთაში I-II წერტილისათვის, რომელიც ბრუნვის ღერძიდან დაშორებულია  $r_1$  რადიუსით, ხოლო  $V_2$  კვეთაში – II-II წერტილისათვის, რომელიც ბრუნვის ღერძიდან დაშორებულია  $r_2$  რადიუსით.

მთავარი (ბრუნვითი) მოძრაობის სიჩქარე

$$V = \frac{\pi D n}{60000} \text{ მ/წ} \quad (16.1)$$

მაქსიმალურია წრეხაზის  $D$  დიამეტრზე (ნახ. 16, ა) და  $V=0$  ცენტრთან. ამიტომაც გაანგარიშებებში მიიღება საშუალო სიჩქარე

$$V_{\text{საშუალო}} = \frac{\pi D n}{2 \cdot 60000} \text{ მ/წ} \quad (16.2)$$

მიწოდების სიჩქარე ბურდის ღერძის გასწვრივ

$$U = \frac{c z n}{60 \cdot 1000} \text{ მ/წ}, \quad (16.3)$$

სადაც  $z$  ბურდის ტორსზე მჭრელ პირთა რიცხვია და  $c$  – მიწოდება ერთ ჭრაზე. ნომინალური ბურბუშელის სისქე  $e-c$ . რადგან  $U \perp V$ , მიწოდების სიჩქარე  $U$  გაცილებით ნაკლებია ჭრის სიჩქარეზე ( $V$ ).

ბურბუშელის განივევთი

$$f = \frac{D}{2} c \text{ მმ}^2. \quad (16.4)$$

ჭრის ძალა

$$P = Kf = K \frac{D}{2} c \beta \delta. \quad (16.5)$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{P \cdot V_{\text{ნაკ}}}{102} \beta \delta. \quad (16.6)$$

მიწოდების ძალა დერძის მიმართულებით გამოითვლება გმპირისული ფორმულით

$$Q = (0,25 + 0,07D)P \beta \delta. \quad (16.7)$$

ერთი შემობრუნებისას ტორსული მჭრელი პირით ჭრის პროცესი გადადის განივიდან # გრძივზე ||, შემდეგ გრძივიდან || განივზე # და ა.შ. (ნახ. 16, ბ. გ). მიმჭრელიც ერთი შემობრუნებისას იცვლის ჭრის მიმართულებას ტორსულიდან ⊥ განივზე # და შემდეგ ისევ ტორსულზე და ა.შ.

პროცესის სირთულის მიუხედავად, მიმართველი ცენტრის, მიმჭრელების, ტორსული დანების, რომლებიც ახორციელებენ ჭრას სხვადასხვა მიმართულებით, ბურღვისას ადგილი აქვს საერთო კანონზომიერების მართებულებას და ჭრის კუთრი წინაღობა გამოითვლება ფორმულით

$$K = k + \frac{a_\rho P_{\text{უ}}}{c} \beta \delta / \beta \theta^2, \quad (16.8)$$

სადაც  $k$  ჭრის საშუალო დაწევა წინა წახნაგზე;  $a_\rho$  – დაბლაგ-ვების კოეფიციენტი;  $c$  – მიწოდების სიდიდე;  $P_{\text{უ}}$  – ჭრის კუთრი ძალა უკანა წახნაგზე.

ცენტრული ბურღვისათვის  $k$  და  $P_{\text{უ}}$ -ს მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 16).

ცხრილი 16

$k$  და  $P_{\text{უ}}$ -ს მნიშვნელობები ცენტრული ბურღვისათვის

D, $\beta \theta$	ფიჭვი		არყი		მუხა		შენიშვნა
	$k$	$P_{\text{უ}}$	$k$	$P_{\text{უ}}$	$k$	$P_{\text{უ}}$	
5	15,6	6,3	27	11	37,5	15	ხრახნული ბურღვისათვის $k_{\text{ხრ}} = 1,5K_{\text{ცნ}}$
10	4,5	1,7	7,1	2,0	10	4	
15	2,0	0,8	3,4	1,4	5	1,8	
20	1,4	0,6	2,3	1,0	3,5	1,3	
25	1,0	0,4	1,7	0,7	2,5	1,0	
30	0,8	0,3	1,2	0,5	1,8	0,7	არის 10D

## $V, N$ და $Q$ -ს განსაზღვრა ბურდვისას

მოცემულია: ცენტრალური ბურდის დიამეტრი  $D=20$  მმ;  
 $n=3500$  ბრ/წთ; ჯიში – მუხა;  $z=1$ ;  $U=1$  ბ/წთ.

მიწოდება ჭრაზე

$$c = \frac{1000 \cdot U}{zn} = \frac{1000 \cdot 1}{1 \cdot 3500} = 0,3 \text{ მმ.}$$

ჭრის კუთრი წნევა

$$K = k + \frac{P_0}{c} = 3,5 + \frac{1,3}{0,3} = 7,8 \text{ ძღ/მმ}^2.$$

ჭრის ძალა

$$P = K \frac{D}{2} c = 7,8 \cdot \frac{20}{2} \cdot 0,3 = 23,4 \text{ ძღ.}$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{PV_{bs}}{102} = 23,4 \cdot \frac{3,14 \cdot 20 \cdot 3500}{102 \cdot 2 \cdot 60000} = 0,42 \text{ ჯვტ.}$$

მიწოდების ძალა

$$Q = (0,25 + 0,07 \cdot 20) \cdot 23,4 = 39 \text{ ძღ.}$$

ხრახნული ბურდის შემთხვევაში, როდესაც  $z=2$ :

$$c = \frac{1000 \cdot 1}{2 \cdot 3600} = 0,15 \text{ მმ;}$$

$$K = 1,5 \left( 3,5 + \frac{1,3}{0,15} \right) = 18 \text{ ძღ/მმ}^2,$$

$$P = 18 \cdot \frac{20}{2} \cdot 0,15 \cdot 2 = 54 \text{ ძღ;}$$


$$N = \frac{PV_{bs}}{102} = 1 \text{ ჯვტ;}$$

$$Q = (0,25 + 0,07 \cdot 20) \cdot 54 = 90 \text{ ძღ.}$$

## თავი XVII

### ხარატება

ხარატება ჭრის პროცესია, როდესაც ნამზადის (საჭრისის) ბრუნვისას საჭრისი (ნამზადი) მიწოდება ღერძული ან განივი მიმართულებით.



ნახ. 17. ღერძული ხარატება გრძივი მიწოდებით:  
δ – შავად ხარატება; δ – სუფთა ხარატება

ღერძული ხარატება ხასიათდება ნამზადის ბრუნვითი მოძრაობით, მიწოდება კი ხორციელდება ბრუნვის ღერძის გასწვრივ.

ღერძული მიწოდებისას მიღებული ხრახნული ტიპისაა, განივი მიწოდებისას კი სპირალური.

ხარატება არის შავად და სუფთა. შავად ხარატების დროს გამოიყენება საჭრისები მომრგვალებული პირით (ნახ. 17, δ), სუფთა ხარატების დროს – ირიბი მჭრელი პირით (ნახ. 17, δ). დასამუშავებელი მასალის მიწოდება ხორციელდება ხელით ან სუპორტით. ღერძული გრძივი ხარატების დროს საჭრისის მჭრელი პირი სახარატო ცენტრის დონეზეა, საჭრისი კი გადაადგილდება დეტალის ბრუნვის ღერძის გასწვრივ.

ხარატებისას მოთხოვნილი სისუფთავეა  $R_{m\delta\varphi} = 100 - 30$  მკმ და მიიღება ბრუნვაზე  $\Delta = c < 0,8$  მმ მიწოდებისას.

იმის გამო, რომ დამუშავებისას  $h$  ნამეტი საკმაოდ დიდია, ჯერ ახორციელებენ შავად ხარატებას, მოხსნიან სქელ ფენას,

რისთვისაც გამოიყენება მომრფვალებული საჭრისები  $r=10-30$  მმ რადიუსით. ამ შემთხვევაში  $e=c\sqrt{\frac{h}{2r}}$  ნაკლებია  $h$  ნამეტზე.

სწორხაზოვანი მჭრელი პირის შემთხვევაში  $e=h$ , ამიტომ წარმოიქმნება ამონაგლუჯები და ანატენები საჭრისის გვერდით წიბოებთან.

ძირითადი მონაცემები შავად და სუფთად ხარატებისას მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 17).

ცხრილი 17

შავად ხარატება (ნახ. 17, ა)	სუფთად ხარატება (ნახ. 17, ბ)
1	2
1. საჭრისის გეომეტრია $\alpha = 10 - 12^\circ$ , $\delta = 45^\circ$ 2. მიწოდება $\Delta = c \frac{\partial h}{\partial r}$ $\Delta = c = \frac{1000U}{n}$ (რეკომენდებულია $c = 1,6 - 2$ მმ)	$\alpha = 10 - 12^\circ$ , $\delta = 35 - 50^\circ$ რეკომენდებულია $\delta = 45^\circ$ $\Delta = c = \frac{1000U}{n}$ (რეკომენდებულია $c < 0,8$ მმ) $R_{m\theta\phi} = 100 - 200$ მეტ-დან $R_{m\theta\phi} = 30 - 60$ მეტ-დე მისაღებია საჭრისის დაბლა- გვებაზე დამოკიდებულებით
3. ნამეტი $h$ , მმ $h = 2 - 5$	$h = 0,25 - 3$
4. ბურბულების სისქე $e$ , მმ $a = c\sqrt{\frac{h}{2r}}$ საღაც მმ $r = 10 - 20$ $\sin \Theta = \sqrt{\frac{h}{2r}}$	$e = \Delta \sin \Theta = c \sin \Theta$
5. მჭრელი პირის სიგრძე $b$ , მმ $B = l = \sqrt{hD}$ საღაც $l$ კონტაქტის რეალის სიგრძეა, მმ	$b = \frac{h}{\sin \Theta}$

## გაგრძელება

1	2						
<p>6. ჭრის საშუალო სიჩქარე <math>V_b</math>, მ/წმ</p> $V_b = \frac{\pi(d + d_1)n}{2 \cdot 60 \cdot 1000},$ <p>სადაც <math>d</math> ნამზადის დიამეტრია, მმ; <math>d_1</math> – დეტალის დიამეტრი, მმ</p> <p>7. ჭრის პუთხის წინაღობა</p> $K = k + \frac{a_\rho P_\vartheta}{\Delta}$ <p><math>P_\vartheta</math> პგ/მმ და <math>k</math> პგ/მმ<sup>2</sup>-ს მნიშვნელობები</p> <table style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td style="text-align: center;"><math>P_\vartheta</math></td> <td style="text-align: center;"><math>k</math></td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">ფიჭის</td> <td style="text-align: center;">0,35</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">არყი</td> <td style="text-align: center;">1,5</td> </tr> </table> <p>არყი      0,55      2,1</p> <p>მუხა      0,75      2,8</p> <p><math>P_\vartheta</math> პგ/მმ მნიშვნელობები</p>	$P_\vartheta$	$k$	ფიჭის	0,35	არყი	1,5	<p><math>K = k + \frac{a_\rho P_\vartheta}{e}</math></p> <p><math>k</math> პგ/მმ<sup>2</sup>-ს მნიშვნელობა</p> <p>ფიჭისათვის</p> $k = (0,003 + 0,0006\Theta)\delta + (0,006 + 0,00016\Theta)V - (0,06 + 0,023\Theta)$ <p>არყისა და მუხისათვის</p> $k = (0,005 + 0,0095\Theta)\delta + (0,007 + 0,00022\Theta)V - (0,09 + 0,023\Theta)$ <p>ფიჭი <math>P_\vartheta = 0,1 + 0,0042\Theta</math></p> <p>არყი <math>P_\vartheta = 0,12 + 0,0048\Theta</math></p> <p>მუხა <math>P_\vartheta = 0,15 + 0,006\Theta</math></p>
$P_\vartheta$	$k$						
ფიჭის	0,35						
არყი	1,5						
<p>8. ჭრის ძალა <math>P</math>, პგ</p> $P = Kch = 500(d - d_1) \frac{u}{n}$ <p>9. ჭრის სიმძლავრე <math>N</math>, კვტ</p> $N = \frac{PV}{102}$							

მჭრელი პირის სიმრუდის  $\rho$  რადიოსოს გავლენა ზედაპირის  
საონანობაზე. როდესაც

$$5 \leq \rho \leq 10 \text{ მკრ, } \text{მაშინ } \text{მიიღება } R_{m\delta,j} = 30 - 60 \text{ მმ;}$$

$$10 \leq \rho \leq 20 \text{ მკრ, } \text{მაშინ } \text{მიიღება } R_{m\delta,j} = 60 - 100 \text{ მმ;}$$

$$20 \leq \rho \leq 40 \text{ მკრ, } \text{მაშინ } \text{მიიღება } R_{m\delta,j} = 100 - 200 \text{ მმ.}$$

1 მ-ის ჭრაზე მჭრელი პირის სიმრუდის რადიუსის ნამეტი  
ტოლია 0,001 მმ-ის XΒΓ ფოლადისაგან დამზადებული საჭრი-  
სებისათვის და 0,0008 მმ – X12Φ1 ფოლადისაგან დამზადებული  
საჭრისებისათვის

$$\Delta\rho = (0,001 - 0,0008) \frac{\pi Dn}{1000},$$

$$a_p = 1 + \frac{0,2\Delta\rho}{\rho_0},$$

სადაც  $\rho_0 = 4 \dots 5 \text{ მკრ.}$

ჭრის რეჟიმის გაანგარიშების მაგალითები ხარატების  
პროცესის დროს.

მაგალითი. მოცემულია  $d_{ნაზ} = 50 \text{ მმ, } d_{ლემ.} = 45 \text{ მმ, } \delta = 50^\circ,$   
 $n = 800 \text{ ბრ/წთ. } \dot{\chi}_0 \text{ში } - \text{არყი; } U = 2 \text{ ვ/წმ; } r = 8 \text{ მმ.}$

საჭიროა განისაზღვროს  $N$  შავად ხარატებისას.

ამოხსნა.

განვსაზღვროთ ჭრის კუთრი წინადობა (ცხრილი 17)

$$K = k + \frac{P_0}{\Delta} = 0,55 + \frac{2,1}{\Delta}.$$

მიწოდება საჭრისზე

$$\Delta = \frac{1000U}{n} = \frac{2000}{800} = 2,5 \text{ მმ,}$$

მაშასადამე

$$K = 0,55 + \frac{2,1}{2,5} = 1,39 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

ჭრის ძალა

$$P = K\Delta h = 1,39 \cdot 2,5 = \frac{50 - 45}{2} = 8,67 \text{ ჯგ.}$$

განვსაზღვროთ ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{PV_b}{102} = \frac{8m76 \cdot \pi(d + d_1)n}{102 \cdot 2 \cdot 60 \cdot 1000} = 0,168 \text{ дж.}$$

**მაგალითი 2.** მოცემულია  $d_{ნაზ} = 50$  მმ;  $d_{დაბ} = 45^\circ$ ;  $\delta = 45^\circ$ ;  $n = 3000$  ბრ/წთ;  $U = 2$  ბ/წთ. ჯიში – არყო.

საჭირო განვსაზღვროთ ჭრის სიმძლავრე  $N$  სუფთა ხარატებისას.

### ამოხსნა.

განვსაზღვროთ მიწოდება ჭრაზე (ცხრ. 17).

$$\Delta = \frac{1000U}{n} = \frac{2000}{3000} = 0,66 \text{ მმ,}$$

კ.ო.

$$e = \Delta \sin \varphi = 0,4 \text{ მმ.}$$

განვსაზღვროთ (ცხრ. 14)  $k$  და  $P_{\vartheta}$  კითვალისწინებთ, რომ  $V = 7$  ბ/წმ.

$$k = (0,005 + 0,00096 \cdot 45^\circ)45^\circ + (0,007 + 0,00022 \cdot 45^\circ)7 -$$

$$-(0,09 + 0,023 \cdot 45^\circ) = 1,1 \text{ ჯგ/მმ}^2;$$

$$P_{\vartheta} = 0,12 + 0,0048\varphi = 0,34 \text{ ჯგ/მმ.}$$

საქროო კუთრი წინაღობა

$$K = k + \frac{P_{\vartheta}}{e} = 1,1 + \frac{0,34}{0,4} = 1,95 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

ჭრის ძალა

$$P = K \Delta h = 1,95 \cdot 0,66 \cdot 2,5 = 3,2 \text{ ჯგ.}$$

ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{PV_b}{102} = \frac{3,2 \cdot 7}{102} - 0,2 \text{ ჯგ.}$$

**შენიშვნა.** როდესაც საჭრისი არის დამზადებული **XBT** ფოლადისაგან და სუფთა ხარატების დრო 60 წთ,

$$\Delta\rho = (0,001 - 0,0008) \frac{\pi D n}{1000} 60 = 23 \text{ გრ.}$$

$$a_{\rho} = 1 + \frac{0,2 \cdot 23}{5} = 1,92 \text{ გრ.}$$

მაშასადამე

$$K = k + \frac{a_{\rho} P_{\vartheta}}{e} = 1,1 + \frac{1,92 \cdot 0,34}{0,4} = 2,15 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

ქის ძალა

$$P = K\Delta h = 2,15 \cdot 0,66 \cdot 2,5 = 3,54 \text{ ქბ};$$

ქრის სიმძლავრე

$$N = \frac{P \cdot V_b}{102} = \frac{3,54 \cdot 7}{102} = 0,24 \text{ ქვტ},$$

კ.ი. იზრდება, რადგან  $\rho = \rho_0 + \Delta\rho = 5 + 28$  გკრ.

ცხრ. 17-ის  $P_{m_{\text{მაქ}}}$  იქნება 100-200 გკრ.

## თავი XVIII

### ხეხვა

ხეხვა სუფთად დამუშავების პროცესია, რომელიც ხორციელდება მრავალრიცხოვანი საჭრისებით, აბრაზიული მაცვლების სახით, რომლებიც განლაგებულია მოძრავ ინსტრუმენტზე (ლენტი, ცილინდრი, დისკი). ამ დროს მოიხსნება ძალზე თხელი ბურბუშელა.

თანამედროვე საავეჯო-საღურგლო მექანიკურ საწარმოებში, ძელაკოვანი დეტალების, ყუთებისა და ჩარჩოების ხეხვა, როგორც წესი, ხორციელდება უნივერსალურ, ლენტურ, დისკურ და ცილინდრულ სახეს ჩარხებზე.

ფაროვანი დეტალები დაფანერებამდე (შავად ხეხვა) იხეხება სამ ცილინდრულ ჩარხზე, ხოლო მოპირკეთებისათვის (სუფთა ხეხვა) – ლენტურ ჩარხზე.

ხეხვის პროცესის შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთეული აბრაზიული მარცვლის მუშაობის მექანიზმის ცოდნას. იმისათვის, რომ შევისწავლოთ აბრაზიული მუშაობის მექანიზმი, აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო ზომები, არამედ მისი გეომეტრია და კონფიგურაცია.

### 18.1. აბრაზიული მარცვლების გეომეტრია

აბრაზიული მარცვლების მისაღებად გამოიყენება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოგნური აბრაზივები. თავისი მექანიკური თვისებებით ხელოვნურ აბრაზივებს ენიჭებათ ბუნებრივთან შედარებით, ამიტომ მრეწველობაში გამოიყენება ძირითადად ხელოვნური აბრაზივები: კორუნდი, კარბორუნდი და ბორის კარბიდი. ხელოვნური კორუნდი წარმოადგენს სინთეზურ პროდუქტს, რომლის შემადგენლობაში 92-98% კრისტალური თიხა-მიწაა. ხელოვნური კორუნდი მიიღება ელექტროლუმელში თიხის ბოქსიტის გამოდნით, რომელიც ძირითადად შედგება ალუმინის ჟანგის  $Al_2O_3$ , სილიციუმის ორჟანგის  $SiO_2$  და რკინის ჟანგისაგან  $Fe_2O_3$ .

ხელოვნური კარბორუნდი (სილიციუმის კარბიდი)  $Sic$  ხასიათდება მეტი სიმტკიცით, ვიდრე კორუნდი, მაგრამ უფრო მყიფეა ამ უკანასკნელთა შედარებით.

ცხრილი 18.1

მერქნის გასახებად გამოყენებული აბრაზიული მასალების ძირითადი თვისებები

აბრაზიული მასალები	სახე	ფერი	ფორმა	პლასტიკუ- რობა	სიმაგ- რე	გამოყენების სფერო
მინა (მწვანე ბოთლის)	სელოვნური	მომწვანო- მოთეთრო	მახვილეუთხა	მყიფე	4-6	სელიო სეხვისათვის
კაჭი	ბუნებრივი	ნაცრისფერი	მახვილი	მეტები	5-6	ყველა ჯიშის მერქნის სელიო და მექანიკური სეხვისათვის
ძოწი	ბუნებრივი	წითელი მომწვანო- მოვაკისფრო	ფუჭვილებიანი მახვილეუთხა	საშ. სიმყიფის	7	მერქნის ჯიშის მერქნის სელიო და მექანიკური სეხვისათვის
ზუმფარა	ბუნებრივი	მოშავო- მონაცრისფერო	მახვილი	საშ. სიმყიფის	6-8	ყველა ჯიშის მერქნის სელიო და მექანიკური სეხვისათვის
ელექტრო- კორუნდი	სელოვნური	ნაცრისფერ- მოვაკისფრო	მარცვლოვანი ფუჭვილებიანი მახვილეუთხა	საშ. სიმყიფის	8-9	მაგარი ჯიში და ძირფასი ფანერის მექანიკური სეხვისათვის
სილიციუმის კარბიდი	ხელოვნური	მომწვანო- მოშავო	მახვილეუთხა	მყიფე	9	ძალიან მაგარი ჯიშების მექანიკური სეხვისათვის

სახები ზუმფარის ძირითადი მახასიათებლებია:

- ა) აბრაზიული მასალის სახე;
- ბ) მისი მარცვლოვანება;
- გ) მარცვლების სიმკერივე ფუძქზ;
- დ) ფუძის მასალა;
- ე) წებო (შემაკავშირებელი);
- ვ) ტენმედეგობა.

1) აბრაზიული მასალა ფუძქზე დამაგრებული უნდა იყოს საქმარებლის მტკიცედ, რათა არ ამოვარდეს მისგან სათანადო დაბლაგვებამდე.

2) ზუმფარის ფუძე უნდა იყოს მტკიცე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მუშაობის დროს წარმოშობილი ძალების მოქმედებით მისი გარღვევა აბრაზიული მასალის სრულ გაცვეთამდე. 3) ზუმფარის ზედაპირი უნდა იყოს ერთგვაროვანი, მასზე თანაბრად უნდა იყოს განაწილებული წებო მასალა და აბრაზიული მარცვლები სათანადო სისქით.

სახები ზუმფარა, რომელსაც იყენებენ მერქნის მასალის დასამუშავებლად, მზადდება სხვადასხვა სახის აბრაზიული მარცვლებისაგან. მათგან ყველაზე გავრცელებულია ელექტროკორუნდი, სილიციუმი და მინა. იშვიათად გამოიყენება ძოჭი, ზუმფარა და სილიციუმის კარბიდი.


18.1 ცხრილში მოცემულია აბრაზიული მარცვლების დახასიათება და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში მათი გამოყენების სფერო.

აბრაზიულ მარცვლებს დებულობენ გამყარებული აბრაზიული მასის დამსხვრევით, რის გამიც მარცვლების პროფილი და ზომები სხვადასხვა სახის მიიღება.

## 18.2. მარცვლის ზომები

მარცვლის სიგანე *b* (ნახ. 18.2) წარმოადგენს მარცვლოვნების ნომრის განმსაზღვრელს. მარცვლის *b* სიგანის მნიშვნელობები მცირდება მარცვლოვანების ნომრის ზრდასთან ერთად.

აბრაზიული მასალების მარცვლოვნების კლასიფიკაცია მოცემულია 18.2 ცხრილში.



ნახ. 18.2. აბრაზიული მარცვლების ძირითადი  
გეომეტრიული პარამეტრები

ცხრილი 18.2

მარცვლოვნება	მარცვლის ზომითი მახასიათებელი მიკრონებში (მარცვლის სიგანის საშუალო მნიშვნელობა „b“)
200	2500-200
160	2000-1600
125	1600-1250
100	1250-1000
80	1000-800
63	800-630
50	630-500
40	500-400
32	400-315
25	315-250
20	250-200
16	100-160
12	160-125
10	125-100
8	100-80
6	80-63

მარცვლის  $l$  სიგრძე შეიძლება იცვლებოდეს დიდ ზღვრებში, მაგრამ მისი საშუალო სიდიდე ერთი მარცვლოვანების ფარგლებში იცვლება უმნიშვნელოდ მაგალითად

მარცვლოვანება 40 – 620-740 მკრ;

“ 63 – 450-470 მკრ;

“ 80 – 300-380 მკრ.

$\frac{l}{b}$  ფარდობა ახასიათებს მარცვლის ფორმას. იგი იცვლება

ზღვრებში 0,6-1,5. განსაზღვრული მარცვლოვანების აბრაზიული მასალა უნდა შეიცავდეს 40-45% (წონის მიხედვით) მოცემული მარცვლოვნების ნორმის მარცვლებს, 15-30% – უახლოესი მსხვილი ფრაქციის მარცვლებს, 30-35% – უახლოესი უდიდესი ნორმის მქონე მარცვლებს და 3% – წვრილი ფრაქციის მარცვლებს. ეს გვიჩვენებს, რომ გარკვეული ნორმის მარცვლების შემადგენლობა არ არის ერთგაროვანი.

აბრაზიული მარცვლების ფუძეზე დატანილი უნდა იქნეს ერთ ფენად. მათი სიმკვრივე განისაზღვრება ზუმფარის ერთგულზე მოსული მარცვლებისა და წებოს რაოდენობით. სიმკვრივეს აქვს არსებითი მნიშვნელობა ზუმფარის მუშაობის მწარმოებლურობისა და ხარისხისათვის.

ფუძედ გამოიყენება ტექნიკური ნარმა და ტექნიკური სარეზ.

ქადალდის ზუმფარის ფუძის მასალად გამოყენებულია 4 მარკის ქადალდი

სახები ქადალდი 100 წონით 100 გ/მ<sup>2</sup>;

“ 120 – წონით 120 გ/მ<sup>2</sup>;

“ 140 – წონით 140 გ/მ<sup>2</sup>;

“ 200 – წონით 200 გ/მ<sup>2</sup>.

მარცვლების კავშირი ფუძეზე უნდა იყოს მაღალი სიმტკიცის, მაგრამ ამასთანავე ელასტიურიც.

### 18.3. მარცვლის წვეროს დამრგვალების $\rho$ რადიუსი და წახნაგთა $\varepsilon$ კუთხეები

როგორც წესი, ყველა მარცვალს აქვს დამრგვალებული წვერო (იხ. ნახ. 18.2).

პირველი მიახლოებით მარცვლის წვეროს მრუდი შეიძლება მიეთმოთ  $R$ -რადიუსის წრეწირის რადიუსი, რომელსაც დამრგვალების ან დაბლაგების რადიუსს ვუწოდებთ.

გარდა დამრგვალების (დაბლაგვების) რადიუსის ხეხვის პროცესში ბურბუშელის წარმოქმნაზე დიდ გავლენას ახდენს მარცვლის კუთხეები და ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

ა) დამრგვალების რადიუსი მცირდება მარცვლის ზომის შემცირებასთან ერთად.

ბ) გარევეული მარცვლოვნების ჯგუფის ფარგლებში დამრგვალების რადიუსი იცვლება არარსებითად.

ელექტროკორუნდის მარცვლების დამრგვალების რადიუსის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს:

$$40 \text{ მარცვლოვნებისათვის } \rho = 29 \text{ მკრ};$$

$$25 \text{ მარცვლოვნებისათვის } \rho = 19 \text{ მკრ};$$

$$16 \text{ მარცვლოვნებისათვის } \rho = 13 \text{ მკრ}.$$

სილიციუმისა და სილიციუმის კარბიდის მარცვლებს აქვთ რამდენიმე მცირე დამრგვალების რადიუსი.

მარცვლის წახნაგის კუთხის გაზომვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ იგი იცვლება ფარგლებში  $45-145^\circ$ , კუთხის საშუალო მნიშვნელობა მცირდება ზომების შემცირებასთან ერთად:

$$40 \text{ მარცვლოვნებისთვის } \varepsilon = 110^\circ;$$

$$25 \text{ მარცვლოვნებისთვის } \varepsilon = 108^\circ;$$

$$16 \text{ მარცვლოვნებისთვის } \varepsilon = 106^\circ.$$

ზოგიერთი მარცვლის წახნაგის კუთხე  $45-90^\circ$  ზღვრებშიცაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მარცვლის დიდ დერძე მოთავსებულ წვეროებს აქვთ მნიშვნელოვნად ნაკლები დამრგვალების რადიუსი და წახნაგის კუთხე, ვიდრე მცირე დერძე მოთავსებულ წვეროებს.

#### 18.4. მერქნის ხეხვის მუშაობის ბალანსის განტოლება

დადგენილია, რომ ჭრის მუშაობა

$$E = E_1 + E_2 + E_3 + E_4 + E_5 + E_6, \quad (18.1)$$

სადაც  $E_1$  არის ძალების მუშაობა, რომლებიც წარმოშობები დრეკად დეფორმაციებს ბურბუშელაში, დამუშავებულ დეტალში და მჰრელ იარაღში;  $E_2$  – მუშაობა, რომელიც იხარჯება დამუშავების ზედაპირის გარღვევაზე და შიგა მოლექულების ზედაპირზე

გამოტარაზე;  $E_3$  – მუშაობა, რომელიც იხარჯება დამუშავებული მასალის სტრუქტურის შეცვლაზე წნევისა და გახურების შედეგად;  $E_4$  – იმ ძალებისა მუშაობა, რომლებიც იწვევენ მოხსნილ ფენასა და დამუშავებულ დეტალში პლასტიკურ დეფორმაციებს;  $E_5$  – ძალების მუშაობა, რომლებიც იწვევენ ბურბუშელის ძვრას (მოჭრას);  $E_6$  – საჭრისის წინა, უკანა და გვერდით ზედაპირზე ხახუნის ძალების მუშაობა.

პირველი სამი მუშაობის ჯამი  $E_1 + E_2 + E_3$  მეტად მცირეა ყველა ლითონისათვის, კრისტალური მასალებისა და მერქნისათვის, ამიტომ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ.

ამგვარად

$$E = E_4 + E_5 + E_6. \quad (18.2)$$

### 18.5. ზუმფარის დაწნებილი ჰაერით გაწმენდის პროცესი

ლენტური ზუმფარით ხეხვის პროცესში მარცვლებს შორის სივრცეში ადგილი აქვს ბურბუშელის დაწნებას, რომელიც დამოკიდებულია ხეხვის პარამეტრებზე.


ზუმფარის 1,2 სო-ის მუშაობის შემდეგ მიმდინარეობს ბურბუშელის მოხსნის მკვეთრად შემცირდა და ეს გასაგებია, რადგან ადგილი აქვს მარცვლებს შორის სივრცეში ბურბუშელის საწყის შეწნებას.

დაწნებილი ბურბუშელი შეკუმშული ჰაერით ძნელად მოსაცილებელია, მაშინ როდესაც ბურბუშელა, რომელიც მოთავსებულია მარცვლებს შორის სივრცის ზედა ნაწილში (ნახ. 18.1) შეკუმშული ჰაერით შეიძლება ადგილად მოცილდეს და მარცვლების  $h$  სიმაღლე გარკვეული დროის განმავლობაში უცვლელი რჩება. 1 არის დაწნებილი ბურბუშელა, რომლის მოცილებაც საკმაოდ ძნელია. ანალოგიურ გარემოებას აქვს ადგილი მარცვლოფნების ნომრის გადიდებისას.


მარცვლოვნების ნორმის გადიდებით მეზობელ მარცვლებს შორის ღრმულის მოცულობა იზრდება ბურბუშელის დაწნება წარმოებს უფრო ინტენსიურად, ამიტომ გაწმენდის ეფექტი ეცემა.

სახები ზუმფარის ჰაერით გაწმენდის პროცესი აქტუალურია, რადგან იძლევა დიდ ეფექტს. ხეხვის პროცესის კლასიფიკაცია


(ნახ. 18.2) წარმოებს აბრაზიული იარაღის დასამუშავებელ დეტალთან კონტაქტის ზონის გეომეტრიული ფორმის მიხედვით.



ნახ. 18.1. აბრაზიულ მარცვლებს შორის ბურბუშელის დაწესება



ნახ. 18.2. სეხვის პროცესის სქემების კლასიფიკაცია



ნახ. 18.3. ხეხის პროცესის სქემები

ნახ. 18.3-ზე ნაჩვენებია ხეხის პროცესის სქემები: უძრავ-საყრდენიანი ლენტით – მაგიდით (ა), ლენტზე ბრტყელი უთოს დაწოლით (ბ), თავისუფალი ლენტით (გ), დისკოს ტორსული ზედაპირით (დ), ლენტით შეივიანი მუშა ნაწილით (ე), ცილინდრით (ვ), ლენტზე პროფილური უთოს დაწოლით (ზ), ელასტიკური (საჰაერო) ცილინდრით (ო), ჯაგრისის თავით (ი), პროფილური დისკოთი (კ). 1 არის იარაღი, 2 – დეტალი, 3 – მაგიდა, 4 – საკონტაქტო მიმჭერი (უთო).

## 18.6. სახეხი ჩარხების გაანგარიშება

ხეხის ძალა ლენტური სახეხი ჩარხებისათვის პორიზონტალური მაგიდით

$$p = (\mu + f)(Q + G) \text{ კბ,} \quad (18.3)$$

სადაც  $\mu$  ზუმფარის მერქანთან შეჭიდულობის კოეფიციენტია (იხ. ცხრ. 18.1),  $f = 0,4$  – ლენტის მაგიდაზე ხახუნის კოეფიციენტი;

$(Q+G) = (5 \dots 15) - \text{ლენტის } \text{დეტალის } \text{დაწოლის } \text{მაღისა } \text{და } \text{დეტალის } \text{წონის } \text{ჯამი.}$

ცხრილი 18.3

μ კოეფიციენტის მნიშვნელობები

ჯიში	μ კოეფიციენტი		
	ბასრი ზუმფარით ხეხვისაგან	შუალედური ზუმფარით ხეხვისას	ბლაგვი ზუმფარით ხეხვისას
რბილი	0,65	0,5	0,4
მაგარი	0,6	0,45	0,35

კუთრი წნევა არ უნდა აღემატებოდეს  $0,03 \text{ კგ/სმ}^2$ , კ.ო.

$$\frac{Q+G}{F} \leq 0,03 \text{ კგ/სმ}^2,$$

სადაც  $F$  ხეხვის ფართობია, სმ $^2$ .

ხეხვის ძალა ჩარხებისათვის ვერტიკალური მაგიდით

$$P = (\mu + f) P_1 \delta \vartheta, \quad (18.4)$$

სადაც  $P_1 = 5 \dots 10$  დაწოლის ძალაა, კგ.

კუთრი წნევა

$$\frac{P_1}{F} \leq 0,03 \text{ კგ/სმ}^2.$$

ხეხვის ძალა ჩარხებისათვის თავისუფალი ლენტით

$$P = \mu P_1, \quad (18.5)$$

სადაც  $P_1 = 2 \dots 5$  დაწოლის ძალაა, კგ.

$$\text{კუთრი წნევა არ უნდა აღემატებოდეს } \frac{P_1}{F} \leq 0,06 \text{ კგ/სმ}^2.$$

ჩარხებისათვის მოძრავი მაგიდით

$$P = (\mu + f) P_1 \delta \vartheta, \quad (18.6)$$

სადაც  $P_1 = 5 \dots 10 \text{ კგ.}$

$f = 0,36$  უთოს ქვესადებზე ლენტის ხახუნის კოეფიციენტია.

კუთრი წნევა არ უნდა აღემატებოდეს

$$\frac{P_1}{F} \leq 0,06 \text{ კგ/სმ}^2,$$

დისკური სახები ჩარხებისათვის ხეხვის ძალა

$$P = \mu Q \quad \text{d} \delta, \quad (18.7)$$

სადაც  $\frac{Q}{F} \leq 0,06$   $\text{d} \delta / \text{ს} \delta^2$ .

$Q = (5-10)$  დეტალის დისკოზე ხელით მიჭერის ძალაა,  $\text{კგ}$ .

ცილინდრული სახები ჩარხებისათვის ხეხვის ძალა

$$q \leq 0,04 \quad \text{კგ}, \quad (18.8)$$

სადაც  $q \leq 0,04$  არის კუთრი წნევა ნაკეთობის 1 მმ სიგანეზე ან ცილინდრის  $l$  სიგრძეზე,  $\text{კგ-ში}$ .

სახები ცილინდრის ამძრავის სიმძლავრე

$$N_{\text{ამძ}} = \frac{PV}{102} \quad \text{კვტ}, \quad (18.9)$$

სადაც  $P$  ხეხვის ძალაა ერთი ცილინდრისათვის;  $V$  – ცილინდრულ ჩარხზე ხეხვის სიჩქარე ( $20-30 \text{ მ/წმ}$ ). მიწოდების მექანიზმის ამძრავი სიმძლავრე

$$N_{\text{ამძ}} = \frac{(Pm_G + \sum P_b)U}{60 \cdot 102 \cdot \eta_{\text{ამძ}}} \quad \text{კვტ}, \quad (18.10)$$

სადაც  $m_G$  სახები ცილინდრების რიცხვია;  $\sum P_b$  – მუხლუხების მიმმართველებში ხასუნის ძალების ჯამი,  $\text{კგ}$ ,

$$\sum P_b = P(m_G + m_3)f \quad \text{კგ}, \quad (18.11)$$

აქ  $m_3$  მიმჭერი ვალცების რიცხვია;  $U$  – მიწოდების სიჩქარე,  $\text{მ/წმ}$ ;  $\eta_{\text{ამძ}}$  – მიწოდების მექანიზმის ამძრავის მქ კოეფიციენტი;  $f = 0,1 - \text{მუხლუხების მიმმართველებში ხასუნის კოეფიციენტი}$ .

სამცილინდრიანი ჩარხის მწარმოებლურობა ცვლაში ( $T$  ცვლის სანგრძლივობა), რომელსაც აქვს ნამზადების უწყვეტი მიწოდება, განისაზღვრება შემდეგი ფორმულებით:

ძელაკისებრი დეტალებისათვის

$$\Pi = \frac{TK_1 K_2 n_6 U}{n_u L} \quad \text{გალი}, \quad (18.12)$$

სადაც  $n_6$  ერთდროულად დამუშავებადი ნამზადების რიცხვია;  $U$  – მიწოდების სიჩქარე,  $\text{მ/წმ}$ ;  $n_u$  – გატარებათა რიცხვი ერთ ნამზადზე და ერთ მხარეს;  $L$  – ნამზადის სიგრძე,  $\text{მ}$ .

ფარებისა და ფილებისათვის

$$\Pi = \frac{TK_1 K_2 U ab}{l} \quad \text{გ}^2, \quad (18.13)$$

სადაც  $a$  ფანერის (ფილის, ფარის) სიგრძეა, მ;  $b$  – ფანერის (ფილის, ფარის) სიგანე, მ;  $l$  – ფურცლების, ფილების, ფარების სიგრძე ჩარხებზე მათი  $10^{\circ}-15^{\circ}$  კუთხით მიწოდების გათვალისწინებით, მ.

$K_1$  და  $K_2$  შესაბამისად სამუშაო დროისა და სამანქანო დროის გამოყენების კოეფიციენტია. მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 18.4.

#### ცხრილი 18.4

სამუშაო დროისა და სამანქანო დროის გამოყენების კოეფიციენტის მნიშვნელობები

ჩარხები	$K_1$	$K_2$
დენტური	0,9	0,85
დისკური	0,9	0,7
ერთცილინდრიანი	0,85	0,7
სამცილინდრიანი	0,95	0,75

## თავი XIX

მერქნის მასალების ჰარით დამუშავება

### 19.1. მერქანბურბუშელის ფილები, მათი ჭრით დამუშავების თავისებურებანი

მერქანბურბუშელის ფილა წარმოადგენს განსაზღვრული წნევისა და ტემპერატურის პირობებში დაწესებლი მერქნის ნაწილაკებს, შერეულს შემაკავშირებელთან ერთად.

მერქანბურბუშელის ფილების კლასიფიკაცია წარმოებს: დაწესევის მეთოდის, ფილების კონსტრუქციის, დაქუცმაცებული მერქნის სახის, გამოყენებული შემაკავშირებლის, ფილების სიმკვრივის და სხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით.

დაწესევის მეთოდის მიხედვით მერქანბურბუშელის ფილები არის ბრტყელი დაწესევის და ექსტრუზიული. პირველი მიიღება, როდესაც დაწესევის ძალა ფილის სიბრტყის მართიბულად არის მიმართული, ხოლო მეორე – მის პარალელურად.

კონსტრუქციის მიხედვით მერქანბურბუშელის ფილები იყოფა მოპირკეობულ და მოუპირკეობულ ფილებად.

მოუპირკეობული ბრტყელი დაწესევის ფილა არის ერთფენიანი, სამუქნიანი, სუთფენიანი და მრავალფენიანი.

ექსტრუზიული ფილა ერთფენიანია.

იმისათვის, რომ ფილას მივცეთ უფრო სწორი ან დეკორატიული ზედაპირი და გავზარდოთ მისი სიმტკიცე, იგი უნდა მოვაპირკეოთ ახდილი ან ანათალი შპონით, სინთეზურ ფისში გაჟღენთილი ქაღალდით ან ქაღალდის ფენოვანი პლასტიკით.

ფილები მათში არსებული დაქუცმაცებული მერქნის ნაწილაკების სახის მიხედვით მზადდება: სპეციალური ბურბუშელის ნარჩენის, დამსხვერეული ნარჩენისა და ნახერნისაგან.

სპეციალური ბურბუშელისაგან დამზადებულ ფილებს აქვთ უფრო გლუვი ზედაპირი და მაღალი სიმტკიცე, ვიდრე ბირბუშელის ნარჩენისაგან დამზადებულ ფილებს.

დამსხვერეული ნარჩენისაგან მიღებული ფილის ზედაპირი უფრო მქისეა, მაგრამ სიმტკიცით სპეციალური და ნარჩენი ბურბუშელისაგან დამზადებულ ფილებს შორისაა, ნახერნისაგან დამზადებულ ფილებს საკმაოდ გლუვი ზედაპირი აქვთ, მაგრამ ყველა ნაკლები სიმტკიცით ხასიათდებიან.

გამოყენებული შემაკავშირებლის მიხედვით მერქანბურბუშელის ფილები მზადება: შარდოვანა-ფორმალდეპიდური, ფენოლ-ფორმალდეპიდური, კრეზოლფორმალდეპიდური და შარდოვანა-მელა-მინ-ფორმალდეპიდური ფისებისაგან.

სიმკვრივის მიხედვით ფილები იყოფა 5 ძირითად ჯგუფად, რომლებიც ხასიათდებიან შემდგენ მოცულობითი წონით.

ძალიან მცირე სიმკვრივის (ძალიან მსუბუქი წონის) – 0,35 გ/ტმ<sup>3</sup>;


მცირე სიმკვრივის (მსუბუქი წონის) – 0,36-0,50.

საშუალო სიმკვრივის (საშუალო წონა) – 0,51-0,65;

მაღალი სიმკვრივის (ძალიან მძიმე) – 0,66-0,80;

ძალიან მაღალი სიმკვრივის (ძალიან მძიმე) – 0,81-1,00.

ძირითადად გამოყენება საშუალო და მაღალი სიმკვრივის ფილები.




ნახ. 19.1. ფილების შრეულობა:  
ა – ფილის წიბო 1-ლი ჯგ.;  
ბ – იგივე მე-2 ჯგ.; 3 – იგივე  
მე-3 ჯგ.

სიმტკიცე, ცხადია, განსაზღვრავს ფილების სიმტკიცეს და ჭრის პირობებს.

განვიხილავთ რა ფილის სტრუქტურული სქემას (ნახ. 19.2,ა), მის წიბოზე შევამჩნევთ სიცარიელეებს (ფორებს), რომლებიც წარმოქმნილია სხვადასხვა ზომის ნაწილაკებით და მათი ერთ

სიბრტყეში არათანაბარი განაწილებით. აქვე ნაწილაკების ცუდი შერევის გამო შეიმჩნევა შემაკავშირებლის ადგილობრივი დაგროვება.



ნახ. 19.2. ფილის მოდელი და სტრუქტურული სქემა:  
ა – ნაწილაკთა შროის წებოვანი კავშირების სქემა;  
ბ – სტრუქტურული სქემა:  
1 – ნაწილაკი სუსტი წებოვანი კავშირით; 2 – ნაწილაკი მტკიცე წებოვანი კავშირით; 3 – ნაწილაკი ძალიან მტკიცე წებოვანი კავშირით; 4 – სიცარიელები (ფორები);  
5 – შემაკავშირებლის ადგილობრივი დაგროვება; 6 – ღრმად ჩამჯდარი ნაწილაკი; 7 – ნაკლებად ჩამჯდარი ნაწილაკი


თუ განვიხილავთ  $U_1$  მიმართულებით ფილის ბრტყელ ჭრას (ნახ. 19.2 ბ), შეიძლება შეგვხვდეს ღრმად და არაღრმად ჩამაგრებული ნაწილაკები, რომლებიც გადაჭრის დროს შეიძლება ამოვარდნენ და დატოვონ ჩაღრმავება ფორის სახით, რაც აუარესებს ჭრის ზედაპირს.

თუ ჭრას განვიხილავთ  $U_2$  მიმართულებით, მაშინ ჭრის ზედაპირზე აღმოჩნდება უმეტესად წებოვანი შრები, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ამ მიმართულებით ჭრის დროს შემაკავშირებლის აბრაზიული ზემოქმედება საჭრისზე იქნება გაცილებით მეტი და ადგილი ექნება საჭრისის სწრაფ ცვეთას, ასევე შეგვხვდეს ნაწილაკები სუსტი წებოვანი ბმით, რომლებიც ამოვარდებიან თავიანთი ადგილებიდან და ტოვებენ კვალს ღრმულის სახით.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ჭრა ხორციელდება ნაწილაკების ბოჭკოების გრძივად, განივად და ტორსულად.

ფილის სიბრტყის მიმართ ნაწილაკების ორიენტაციის მიხედვით მერქანბურბუშელის ფილის ჭრის დროს განასხვავებენ ჭრის სამ ძირითად მიმართულებას (ნახ. 19.3, ა, ბ, ვ):

**ბრტყელი** – როდესაც ჭრის სიბრტყე და ჭრის მიმართულება ნაწილაკების სიბრტყის პარალელურია.



ნახ. 19.3. ფილების ჭრის მიმართულება:

- ა – ბრტყელი;
- ბ – გრძივი;
- გ – განივი;
- დ – ბრტყელ-გრძივი;
- ვ – ბრტყელ-განივი;
- ე – გრძივ-განივი

**გრძივი** – როდესაც ჭრის სიბრტყე პერპენდიკულარულია, ხოლო ჭრის მიმართულება ნაწილაკების სიბრტყის პარალელურია.

**განივი** – ჭრის სიბრტყე და ჭრის მიმართულება ნაწილაკების სიბრტყის პერპენდიკულარულია.

ჭრის ძირითად მიმართულებებს შორის არის გარდამავალი შემთხვევები (ნახ. 19.3 დ, ვ, ე).

**ბრტყელ-გრძივი ჭრა.** ამ შემთხვევაში ჭრისა და ნაწილაკების სიბრტყეები ქმნიან ღ კუთხე ყოველთვის დადებითია და იცვლება  $0^\circ$ -დან  $90^\circ$ -მდე. თუ  $\omega = 0$ , ჭრა ბრტყელია, ხოლო, თუ  $\omega = 90^\circ$  - გრძივი.

**ბრტყელ-განივი ჭრა.** ამ შემთხვევაში ჭრის სიბრტყე და ჭრის მიმართულება ნაწილაკების სიბრტყესთან ქმნიან ღ კუთხეს. ღ კუთხე იზომება საჭრისის მოძრაობის პარალელურ სიბრტყეში და მის შეხვედრის კუთხე ეწოდება. ღ კუთხე დადებითია, თუ ჭრა მიმდინარეობს ნაწილაკების სიბრტყის თანხვდენილად და უარყოფითად, თუ ჭრა მიმდინარეობს ნაწილაკების სიბრტყის შემხვედრად. ბრტყელი ჭრის დროს  $\varphi = 0^\circ$ , განივი ჭრის დროს  $\varphi = 90^\circ$ .

**გრძიგ-განივი ჭრა.** ამ შემთხვევაში საჭრისის მოძრაობის პარალელური B სიბრტყე ნაწილაკების A სიბრტყესთან ქმნის ყაუთხეს. მას გადაჭრის კუთხე ეწოდება და იზომება ჭრის სიბრტყის პარალელურ სიბრტყეში. გადაჭრის კუთხე დადგებითია. თუ  $\psi = 0$ , გვაქვს გრძიგი ჭრა. განივი ჭრის დროს კი  $\psi = 90^\circ$ .

## 19.2. ჭრის ძალა და სიმძლავრე მერქანბურბუშელის ფილების ხერხებისას

ჭრის პარამეტრების ძირითადი საანგარიშო ფორმულები, მათი ურთიერთდამოკიდებულება დისკური ხერხით მერქანბურბუშელის ფილების და მერქნის ხერხებისას ერთნაირია (იხ. ნახ. 11.1).

დისკური ხერხით მერქანბურბუშელის ფილების ხერხებისას ჭრის ძალისა და სიმძლავრის მნიშვნელობები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით: ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{K'bhU}{60 \cdot 102} \text{ ძვტ}, \quad (19.1)$$

ანუ

$$N_{\text{ძრ}} = \frac{PV}{102} \text{ ძვტ}. \quad (19.2)$$

მხების ძალა

$$P = \frac{K'bhU}{60V} \text{ ძვტ}. \quad (19.3)$$

რადიალური ძალა

$$R = mP \text{ ძმ}, \quad (19.4)$$

სადაც  $K'$  კუთრი მუშაობაა;  $b$  – განახერხის სიგანე, მმ;  $h$  – განახერხის სიმაღლე, მმ;  $U$  – მიწოდების სიჩქარე, მ/წო;  $V$  – ჭრის სიჩქარე, მ/წმ;  $m$  – კოფიციენტი, რომელიც წარმოადგენს რადიალური ძალის შეფარდებას მხების ძალასთან:

$$m = \frac{R}{P}, \quad (19.5)$$

ჭრის კუთრ მუშაობას  $K$  ვპოულობთ ცხრილიდან (19.1).

ჭრის კუთრი მუშაობა დამოკიდებულია ბურბუშელის საშუალო სისქეზე  $e_z$  ან ერთ კბილზე მიწოდებაზე  $U_z$ .

ბურბუშელის საშუალო სისქე გამოითვლება ფორმულით

$$e_b = \frac{U_z \cdot h}{l}, \quad (19.6)$$

სადაც  $I$  ჭრის სიგრძეა, მმ;  $U_z$  – მიწოდება ერთ კბილზე, მმ.

ექსპერიმენტული მონაცემებით ბურბუშელის საშუალო სისქის მიხედვით ასევე შეიძლება განისაზღვროს ჭრის კუთრი მუშაობის საწყისი მნიშვნელობა

$$K'_1 = \frac{0,85c}{e_b} + 4,1, \quad (19.7)$$

სადაც  $c$  კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს დასახერხის ფილების ჯგუფს:

I ჯგუფის ფილების დახერხვის დროს  $c=1$ ;

II ჯგუფის ფილების დახერხვის დროს  $c=0,883$ ;

III ჯგუფის ფილების დახერხვის დროს  $c=0,825$ .

ცხრილი 19.1

პროცესის პარამეტრები	მიწოდება კბილზე, მმ										
	0,02	0,04	0,06	0,08	0,1	0,12	0,14	0,16	0,08	0,2	0,22
კუთრი მუშაობა $K'$	12,3	8,5	6,8	5,8	5,3	5,1	5,06	5,04	5,04	5,0	4,98
მხები ძალა $P$	0,46	0,62	0,78	0,93	1,08	1,22	1,37	1,52	1,67	1,82	1,9
რადიაციური ძალა $R$	0,53	0,51	0,49	0,47	0,45	0,43	0,41	0,39	0,37	0,35	0,33
კოეფიციენტი $m_1$	1,15	0,82	0,63	0,5	0,42	0,35	0,3	0,26	0,22	0,19	0,170

19.1 ცხრილიდან აღებული ჭრის კუთრი მოძრაობის მნიშვნელობა უნდა გადავამრავლოთ შესწორების კოეფიციენტზე, რომელიც ითვალისწინებს დასახერხის ფილების ჯგუფს.

I ჯგუფის ფილების დახერხვის დროს 1;

II ჯგუფის ფილების დახერხვის დროს 0,98;

III ჯგუფის ფილების დახერხვის დროს 0,97.

I ჯგუფის ფილებს მიეკუთვნება დაჭრილი ბურბუშელისაგან დამზადებული ფილები.

II ჯგუფის ფილებს მიეკუთვნება დამსხვრეული ბურბუშელისაგან დამზადებული ფილები.

III ჯგუფის ფილებს მიეკუთვნება ხის დამამუშავებელი საწარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული ფილები.

ჭრის კუთრი მუშაობის ცხრილური (საწყისი) მნიშვნელობა გადამრავლდება სხვადასხვა შესწორების კოეფიციენტზე, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას:

$$K' = K'_b \cdot a_\gamma \cdot a_p \cdot a_V \cdot a_\rho, \quad (19.8)$$

სადაც  $a_\gamma$  კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს ფილტრის მოცულობითი წონის გავლენას (ცხრ. 19.2);  $a_p$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ფილტრის შემაკავშირებლის რაოდენობის გავლენას (ცხრ. 19.3);  $a_V$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ჭრის სიჩქარის გავლენა (ცხრ. 19.4);  $a_\rho$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭრისის ცვეთის გავლენას (ცხრ. 19.5).

$m$  კოეფიციენტის მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს რადიალური ძალის მხებთან ფარდობას, მოცემულია ცხრილში (19.1), ხოლო შესწორების კოეფიციენტების ცხრილებში (19.2...19.5).

იმისათვის, რომ მივიღოთ  $m$  კოეფიციენტის საანგარიშო სიდიდე, აუცილებელია 19.1 ცხრილში აღებული მისი მნიშვნელობა  $m$  გადავამრავლოთ მთელ რიგ შესწორების კოეფიციენტებზე, რომელთა მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 19.2...19.5.

$$n = m \cdot m_V \cdot m_\rho \cdot m_\gamma \cdot m_p. \quad (19.9)$$

### ცხრილი 19.2

შესწორების კოეფიციენტი	მოცულობითი წონა, გ/სმ <sup>2</sup>				
	0,5	0,6	0,7	0,8	0,9
$a_\gamma$	0,64	0,82	1	1,18	1,36
$m_\gamma$	1	1	1	1	1

### ცხრილი 19.3

შესწორების კოეფიციენტი	შემაკავშირებელი, %								
$a_p$	0,84	0,88	0,92	0,96	1	1,04	1,08	1,12	1,16
$m_p$	0,86	0,9	0,94	0,96	1	1,04	1,07	1,09	1,13

ჭრის ფაქტორი გზა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S_{\vartheta} = \frac{L \cdot c}{U_x \cdot z}, \quad (19.10)$$

სადაც  $L$  დამუშავებული (დახერხილი) მასალის რაოდენობაა,  
გრძ.მ;  $z$  – კბილთა რიცხვი.

ჭრის რკალის სიგრძე

$$l = \frac{\pi \cdot D \varphi_{\vartheta}}{360}, \quad (19.11)$$


სადაც  $D$  ხერხის დიამეტრია, მმ;  $\varphi_{\vartheta}$  – კონტაქტის კუთხი,

$$\varphi_{\vartheta} = \Theta_{\vartheta} - \Theta_{\vartheta_0}, \quad (19.12)$$

$$\Theta_{\vartheta} = \arccos\left(1 - \frac{a}{R}\right), \quad (19.13)$$

$$\Theta_{\vartheta_0} = \arccos\left(1 - \frac{a+H}{R}\right). \quad (19.14)$$

19.5 ცხრილში მოცემულია შესწორების კოეფიციენტები, რომლებიც ითვალისწინებენ ხერხის კბილების ცვეთას. კბილის ცვეთის სიდიდე უპანა წახნაგზე განისაზღვრება ნომოგრამის მიხედვით (ნახ. 19.4).



ნახ. 19.4. ხერხის კბილების უპანა წახნაგზის ცვეთის სიდიდის  
განმსაზღვრელი ნომოგრამა

ცხრილი 19.4

შესწორების კოეფიციენტი	ჭრის სიჩქარე, გ/წმ															
	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	70	80	90	100	110	120
$a_V$	1,39	1,29	1,19	1,11	1,05	1	1	1,03	1,08	1,17	1,3	1,44	1,58	1,75	1,9	2,06
$m_V$	1,2	1,17	1,13	1,1	1,07	1,04	1	0,96	0,920	0,89	0,84	0,76	0,69	0,62	0,56	0,49

173

ცხრილი 19.5

შესწორების კოეფიციენტი	უკანა წახნაგის ცვლია, მმ										
	0	0,2	0,4	0,6	0,8	1,0	1,2	1,4	1,6	1,8	2,0
$a_\rho$	1,0	1,0	1,03	1,1	1,25	1,38	1,6	1,8	2,06	2,3	2,55
$m_\rho$	0,436	9,6	0,815	1,0	1,22	1,38	1,48	1,6	1,76	1,86	2,1

კბილის ცვეთა დამოკიდებულია ფილტრის შემაკავშირებლის რაოდენობაზე, კბილის მასალასა და ჭრის ფაქტიურ გზაზე.

**მაგალითი.** განვსაზღვროთ ჭრის ძალები და სიმძლავრე მრავალხერხა საფორმატე ჩარხზე II ჯგუფის ფილის დახერხვის დროს (მოცულობითი წონა 0,6 სმ<sup>3</sup>; შემაკავშირებელი 10%).

**მოცემულია:** ხერხის დიამეტრი 400 მმ; განახერხის სიგანე 3მმ; განახერხის სიმაღლე 40 მმ; ხერხის პრუნვათა რიცხვი 2500 ბრ/წთ; კბილთა რიცხვი 36; მიწოდების სიჩქარე 12 მ/წთ; მიწოდება შემხვედრია. ხერხის ნაწილის სილიდე  $a=10$  მმ; ხერხის მიერ გახერხილი მასალის სიგრძე 400 გრძ.მ.

**ამონსნა:**

1. განვსაზღვროთ კბილზე მიწოდების სიდიდე

$$U_z = \frac{1000 \cdot U}{z \cdot n} = \frac{1000 \cdot 12}{36 \cdot 2500} = 0,14 \text{ მმ.}$$

2. კონტაქტის კუთხის სიდიდე

$$\varphi_{\text{კ}} = \Theta_{\text{კ}} - \Theta_{\text{კ}},$$

$$\Theta_{\text{კ}} = \arccos \left( 1 - \frac{a+H}{R} \right) = \arccos \left( 1 - \frac{10+40}{200} \right) = \arccos 9,75 = 41^{\circ}24';$$

$$\Theta_{\text{კ}} = \arccos \left( 1 - \frac{a}{R} \right) = \arccos \left( 1 - \frac{10}{200} \right) = \arccos 0,95 = 18^{\circ}21';$$

$$\varphi_{\text{კ}} = 41^{\circ}24' - 18^{\circ}21' = 23^{\circ}13' \approx 23^{\circ}.$$

3. ჭრის რკალის სიგრძე

$$l = \frac{\pi \cdot D \cdot \varphi_{\text{კ}}}{360} = \frac{314 \cdot 400 \cdot 23}{360} = 80,2 \text{ მმ.}$$

4. ბურბუშელის საშუალო სისქე

$$e_{\text{ბ}} = \frac{U_z \cdot H}{l} = \frac{0,14 \cdot 40}{80,2} = 0,07 \text{ მმ.}$$

5. გავიგებთ ჭრის კუთრი მუშაობის ცხრილურ მნიშვნელობას

$$K'_{\text{ბ}} = \frac{0,085c}{e_{\text{ბ}}} + 4,1 = \frac{0,085 \cdot 0,883}{0,07} + 4,1 = 5,17 \frac{\text{ბგ} \cdot \text{მ}}{\text{მ} \cdot \text{მ}^3}.$$

6. ჭრის სიჩქარე

$$V = \frac{\pi \cdot D \cdot n}{60 \cdot 1000} = \frac{3,14 \cdot 400 \cdot 2800}{60 \cdot 1000} = 58,6 \text{ მ/წთ.}$$

7. ჭრის ფაქტოური გზა ერთი კბილისათვის

$$S_{\text{ვ}} = \frac{L \cdot l}{U_z \cdot z} = \frac{400 \cdot 80,2}{0,14 \cdot 36} = 6365 \text{ მ.}$$

8. ნომოგრამის (ნახ. 19.4) მიხედვით გავივებთ კბილის უკანა წახნაგზე ცვეთის სიდიდეს 400 გრძ. მ ფილების დახერხვისას, მოცემულ პირობებში იგი ტოლი იქნება 0,75მმ.

9. 19.2...19.5 ცხრილებიდან გპოულობთ შესწორების კოეფიციენტებს:

$$a_{\gamma} = 1,14; \quad a_p = 1,21; \quad a_v = 0,82; \quad a_{\rho} = 1,08,$$

$$m_{\gamma} = 1; \quad m_p = 1,17; \quad a_v = 0,9; \quad a_{\rho} = 1,07.$$

10. კუთრი მუშაობის სიდიდე

$$K' = K'_b \cdot a_{\gamma} \cdot a_p \cdot a_v \cdot a_{\rho} = 5,17 \cdot 1,14 \cdot 1,21 \cdot 0,82 \cdot 1,08 = 6,32 \frac{\text{ბბ} \cdot \text{ბ}}{\text{ბ} \cdot \text{ბ}^3}.$$

11.  $m$  კოეფიციენტი

$$m = m_{\text{ვ}} \cdot m_v \cdot m_{\rho} \cdot m_p = 0,3 \cdot 0,9 \cdot 1,17 \cdot 1 \cdot 1,07 = 0,338.$$

12. ჭრის მხები ძალა

$$P = \frac{K' b H U}{60 V} = \frac{6,32 \cdot 3 \cdot 40 \cdot 12}{60 \cdot 58,6} = 2,6 \text{ კბ.}$$

13- რადიალური ძალა

$$R = m P = 0,228 \cdot 2,6 = 0,88 \text{ კბ.}$$

14. ჭრის სიმძლავრე

$$N_{\text{ჭ}} = \frac{P V}{102} = \frac{2,6 \cdot 58,6}{102} = 1,5 \text{ კვტ.}$$

**რეკომენდებული პარამეტრები და მერქანტირბუშელის ფილების ხერხის რეჟიმები**

1. მრგვალი ხერხის კბილების კუთხეური პარამეტრები:

$\gamma$  – წინა კუთხე –  $15^\circ$ ;

$\beta$  – აღესვის კუთხე –  $60^\circ$ ;

$\alpha$  – უკანა კუთხე –  $15^\circ$ ;

ირიბი აღესვის კუთხე

წინა წახნაგზე –  $75^\circ$ ;

უკანა წახნაგზე –  $75^\circ$ - $90^\circ$ .

2. გადაერის სიდიდე (გაფართოების) ერთ მხარეს 0,6-0,7 მმ.

3. მიწოდება კბილზე:

ა) 0,7 გ/სმ<sup>2</sup>-ზე ნაკლები მოცულობითი წონის ფილების დახერხვის დროს, რომელშიც შემაკავშირებლის რაოდენობა 8%-ზე ნაკლებია,

$$U_z = 0,03 \dots 0,05 \text{ მმ;}$$

ბ) იმ ფილების დახერხვისას, რომელთა მოცულობითი წონა 0,7-დან 0,9 გ/სმ<sup>2</sup>-მდეა და რომელიც შეიცავს შემაკავშირებელს 8-დან 12%-მდე

$$U_z = 0,05 \dots 0,1 \text{ მმ;}$$

გ) იმ ფილების დახერხვისას, რომელთა მოცულობითი წონა 0,9 გ/სმ<sup>2</sup>-ზე მეტია და რომელშიც შემაკავშირებლის რაოდენობა 12%-ზე მეტია

$$U_z = 0,15 \dots 0,25 \text{ მმ.}$$


4. ჭრის სიჩქარე – 50-70 მ/წმ.

5. მასალის ზემოთ ამოსული ხერხის ნაწილის სიდიდე – 5-15 მმ. მცირე მნიშვნელობა აიღება დაბალი მოცულობითი წონის და ნაკლები შემაკავშირებლის შემცველი ფილების დახერხვის დროს.

### 19.3. მერქანშრეული პლასტიკების ხერხვა

მერქანშრეული პლასტიკები დამზადებულია სინთეზური წებოებით შეწებებული ახდილი შპონის ფურცლებისგან თერმული დამუსავებით, მაღალი წნევის ქვეშ. უმეტესად ხერხავენ ისეთ მერქანშრეულ პლასტიკებს, რომელშიც შპონის 10-20 პარალელური შენაცვლებულია 90°-ით. პლასტიკის სტრუქტურა (ნახ. 19.3) განსაზღვრავს ხერხების შემდეგ სახეებს: ბოჭკოების განივად (ა), ბოჭკოების გასწვრივ დაწნეხის მიმართულებით (ბ), დაწნეხის განივად მიმართულების პერპენდიკულარულად (გ), წებოს შრის პარალელურად (დ), ბოჭკოების გრძივად მათი ტორსულად გადაკვეთით (ე).

კუთრი მუშაობის სიდიდე და მერქანშრეული პლასტიკების მრგვალი ხერხით რეკომენდებული პარამეტრები მოცემულია შესაბამისად ცხრილებში (ნახ. 19.6) და (19.7).



ნახ. 19.5. მერქანშრეული პლასტიკის ხერხის სახეები

ცხრილი 19.6

მერქანშრეული პლასტიკების მრგვალი ხერხით ხერხის  
გუთრი მუშაობის მნიშვნელობები

მიწოდება კბილზე $U_z$	გუთრი მუშაობა $K'$ , $\frac{\delta \cdot \delta}{b^3}$		
	განივი (ნახ. 16.3, ა)	გრძივი (ნახ. 16.3, ბ, გ)	გრძივი (ნახ. 16.3, გ, ღ)
0,025	50,96	57,1	40,8
0,05	34,6	43,8	31,1
0,10	25,5	34,6	25,5
0,15	21,4	30,1	20,9
0,20	20,4	26,5	18,3
0,30	18,3	26,5	15,3
0,50	15,3	26,5	14,3

ცხრილი 19.7

ხერხის კბილების რეკომენდებული პარამეტრები და  
მიწოდების სიდიდე კბილზე

ხერხის სახე	ტეხილი უკანა წახნაგიანი კბილის გუთხები, გრად			მიწოდება კბილზე $U_z$ , მმ
	$\alpha$	$\gamma$	$\beta_{\text{მა}}$	
განივი (ნახ. 16.3, ა)	15-20	0-5	75	0,15-0,20
გრძივი (ნახ. 16.3, ბ, გ)	15-20	15	75	0,20
გრძივი (ნახ. 16.3, გ, ღ)	15-20	15-20	90	0,15-0,20 (0,3-მდგ)

**19.4. მერქანბურბუშელის ფილების ფრეზება. საცნობარო  
მონაცემები. ფრეზების ძალების და სიმძლავრის  
გაანგარიშება**

მერქანბურბუშელის ფილების და მერქნის ფრეზებისას ჭრის პარამეტრების მირითადი საანგარიშო ფორმულები და მათი ურთიერთდამოკიდებულება ერთნაირია (იხ. ნახ. 14.1). ფრეზების სიმძლავრე და ძალები შესაბამისად გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$N = \frac{K'bHU}{60 \cdot 120} \quad \text{ძვტ;} \quad (19.15)$$

$$P = \frac{N \cdot 102}{V} \quad \text{ძტ.} \quad (19.16)$$

ჭრის კუთრი მუშაობა გამოითვლება ჭრის მუშაობის ცხრილური მნიშვნელობის გადამრავლებით (ცხრ. 19.7) შესწორების კოეფიციენტები:

ცხრილი 19.1

	მიწოდება საჭრისზე, მმ										
	კუთრი	0,20	0,25	0,3	0,35	0,4	0,45	0,5	0,55	0,6	0,65
	მუშაობა	45	34	28,7	25	22,5	18,3	17	16	13,7	15
$K'_b$ კგმ/სმ <sup>3</sup>											

ცხრილი 19.7 გაგრძელება

	მიწოდება საჭრისზე, მმ				
	კუთრი	0,7	0,75	0,8	0,9
	მუშაობა	13,7	12	12,5	11,2
$K'_b$ კგმ/სმ <sup>3</sup>					

$$K' = K'_b \cdot a_b \cdot a_\gamma \cdot a_P \cdot a_\rho \cdot a_\delta, \quad (19.17)$$

სადაც  $a_b$  არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს იმ ნაწილაკთა ტიპის გავლენას, რომლისგანაცაა დამზადებული ფილის მოცულობითი წონის გავლენას (ცხრ. 19.8);  $a_\gamma$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭრისის ცვეთის გავლენას (ცხრ. 19.9);  $a_P$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭრისის ცვეთის გავლენას (ცხრ. 19.10);  $a_\rho$  – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ჭრის კუთხის გავლენას (ცხრ. 19.11).

### ცხრილი 19.8

შესწორების კოეფიციენტი	ფრეზვის სახე	ფილების ჯგუფი		
		1	2	3
$a_6$	ნაწილურის ფრეზვა	1,0	0,89	0,83
	ფენობის ფრეზვა	1,0	1,1	1,23

### ცხრილი 19.9

შესწორების კოეფიციენტი	მოცემდობითი წონა, გ/სმ <sup>3</sup>				
	0,5	0,6	0,7	0,8	0,9
$a_\gamma$	0,5	0,72	1,0	1,34	1,84

შესწორების კოეფიციენტის, ისე როგორც ჭრის კუთრი მუშაობის მნიშვნელობები განსაზღვრულია ცდებით და მოცემულია შესაბამის ცხრილებში.

### ცხრილი 19.10

შესწორების კოეფიციენტი	შემაგუშირებლის რაოდენობა								
	4	5	6	7	8	9	10	11	12
$a_8$	0,84	0,87	0,91	0,95	1,0	1,05	1,13	1,2	1,27

### ცხრილი 19.11

შესწორების კოეფიციენტი	ჭრის კუთხე ძგრად.			
	55	65	75	85
$a_\delta$	0,85	0,92	1,0	1,08

### ცხრილი 19.12

	უკანა კუთხე	ჭრის ფაქტიური გზა, მ						
		200	400	600	800	1000	1200	1400
უკანა წახნა- გის ცვეთა $\eta'$	$\alpha=15^\circ$	0,09	0,15	0,195	0,23	0,26	0,28	0,295
	$\alpha=25^\circ$	0,04	0,07	0,1	0,125	0,15	0,175	0,195
უკანა წახნა- გის ცვეთა $\eta'$	უკანა კუთხე	ჭრის ფაქტიური გზა, მ						
		1600	1800	2000	2200	2400	2600	2800
უკანა წახნა- გის ცვეთა $\eta'$	$\alpha=15^\circ$	0,31	0,33	0,345	0,36	0,375		
	$\alpha=25^\circ$	0,215	0,24	0,26	0,28	0,3	0,39	0,4

კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც ითვალისწინებს საჭრისის ცვეთას, განისაზღვრება საჭრისის უკანა წახნაგის ცვეთაზე დამოკიდებულებით. საჭრისის უკანა წახნაგის ცვეთა განისაზღვრება 19.12 ცხრილის მიხედვით, სადაც მოცემულია ცვეთის სიდიდეები საჭრისისათვის, რომლის უკანა კუთხეებია,  $15^\circ$  და  $25^\circ$ .

საჭრისის ცვეთის სიდიდე დამოკიდებულია მასალაზე, რომლისგანაც საჭრისია დამზადებული. 19.13 ცხრილში მოცემული კოეფიციენტები ითვალისწინებს ამ დამოკიდებულებას.

უკანა წახნაგზე ცვეთის სიდიდე (ცხრ. 19.12) განისაზღვრება საჭრისის მიერ გავლილ ფაქტიურ გზაზე დამოკიდებულებით.

ჭრის ფაქტიური გზა განისაზღვრება (19.10) ფორმულით.

ცხრილი 19.13

შესწორების კოეფიციენტი	საჭრისის მასალა		
	XΒΓ	P4	9Х5ВФ
$a_\delta$	1,0	1,7	2,0

ცხრილი 19.14

შესწორების კოეფიციენტი	ცვეთა უკანა წახნაგზე, მმ								
	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
$a_\rho$	0,8	1,0	1,2	1,36	1,48	1,57	1,66	1,77	2,42

ჭრის რკალის სიგრძე განისაზღვრება ფორმულით

$$e = \frac{\pi D \varphi_\delta}{360^\circ}, \quad (19.18)$$

სადაც  $D$  ჭრის წრეხაზის დიამეტრია.

**მაგალითი.** განვსაზღვროთ ჭრის სიმძლავრე, ჭრის კუთრი მუშაობა და ძალა საფრეზავ ჩარჩხე II ჯგუფის ფილების წიბოს ფრეზვის დროს. ფილის მოცულობითი წონაა  $0,6 \text{ г/მ}^3$ , შემაკავშირებლის რაოდენობა  $10\%$ .

**მოცემულია:** ჭრის წრეხაზის დიამეტრი  $200 \text{ მმ}$ ; ჭრის კუთხე  $\delta = 85^\circ$ ; უკანა კუთხე  $\alpha = 15^\circ$ ; ფრეზის ბრუნვათა რიცხვი  $5000 \text{ ბრ/წთ}$ ; საჭრისების რიცხვი  $4$ . საჭრისი დამზადებულია ფოლადისაგან XΒΓ. ფრეზვის სიღრმე  $H = 200 \text{ მმ}$ ; ფრეზვის სიგანე  $B = 100 \text{ მმ}$ . მიწოდების სიჩქარე  $10 \text{ გ/წთ}$ ; დამუშავებულია  $200 \text{ გრძ.გ ფილი}$ .

ამობსნა:

1) განვსაზღვროთ მიწოდება ერთ კბილზე

$$U_z = \frac{1000 \cdot U}{z \cdot n} = \frac{1000 \cdot 10}{4 \cdot 5000} = 0,5 \text{ მმ.}$$

2) ჭრის კუთრი მუშაობა

$$K' = K'_b \cdot a_r \cdot a_\gamma \cdot a_p \cdot a_\delta \cdot a_\rho .$$

3) 19.7 ცხრილიდან გპოულობთ ჭრის კუთრი მუშაობის ცხრილურ სიდიდეს

$$K'_b = 18,3 \frac{\vartheta \cdot \partial}{\vartheta^3} .$$

4) ცხრილებიდან 19.7...19.11 გპოულობთ შესწორების კოეფიციენტებს

$$a_r = 0,89 ; \quad a_\gamma = 0,72 ; \quad a_p = 1,13 ; \quad a_\delta = 1,08 .$$

5) ჭრის ფაქტიური გზა

$$S_3 = \frac{L \cdot l}{U_z \cdot z}$$

ჭრის რკალის სიგრძე

$$l = \frac{\pi \cdot D \cdot \varphi_d}{360} .$$

ძონებაქტის კუთხე

$$\psi_d = \arccos \left( 1 - \frac{a}{R} \right) = \arccos \left( 1 - \frac{2}{100} \right) = \arccos 0,98 \cong 11^\circ .$$

ჭრის რკალის სიგრძე

$$l = \frac{\pi \cdot D \cdot \varphi_d}{360} = \frac{3,14 \cdot 200 \cdot 11}{360} = 19,2 \text{ მმ,}$$

მაშასადამე

$$S_3 = \frac{L \cdot l}{U_z \cdot z} = \frac{200 \cdot 19,2}{0,5 \cdot 4} = 1920 .$$

6) 19.12 ცხრილიდან გპოულობთ საჭრისის ცვეთის სიდიდეს უკანა წახნაგზე, როდესაც უკანა კუთხე  $\alpha = 15^\circ$

$$\eta' = 0,337 \text{ მმ.}$$

7) 19.23 ცხრილებიდან გპოულობთ საჭრისის მასალის (ფოლადი XΒΓ) შესწორების კოეფიციენტს

$$a_\delta = 1 .$$

8) გადავამრავლოთ უკანა წახნაგის ცვეთის მიღებული მნიშვნელობა შესწორების  $a_\delta$  კოეფიციენტზე  
 $\eta = \eta \cdot a_\delta = 0,337 \cdot 1 = 0,337$ .

9) 19.14 ცხრილის მიხედვით ვპოულობთ საჭრისის ცვეთის შესწორების კოეფიციენტს  $a_\rho = 1,72$ .

10) ჭრის კუთრი მუშაობა

$$K' = K'_b \cdot a_r \cdot a_\gamma \cdot a_P \cdot a_\delta \cdot a_\rho = 18,3 \cdot 0,89 \cdot 0,72 \cdot 1,13 \cdot 1,08 \cdot 1,72 = 24,6 \frac{\text{გ}\delta \cdot \text{გ}}{\text{ბ}\text{მ}^3}$$

11) ჭრის სიმძლავრე

$$N = \frac{KBHU}{60 \cdot 102} = \frac{24,6 \cdot 100 \cdot 2 \cdot 10}{60 \cdot 10} = 8,04 \text{ კვტ.}$$

12) ჭრის სიჩქარე

$$V = \frac{\pi Dn}{60 \cdot 1000} = \frac{3,14 \cdot 200 \cdot 5000}{60 \cdot 1000} = 52,3 \text{ მ/წ.}$$

13) მხების ძალა

$$P = \frac{N \cdot 102}{V} = \frac{8,04 \cdot 104}{52,3} = 15,7 \text{ კგ.}$$

### მერქანბურპუშელის ფილების ფრეზვის რეკომენდაციული პარამეტრები და რეჟიმები

1. საჭრისის კუთხური პარამეტრები

იკანა კუთხე 20°-25°;

ჭრის კუთხე 0,6 გ/სმ<sup>3</sup>-ზე ნაკლები მოცულობითი წონის ფილების ფრეზვისას არის 60°-65°, ხოლო 0,6 გ/სმ<sup>3</sup> მეტი მოცულობითი წონის ფილების ფრეზვისას – 75°-85°.

2. მიწოდება საჭრისზე ფრეზვისას 0,7 გ/სმ<sup>3</sup>-ზე ნაკლები მოცულობითი წონის და 8% ნაკლები შემაკავშირებლის მქონე ფილების დამუშავების დროს არის 0,2-0,3 მმ.

0,7-0,9 გ/სმ<sup>3</sup> მოცულობითი წონის 8-12% შემაკავშირებლის მქონე ფილების დამუშავების დროს – 0,5-0,7 მმ.

0,9 გ/სმ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობითი წონის და 12%-ზე მეტი შემაკავშირებლის მქონე ფილების დამუშავების დროს – 0,7-1,0 მმ.

ფილის ფენობის ფრეზვის ფილის თვისებებისაგან დამოუკიდებლად მიწოდება საჭრისზე ტოლია 0,4-0,6 მმ.

დაწნებილი მერქნის ფრეზვის ძალური კანონზომიერებანი შეესაბამება ნატურალური მერქნის ფრეზვის როგორც თეორიულ, ისე ექსპერიმენტულ მონაცემებს.

მერქნის მასალების ფრეზვისას იარაღის მჭრელი ელემენტის ცვეთა უფრო მეტია, ვიდრე ნატურალური მერქნისა, აქედან გამომდინარე, ცვეთამედეგობა მცირდება.

### **19.5. მერქანბურბუშელის ფილების ღუნვა. საცნობარო მონაცემები. ბურღვის ძალების გაანგარიშება**

მერქანბურბუშელის ფილების და მერქნის ბურღვის ჭრის პარამეტრების ძირითადი საანგარიშო ფორმულები და მათი ურთიერთდამოკიდებულება ერთნაირია (იხ. ნახ. 16).

მერქნის მასალის ბურღვისას ბურღვის მჭრელი ნაწილის ყველაზე გავრცელებულია ფორმაა ალესვა მიმჭრელით და მიმმართველი ცენტრით. ამ შემთხვევაში ბურღვის აქვს ხუთი მჭრელი პირი: ორი მთავარი მჭრელი წიბო, ორი მიმჭრელი და მიმმართველი ცენტრი. უფრო იშვიათად გამოიყენება კონუსური ალესვა, რომლის დროსაც ბურღვის აქვს ბრუნვის დერძისადმი კუთხით დახრილი ორი მჭრელი წიბო.

ჭრის ძალაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მთავარი მჭრელი წიბოს კუთხური პარამეტრები – ჭრის კუთხე გ და უკანა კუთხე  $\alpha$ .

ჭრის კუთრი წინადობის სიდიდე ფილის ბურღვის დროს გამოითვლება შემდეგი ემპირიული ფორმულებით:

8% შემაკავშირებლის შემთხვევაში

$$D = 7,5 - 13 \text{ მმ},$$

$$K = 2,8 + 2,11\gamma - (0,17 - 0,078\gamma)D + \\ + \frac{0,5 + 1,89\gamma - (0,03 + 0,089\gamma)D}{U_z} \frac{\partial}{\partial D^2}; \quad (19.19)$$

$$D = 13 - 25 \text{ მმ},$$

$$K = 2,8 + 2,11\gamma - (0,17 - 0,078\gamma)D + \\ + \frac{0,1 + 1,39\gamma - (0,005 + 0,042\gamma)D}{U_z} \frac{\partial}{\partial D^2}, \quad (19.20)$$

12% შემაკავშირებლის შემთხვევაში

$$D = 7,5 - 13 \text{ მმ},$$

$$K = 8\gamma - 0,25\gamma D + \frac{2,3\gamma - (\gamma - 0,242) \cdot 0,182D}{U_z} \quad \text{ჯგ/მმ}^2; \quad (19.21)$$

$$D = 13 - 25 \text{ მმ},$$

$$K = 8\gamma - 0,25\gamma D + \frac{0,25 + 0,835\gamma - (0,0085 - 0,009\gamma)D}{U_z} \quad \text{ჯგ/მმ}^2; \quad (19.22)$$

სადაც  $\gamma$  ფილის მოცულობითი წონაა, გ/სმ<sup>3</sup>;  $D$  – ბურლის დიამეტრი, მმ;  $U_z$  – მიწოდება საჭრისზე, მმ.

იმის გამო, რომ ჯერჯერობით ექსპერიმენტული მონაცემები არასაკამარისია იმისათვის, რომ გამოყვანილი იქნეს ასეთივე ფორმულები სხვა შემთხვევებისთვისაც. ამიტომ ზოგადი შემთხვევისათვის  $K$ -ს გამოსათვლელად მოგვყავს გაანგარიშების ცხრილური მეთოდი.

### ცხრილი 19.5

მიწოდება საჭრისზე $U_z$ , მმ	ბურლვის დიამეტრი $D$ , მმ					
	5	7,5	10	16	20	25
0,1	26,7	12,4	9,2	7,3	6,4	5,65
0,2	16,0	9,5	6,42	5,1	4,5	3,51
0,3	11,7	7,65	5,4	4,1	3,41	2,84
0,4	10,0	6,5	5,0	3,75	3,0	2,49
0,5	8,96	5,96	4,63	3,6	2,82	2,29
0,6	8,0	5,3	4,47	3,4	2,65	2,16
0,7	7,55	4,95	4,33	3,3	2,5	2,12
0,8	7,2	4,88	4,22	3,24	2,41	2,09
0,9	6,96	4,73	4,14	3,19	2,34	2,07
1,0	6,63	4,62	4,07	3,17	2,3	2,02

19.5 ცხრილში მოყვანილია  $K_C$ -ს (ჯ/მმ<sup>2</sup>) მნიშვნელობები 0,7 გ/სმ<sup>3</sup> მოცულობითი წონის და 8% შემაკავშირებლის მქონე ფილების ფენობის ბურლვის შემთხვევაში, როდესაც ბურლვის სიღრმე არ აღემატება ფენობის სიღრმე არ აღემატება  $2D$ -ს. ბურლვის პირობები: ბურლი სპირალური ჩამოჭრებლებით და მიმმართველი ცენტრით;  $\delta = 60^\circ$ ;  $\alpha = 20^\circ$ ;  $n = 3150$  ბრ/წთ. სხვა მახასიათებლების მქონე ფილის შემთხვევაში  $K$  აუცილებლად უნდა იქნეს გაანგარიშებული დამსმარე შესწორების კოეფიციენტის საშუალებით:

$$K = K_{\text{G}} \cdot a_{\gamma} \cdot a_P \cdot a_{\rho} \cdot a_r \cdot a_a, \quad (19.23)$$

სადაც  $a_{\gamma}$  კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს მოცულობით წონის ცვლილებას (ცხრ. 19.16).

ცხრილი 19.16

მოცულობითი წონა, გ/სმ <sup>3</sup>	0,5	0,6	0,7	0,8	0,9	1,0
$a_{\gamma}$	0,72	0,86	1,0	1,14	1,29	1,43

$a_P$  კოეფიციენტი, ითვალისწინებს შემაგავშირებლის შემცველობას (ცხრ. 19.17)

ცხრილი 19.17

შემაგავშირებლის შემცველობა, %	4	5	6	7	8	9	10	11	12
$a_P$	0,84	0,89	0,92	0,96	1,0	1,03	1,07	1,1	1,14

ცხრილი 19.18

ბურღის სიდრმე	2	3	4	5	6
$a_r$ როდესაც ფილის მოცულობითი წონა $<0,7$ გ/სმ <sup>3</sup>	1,0	1,2	1,35	1,44	1,85
$a_r$ როდესაც ფილის მოცულობითი წონა $>0,7$ გ/სმ <sup>3</sup>	1,0	1,32	1,61	1,86	2,1

$a_H$  კოეფიციენტი ითვალისწინებს ბურღის მიმართულებას (ცხრ. 19.19).

ცხრილი 19.19

ბურღის მიმართულება	ფენობულება	წილი
$a_a$	1,0	1,2

$a_P$  კოეფიციენტი ითვალისწინებს იარაღის დაბლაგვებას (ცხრ. 19.20).

წრიული ძალა და წრიული მომენტი მოიძებნება შემდეგი ფორმულებით:

$$P_{\text{წ}} = K \cdot \frac{D \cdot U_n}{4} \quad \text{ძალა}; \quad (19.24)$$

$$M_{\text{წ}} = K \cdot \frac{D^2 \cdot U_n}{8}. \quad (19.25)$$

დერძული ძალა შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით

ცხრილი 19.20

შემაკავშირებლის შემცველობა, %	დაბლაგვების კოეფიციენტი $a_P$ მასალის ბურღვის ფაქტიურ გზაზე დამოკიდებულებით, გრძელ (მრიცხველი ქრომსილიციუმის ფოლადი (XC, XC); მნიშვნელი – სწრაფმჭრელი ფოლადი (P9, P18))					
	200	400	600	800	1000	1200
	ფენობზე ბურღვა					
4	1,31/1,11	1,31/1,11	1,32/1,12	1,34/1,12	–	–
8	1,30/1,11	1,32/1,12	1,35/1,13	1,38/1,14	–	–
12	1,35/1,13	1,41/1,15	1,49/1,18	1,56/1,21	–	–
წიბოს ბურღვა						
4	1,41/1,06	1,15/1,06	1,17/1,06	1,19/1,07	1,21/1,08	1,24/1,09
8	1,15/1,06	1,17/1,06	1,19/1,07	1,22/1,08	1,26/1,09	1,29/1,1
12	1,19/1,07	1,23/1,08	1,31/1,11	1,41/1,15	1,51/1,19	1,62/1,25

$$P_{\varrho} = m P_{\varphi} \quad \text{дг.} \quad (19.26)$$

$m$  კოეფიციენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია ბურდის დიამეტრზე. 5-დან 8მმ-მდე დიამეტრის ბურდებისათვის  $m=0,5-0,9$ .

9-დან 12 მმ-მდე “-“  $m=0,7-1,2$ ;

13-დან 16 მმ-მდე “-“  $m=1,0-1,5$ ;

17-დან 25 მმ-მდე “-“  $m=1,3-2,0$ .

შეფარდების უდიდესი მნიშვნელობა აიღება მცირე სისქის მქონე ბურბუშელისათვის ( $0,1-0,25$  მმ) და მცირე შეფარდება კი დიდი სისქის ბურბუშელისათვის ( $0,25-0,75$  მმ).

ბურდვის სიმძლავრე გამოითვლება ფორმულით

$$N = K \cdot \frac{DU_n \cdot V}{408}. \quad (19.27)$$

ბურდის მასალაში შეჭრის ფაქტიური გზა გამოიანგარიშება შემდეგი გამოსახულებით:

$$S = \frac{\pi DH i}{U_n \cdot 1000} \text{ д}, \quad (19.28)$$

სადაც  $H$  ბურდვის სილიმეა;  $i$  – ამობურდვის რაოდენობა.

მერქანბურბუშელის ფილების ბურდვისას ადგილი აქვს იარაღის სწრაფ დაბლაგვებას და დამუშავების დევეპტების ამობურცული ბოჭბოების სახით.

მიზანშეწილია გამოვიყენოთ სალშენადნობიანი ფოლადის სპირალური ბურდი, მჭრელი ნაწილის კონუსური ალესვით (კუთხე წვეროში  $170^{\circ}$ ), ბრუნვის სიხშირე ბურდვისას  $3000-4000 \frac{\text{ბრ}}{\text{წთ}}$ .

**მაგალითი.** იბურდება მერქანბურბუშელის ფილა, რომლიც მოცულობითი წონაა  $0,88 \text{ г/см}^3$  და  $8\%$  შემაკავშირებლის მქონე, 9XC ფოლადისაგან დამზადებული 10 მმ დიამეტრის სპირალური ბურდით. ბურდის ალესვის ფორმა-მიმჭრელებით და მიმმართველი ცენტრით; უკანა კუთხე  $20^{\circ}$ ; ჭრის კუთხე  $60^{\circ}$ ; ბურდვის პირობები: მიწოდების სიჩქარე  $U=5 \text{ მ/წთ}$ ; ბრუნვათა რიცხვი  $n=3000$  ბრ/წთ; ბურდვის სიღრმე 30 მმ. გაბურდულია 750 ნახვრები ფილის ფენობში. განვსაზღვროთ  $M_{\delta\vartheta}$ ,  $P_{\varrho}$  და  $N$ .

**ამოხსნა:**

1. მიწოდება ერთსაჭრისზე და ერთ ბრუნვაზე

$$U_n = \frac{U \cdot 1000}{n} = \frac{5 \cdot 1000}{3000} = 1,67 \text{ მმ;}$$

$$U_z = \frac{U_z}{z} = \frac{1,67}{2} = 0,83 \text{ მმ.}$$

2. 19.15 ცხრილში ვპოულობთ ცხრილურ მნიშვნელობას,  $K_G = 14,2$ .

3. ცხრილებში 19.16...19.19 ვპოულობთ შესწორების კოეფიციენტების მნიშვნელობებს:

$$a_\gamma = 1,14; \quad a_p = 1; \quad a_r = 1,32; \quad a_a = 1.$$

4. საჭრისით გავლილი გრძივი მეტრი

$$S = \frac{\pi D H_i}{U_n \cdot 1000} = \frac{3,14 \cdot 10 \cdot 30 \cdot 750}{1,67 \cdot 1000} = 423 \text{ გრძ.მ.}$$

5. 19.20 ცხრილიდან ვსაზღვრავთ  $a_p = 1,32$ .

6. ჭრის კუთრი წინაღობა

$$K = K_w \cdot a_\gamma \cdot a_v \cdot a_r \cdot a_p \cdot a_\rho = 4,2 \cdot 1,14 \cdot 1 \cdot 1,32 \cdot 1 \cdot 1,32 = 8,34 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

7. რადგან შემაკავშირებლის შემცველობა ფილაში 8%-ია,  $K$ -ს გაანგარიშება შეგვიძლია შემდეგი ფორმულით:

$$K = 2,8 + 2,11\gamma - (0,17 - 0,078\gamma)D +$$

$$+ \frac{0,5 + 1,89\gamma - (0,03 + 0,089\gamma)D}{U_z} = 2,8 + 2,11 \cdot 0,8 -$$

$$-(0,17 - 0,078 \cdot 0,8) \cdot 10 + \frac{0,5 + 1,89 \cdot 0,8 - (0,03 + 0,089 \cdot 0,8) \cdot 10}{0,5} = 5,4 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

შემოვიყვანოთ შესწორების კოეფიციენტი  $a_\rho = 1,32$ ,

$$K = K_1 a_\rho = 5,4 \cdot 1,32 = 7,12 \text{ ჯგ/მმ}^2.$$

განსხვავება  $K$ -ს ამ ორ მნიშვნელობას შორის შეადგენს 3%-ს.

8. წრიული ძალა

$$P_{\text{წრ}} = K \cdot \frac{D \cdot U_n}{4} = 8,34 \cdot \frac{10 \cdot 1,67}{4} = 34,8 \text{ ჯგ.}$$

მაბრუნი მომენტი

$$M_{\text{ძრ}} = K \frac{D^2 \cdot U_n}{8} = 8,34 \cdot \frac{10 \cdot 1,67}{4} = 174 \text{ ჯგ.მმ} = 17,4 \text{ ჯგ.ნმ.}$$

დერძული ძალა

$$P_{\text{э}} = m P_{\text{вр}} = 0,7 \cdot 34,8 = 24,36 \text{ дж.}$$

9. ჭრის სიჩქარე

$$V = \frac{\pi D \cdot n}{60 \cdot 1000} = \frac{3,14 \cdot 10 \cdot 3000}{60 \cdot 1000} = 1,57 \text{ д/წ.}$$

10. ბურდვის სიმძლავრე

$$N = K \frac{DU_n V}{408} = 8,34 \frac{10 \cdot 1,67 \cdot 1,57}{408} = 0,54 \text{ კვტ.}$$

**ბურდვის რეკომენდებული კუთხეური პარამეტრები და  
ბურდვის რეჟიმები**

კუთხეური პარამეტრები: უკანა კუთხე  $\alpha = 18 - 25^\circ$ , ჭრის კუთხე  $\delta = 45^\circ - 60^\circ$ ;

1. თუ იარაღის ჭრის კუთხე მეტია  $60^\circ$ -ზე, რეკომენდებულია უკანა კუთხე გავადიღოთ  $30^\circ - 40^\circ$ -მდე.

2. ბრუნვათა რიცხვი  $2500 - 3500$  ბრ/წ.

3. ფილის თვისებებზე დამოკიდებულებით საჭრისზე მიწოდების სიდიდე უნდა იყოს შემდეგი:

$0,7 \text{ г/см}^3$ -ზე ნაკლები მოცულობითი წონის და  $8\% - ზე$  ნაკლები შემაკავშირებლის შემცველი ფილის დამუშავებისას  $U_z = 0,15 - 0,5$  მმ.

$0,7 \text{ г/см}^3$ -ზე მეტი მოცულობითი წონის და  $8\% - ზე$  მეტი შემაკავშირებლის შემცველი ფილის დამუშავების დროს  $U_z = 0,25 - 0,75$  მმ.

შეანტიო შეერთებისათვის ნახვრეტის ბურდვისას ფილის, რომლის მოცულობითი წონაა  $0,65$ -დან  $0,75 \text{ г/см}^3$ ;  $U_z = 0,7 - 0,8$  მმ.

4. ბურდვის ალექსა მიმჭრელებით და მიმმართველი ცენტრით არის ყველაზე საუკეთესო ყველა ტიპის ფილის ბურდვის დროს.

5. ფილის ფენობის ბურდვის დროს, ნახვრეტის შესასვლელზე მაღალი ხარისხის მისაღებად აუცილებელია გამოიყენოთ ქვესადენი, ნაწიბურის ბურდვა შეიძლება ქვესადების გამოყენების გარეშეც.

თუ იბურდება გამჭოლი ნახვრეტი, მაშინ ნახვრეტის გამოსასვლელზე აუცილებელია დაგამაგროთ ქვესადები.

6. 0,7 გ/სმ<sup>3</sup>-მდე მოცულობითი წონის და 7%-მდე შემაკავ-შირებლის შემცველი ფილის ბურდვის დროს უნდა გამოვიყენოთ ბურდი, რომელიც დამზადებულია ქრომსილიციუმიანი XC, 9XC და სწრაფმჭრელი P9 და P18 ფოლადებისაგან. ისეთი ფილის ბურდვისას, რომლის მოცულობითი წონა და შემაკავშირებლის შემცველობა აღემატება ზემოთ აღნიშნულს, უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ სწრაფმჭრელი ფოლადისაგან დამზადებული ბურდი.

## თავი XX

### მერქნის მასალების ჰრა ზესალი იარაღებით

#### 20.1. საერთო ცნობები

ზესალ მასალებს მიეკუთვნება ბუნებრივი და სინთეზური ალმასი, აგრეთვე ბორის კუბური ნიტრიდი.

ბუნებრივი ალმასი წარმოადგენს ნახშირბადის კრისტალურ მოდიფიკაციას. ალმასის კუთრი წონა იცვლება 3,48-დან 3,56 გ/სმ<sup>3</sup> ზღვრებში. ალმასში ნახშირბადის ატომებს განსაკუთრებით მტკიცე კოვალენტური კავშირი აქვთ, როთაც აისხება მათი განსაკუთრებული სიმტკიცე და სხვა თვისებები. ალმასი ანიზოტოპოპიულია, ე.ი. მისი სიმტკიცე და ცვეთამედეგობა სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვაა.

სინისტის მაღალი ხარისხი წარმოადგენს ალმასის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას. მისი დრეკადობის მოდული ბუნებაში არსებული მაგარი ნივთიერებების დრეკადობის მოდულზე მეტია. იგი 2,5-ჯერ აღემატება ბორის კარბიდისა და სილიციუმის დრეკადობის მოდულს და მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე სალი შენადობების დრეკადობის მოდული, რაც უზრუნველყოფს დეფორმაციის და შიგა ძაბვების შემცირებას დასამუშავებელ მასალაში.

გარდა ამისა ალმასს ახასიათებს მაღალი თბოგამტარობა და აქვს გაფართოების მცირე კოეფიციენტი, ხახუნის დაბალი კოეფიციენტი. ალმასის მაღალი თბოგამტარობა და დაბალი კუთრი თბოტევადობა უზრუნველყოფს სითბოს არინებას და ჭრის ტემპერატურის შემცირებას.

ალმასის ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტი გაცილებით მცირება სალი შენადობისა და სილიციუმის კარბიდის ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტზე, ამიტომ იარაღი კრისტალური ალმასით ხასიათდება ნაკლები ტემპერატურული დეფორმაციით. ალმასის ეს თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერისტალური მჭრელი იარაღისათვის. ალმასის დაბალი ადპეზიური თვისებები მნიშვნელოვნად ამსუბუქებს ბურბუშელის მოძრაობას. ალმასის სტრუქტურის ერთგაროვნება და სიმკვრივე საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მჭრელი წიბოები ძალიან მცირე

დამრგვალების რადიუსით  $\rho = 0,00005 - 0,0001$  მმ, რაც მნიშვნელოვანია მცირე განივავეთის ბურტუშელის დამუშავებისათვის.

ალმასის მაღალი სიმტკიცე და დრეპადობის მოდული უზრუნველყოფს მჭრელი ელემენტების მაღალ ცვეთამედეგობას. ალმასის საჭრისის მედეგობა ასეულჯერ აღემატება სალი შენადნობისაგან დამზადებული იარაღის მედეგობას.

ალმასის მახასიათებელი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი მაღალი ქიმიური კოროზიამედეგობა, ყველაზე ძლიერი მჟავებიც კი არ მოქმედებს მასზე.

ზემოთ ჩამოთვლილ დადებით თვისებებთან ერთად ალმასს, როგორც მჭრელი იარაღის დასამზადებელ მასალას აქვს სპეციფიკური უარყოფითი თვისებები: ხელოვნური ალმასისაგან დამზადებული საჭრისის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება სალი შენადნობისაგან დამზადებილი საჭრისის ღირებულებას. დეფიციტურობის გამო ერთკრისტალური ალმასის იარაღი გამოიყენება ძალიაბ შეზღუდულად.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო შეიქმნა ზესალი პოლიკრისტალური მასალის შექმნა. ერთ-ერთ ასეთ მასალას წარმოადგენს მაღალი წნევისა და ტემპერატურის დროს შეცხობილი წვრილი ალმასის ფხვნილი. შეცხობის საბოლოო პროდუქტებს წარმოადგენს მოცემული ზომების მქონე 3,2-3,48 გ/სმ<sup>3</sup> სიმკვრივის პოლიკრისტალური ალმასის ბლოკი, რომელიც სიმტკიცით არ ჩამოუვარდება ბუნებრივ ალმასს. პოლიკრისტალური ალმასის ბლოკი მზადდება სხვადასხვა ფორმისა და ზომის, უფრო ხშირად ცილინდრული ჩასადგმელების ან კვადრატული ჩასადგმელების ან კვადრატული ფირფიტების სახით (სიდიდით 3-8 მმ და წონით 0,5-1 კარატი).

პოლიკრისტალური შეცხობილი ალმასი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ბუნებრივი ალმასის მონოკრისტალები, რომლებსაც, როგორსაც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ახასიათებთ ანიზოტროპიის თვისება, აქედან გამომდინარე – სიმყიფე, თერმული ზემოქმედება და მექანიკური დარტყმებისადმი გაღიდებული მგრძნობიარობა.

პოლიკრისტალურ შეუცხობელ ალმასს კრისტალების სხვადასხვა ორიენტაციის გამო ახასიათებს იზოტროპიულობა, არა აქვს ბზარების სიბრტყეები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი სიმტკიცის მაჩვენებლებს და პირველ რიგში – დარტყმებისადმი გადიდებული

სიბლანტეს. ამის გამო პოლიკრისტალური ალმასისაგან დამზადებული იარაღები შეიძლება გამოყენებული იქნეს წყვეტილი ჭრით დამუშავებისას.

$$\frac{Q_{\omega}}{Q_{\delta\delta}} = \frac{t_0}{t_{\omega}} = K_{\delta} \quad (21.5)$$

ეწოდება ჩარხის მწარმოებლურობის კოეფიციენტი და ახასიათებს მას დამუშავების ციკლის დროს ტექნოლოგიური გამოყენების სისრულისაგან დამოკიდებულებით. ზოგჯერ კოეფიციენტს სამანქანო დროის გამოყენების კოეფიციენტსაც უწოდებენ. ფარდობას

$$\frac{Q_{\delta}}{Q_{\omega}} = \frac{t_{\omega}}{t_{\omega} + t_{\text{reg}}} = K_{\delta} \quad (21.6)$$

ეწოდება ჩარხის გამოყენების კოეფიციენტი და გვიჩვენებს მისი მუშაობის დროის ფარდობით გამოყენებას. შემდგომ მიერთვნება სამუშაო დღეს და ამ მაჩვენებელს ეწოდება სამუშაო დღის გამოყენების კოეფიციენტი.

ბოლო (21.6) ფორმულაში

$$Q_{\delta} = Q_{\omega} K_{\delta} \quad 1/\text{წ}, \quad (21.7)$$

შევიტანოთ მნიშვნელობა

$$Q_{\omega} = Q_{\delta\delta} K_{\delta}, \quad (21.8)$$

და მივიღებთ

$$Q_{\delta} = Q_{\delta\delta} K_{\delta} K_{\delta} \quad 1/\text{წ}, \quad (21.9)$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ ჩარხის ნამდვილი მწარმოებლურობა დამოკიდებულია ტექნოლოგიური მწარმოებლურობაზე  $Q_{\delta\delta}$ , ჩარხის მწარმოებლურობაზე  $K_{\delta}$ , ჩარხის დროში გამოყენების  $K_{\delta}$  კოეფიციენტზე, რომელთა სიდიდეები დამოკიდებულია ჩარხის კონსტრუქციაზე და მისი გამოყენების ტექნიკურ ორგანიზაციაზე.

ცვლაში ჩარხის ნამდვილი მწარმოებლურობა გამოისახება ფორმულით:

გამავალი ჩარხებისათვის

$$Q_{\text{ცვ}} = \frac{u T i_0 K_{\delta} K_{\delta}}{L i_{\delta}} \quad \text{ცალი,} \quad (21.10)$$

სადაც  $u$  – დეტალის მიწოდების სიჩქარე დამუშავების მიმართულებით,  $\text{მ}/\text{წ};$

$T$  – სამუშაო ცვლის ხანგრძლივობა,  $\text{წ};$

$i_0$  – ერთდროულად დამუშავებული ერთეულების რაოდენობა;

$i_{\delta}$  – გატარებების რაოდენობა, საჭირო ერთი აღრიცხული ერთეულისათვის;

$L$  – დამუშავების სიგრძე, მ.

$$K_{\delta} = \frac{T_{\text{G3}}}{T} = \frac{T_{\text{G3}}}{T_{\text{G3}} + T_{\text{G3}}} = \frac{1}{1 + \frac{T_{\text{G3}}}{T_{\text{G3}}}}, \quad (21.11)$$

სადაც  $T_{\text{G3}}$  არის ჩარხის მუშაობის დრო სამუშაო ცელის განმავლობაში;

$T_{\text{G3}}$  – დროის არაციკლური ცელური დანახარჯები გამართვაზე, შეზეთვაზე, დასვენებაზე ცელის განმავლობაში.

ციკლური დამუშავების ჩარხებისათვის

$$Q_{\text{G3}} = \frac{TK_{\delta}i_{\text{G}}}{t_{\text{G}}} \text{ ცალი,} \quad (21.12)$$

სადაც  $t_{\text{G}}$  არის დამუშავებული ერთეულების რაოდენობა ციკლის განმავლობაში.

ფორმულები (21.1) და (21.10) სტრუქტურულად ერთმნიშვნელოვანია.

თუ ფორმულაში (21.10) შევცვლით  $t_{\text{G}}$  გამოსახულებებიდან

$$t_{\text{G}} = \frac{t_0}{K_{\delta}}; \quad t_0 = \frac{L}{U} \quad \text{და} \quad i_{\text{G}} = \frac{i_0}{i_{\delta}},$$

მიიღებთ

$$Q_{\text{G3}} = \frac{UT_{i_0}K_{\delta}K_{\delta}}{Li_{\delta}} \text{ ცალი.} \quad (21.13)$$

აქვთ გამომდინარეობს, რომ დამოუკიდებლად ჩარხის გამტბარებული თუ ციკლური ტიპის ტექნიკურობისაგან, ცელური იქნება ცელის მწარმოებლურობა არის პირდაპირ დამოკიდებულებაში მიწოდების სიჩქარესთან  $U$ , აგრეთვე  $K_{\delta}$ ,  $K_{\delta}$  კოეფიციენტებთან და  $i_{\text{G}}$  დამუშავებული ერთეულების რაოდენობასთან – ციკლის განმავლობაში, მოცემული სიგრძისა  $L$  და დამუშავების  $T$  დროის სანგრძლივობის დროს, ე.ი.

$$Q_{\text{G3}} = \frac{f(UK_{\delta}K_{\delta}i)}{L} \text{ ცალი.} \quad (21.14)$$

მიწოდების სიჩქარე

$$U = \frac{U_z Z_n}{1000} \text{ მ/წთ,} \quad (21.15)$$

სადაც  $U_z$  არის მიწოდება საჭრისზე, მმ;

$Z$  – საჭრისების რაოდენობა;

$n$  – წევთში ციკლების რაოდენობა (ბრუნვები – ბრუნვითი მოძრაობის დროს და სვლები – წინსვლით-უკუსვლითი მოძრაობის დროს).

$z$  და  $n$  სიდიდები ჩვეულებრივად ცნობილია. ამიტომ

$$U = f(U_z). \quad (21.16)$$

სიდიდე  $U_z$  ბურბუშელის (ნათალის) ადეკვატურია, ამიტომ მისი სიდიდე დაკავშირებულია ჭრის ძალასთან და აქედან გამომდინარე ამძრავის სიმძლავრესთან  $N$ , ზედაპირის დამუშავების კლასთან  $\nabla\delta$  და რიგ შემთხვევებში დამუშავების სიზუსტესთან, აგრეთვე ინსტრუმენტის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან  $\sigma$ .

საიდანაც

$$U_2 = f(N, \nabla\delta, \sigma), \quad (21.17)$$

ე.ო. დასაშვები მიწოდების ან მიწოდების სიჩქარის ანგარიში აუცილებელია ვაწარმოოთ ამძრავის სიმძლავრის, მოცემული დამუშავების კლასისა და ინსტრუმენტის ტექნიკური შესაძლებლობის მიხედვით.

ცნობილია, რომ

$$N = \frac{KbHU}{60}, \quad (21.18)$$

სადაც  $K$  არის ჭრაზე ხვედრითი წინააღმდეგობა,  $\partial/\partial\theta^2$ ;

$b$  – ბურბუშელის სიგანე, მმ;

$H$  – დამუშავების სიღრმე, მმ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $U = \frac{U_z Zn}{1000}$ , მივიღებთ

$$N = \frac{KbHU_z Zn}{60 \cdot 1000} \quad \text{პლ}, \quad (21.19)$$

საიდანაც

$$KU_{Z(N)} = \frac{N60 \cdot 1000}{bHZn} \quad \text{პლ/მმ}. \quad (21.20)$$

$U_{Z(N)} = f(KU_Z)$  სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ცდების შედეგად. გვაცოდინება რა  $U_{X(N)}$ , ამძრავის სიმძლავრის მიხედვით განსაზღვრავენ მიწოდების სიჩქარეს

$$U_{(N)} = \frac{U_{Z(N)} Zn}{1000} \quad \text{მ/წმ}. \quad (21.21)$$

ზედაპირის სიმქისე ძირითადად დამოკიდებულია საჭრისზე მიწოდების სიდიდისაგან  $U_Z$ , ხოლო  $U_Z$  ყველა ტიპის ჩარხებისათვის დაკავშირებულია სიმქისეს კლასთან

$$U_{Z(\nabla\partial)} = f(\nabla\partial), \quad (21.22)$$

რის საფუძველზედაც განისაზღვრება მიწოდების სიჩქარე დამუშავების სიმქისის მიხედვით

$$U_{(\nabla\partial)} = U_{Z(\nabla\partial)} = \frac{Zn}{1000} \text{ მ/წმ.} \quad (21.23)$$

მჭრელი იარაღის ტექნიკური საშუალებები განისაზღვრება იარაღის მდგრადობის კრიტერიუმებით დატვირთვების მოქმედებისაგან ან საჭრისისშორის ღრმულების შევსებით. ორივე კრიტერიუმს უპირატესი დამოკიდებულება აქვთ ხერხებთან ნაწილობრივად ბურდებთან და სატექნიკურო ჯაჭვებთან:

$$U_{Z(Y)} = f(y); \quad U_{Z(\sigma)} = f(F_{\text{ლრ}} H), \quad (21.24)$$

სადაც  $U_{Z(Y)}$  არის დასაშვები მიწოდება მდგრადობის კრიტერიმის მიხედვით;

$U_{Z(\sigma)}$  – დასაშვები მიწოდება საჭრისისშორის ღრმულების შევსების კრიტერიუმების მიხედვით.

მდგრადობის კრიტერიუმები განისაზღვრება ტიპიური ინსტრუმენტებისათვის კურსის შესაბამის ნაწილში.  
საზოგადოდ

$$U_{Z(\sigma)} = \frac{F_{\text{ლრ}}}{\sigma H} \text{ მმ,} \quad (21.25)$$

სადაც  $F_{\text{ლრ}}$  – ღრმულების ფართობია, მმ<sup>2</sup>;

$H$  – განახერხის სიმაღლე, მმ;

$\sigma$  – ღრმულის მუშაობის დაძაბულობის დასაშვები კოეფიციენტი

$$U_{Z(Y)} = sB^2 \ell_0, \quad (21.26)$$

სადაც  $s$  – ხერხის სისქე, მმ;

$B$  – ხერხის სიგანე, მმ;

$\ell_0$  – ხერხის თავისუფალი სიგრძე, მმ.

ცნობილია  $U_{Z(\sigma)}$  და  $U_{Z(Y)}$ -ის დროს განისაზღვრებიან

$$U_{(\sigma)} = U_{Z(\sigma)} \frac{Zn}{1000} \text{ მ/წმ; } U_{(Y)} = U_{Z(Y)} \frac{Zn}{1000} \text{ მ/წმ.}$$

დასაშვებ მიწოდების სიჩქარეს ჩარხისათვის წარმოადგენს ანგარიშებში ნაჩვენებიდან უმცირესი; რის მიხედვითაც განისაზღვრება ჩარხის მწარმოებლურობა.

მწარმოებლურობის კოეფიციენტი  $K_a$  ახდენს პირდაპირ გავლენას მწარმოებლურობაზე. ფორმულიდან

$$K_a = \frac{t_0}{t_{\text{G}}} = \frac{t_0}{t_0 + t_{\text{g}}} = \frac{1}{1 + \frac{t_{\text{g}}}{t_0}}, \quad (21.27)$$

ჩანს, რომ  $K_a$  დაკავშირებულია  $t_{\text{g}}$ -სთან და  $t_0$ -თან; ამასთან გამოსახულებაში შედის არა თითოეული მათგანი, არამედ მათი ფარდობა  $t_{\text{g}} / t_0$ .

როცა  $t_{\text{g}} / t_0 = 0$ , მაშინ  $K_a = 1$ , ე.ო. ის მაქსიმალურია; როცა  $t_{\text{g}} / t_0 > 0$ , მაშინ  $K_a$  მცირდება ასიმპტოტურად ნულთან მიახლოვებულ მრუდზე.

ჩარხის გამოყენების კოეფიციენტი აგრეთვე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს მწარმოებლურობაზე

$$K_a = \frac{T_{\text{G3}}}{T_{\text{G3}} + T_{\text{G3b}}} = \frac{1}{1 + \frac{T_{\text{G3b}}}{T_{\text{G3}}}}. \quad (21.28)$$

სამუშაო დროის დანაკარგის სიდიდე  $T_{\text{G3b}}$  შედგება აუცილებელი დანაკარგებისაგან ჩარხის გამართვაზე. ტექნიკურ მომსახურებაზე სამუშაო ცვლის განმავლობაში (დაზეთვა და სხვა), ჩარხის დასუფთავებაზე, რეგლაჟენტირებულ დასვენებაზე, საორგანიზაციო დანახარჯებზე ჩარხის ჩაბარებისა და მიღების დროზე, ოსტატის ინსტრუქტაჟზე, შემთხვევით გაცდენებზე.

აუცილებელი დანაკარგების შესამცირებლად ჩარხი უნდა უზრუნველყოფდეს გასამართო მოწყობილობებისა და მექანიზმების მოხერხებულ და სწრაფ მოქმედებას, მოხერხებულ და ხანგრძლივ დაზეთვას, მუშაობაში საიმედოობას. აგრეთვე ჩარხის მოხერხებულ დალაგებას, ბურბუშელისა და მტკრის პნევმატიკურად მოცილებას.

ოპერატორის ნორმალური დასვენება დამოკიდებულია მისი ფსიქოფიზიკური დატვირთვის ხარისხზე, რაც პირდაპირ კაგშირშია ჩარხის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხთან, აგრეთვე სამუშაო პირობების სანიტარულ მდგომარეობაზე, რაც განისაზღვრება ხმაურის ხარისხით, ვიბრაციით და ესთეტიკური კომფორტით.

## 21.2. ჩარხების სიზუსტე, სიხისტე და ზედაპირების დამუშავების ხარისხი

ჩარხის სიზუსტე განისაზღვრება მისი უნარით ნორმალურ საწარმოო პირობებში უზრუნველყოს მერქნის დამუშავება მოცემული სიზუსტის კლასით.

ჩარხებზე დამუშავების ცდომილება ფორმირდება ჩარხის მახასიათებლების, მჭრელი იარაღის, მერქნის და მუშა-ფუნქციონირების მოქმედების ქვეშ და წარმოადგენს მითითებული ცდომილებების ჯამს. ამიტომ ერთი და იგივე ჩარხზე, ჩამოთვლილი ფაქტორების ხასიათისაგან დამოკიდებულებით შეიძლება მივაღწიოთ დამუშავების სხვადასხვა სიზუსტეს.

განასხვავებუნ ხისძამამუშავებული ჩარხების სიზუსტის ოთხ კლასს: განსაკუთრებული სიზუსტის (O), მაღალი სიზუსტის (P), საშუალო სიზუსტის (C) და დაბალი სიზუსტის (H) – ცხრილი 21.1.

ჩარხების მოცავილი სიზუსტის კლასების კრიტერიუმები შეესაბამება მათი მუშაობის ნორმალურ მდგომარეობას და მუშების შესაბამის კვალიფიკაციას.

ჩარხის ამა თუ იმ სიზუსტის კლასის ცდებით განსაზღვრა ეფუნქცია დამუშავებული ჯგუფის დეტალების გაზომვებს და დაშვებების ველის აღბათობას, რომელიც ედრება ცხრილში 2 მონაცემებს.

განასხვავებუნ დამუშავების ცდომილებების სტატიკურ და დინამიკურ წყაროებს.

ცდომილებების სტატიკურ წყაროებს ეპუთვნის ჩარხის ტექნოლოგიური სქემის იარაღის და დამუშავებული ნამზადის ელექტრობის გეომეტრიული ფორმის ცდომილებები (შეცდომები).

ნახ. 21.1, ა-ზე ნაჩვენებია დამუშავებული დეტალის ფორმაზე და ზომებზე საბაზო ფილის გრძივი არასწორხაზობრივობის  $f$  საბაზო ფილასთან არაპარალელურობის  $\alpha$  მოქმედების უმარტივესი სქემა.

ამ მოქმედებების შედეგად წარმოიქმნება დეტალის განივი და გრძივი კვეთის ფორმის და ზომების დარღვევა-უსწორობა.

ამასთან დამუშავების ჯამური შეცდომა იქნება

$$\sum \Delta_{\text{ხეხ}} = f_1 + \alpha i_2 \quad (21.29)$$


სადაც  $i_1$  და  $i_2$  – გადაცემის რიცხვები, რომლებიც გვიჩვენებენ დამუშავების ცდომილებისა და ჩარხის გეომეტრიული ცდომილებას შორის ფარდობას.

ცხრილი 21.1

ჩარჩების სიზუსტის კლასები

ნომინალური ზომები მმ	O	II		C		H		
	1	თავისუფალი ზომების 1-ლი კლასი და 2-ე რიგი		თავისუფალი ზომების 1-ლი კლასი და 2-ე რიგი		თავისუფალი ზომების 1-ლი კლასი და 2-ე რიგი		5
	1	2	2a	3	3a	4	4a	5
	(კლომილურები ზომებში (დაშეგების ველი), მმ							
10-მდე	0,13	0,25	0,37	0,5	0,75	1	1,5	2,0
10-18	0,15	0,3	0,25	0,6	0,9	1,2	1,8	2,4
18-30	0,18	0,35	0,52	0,7	1,05	1,4	2,1	2,8
30-50	0,2	0,4	0,60	0,8	1,2	1,6	2,4	3,2
50-80	0,23	0,45	0,67	0,9	1,35	1,8	2,7	3,6
80-100	0,25	0,5	0,75	1,0	1,5	2,0	3,0	4,0
120-260	0,3	0,6	0,9	1,2	1,8	2,4	3,6	5,0
260-500	0,35	0,7	1,05	1,4	2,1	2,8	4,2	6,0
500-800	0,4	0,8	1,3	1,6	2,5	3,2	5,0	7,0
800-1250	0,5	1,0	1,5	2,0	3,0	4,0	6,0	8,0
1250-2000	0,6	1,2	1,8	2,4	3,6	4,8	7,2	10,0
2000-3150	0,7	1,4	2,1	2,8	4,2	5,6	8,4	12,0

შენიშვნა: მრიცხველში მოცემულია ხის დეტალების სიზუსტის კლასები, ხოლო მნიშვნელში ჩარჩების მუშაობის სიზუსტის კლასები.



ნახ. 21.1. ზონაწარმოქმნა ჩარხებზე დამუშავების დროს:

ა - ცდომილებების სტატიკური წყაროები;

ბ - დამუშავების დინამიკური წყაროების შეცდომები

დამუშავების მითითებული ცდომილებები სისტემატურად მეორდება მოძევნო დასამუშავებელ დეტალზე, ამიტომ მათ ეწოდებათ სისტემატური.

დამუშავების ცდომილებების დინამიკურ წყაროებს წარმოადგენებ (ნახ. 21.1, ბ) იარაღის 1, ჩარხის ბაზის 2 და მერქნის 3 დეფორმაციები გამოწვეული მუშა დატვირთვების მოქმედებით (ჭრის ძალები) და დაკავშირებული მერქნის პრაქტიკულ არაერთგვაროვნების თვისებებთან, ნამატის სიღიღესა და მიწოდების სიჩქარესთან, აგრეთვე ბაზის და იარაღის თერმიულ გადაადგილებასთან გაცხელებისა და იარაღის მჭრელი ნაწილის ცვეთასთან.

ნახ. 21.1, ბ-ზე დამუშავების ზომა განისაზღვრება დასაყენებელი მანძილით  $y$ , ინსტრუმენტის მჭრელი პირიდან საბაზო ზედაპირამდე. დამუშავების პროცესში  $y$  ზომა იცვლება საჭრისის მჭრელი პირის  $O$  და  $XX$  ბაზის დამუშავების ზედაპირის მიმართ ნორმალზე გადაადგილების შედეგად. ეს გადაადგილებები გამოწვეულია ჭრის ძალებით, ამასთან მიმდინარეობს ინსტრუმენტის

დრეგადი მოძრაობა  $\Delta_{u(j)}$  სიდიდეზე, გადაადგილება  $\Delta_{u(t)}$  გაცხვალებისაგან და საჭრისის მურელი პირის გაცვეთისაგან  $\Delta_{u(i)}$ .

ჩარხის ბაზა (მაგიდა) გადაიწევა XX მდგომარეობიდან ახალ  $x_{1x_1}$  მდგომარეობაში – იმავე ჭრის ძალების მოქმედებით  $\Delta_{\sigma(j)}$  და გაცხელებისაგან  $\Delta_{B(t)}$  სიდიდეზე.

დეფორმირდება აგრეთვე დასამუშავებელი მერქანი ქვედა ბაზაზე  $\Delta_{D(H)}$  სიდიდის უსწორმასწორობის ხარჯზე, ხოლო ზედაზე –  $\Delta_{D(y)}$  სიდიდით, ჭრის ზედაპირის დრეკადი აღდგენის გამო.

დრეკადი აღდგენა დატვირთვების პირდაპირპორციულია და უკუპროპორციულია ელემენტების სიხისტისა.

მერქნის არაერთგაროვნობის თვისებებთან დაკავშირებით ერთი დეტალის ზომის სიგრძეზე და მით უმეტეს დატვირთვისა და აღდგენის პარტიაში აგრეთვე ცვალებადია; ამასთან არა გვაქნს ცვლილების კანონზომიერება ცვალებადობის ცდომილებები შემთხვევითები არიან.

შემთხვევითი ჯამური ცდომილება განისაზღვრება ფორმულით

$$\Delta_a = \sqrt{\Delta_{H(i)}^2 + \Delta_{H(t)}^2 + \Delta_{B(j)}^2 + \Delta_{B(t)}^2 + \Delta_{D(H)}^2 + \Delta_{D(y)}^2}. \quad (21.30)$$

საჭრისის ცვეთა  $\Delta_{H(i)}$  წარმოადგენს სისტემატურად ცვლად, კანონზომიერად ცვალებად ფაქტორს, ამიტომ ის არითმეტიკულად ჯამდება შემთხვევით შეცდომებთან.


ჯამური ცდომილება სისტემატურად მუდმივი ცვლადი და შემთხვევითი მოქმედებებისაგან

$$\sum \Delta = \Delta_{cucm} + \Delta_{ct} + \Delta_{H(i)}. \quad (21.31)$$

განხილულიდან გამოდის, რომ ჩარხი როგორც დამუშავების ცდომილებების წყარო გამოვლინდება ტექნოლოგიური სქემის გეომეტრიული სიზუსტით და სახარხო ელემენტების სიხისტით, შემავალი დრეკად ტექნოლოგიურ სისტემაში ჩარხი-იარადი-დეტალი (ჩ0დ).

ჩარხის გეომეტრიული სიზუსტე ხასიათდება მისი საბაზო ელემენტების ცდომილებებით, რომლებიც ატარებენ საჭრისებს (ინსტრუმენტებს), აგრეთვე მათი ურთიერთგანლაგებისა და მუშა გადაადგილებების ცდომილებებით.

მთითებული გეომეტრიული ცდომილებები საერთო შემთხვევაში გაიზომება შემდეგი პარამეტრებით (ჩან. 21.2):



ნახ. 21.2. ხისდამამუშავებელი ჩარხების ტექნოლოგიური  
სქემის ძირითადი გეომეტრიული ცდომილებები

- ა – ფილების, სახაზავების არასწორხაზოგნობა (არასიბტყეობა) და სუპორტების, ურიკების, ბაზების და სხვა გადაადგილების ტრაქტორიები –  $f_0/L$ , მმ/1000;
- ბ, გ – საბაზო და მჭრელი ელემენტების ურთიერთგანლაგების და მათი გადაადგილებების ტრაქტორიების არაპარალელურობა და არაპერპენდიკულარობა –  $a_0/L$ , მმ/1000;
- დ – მუშა ლილვების წყვეტილი უბნების არათანალერძულობა –  $e$ , მმ;
- ვ, ზ, თ, ი – მუშა შპინდელების რადიალური  $d_r$  და ღერძული  $d_0$  ცემა, მმ;
- პ, ლ, მ – ლილვების და სუპორტების (ურიკების) გადანაცვლება საერდენებისა და მიმმართველების ღრეული –  $d_0$ , მმ.

მბრუნავი ელემენტების ცემა, სიზუსტეზე ზემოქმედების გარდა, მაღალი სიჩქარეების დროს აპირობებს ვიბრაციებსა და სმაურს, აგრეთვე არის ჩარხის ელემენტების დაწერებული ცვეთის მიზეზი.

ჩარხის ელემენტების (ლილვების, ურიკების) გადანაცვლება არსებითად ახდენს გავლენას დამუშავების სიზუსტეზე, როგორც შემცხევითი შეცდომების ფაქტორი.

ძირითადი ჩარხების დასაშვები გეომეტრიული ცდომილებების რაოდგნობრივი ნორმები მოცემულია სტანდარტებში „სიზუსტის ნორმები“. დამუშავების ცდომილებები ჩარხის გეომეტრიული ცდომილებისაგან საერთო ბალანსით არ წარმოადგენს დომინირებულს და და შეადგენს 20-25%-ს.

ჩარხების ელემენტების ტექნოლოგიური სიხისტე ახასიათებს დრეკადი ტექნოლოგიური სქემის ელემენტების აღდგენას. ტექნოლოგიური სქემის დრეკად ელემენტებს წარმოადგენენ შპინდელები სუპორტებთან ერთად და საბაზო ელემენტები.

სიხისტე განისაზღვრება მუშა შპინდელის ან საბაზო ელემენტის, როგორც დატვირთვის  $\Delta P$  ნამატის ფარდობა დეფორმაციის აღდგენას  $\Delta Y$  ნამატთან დასამუშავებელი ზედაპირის ნორმალის მიმართულებით:


$$j = \frac{\Delta P}{\Delta Y} \text{ კგ/მმ.} \quad (21.32)$$

თუ დეფორმაცია წარმოადგენს დრეკადს, ფორმულა იღებს სახეს:

$$j = \frac{P}{Y} \text{ кг/мм.} \quad (21.3)$$

სიხისტის საცდელი გაზომვები ხორციელდება სპეციალური დატვირთვის დინამომეტრების აღდგენას ინდიკატორებით გაზომვით.

ნახ. 21.3-ზე ნაჩვენებია სიხისტის გაზომვის სქემები: ჰორიზონტალური შპინდელისა და ჰორიზონტალური მიმმართველი ბაზის (ნახ. 21.3, а) და შპინდელისა და ვერტიკალური მიმმართველი ბაზის (ნახ. 21.3, ბ); აგრეთვე (ნახ. 21.3, გ) გამოსახულია შპინდელის სიხისტის ტიპური დიაგრამა. გადანაცვლება დეფორმაციის დასაწყისში ნულოვანი დატვირთვის დროს შეესაბამება დრეჩოს სიდიდეს, ხოლო დატვირთვის და განტვირთვის ხაზის არდამთხვევა (პისტერჯზის მარყუჯი) ადასტურებს ხახუნის ძალების მუშაობას.



ნახ. 21.3. სიხისტე და მისი გაზომვა: а – ჰორიზონტალური შპინდელის და ჰორიზონტალური ბაზის სიხისტის გაზომვა; 1 – ინდიკატორი; 2 – განმბრჯენი დინამომეტრი; ბ – ვერტიკალური შპინდელისა და ვერტიკალური ბაზის სიხისტის გაზომვა; 1 – ინდიკატორი; ბ – მიმმართველი სახაზავი; გ – შპინდელის სიხისტის დიაგრამა; 1 – საწყისი დატვირთვის მრუდი; 2 – სიხისტის გაშუალებული მრუდი; 3 – პისტერჯზის მარყუჯი; I – დრეჩო საკისარში

მთელი დრეკადი ჯგუფის (მოცემულ შემთხვევაში სისტემის შპინდელი-ბაზა) სიხისტე განსაზღვრავს ჯამურ დეფორმაციას

$$Y = Y_{\beta} + Y_{\delta}, \quad (21.34)$$

სადაც  $Y_{\beta}$  – შპინდელის დეფორმაცია, მმ;  $Y_{\delta}$  – ბაზის დეფორმაცია, მმ.

რადგანაც მოქმედი დატვირთვა სისტემაში ერთნაირია სისტემის ყველა ელემენტებისათვის, ხოლო დეფორმაცია წარმოადგენს სიხისტის სიდიდის უპა სიდიდეს,

$$\frac{1}{j} = \frac{1}{j_{\beta}} + \frac{1}{j_{\delta}} \quad (21.35)$$

ან

$$j = \frac{1}{\frac{1}{j_{\beta}} + \frac{1}{j_{\delta}}} \quad \text{კმ/მმ.} \quad (21.36)$$

ხისდამუშავებელ ჩარხებში აღმდგენ დატვირთვას ქმნის ჭრის ძალის მდგრენელი, იშვიათად მიწოდების ბაზასთან ნორმალური. ეს ძალა სიმძლავრის პროპორციულია, ამიტომ, ნათელია, ჩარხის სიხისტის ნორმა დამოკიდებულია მუშა სიმძლავრეზე. ერთგარი ჩარხების სიხისტის შედარებისათვის, რომლებსაც სხვადასხვა სიმძლავრე აქვთ, უნდა გავითვალისწინოთ დაყვანილი სიხისტე, ანუ სიხისტე მოსული 1 კვტ სიმძლავრეზე

$$J_{\text{დავ}} = \frac{j}{N} \quad \text{კმ/მმ. კვტ.} \quad (21.37)$$

მუშა კვანძების სიხისტე დამოკიდებულია დრეკადი ელემენტის ზომებზე, აგრეთვე შეერთებების სიხისტეზე, ანუ კვანძში შეერთებული ელემენტების კონტაქტის ზედაპირებზე. რაც დაბალია მათი სიქმისე და კარგია გრძივა, მით მეტია სიხისტე, ამიტომ ჩარხების სიხისტე ძირითადად განისაზღვრება მისი ნაწილების აწყობის სიზუსტით.

ჩარხების ტექნოლოგიური სიხისტის ნორმები განისაზღვრება ტექნოლოგიურად დასაშვები აშვებების სიდიდით (ანუ დამყოლიანობით) და დასაშვები ვიბრაციების აღრიცხვით, რომლებიც დაკავშირებულია სიხისტესთან შემდეგი ფორმულის შესაბამისად

$$A = \frac{P}{j - mp^2} \quad \text{მმ,} \quad (21.38)$$

სადაც  $A$  – რხევების ამპლიტუდა 1/წმ;

$P$  – აღმგზნები ძალა, კგ;

$j$  – სიხისტე, კმ/მმ;

$m$  – დაყვანილი რხევადი მასა;

$p$  – იძულებითი რხევების სიხშირე, 1/წე.

საფრეზი ჩარხების ელემენტების სიხისტე მოცემულია ცხრილში 21.2.

ცხრილი 21.2  
საფრეზი ჩარხების სიხისტის საშუალო სიდიდეები

ჩარხების ელემენტები	დაყვანილი სიხისტე	მაგალითები
მუშა ჰპინდელები: ორსაყრდენიანი ლილვები უძრავ სუპორტზე	2000-3000	რეისმუსის, სარანდაგი და თოხმხრივი ჩარხების დანებიანი ლილვები
ორსაყრდენიანი ჰპინდელები მოძრავ სუპორტზე: საყრდენებს შორის დატვირთვით	2000	თოხმხრივი ჩარხების პორზონტალური დანებიანი ლილვები
კონსოლური დატვირთვით	250-200	საფრეზი, კოტასაჭრელი, თოხმხრივი ჩარხების ჰპინდელები
საბაზო მაგიდები (ფილები)	2000-3000	საფრეზი ჩარხების საბაზო მაგიდები
მუშა სუპორტები და ურიკები (განივი საერთო სიხისტე)	200-400	საფრეზი და კოტასაჭრელი ჩარხების მაგიდები, მიმმართველი საბაზო სახაზავები

სარისხი, ან მერქნის ზედაპირის დამუშავების სიმქისე განისაზღვრება მაქსიმალური არათანასწორობების (სიმქისეების) საშუალო არითმეტიკული სიდიდით და ხასიათდება სიმქისის 12 კლასით (ცხრილი 21.3).

ჩარხებზე დამუშავების დროს სიმქისის კლასი დამოკიდებულია ჩარხის ტიპზე და მისთვის დამახასიათებელ ჭრის სახეზე, სამუშაოს რეჟიმზე (საჭრისზე მიწოდებაზე, ჭრის სიჩქარეზე, საჭრისების სიმახვილეზე) და ჩარხის ვიბრომედეგობაზე, აგრეთვე მერქნის აგებულებაზე.

ოეროიულ გაანგარიშებას ექვემდებარება მხოლოდ კინემატიკური სიღრმის უთანაბრობა

$$H_k = aU_z, \quad \text{მმ} \quad (21.39)$$

სადაც  $a - U_z$ -ის და  $H_k$ -ს კავშირის კოეფიციენტია, დამოკიდებული დამუშავების სახეზე და მჭრელ იარაღზე, აგრეთვე საჭრისების რაღიუსების  $\tau$  სიზუსტეზე.

ცხრილი 21.3  
მერქნის დამუშავების სიმქისის კლასები

სიმქისის კლასი	მაქსიმალური უთა- ნაბრობების სიმაღ- ლეების საშუალო არითმეტიკული სიდიდე $R_{zmax}$ , არა უმეტეს, მგზ	სიმქისის კლასი	მაქსიმალური უთა- ნაბრობების სიმაღ- ლეების საშუალო არითმეტიკული სიდიდე $R_{zmax}$ , არა უმეტეს, მგზ
$\Delta\delta 1$	1600	$\Delta\delta 7$	100
$\Delta\delta 2$	1200	$\Delta\delta 8$	60
$\Delta\delta 3$	800	$\Delta\delta 9$	32
$\Delta\delta 4$	500	$\Delta\delta 10$	16
$\Delta\delta 5$	320	$\Delta\delta 11$	8
$\Delta\delta 6$	200	$\Delta\delta 12$	4

დანარჩენი სახეობების უთანაბრობები განისაზღვრება ემპი-  
რიულად და წარმოდგენილია ცხრილებით, რომლებიც გამოხა-  
ტავენ დამოკიდებულებას  $R_z = f(U_z)$ .

$$\text{რადგანაც } U_z = \frac{U \cdot 1000}{nz}, \text{ კლასის ასაწევად საერთო შემთხ-}$$

ვევაში საჭიროა ამაღლდეს, საერთო ტენიკური მიზანშეწონილობა  
გამომდინარე, ბრუნვის სიჩარე  $n$  ბრ/წთ და საჭრისების რაოდე-  
ნობა ინსტრუმენტზე საჭრისების რადიუსების მაღალი სიზუსტის  
დროს.

საშუალო რეჟიმებზე მუშაობისა და იარაღის და მერქნის  
ნორმალური მდგრამარების დროს ჩარხები ხასიათდებიან  
ხარისხის განსაზღვრული კლასით მათზე დამუშავებული ზედა-  
პირების სიმქისის მიხედვით.

21.4-ე ცხრილში მოყვანილია მექანიკური დამუშავების ხარისხის  
საშუალო მახასიათებლები, ანუ ძირითადი ჩარხების მუშაობის  
კლასები და მათზე დამუშავებული ზედაპირების სიმქისეები.

### 21.3. ჩარხების ეკონომიკურობა

ჩარხის ეკონომიკურობა ხასიათდება მოცემული ჩარხისათვის  
ტიპიური ერთეული პროდუქციის ღირებულებით. ჩარხზე გამომუ-  
შავებული ერთეული პროდუქციის საერთო ღირებულება  $S$   
წარმოადგენს ამ ერთეულზე მოსული დანახარჯების ჯამს: მომ-

ცხრილი 21.4  
მერქნის მექანიკური დამუშავების ხარისხი

ჩარხების და დამუშავების ხახე	ჩარხების მუშაობის სიზუსტის კლასი
განივი შავი ხერხვა:	
ჩარჩოხერხები	4-5
ლენტურ ჩარხებზე	4-5
მრგვალსახერს ჩარხებზე	3a-5
სუფთა ხერხვა მრგვალსახერს ჩარხებზე	2a-4
გრძივი ხერხვა მრგვალსახერს ჩარხებზე:	
შავი	3a-5
სუფთა	2-3a
ფრეზვა:	
შავი, ბრტყელი სიბრტყეების განივ- საფრეზ ჩარხებზე	2-3a
სუფთა საფრეზ ჩარხებზე	-
კოტასაჭრელ ჩარხებზე	2-2a
ნახვრეტების ბურღვა, ბუდეების ამოტებვა	2-3a
ჩარხვა:	
შავი	3-4
სუფთა	2-2a
შპონის რანდვა	2-3
შპონის ჩეჩვა საჩეჩ ჩარხებზე	1-2a
რანდვა ტექნოლოგიური ბურბუშელის სარანდვა ჩარხებზე	2-3
ხეხვა ჩარხებზე	
სუფთა	-
შავი	-
დაკალიბრება	2-3

სახურე მუშების სამუშაო ხელფასი  $S_1$ , ენერგიის საერთო დირე-  
ბულება (ელექტრული, შეკუმშული ჰაერი და სხვა)  $S_2$  ჩარხის  
დირებულებიდან სამორტიზაციო და ჩარხის მიერ დაკავებული  
შენობის ნაწილის დანარიცხები  $S_3$  ჩარხის ექსპლუატაციაზე და  
რემონტების დანახარჯების  $S_4$ :

$$S = S_1 + S_2 + S_3 + S_4 \quad \text{ლარი ერთეულ პროდუქციაზე.} \quad (21.40)$$

სამუშაო ხელფასი  $S_1$  განისაზღვრება ძირითადი და დამხმარე მუშების ცვლის სამუშაო ხელფასის 3 გაყოფით ჩარხის ცვლურ მწარმოებლურობაზე

$$S_1 = \frac{1,124}{Q_{\text{ც}} \cdot \eta} \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე,} \quad (21.41)$$

სადაც  $1,124$  – საშუალო მამრავლი, რომელიც ითვალისწინებს დამატებით სამუშაო ხელფასს და მასზე დანარიცებს.

ელექტროენერგიის ფასი

$$S_2 = \frac{NK\mathcal{K}}{\eta Q_{\text{ც}}} \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე,} \quad (21.42)$$

სადაც  $N$  – ძრავების სიმძლავრე, კვტ;

$K$ ,  $\eta$  – შესაბამისად ძრავის დატვირთვის კოეფიციენტი და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი საშუალო დატვირთვაზე;

$\mathcal{E}$  – 1 კვტ-სთ ელექტროენერგიის დირებულება, ლარი;

$T$  – სამუშაო ცვლის ხანგრძლივობა, სთ.

დაჭირხნული ჰაერის დირებულება იმდენად მცირეა, რომ მას ჩარხებში არ აღრიცხავენ.

სამორტიზაციო დანარიცხები

$$S_3 = \frac{1,15Ca + C_3a_3}{Q_{\text{წ}} \cdot \eta} \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე,} \quad (21.43)$$

სადაც  $1,15$  – საშუალო კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ჩარხის მონტაჟზე დანახარჯებს;

$C$  – ჩარხის დირებულება, ლარი;

$a$  – ჩარხის ამორტიზაციის პროცენტი კაპიტალური რემნების გათვალისწინებით (13% უნივერსალური და 15-20% სპეციალური ჩარხებისათვის);

$Q_{\text{წ}}$  – პროდუქციის წლიური გამოშვება;

$C_3$  – ჩარხის მიერ დაკავებული შენობის ნაწილის დირებულება, ლარი;

$a_3$  – შენობის ამორტიზაციის პროცენტი, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალური რემნების დანარიცხებს.

საექსპლუატაციო ხარჯები შედგება შუალედური რემნების  $P$ , მჭრელი იარაღების  $U$  და დამხმარე მასალების მომსახურებისათვის (დასაზეთი და გასაწმენდი)  $B$  ხარჯებისაგან

$$S_4 = P + U + B \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე,} \quad (21.44)$$

სარემონტო ხარჯები ერთეულ პროდუქციაზე გამსხვილებულად განისაზღვრება მთელ პერიოდში ამორტიზაციის დირებულებიდან – 10% საშუალო ხარჯებიდან გამომდინარე

$$P = \frac{0,1C}{iQ_{\text{წლ}}} \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე}, \quad (21.45)$$

სადაც  $t$  – ამორტიზაციის წლების რიცხვი.

იარაღების ექსპლუატაციის დირებულება  $U$  მოიცავს მათ დამრგვალებულ დირებულებას, გადალესვის და სხვა სახის მომსახურებების დირებულებას.

დამხმარე მასალებზე დანახარჯები საშუალოდ ფასდება 1 თეორიულად. მაშინ

$$B = \frac{0,01}{Q_{\text{გა}} \text{ ლარი ერთეულ პროდუქციაზე}}. \quad (21.46)$$

## 21.4. ჩარხების საიმედოობა და ხანგამძლეობა

საიმედოობა, საერთო შემთხვევაში, ახასიათებს ჩარხის შეუფერხებელი მუშაობის დროს, ან მისი ელემენტების მდგრენელების მნიშვნელობების ალბათობებს. ჩარხების უზრუნველყოფის დარღვევის მიზეზები უფრო ხშირად წარმოადგენებ: შემადგენელი ნაწილების მტკუნება; ჩარხის ნორმალური მუშაობის პარამეტრების დროებითი დაკარგვა; ცვეთა, რომელიც არდვევს მოცემულ სიზუსტეს და ხარისხს. უმტკუნებო მუშაობის დრო წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს და ემსახურება საიმედოობის ერთ-ერთ კრიტერიუმს.

საიმედოობის ცვლილება დროში მიმდინარეობს ასე: ჩარხის პირველ პერიოდში მუშაობის დროს მისი მწყობრიდან გამოყვანის ალბათობა შედარებით მაღალია, შემდეგ მაღალ ცეკვა და დიდი ხნის განმავლობაში ინახავს თავის მნიშვნელობას, შემდეგ ისევ იწყებს მომატებას. ფიზიკურად პირველი პერიოდი შეესაბამება ჩარხის მისახმარისებას და გაწყობას, მეორეში – მიმდინარეობს კარგად მიმუშავებული ნაწილების ნორმალური მუშაობა, ხოლო მესამე პერიოდში ადგილი აქვს ფიზიკურ დაბერებას, ცვეთას და დაშლას.

საიმედოობის თეორია ადგენს, რომ ჩარხის ელემენტების საიმედო მუშაობის ალბათობა  $t$  დროის განმავლობაში შეადგენს

$$H = 1 - P, \quad (21.47)$$

სადაც  $P$  –  $t$  დროის განმავლობაში უარის ალბათობა.

ჩარხის თითოეული ცალკე ელემენტის საიმედოობის, სხვა ელემენტებისგან დამოუკიდებლად, ალბათობა, იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა  $n$  ელემენტი  $t$  დროის განმავლობაში იქნება მუშაუნარიანი, გამოისახება ფორმულით

$$H_{\text{საერთო}} = H_1 H_2 H_3 \cdots H_n = \prod_{i=1}^n H(1 - P_i). \quad (21.48)$$

რადგანაც ჩარხის ერთი ელემენტის მაინც უარი წარმოადგენს მთლიანი ჩარხის მუშაობის უარის ფაქტს, ალბათობა მთლიანად ჩარხის ან ერთი ელემენტის

$$P_{\text{საერთო}} = 1 - H_{\text{საერთო}} = 1 - \prod_{i=1}^n H(1 - P_i). \quad (21.49)$$

იქნებან გამოდის, რომ რაც მეტ ელემენტებს შეიცავს ჩარხი, მით ნაკლებია მისი საერთო საიმედოობა, ამისათვის ჩარხის ელემენტების საიმედოობა უნდა იყოს რამოდენიმე რიგით მაღალი ჩარხის საერთო საიმედოობასთან შედარებით.

პუსონის განონიდან გამომდინარე, რომელიც ახასიათებს აღნიშნულ პანონზომიერებებს, იმის ალბათობა, რომ ჩარხი იმუშავებს შეუწყვეტლად  $t$  დროზე მეტ ხანს, ტოლია

$$P(t) = e^{-\lambda}, \quad (21.50)$$

სადაც  $\lambda$  –ახასიათებს მოცემული ჩარხის ხარისხს, რომელიც ტოლია ერთეულ დროში უარების რიცხვისა (ჩარხის სამედოობის ზომა);

$e =$  ნატურალური ლიგარითმების ფუძე ( $e = 2,72$ ).

თუ გვეცოდინება უარების რიცხვი  $\lambda$  და ერთი გაცდენის საშუალო ხანგრძლივობა  $t_{\text{გაც}}$ , რომელიც საჭიროა ჩარხის მუშაუნარიანობის აღსადგენად, ვიპოვოთ გაცდენების საერთო ხანგრძლივობას  $T_{\text{გაც}}$ , რომელიც დაფიქსირდება ჩარხის უარის გამო  $t$  დროში და, რომელიც შეესაბამება ჩარხის საიმედოობის დონეს:

$$T_{\text{გაც}} = t_{\text{გაც}} \lambda.$$

ფარდობა

$$\frac{t - T_{\text{გაც}}}{t} = 1 - \frac{T_{\text{გაც}}}{t} = K_{\text{სა}}$$

$$(21.51)$$

$K_{\text{სა}}$  გამოსახავს ჩარხის საიმედოობის კოეფიციენტს, რომელიც ყოველთვის ერთზე ნაკლებია და ჩარხის სრულყოფის დროს მიისწრაფის ერთისაკენ. ფართო გაგრცელების ჩარხებისათვის  $K_{\text{სა}}$  მერყეობს 0,7-0,95 ზღვრებში.

ხანგამდლეობა არის ჩარხის თვისება შეინარჩუნოს მუშაუნარიანობა (შესვენებებით რემონტის დროს) დანგრევმდე ან ზღვრულ ეკონომიკურად ოპტიმალურ მდგომარეობამდე.

ხანგამდლეობა ფასება ტექნიკური რესურსით, ანუ მისი ექსპლუატაციის ზღვრული დროით, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური და მორალური ცვეთით. ფართო პრაქტიკაში ხელმძღვანელობენ ამორტიზაციის პირობითი ვადით, რაც რომელიმე ხარისხით შეესაბამება ხანგამდლეობის მინიმალურ ვადებს.

ხისმჭრელი ჩარხებისათვის საამორტიზაციო ვადას დებულობენ 5-დან 10 წლამდე მათი სირთულის ხარისხისაგან დამოკიდებულებით. ჩარხების მოდერნიზაცია, როგორც წესი, ახანგრძლივებს საწარმოო ექსპლუატაციის მინიმალურ ხორმებს ორჯერ და მეტჯერაც.

### 21.5. ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები

შრომის ავტომატიზაციის ხარისხი ჩარხზე განისაზღვრება ავტომატიზირებული პროცესების დროის ფარდობით მთელი პროცესის დროსთან

$$A = \frac{T}{T_{\text{total}}} \cdot 100\% . \quad (21.52)$$

სამუშაო ფართობის ჩარხის მიერ გამოყენების კოეფიციენტი გამოისახება ერთეული დროში გამომუშავებული პროდუქციის საშუალო რაოდენობით (ჩვეულებრივად სამუშაო ცვლაში), რომელიც მოდის ჩარხის მიერ დაკავებული 1 მ² ტექნოლოგიურ ფართობზე

$$K_{\varphi} = \frac{Q_{\text{G3}}}{F} \cdot 1/\vartheta^2 . \quad (21.53)$$

ჩარხზე მუშების შრომის მწარმოებლურობის ხარისხი განისაზღვრება სამუშაო ცვლაში ერთი პირობითი მუშის მიერ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობით:

$$K_{\varphi} = \frac{Q_{\text{G3}}}{P_{\text{მო}}} \cdot \frac{1}{P_{\text{მო}}} , \quad (21.54)$$

სადაც  $P_{\text{მო}}$  – პირითადი და დამხმარე მუშების რაოდენობა, დაყვანილი სატარიფო ცხრილის პირველ თანრიგზე

$$P_{\text{მო}} = (P_{\text{მო}} a_1 t_1 + P_{\text{და}} a_2 t_2 + P_{\text{მო}} a_3 t_3) \frac{1}{t} , \quad (21.55)$$

სადაც  $P_{\text{მო}}$  – პირითადი მუშების რაოდენობა;

$P_{\text{დამ}}$  – დამხმარე მუშების რაოდენობა;

$P_{\text{მომ}}$  – მომსახურე მუშების რაოდენობა;

$a_1, a_2, a_3$  – ძირითადი, დამხმარე და მომსახურე მუშების პირველ თანრიგზე გადაყვანის სატარიფო ცხრილის კოეფიციენტები;

$t_1, t_2, t_3$  – ძირითადი, დამხმარე და მომსახურე მუშების სამუშაო ცვლაში მუშაობის დრო, სთ;

$t$  – სამუშაო ცვლის დრო, სთ.

ენერგეტიკული ეფექტურობა ხისმჭრელი ჩარხებისათვის გამოისახება 1 დმ<sup>3</sup> ბურბუშელის მოხსნაზე დახარჯული ელექტროენერგიით (პირობით ერთეულზე ანალოგიური ჩარხებისათვის):

$$\mathcal{E} = \frac{Nt}{QC} \text{ კვტ სთ/დმ}^3, \quad (21.56)$$

სადაც  $N$  – ელექტროძრავას საშუალო საათური სიმძლავრე, კვტ;

$t$  – მუშაობის დრო, სთ;

$Q$  – მწარმოებლურობა  $t$  დროში;

$C$  – ერთეულ პროდუქციის წარმოების დროს მოჭრილი ბურბუშელის მოცულობა, დმ<sup>3</sup>.

ხვედრითი ლითონტევადობა გვიჩვენებს, მწარმოებლურობას, რომელიც მიღებულია სამუშაო ცვლაში ჩარხის ლითონის ერთეული მასიდან:

$$M_{\text{ს}} = \frac{Q}{M} \text{ 1/მტ.} \quad (21.57)$$

## 21.6. საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების საერთო პირობები

მჭრელი იარაღების მაღალი სიჩქარეებისა და დასამუშავებელი ნამზადების დიდი სიჩქარით მიწოდებასთან დაკავშირებით ხისდამამუშავებელი ჩარხები ეკუთვნის საშიშ მუშა მანქანებს.

მუშის ტრავმირება შეიძლება მოხდეს ჩარხზე მუშაობის პროცესში და მისი დარეგულირებისა ან ტექნიკური მომსახურების დროს. ჩარხზე მუშაობის დროს ტრავმების ძირითადი სახეები ხდება: მჭრელი იარაღის უშუალო მოქმედების; ჩარხის მბრუნავი და უპსკევით-წინსვლითი მექანიზმების მოქმედების; დამუშავებული დეტალის ან მისი ნაწილის გამოსროლის;

იარადის გამოსროლის, გაგლეჯილი მჭრელი იარადის ან გადაცემის მექანიზმების მუშა ნაწილების გამოსროლის; მანქანის ცუდად დამაგრებული ნაწილების დავარდნით; ჩარხთან მუშის დავარდნით დაზიანებების; დაუშვებელი კიბრაციისა და სმაურის მოქმედების; ელექტრული დენის მოქმედების შედეგად.

ჩარხების დარეგულირების, იარაღების გამოცვლის და ტექნიკური მომსახურების დროს შესაძლებელია შემდეგი ტრაქტები; უძრავ მჭრელ იარაღზე ჭრილობების მიღება; თითების ჩამაგრება და ხელების დაზიანება; სერიოზული ტრავმები ჩარხის შემთხვევითი ჩართვის დროს დარეგულირების ან ტექნიკური მომსახურების პროცესში.

უძედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ხისმჭრელ ჩარხზე მუშაობის დროს და სანიტარული და ერგონომიკური პირობების შესაქმნელად აუცილებელია შემდეგი:

მჭრელი იარაღების საიმედო და მთლიანი შეღობვა მუშაობის დროს;

მიწოდების მექანიზაცია, რათა მუშას არ მოუხდეს ხელების იარაღებთან მიახლოვებს;

მბრუნავი ელემენტების მთლიანი და საიმედო შეღობვა, აგრეთვე ჩარხის სწრაფომოძრავი უპაკვევით-წინსვლითი ნაწილების შეღობვა;

დამუშავებული დეტალის ან მისი ნაწილის ჩარხიდან გამოსროლის აცილება: დისკურ ხერხებთან სპეციალური მიმმართველი გამსროლი დანების; დისკურ ხერხებთან და საფრეზ ჩარხებთან სამუხრუჭე თამასის ან სექტორების; სარეის-მუსო ჩარხებთან მიმჭერი სექციური მკვებავი ლილვების ან ლრუბელის; სატორსო, კოტასაჭრელი და სხვა ჩარხებთან ამრინებელი თამასების და აგრეთვე გამწოვი სისტემის ბურბუშელის საიმედო მიმღებების მოწყობის გზით;

ჩქაროსნული მჭრელი იარაღებისთვის, მათი დამსხვრევის დროს, ნაწილების გამოსროლის თავიდან ასაცილებლად მტკიცე, საიმედო დობების გამოყენება; საიმედო იარაღების გამოყენება, რომელთა სიმტკიცე უნდა შემოწმდეს ცენტრიდანულ-გამრღვევ მანქანაზე; შედგენილი იარაღების გამოყენება საჭრისების ცენტრიდანულ-სოლისებრი ჩამაგრებით.

მჭრელი და მიმწოდებელი მექანიზმების ავტომატური ბლოკირება, რათა ჭრის მექანიზმის შემთხვევითი გამორთვის დროს გამოირთოს მიწოდება, ხოლო ჩარხის გაშვების დროს არ მოხდეს მიწოდების გაშვება ჭრის მექანიზმის ჩაშვებამდე და ჩარხის გამორთვის დროს ბლოკირებამ გამორიცხოს მხოლოდ

ჭრის მექანიზმის გამორთვა მიწოდების მექანიზმის გამორთვის გარეშე;

ჩარხის ნაწილების გარანტირებული დამაგრება, რომლებსაც დავარდნის დროს შეუძლიათ მიაყენონ ტრაგმა მომსახურე მუშას, მაგალითად, ლენტურსახერხი ჩარხების სატვირთო დაჭიმვა ან ქანქარა ხერხის სატვირთო წონინადის დაყვნება და ა.შ.;

მუშის დავარდნის დროს ტრავმების მიღების შემცირება ჩარხისათვის გარს შემოღინების ფორმის მიცემით, გამოშევრილი მჭრელი ნაწილების გარეშე, აგრეთვე ხალიჩების იატაზე და ჩარხის ნაწილებზე ფრიქცეული პოზიციების გზით, სადაც შესაძლებელია მოცურება;

ჩარხების ელექტროძრავებისა და დგარების დამიწება და დახურული ელექტროაპარატურის გამოყენება ელექტრული ტრავ-მებისაგან დასაცავად.

ჩარხის ვიბრაციისა და ხმაურის დასაწევად მბრუნავი ნაწილების გულდასმითი გაწონასწორების გზით, მათ შორის მჭრელი იარაღისა; მბრუნავი ნაწილების ცემის გამორიცხვა გამოწვევული გეომეტრიული უზუსტობებით და შეერთებებში ღრიჭოების არსებობით; ჩარხის ელემენტების სიხისტის ამაღლება; ჩარხის ძირის საძირკვლის საიმედო მოწყობა; ვიბროსაფენების გამოყენება; ნაკლებხმაურიანი მჭრელი იარაღების გამოყენება, რომლებიც ფორმით უახლოვდება ბრუნვის ტანს, დიდი შევრების გარეშედნებიანი ლილგებისათვის მიზანშეწონილია დანების ხრახნული განლაგება. სასურველია აგრეთვე მჭრელი იარაღის ზონის ხმის-საიზოლაციო დობის მოწყობილობის, ნაკლებხმაურიანი შევრონული და ირიბებილებიანი კბილათვლების, გორგოლაჭებიანი გადამცემი ჯაჭვების და უნაკერო ლვედური გადაცემების გამოყენება.

ზოგიერთი სახერხი და საფრეზი ჩარხების ხმაურის მახასიათებლები აჭარბებებ სანიტარულ ნორმას (80 დბ), რაც ადასტურებს ხისდამამუშავებელი ჩარხების შემდგომი სანიტარულ-ჰიგიენური სრულყოფის აუცილებლობას.

ჩარხების გაწყობისა და ტექნიკური მომსახურების პროცესში ტრავმების დაწევის საშუალებებად გამოიყენება:

იარაღების შეცვლის დროს მუშა შპინდელების, ლილგების და მიმწოდებელი ორგანოების უძრავი მდგომარეობის ფიქსატორები;

ჭანჭიკებისა და ქანქების რაციონალურად მოწყობილი თავები და სახელურები საქანჩე გასაღებების მაგივრად, რომელთა ასხლებება მუშაობის დროს წარმოადგენს ხელების დაზიანების ძირითად მიზეზს;

ბლოკირებული გამშვები მოწყობილობები, რომლებიც გამორიცხავენ ჩარხის ჩართვას გაწყობისა და ტექნიკური მომსახურების დროს (გამშვები მოწყობილობები ამ შემთხვევაში ბლოკირდება ჩარხის იმ ორგანოსთან, რონელიც უნდა იყოს დია მომსახურების დროს, მაგალითად სახერს ჩარჩოებში – ზედა ვალეცების კარებებთან და ბარბაცას დობის კარებთან, რეისმუსის ჩარხებში – დანებიანი ლილვის დობის სახურავთან).

სამუშაო კომფორტის უზრუნველყოფა ჩარხებზე დაკავშირებულია მართვის ორგანოებისა და სამუშაო არეების რაციონალურად განლაგებასთან, აგრეთვე მათი ანტროპომეტრიულ კრიტერიუმების შესატყვისობასთან.

ბიო და ფსიქომფორტის არსებით ფაქტორს წარმოადგენს შეფერილობა და ჩარხისა და სამუშაო არეების განათებულობა.

ტექნიკური ესთეტიკა რეკომენდაციას იძლევა ჩარხის შედეგისათვის შემდეგ ფერებს: დია შვანჯ – საერთო შედებვისათვის; ნარინჯისფერი, ყურადღების ასამადლებელი, – მართვის, დასაზეთი და სხვა ორგანოების შესაღებად; წითელი – სახიფათო ზონების აღსანიშნავად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Амалицкий В.В. Деревообрабатывающие станки и инструменты. Учебник. Издательский центр «Академия». М. 2002.
2. Амалицкий В.В. Станки и инструменты лесопильного и деревообрабатывающего производства. Изд-во «Лесная промышленность». М. 1985.
3. Амалицкий В.В., Санев В.И. Оборудование и инструмент деревообрабатывающих предприятий. Изд-во «Лесная промышленность». М. 1990.
4. Бершадский А.А. Резание древесины. Гослесбумиздат, 1956.
5. Бершадский А.А. Расчет режимов резания древесины. Изд-во «Лесная промышленность», 1967.
6. Бершадский А.Л., Читидзе З.Д. Методические указания для решения прямых и обратных задач при продольно-торцевом резании (строгание, продольное фрезерование, пиление дисковыми, ленточными и рамными пилами). Тбилиси: Изд-во ГПИ, 1967.
7. Бершадский А.Л., Цветкова Н.И. Резание древесины. Минск., Изд-во «Высшая школа», 1975.
8. Вомдерер Н.М., Зотов Г.А. Специальный дереворежущий инструмент. Изд-во «Лесная промышленность», М. 1983.
9. Воскресенский С.А. Резание древесины. Изд-во Гослесбумиздат, 1955.
10. Зотов Г.А., Швырев Ф.А. Подготовка и эксплуатация дереворежущего инструмента. Изд-во «Лесная промышленность». М. 1986.
11. Кряжев Н.А. Фрезерование древесины. Гослесбумиздат, 1963.
12. Кутуков Л.Г. Конструкции и расчет деревообрабатывающего оборудования. Изд-во «Лесная промышленность». М. 1985.
13. Любченко В.И. Резание древесины и древесных материалов. Изд-во «Лесная промышленность», 1990.
14. Манжос Ф.М. Дереворежущие станки. Изд-во «Лесная промышленность». М. 1974.
15. Морозов В.Г. Дереворежущий инструмент. Справочник. Изд-во «Лесная промышленность», М. 1988.
16. Нуч В. Деревообработка. Изд-во Техносфера, М. 2007.

17. Цуканов Ю.А., Амалицкий В.В. Обработка резанием древесно-стружечных плит. М.: «Лесная промышленность». 1966.
18. Читидзе З.Д. Эффективные методы обработки древесных материалов. Изд-во ГТУ, Тбилиси, 2006.
19. ზ. ჩიტიძე. მერქნული მასალების ჭრით დამუშავება. ტექნიკური უნივერსიტეტი. 1998.
20. ზ. ჩიტიძე, პ. ბოქოლიშვილი, ვ. აბაიშვილი. ხის დასამუშავებელი წარმოების მოწყობილობები და იარაღები. ტექნიკური უნივერსიტეტი. 1997.

## შინაარსი

შესაბამი	3
<b>თავი I. ჩარხების კონსტრუქცია და მერქნის მექანიკური დამუშავების მთლილები</b>	5
1. მერქნის და მერქნული მასალების ჩარხებზე მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური პრინციპები	5
2. მერქნის და მერქნული მასალების მექანიკური დამუშავების მეთოდები	9
<b>თავი II. ჩარხების სტრუქტურა</b>	12
2.1. ჩარხი, როგორც მუშა მანქანა	12
2.2. ფუნქციონალური მექანიზმების სახეები ჩარხებში	14
2.3. ჩარხების კინემატიკური სტრუქტურა და სქემატურობა	18
<b>თავი III. ჩარხების პლასივიკაცია</b>	21
3.1. ძირითადი საკვალიფიკაციო კატეგორიები	21
3.2. ჩარხების ინდექსაცია	27
<b>თავი IV. მერქნული მასალების ჰრიტ დამუშავება</b>	29
4.1. ჭრის პროცესის განმარტება	29
4.2. ჭრისა და მიწოდების მოძრაობა	30
4.3. ტრაექტორია	31
4.4. სიჩქარე	31
4.5. ბურბულებისა და საჭრისის გეომეტრია	32
4.6. ელემენტარული ჭრა. ელემენტარული ჭრის ნიშნები	35
4.7. ბოჭკოების გადაკვეთის გუთხე	36
4.8. რთული ჭრა	36
<b>თავი V. ჰრიტას გასათვალისწინებელი მერქნის ძირითადი თანისებები</b>	39
5.1. მერქნის არაერთგვაროვანი აგებულება. ანიზოტონობა	39
<b>თავი VI. ძირითადი პინემატიკური და დინამიკური თანავარდობანი ჰრიტას მერქნის ჭრა სამი ძირითადი მიმართულებით</b>	41
6.1. ტორსული ჭრა ⊥	41
6.2. ჭრა ბოჭკოების განივად – განივი ჭრა #	42

6.3.	ჭრა ბოჭეოების გახწვრივ – გრძივი ჭრა II .....	43
6.4.	ჭრის კუთრი წინადობა .....	46
6.5.	ჭრის ძალა და სიმძლავრე .....	47
6.6.	ჭრის სიჩქარე .....	49
6.7.	მიწოდების სიჩქარე .....	49
თავი VII.	ჭრის პროცესის თეორიული და მშპრო- გენტული კვლევა .....	51
7.1.	მერქნის საჭრისის საერთო კანონზომიერებები ...	51
7.2.	იდეალური და რეალური საჭრისი .....	52
7.3.	საჭრისისა და მერქნის ურთიერთმოქმედება .....	54
7.4.	დაბლაგული საჭრისის და მერქნის ურთიერთ- ქმედება .....	57
7.5.	დამოკიდებულება $\rho$ , $P$ , $k_{\mu}$ და $a_{\rho}$ შორის .....	61
7.6.	ხახუნის გათვალისწინება დახურული ჭრის დროს .....	63
7.7.	საანგარიშო ფორმულები და საცნობარო მონა- ცემები გრძივ-ტორსული ჭრისას .....	64
7.8.	$k$ , $k_{\mu}$ და $P$ -ს საანგარიშო გრაფიკები და ჭრის და ხერხვის დროს .....	65
7.9.	რადიალური $R$ , მიწოდების $Q$ , დაწოლის $S$ და მაგიდიდან ნამზადის ამოგდების $S_2 \perp U$ ძალების განსაზღვრა წრიული ჭრისას .....	68
თავი VIII.	დამუშავების ხარისხი. დამუშავების სიზუსტე და სისუზიავე .....	70
8.1.	განსაზღვრებანი და ნორმატიული მონაცემები ...	70
8.2.	დამუშავებული ზედაპირის სიმქისე .....	71
8.3.	დამუშავებული ზედაპირი ფრეზვისას .....	75
თავი IX.	სხვადასხვა ზაგადორეგბის ბაზლენა ჭრის კუთრ მუშაობაზე (ჭრის კუთრ წინადობაზე) ...	78
თავი X.	ხერხება .....	83
10.1.	ბურბუშელის წარმოქმნის თავისებურება გრძივი ხერხების დროს .....	83
10.2.	განახერხის გაფართოება .....	84
10.3.	ბურბუშელის განივალეთი გადაყრილი და გატელეჟილი კბილების შემთხვევაში ერთ	

კბილუნე ერთი და იგივე მიწოდების დროს .....	87
10.4. ხერხის მუშაობის უნარი კბილთა შორის დრმულზე დამოკიდებულებით .....	90
<b>01აპი XI. დისპარი და ლენტური ხერხებით ხერხება .....</b>	<b>93</b>
11.1. დისპარი ხერხით ხერხვა .....	93
11.2. ლენტური ხერხით ხერხვა .....	97
11.3. განივი და გრძივ-განივი ჭრის ძირითადი შემთხვევები. განივი ხერხვა .....	100
<b>01აპი XII. ჭრის რეჟიმების ბაანბარიშება და პინემატიკა ჩარჩო ხერხით ხერხებისას .....</b>	<b>104</b>
12.1. ჩარჩო ხერხის კინემატიკა. ძირითადი კინემატიკური თანაფარდობანი .....	104
12.2. ხერხის დახრილობისა და ჩაწოდების სიდიდეთა ფარდობა .....	100
12.3. ჭრის პროცესის პარამეტრები ჩარჩო ხერხით ხერხებისას .....	112
<b>01აპი XIII. რანდვა .....</b>	<b>114</b>
<b>01აპი XIV. ვრეზება .....</b>	<b>116</b>
14.1. ჭრის ტრაექტორია .....	116
14.2. გრძივი ფრეზვა .....	118
14.3. კინემატიკური შეხვედრის პუთხის გაანგარიშება ფრეზვის დროს .....	120
14.4. პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ფრეზვისას გრძივ-ტორსული (   - ⊥) ჭრის დროს .	122
14.5. განივი ფრეზვა .....	123
14.6. ფრეზვა-კოპირების პროცესი .....	128
14.7. ჯაჭვური ფრეზვა .....	130
<b>01აპი XV. ახდა .....</b>	<b>136</b>
<b>01აპი XVI. ბურღვა .....</b>	<b>142</b>
<b>01აპი XVII. ხარატება .....</b>	<b>147</b>
<b>01აპი XVIII. ხეხვა .....</b>	<b>153</b>
18.1. აბრაზიული მარცვლების გეომეტრია .....	153
18.2. მარცვლის ზომები .....	155
18.3. მარცვლის წვეროს დამრგვალების $\rho$ რადიუსი და $\nabla$ ხნაგთა $\varepsilon$ კუთხები .....	157

18.4. მერქნის ხეხვის მუშაობის ბალანსის		
განტოლება .....	158	
18.5. ზუმფარის დაწესებილი პაერით გაწმენდის		
პროცესი .....	159	
18.6. სახეები ჩარხების გაანგარიშება .....	161	
<b>თავი XIX. მერქნის მასალების ჰრიტ დამუშავება .....</b>	<b>165</b>	
19.1. მერქანბურბუშელის ფილები, მათი ჭრით		
დამუშავების თავისებურებანი .....	165	
19.2. ჭრის ძალა და სიმძლავრე მერქანბურბუშელის		
ფილების ხერხებისას .....	169	
19.3. მერქანშრეული პლასტიკების ხერხვა .....	176	
19.4. მერქანბურბუშელის ფილების ფრეზვა. საცნო-		
ბარო მონაცემები. ფრეზვის ძალების და		
სიმძლავრის გაანგარიშება .....	178	
19.5. მერქანბურბუშელის ფილების დუნვა. საცნობარო		
მონაცემები. ბურღვის ძალების გაანგარიშება ....	183	
<b>თავი XX. მერქნის მასალების ჰრა ზესალი იარაღებით .</b>	<b>191</b>	
20.1. საერთო ცნობები .....	191	
20.2. ბორის კუბური ნიტრიდის გამოყენება ჭრის		
პროცესებში (ტორსული ფრეზვა, ხერხვა) .....	195	
<b>თავი XXI. ჩარხების ტანიცური და ეპონომიკური</b>		
<b>მაჩვენებლები .....</b>	<b>219</b>	
21.1. ჩარხების მწარმოებლურობა .....	219	
21.2. ჩარხების სიზუსტე, სიხისტე და ზედაპირების		
დამუშავების ხარისხი .....	226	
21.3. ჩარხების ეპონომიკურობა .....	235	
21.4. ჩარხების საიმედოობა და ხანგამძლეობა .....	238	
21.5. ტექნიკური და ეპონომიკური მაჩვენებლები .....	240	
21.6. საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების		
საერთო პირობები .....	241	
<b>ლიტერატურა .....</b>	<b>245</b>	